მეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

ჩანაფიქრი

8(05)
8 20

დეკემბერი X

ამ ნომერთან ხელის მომწერლებს ეგზავნებათ ცალკე განცხადება 1916 წლის ჟურნალ „განათლებაზე“ ხელის მომწერთათვის.

რედაქცია კიდევ დაბეჯითებით სთხოვს ხელის მომწერლებს და აგენტებს მათზე დარჩენილი ჟურნალის ფულის დაჩქარებით გამოგზავნონ.

რედაქცია აცხადებს, რომ იგი ვერავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ წერილების გამო ავტორებთან ვერ იკისრებს.

შინაარსი: 1. ოტტო ლიპნანი—ფსიხოლოგია პედაგოგთათვის (დასასრული) **ლ. ბოცვაძე.** 2. ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჰიგიენა——**ილია ალხაზიშვილი.** 3. ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან—**გ. შარაშიძე.** 4. ქართული თამაშობანი ბებურ ბებურიშვილის ჩაწერილი. 5. მასწავლებლის შენიშვნები. II ქართულის ენის სწავლების შესახებ—**ი. გ—რი.** 6. მასწავლებელთა კავშირის აუცილებლობა—**ტ. ნიკ—ლი.** 7. გრიგოლ ორბელიანი და მისი პოეზია (დასასრული)—**ილ. ფერაძე.** 8. სახალხო განათლების ასპარეზზე მოღვაწენი ლადო ბზვანელი—**მეგობარი.** 9. შიო მღვიმელი (მისი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის გამო)—**ლ. ბოცვაძე.** 10. ჩემი მოკლე თავ-გადასავალი—**ყარამან ტარიელისძე ჩხეიძე.** 11. სკოლის ექიმის მოვალეობა—**ექიმი ე. ვაშაკიძე.** 12. პატარა წერილები—გაცრცვნილი სული—**არ. ფანცულაია.** 13. არითმეტიკის ტერმინები. 14. ამონაკვნესი—**ა. გაფრინდაშვილი.** 15. ფოთოლი—**გ. ლეონიძე.** 16. განთიადის ჟამს—**ხ. ვარდოშვილი.** 17. ჟამი ლოცვისა—**ილ. გოგია.** 18. ჩემი სურათი—**ლადო გეგეჭკორი.** 19. ჭეშმარიტი სული—**ლადო გეგეჭკორი.** 20. სტრიქონები—**გ. ლეონიძე.** 21. ჩემი თამარი—**ლადო გეგეჭკორი.** 22. ნეტავი თქვენ, ჩიტუნებო!—**სავ. აბულაძე.** 23. დრო—**ნ. ზონობნიელი.** 24. აკკორდი—**ილია გოგია.** 27. რისთვის?! (ფსიხოლოგიური ეტიუდი)—**მიწიშვილი.** 27. ბედნიერება (ტეტმაერიდან)—**მიხ. ბოჭორიშვილი.** 28. ბოროტი მომავალი (ტეტმაერიდან)—**მიხ. ბოჭორიშვილი.** 29. გულწრფელი მოღვაწისადმი—**ნატ. გიგაური-გაბაევ-გაბაონელისა.** 30. ოქმები საგრამატიკო კრებისა. 31. წერილი რედაქციის მიმართ—**ვას. ჯაფარიძე.** 32. ჩემი პასუხი—**კახაბერი.** 33. მოწაფეების მიერ საფიზიკო იარაღების კეთება. 34. თავისუფალი აღზრდა—**ია ნარიძე.** 35. ბიბლიოგრაფია. 36. შინაარსი 1915 წლის ჟურნალ „განათლებისა“ და 37. განცხადებანი.

დამატება. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წლიურ მორიგ კრებას თავმჯდომარის მოხსენება საზოგადოების 35 წლის მოქმედების შესახებ და საზოგადო კრების დადგენილებანი.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მერვე)

№X დეკემბერი 1915 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარ წლით . . . 3 მან.
სახალ. სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.

ცალკე ნომრის ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

ოტტო ლიპმანი

ფსიხოლოგია პედაგოგთათვის

VIII

მეხსიერების განვითარება. ყურადღებისა და ინტერესის განვითარება. ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება. ნიჭში განსხვავება.

(დასასრული)

ბავშვების გონებითს განვითარებასთან მჭიდრო კავშირი აქვს პრაქტიკულ-საპედაგოგიო ამოცანათა მთელს რიგს, რომელთაც თავი მოვუყარეთ ერთად, რაკი მხედველობაში სწორედ ესეთი განვითარება გვონდა. მაგრამ მათ მაინც უნდა წარვუმძღვაროთ ორგვარი შენიშვნა. ერთი რომ დამოკიდებულება გონებრივს განვითარებასა და სასკოლო ორგანიზაციის შორის, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, უფრო საფაო საკითხს შეადგენს, ვიდრე სინამდვილეს. მეორე მხრით ეს ამართლებს აწინდელი სასკოლო ორგანიზაციის ნაკლულევანებას, რაშიაც ბრალსა სდებენ — სასკოლო ორგანიზაცია პირველ ყოვლისა გონების, ინტელეკტის განვითარებას უნდა ეგუებოდეს; მაგრამ უკანასკნელის არსებითად საჭიროება და მისი ზომა მხოლოდ ამ ბოლო ხანებში იქმნა აღსარებული. ამდენ ხანს შემცდარი გზით მიდიოდნენ იმიტომ, რომ ინტელეკტი მიაჩნდათ ერთიან ფუნქციად, მაშინ როცა ის არის მხოლოდ ერთი სახელწოდება მრავალ რთულ ნიჭთა შორის. ფსიხოლოგიური მეთოდის შემუშავება ინტელეკტის შესაფასებლად, ან შემუშავება მეთოდების მთელი რიგისა, რომელნიც ამ მოვლენათა იკვლევენ და რო-

მელთაც საფუძვლად დაედოთ განსაკუთრებით ინტელექტის განვითარება—ეკუთვნის ორ ფრანგ ფსიხიოლოგს ბინესა და სიმონს. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმაო რიცხვი ამ მეთოდთა ხმარების შედეგებისა, ასე რომ მათ შესახებ უკანასკნელი სიტყვის თქმა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. დღეს მხოლოდ დაბეჯითებით ის ვიცით, რომ ბავშვის სწავლაში წარმატების შედეგები სუსტად არის დაკავშირებული მისი ინტელექტის განვითარებასთან, მაგრამ არც ის შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სასკოლო ორგანიზაციის საკითხში ერთად ერთი საზომი სასკოლო წარმატება იყვეს, რადგანაც ცუდი წარმატება შეიძლება, ერთის მხრით იმის გამო, რომ სკოლის მოთხოვნილება, მოწაფის ნიჭის ღირსებასთან შედარებით, მეტად დიდი იყვეს, მეორე მხრით იმის გამოც, რომ ინტელექტის ნიჭი მოშაობაში არასაკმარისად გამოუყენებიათ, რაც საც მოჰყვება სიზარმაცე და უყურადღებლობა.

ცოტა უფრო მეტი ვიცით ბავშვის მუსიერების განვითარების შესახებ, ე. ი. მისი დასწავლის ნიჭის განვითარების შესახებ; მრავალ ფაქტთა შორის უსაჭიროესია ის, რომ მეხსიერება სხვა და სხვა ობიეკტებზე ვითარდება სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა გვარ სიჩქარით; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც წარმოებული ცდაც უნაკლულო არ არის, რომ დიდი მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილოთ. რამდენადმე სარწმუნოდ ვიცით მხოლოდ ის, რამდენადაც საქმე ეხება სახალხო სკოლას,—რომ მეხსიერების განვითარება ყველაზე უფრო სწრაფად 10—12 წლამდის ხდება, უფრო ნელა მე 14 და მე 15 წელს; მასთან პარალელურად ბიდის გონების საზოგადო განვითარებაც. ამიტომ სკოლა ისე უნდა იყვეს მოწყობილი, რომ მომეტებული ნაწილი სასწავლო მასალისა მოდიოდეს მეოთხედან—მეექვსე სასკოლო წელს, მერვე და მეცხრე წლები კი უნდა მოხმარდეს ნასწავლი მასალის შემდეგში მტკიცედ აღბეჭდვას, გაშალაშინებას და გამოყენებას. შემდეგ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მეხსიერება რიცხვებზე და განუყენებულ ცნებებზე შედარებით გვიან იწყებს განვითარებას.

ბოლოს, ასაკის მიხედვით ტიპიურად იცვლება ინტერესი, მიმართულება და მასთან დამოკიდებით—ყურადღების მიმართულებაც. აქ მოვიყვან, როგორც დაბეჯითებელს, შტერნის მოხსენებას, სადაც მელშიაც ნათქვამია, რომ სურათების განხილვის დროს 7 წლის ბავშვები საკუთრებულ ყურადღებას ადამიანების, ცხოველების, საგნების გამოსახულობას აქცევენ, 10 წლისანი, ჯგუფს გარდა, ყურადღებას აქცევენ დახატულ პირთა მოქმედებასაც,—12 წლისანი—განსაკუთრებით დახატულ პირთა და ნივთთა ურთიერთ შორის სივრცის დამოკიდებულებას, 14 წლისანი—გამოსახულ საგნების თვისებებსაც. ამ სიტყვით „სუბსტანციალურ საფეხურზე“ დამახასიათებელია ის, რომ ზეპირად მოთხრობა რომლისამე სურათის შესახებ უმეტესად არაფერთან დაკავშირებულს ფსიქიურ სახეებს შეიცავს; „მოქმედების საფეხურზე კი“ ამას ზმნებიც ემატება! „დამოკიდებითს საფეხურზე“—თანდებულები და „თვისებითს საფეხურზე“—ზედსართავი სახელები და ზმნისზედსა. უეჭველია, რომ ეს განსხვავება ფორმაში და მოთხრობის შინაარსში აღნიშნავს ასაკის მიხედვით ინტერესისა და ყურადღების ცვლილებასაც.

როცა საკმაოდ მოგროვდება ასეთი

ექსპერიმენტის უზადო შედეგები ინტელექტის, მეხსიერებისა და ინტერესის რაოდენობათა და თვისებათა ცვლილებაში, რომელშიაც საზოგადოთ გამოიხატება გონების განვითარება, მხოლოდ მის შემდეგ გამოირკვევა შემდეგი მოთხოვნილება კლასების მოწყობისა და სასწავლო გეგმათა შესახებ. მხოლოდ ამ გზით მიუახლოვდებით ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების საკითხს. ამ ჟამად-კი სხვა და სხვა ავტორების აზრი იმის შესახებ, საკმარისია თუ არა ერთგვარი განვითარება ორივე სქესისა, რომ შესაძლელი იყვეს ერთად სწავლება, ერთი მეორისაგან დიდათ განსხვავდება. რომ ეს განვითარება საზოგადოთ სხვა და სხვაგვარია, რასაკვირველია, საეჭვო არ არის, განსაკუთრებით თუ მხედველობაში ფიზიკურს განვითარებას მივიღებთ; ეჭვი მხოლოდ ამ განსხვავების ხარისხშია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განსხვავება იმდენად დიდია, რომ სხვა და სხვა დროს ერთი სქესის ბავშვები ჩამორჩებიან განვითარებაში მეორე სქესისას, ეს იქნება საფუძვლიანი პასუხი ერთად სწავლების წინააღმდეგ, მაგრამ მანამდის-კი ჩვენ ყოველ შემთხვევაში ფსიხოლოგიურ-ეთიურის საფუძვლით უსათუოდ მტკიცედ უნდა ვიცავდეთ ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების მოთხოვნილებას. რამდენადაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქალ-ვაჟდა შორის განსხვავებას, მით უფრო დიდ ხანს იქნება შეკავებული სასექსუალო აზრთა და მიდრეკილებათა აღორძინება. რომ უკანასკნელი სასურველია, ამაში, რასაკვირველია, ყველა პედაგოგი დაგვეთანხმება და რომ ნაჩვენები საშუალება ხელსაყრელია ამისთვის, ძრავალ ჯერ დამტკიცებულია ერთად სწავლების ცდით.

ერთისა და იმავე ასაკის ბავშვების ინტელექტის დაფასება რაიმე ხელსაყრელ მეთოდის საშუალებით ფსიხოლოგიურად სასურველს საფუძველს მოგვცემდა ახალის მისწრაფებისათვის კლასებად დაყოფაში, ნიჭის რაოდენობით განსხვავების მიხედვით. ამ ჟამად ასეთი ცდა იმაში მდგომარეობს, რომ კლასებად დაყოფის საფუძვლად სკოლაში სწავლაში წარმატება მიაჩნიათ, რომლის დამოკიდულება ინტელექტის განვითარებასთან ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის. ასეთი დანაწილება სკოლისა დიდათ ამართლიანია, შით უფრო სანუგეშოა, რომ ამავე დროს ფიქრობენ არა მარტო სუსტი ნიჭით დაჯილდოებულს ბავშვებზე, არამედ ისეთის ნიჭის ბავშვებზედაც, რომელნიც ნორმაზე მაღლა არიან დაჯილდოებულნი და რომელნიც, რასაკვირველია, ვერ სარგებლობენ თავისის ნიჭით იმ დროამდის, ვიდრე თავის განვითარებაში შეკავებულნი არიან ნაკლები ნიჭის მექონე მასსის მიერ. რაც შეეხება ამ სურვილის მიზანშეწონილად განხორციელებას, ამ ჟამად ჩვენ გვჯერა, რომ იქ, სადაც სურვილია, გზაც მოიძებნება. ამას დავუმატებთ კიდევ ერთს იმედს, რომ დადგება დრო, როცა განათლების ხარისხი, რომელსაც იღებს ახლა ადამიანი, დამოკიდებული იქნება არა იმის ქონებაზე, არამედ—ნიჭზე.

მეორე საკითხიც პრაქტიკული მნიშვნელობისა—ეს საკითხია თვისებითი განსხვავება ნიჭთა შორის. უეჭველია, ბავშვებში არიან ისეთები, რომელთაც მეტი ნიჭი ეტყობათ არითმეტიკაში, სხვებს—უცხო ენის, ხატვის, საბუნების-მეტყველო საგნების შესწავლაში და სხ. ინტერესის მიმართულებაში რომ ასეთი განსხვავება არსებობს, რომელიც ტიპიურად უნდა დავსახოთ, დამტკიცებულ

არითმეტიკაში მაინც ექსპერიმენტალურ-სტატისტიური გამოკვლევით საყვარელ სასკოლო საგნების შესახებ; ეს უჩვენებს, რასაკვირველია, ნიჭთა განსხვავებასაც. შემდეგ უნდა აღვიაროთ, რომ წინად განხილულ ტიპების მიხედვით წარმოდგენათა დიფერენცია (თუნდაც მაგალ.—ცალმხრივი და ცხადათ გამოხატული მხედველობის ტიპი რამდენად არ შეიძლება, დასახელებული პედაგოგიური ზომების მიხედვით, გადაყვანილ იქმნას შერეულ ტიპად) უჩვენებს აგრეთვე ცალმხრივისა და ცხადათ გამოხატულთ ნიჭთა არსებობას.—განსხვავება ხატვის ნიჭში ექსპერიმენტალურად გადაგვიშალა Kerschensteiner-მა.

რასაკვირველია, მართალი რომ ვსთქვათ, შეუძლებელია ერთს უღელში შევაბათ სხვა და სხვა რიგად დაჯილდოვებულნი ჰიროვნებანი; მეორე მხრით, ჩვენ, რასაკვირველია, ვერც შევკრებთ ისეთს ხალხს, რომელნიც სრულიად ერთგვარი ნიჭით იყვნენ დაჯილდოვებულნი. ყოველ შემთხვევაში ის გზა, რომელსაც დღეს ვადგევართ, სწორი არ არის; შეიძლებოდა რამდენადმე მეტი ყურადღება მიგვექცია ინდივიდუალობისადმი: გაგვეგზავნა, მაგ. ვინც მათემატიკაში ნიჭს იჩენს არა იმ სკოლაში, სადაც მიდიან ენების შესწავლის ნიჭის პატრონნი. სასწავლებლების დაყოფა გიმნაზიებად, რეალურ გიმნაზიებად და მაღალ რეალურ სასწავლებლებად საკმარისს დაყოფას არ მოასწავებს, გარდა იმისა, რომ სკოლის არჩევაში ბავშვის ნიჭი კი არ აქვთ მხედველობაში, არამედ წინასწარ აღებული აზრი, რომ თუნდაც მათემატიკა ან ენები ყველაზე უსაჭიროესიაო. სამწუხაროდ ამაშიაც არა გვაქვს საკმარისად უზადო მეთოდი ნიჭთა განსხვავების დასამყარებლად.

გარდა ამისა, ცალკე სკოლებისა და კლასების დაარსება ბავშვებისათვის, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან სხვა და სხვა ხარისხით ან მიმართულებით, უეჭველია მოგვცემდა შეძლებას გადაგვეწყვიტა ეთიკო-ფსიხოლოგიური დილემმა, რომელიც შეეხება ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებას. თუ ქალებსა და ვაჟებს, როგორც წესია, სხვა და სხვა ნიჭი აქვთ, მაშ „საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო სკოლებში მომეტებული რიცხვი ვაჟები იქნებიან, „განყენებულ-სამეცნიერო“ სკოლებში-კი—ქალები. თუ ქალებსა და ვაჟებს სხვა და სხვა ასაკში სხვა და სხვა ძალა აქვთ ნიჭისა, მაშინ, ვსთქვათ მერვე კლასში ვაჟები ნახევარი წლით მეტს დაჰყოფენ, ვიდრე ქალები, მეორე კლასში-კი ქალები ჩამორჩებიან ვაჟებს ნახევარის წლით. სასკოლო ტეხნიკური სიძნელე ამ ზომებისა უხვად იქნება დაჯილდოვებული ეთიკურის სარგებლობით, რომელიც მოჰყვება ზემოდასახელებულ მიზეზის გამო ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებას.

ლ. ბოცვაძე.

ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

ჰიგიენა

(წერილი მერვე *)

ადამიანის მკბენარი, მწამელი პარაზიტები და მათთან ბრძოლა.

ადამიანმა დიდი ხანია დამტკიცა თავის უპირატესობა ყველა ქმნილებაზე. დღეს ყველა აშკარად ხედავს ადამიანმა რა ძრიელი მეცნიერებაც შექმნა ბუნებასთან საბრძოლველად. და თუ იმას ვერ ვიტყვით, რომ ადამიანი მართლაც და მეუფეა ბუნებისა, არც იმის თქმა-და შეგვიძლია, რომ ადამიანი დღესაც მონა იყოს ბუნებისა, მისი ყურმოჭრილი ყმა.

რა ჯერა ჭიას ბრძანებთ, რომ უწინდელ ადამიანს სიტოტხლითვე არ სჭამდა, მაგრამ დღეს ჩვენ ხელთაა დიდი უნარის მქონე მეცნიერება მედიცინა, რომლის წყალობითაც ადამიანი იობივით გულხელ დაკრეფილი კი აღარ შესტქერის თავის ვაგლახს, არამედ უებარ საშუალებით ებრძვის ყოველ ჯურა მტერს და მავნეს.

ჩვენ უკვე დავასახელეთ რამდენიმე პარაზიტი, რომელნიც მართლაც და საზიზღარი და თანაც საშიშონი არიან ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მაშ ავწეროთ დანარჩენებიც.

I

ასკარი ანუ მრგვალი ჭია მუცლისა.

ეს ჭია ნემატოდესთა ჯგუფს ეკუთვნის. მისი სხეული კალმის ტარივით მრგვალია, ბატის კალმის სისხო და ფერითაც მისებრ თეთრია, თავი და ბოლო გამწვეტებული აქვს, თანაც ბოლო ცოტათი მოხრილი—მოკუნტულია. არა აქვს არც სალსრები და არც ფეხები. ტიტველ-შიშველი ტანი შემოსილი აქვს მაგარი მოთეთრო კანით. მამალი ჭია

უფრო მომცროა, დედალი კი მოზრდილია—ერთი ოთად დიდია. ამათ კვერცხიდან, რომელიც ოუთასა (ხიდს) ჭკავს და ხორკლიანია, ვითარდება ახალგაზრდა თაობა, რისთვისაც დედალი ჭია ეოველ წლიე სამოც მილიონამდე (60 მილ.) კვერცხსა სდებს. ასკარი, ეს მრგვალი ჭია მუცლისა (Аскарида человѣческаа, Ascaris lnmbriccides) ადვილად ესტუმრება ხოლმე ადამიანის სხეულს. უკვე დამტკიცებულია, რომ ამ ჭიის აუარებელ კვერცხებს საჭმელს და სასმელს წყალს ჩავაყოლებთ ხოლმე, რის შემდეგაც ჩვენს წელებში იბუდებენ და აქ მუქთახორობენ—შუაზე გვიეოფენ საზრდო-საკვებელს *).

ორორიდე ჭია იმდენად არას აწუხებს ხოლმე ადამიანს, მაგრამ როდესაც მის წელებში ასკარი მრავლად ბუდობს, მაშინ კი ჭიებს შეუძლიანთ აგვიტეხონ და მეტადრე ბავშვებს გულის ზიდება, გულის რევა და პირსაქმება

*) ეი კიდევ უტყუარი საბუთი რისთვისაც საპირო ნადუღი და გაციებული წყალის სმა.

*) იხ. „განათლება" № 8—9.

აკრეთვე ტანში ფაღარათობა და სხვ, ჭია მორეულს ბავშვს ხშირად აუტუდება ხოდმე თავბრუ და გულის წუხილი. ტროკაის გამოკვლევით ხომ სუსტს ბავშვს, თუმცა კი იშვიათია, მაგრამ ძარღვების კრუნჩხვა ემართება, ტანი უთრთის და თითქმის რო მენინგიტს ეწვევს. ხოდო პროფესორი ად. ბაგინსკის გამოკვლევით ჭია მორეული ბავშვი მარად ფერმკრთალია, ეპატიით მოტულია, ხალისს დაკარგულია, ზოგჯერაც ჭიის მიზეზით ციებ-ცხელებაც კი ემართება ბავშვსაო. ამისთანა ბავშვები ყოველთვის ტანზე გამხდრები არიან და სუსტნიც. მოაშორეთ ბავშვს მისი მჭამელი ჭიები და ეველა ეს ავადობის მოვლენანი თავისთავად მოისპობიან.

ამავე მრგვალ ჭიას შეუძლია უფრო უარესს განსაცდელს ჩაგდოს ბავშვი, მაგალითად როდესაც ასკარი დახეტიალობს და დაძვრება ტანში, ამ მოგზაურობის დროს შეუძლია შეძვრეს ასსუნთქ მილში და სუნთქვა შეუხუთოს, ბავშვი დაახრჩოს. ამ გვარათვე ასკარს შეუძლია შეძვრეს ნაღვლის მილებში და ღვიძლშიაც შეატანოს, რითიც გამოიწვევს შრატის შედედებას, ღვიძლის დაჩირქებას, არც ისაა იშვიათი, როდესაც ასკარი შემძვრალა მუცლის ფარში და ჭიებიდან კარეთ გამოსულა. ერთი ს�ინელებაც: ჭია ასკარი გორგალივით დაეხვევა ხოდმე და წელის მილში გაჩხირული ნაწლევის გასავალს სრულებით ახშობს, დაცობილი ნაწლავი კი ბავშვის სიკვდილს ნიშნავს.

წამალი და წამლობა.

მრგვალი ჭიის ასკარის საწინააღმდეგოდ უებარია ხოროსანი და მეტადრე მისი ადგილოდიდი სანტონინი. ჩვენში ხოროსანით წამლობა ეველასათვის ცნობილია, შინაური წამალია. დანაუულ ხოროსანს თავეში ურეგენ, აზავებენ და ისე აჭმევენ ბავშვს. მხოლოდ უებარი წამალი არის სანტონინი, რომელიც ხოროსნიდან მზადდება თეთრი, ბრწყვიალა წვრილი ხვრეშია *).

სანტონინის მიცემა ფრთხილად უნდა. უნდა იცოდეთ ზომა რამდენი წლის ბავშვს ჯერზე რამდენიც უნდა დაალევინოთ, თორემ წამალი საწამლავად გადაექცევა. ათთიაქებში ჭეიდიან სანტონინის კვერებს (Сантонинов. лепешки, Trochisci santonini). ერთი შაურისა რო იეიდოთ, სრულებით საკმარისია ბატარა ბავშვისთვის, მიეცით ხოდმე ეოველ საღამოს, როცა ბავშვი იძინებდეს. 4—5 წლის ბავშვს ერთი კვერი, ისე კანფეტივით შესჭამოს და უფრო ბატარა ბავშვს კვერის ნახევარი მარტო საღამოობით.

დიდებისთვის, ჭასკოვან ადამიანთათვის საჭობს სანტონინი მიაღებინოთ ჩალაპით შეზავებული. აი რეცეფტიც.

აიღეთ: სანტონინი, santonini ერთი გრანი.

ჩალაპას მტვერი (pulvis Jalappae) ათი გრანი **).

ამ წონის ბარაშოკები მოამზადებინეთ ათთიაქში ექვსი ცალი, დაალევინეთ (ენაზე დაიყარონ და წყალი დააყოლოს ერთი ულუბი) დიდ ადამიანს ჯერზე თითო, ერთი ღამე ძილის წინეთ და ერთიც დილით უზმოზე, ასე რომ სამ ღამეს და სამ დილას ექვსივე ულუბი გაათავოს. 7—10 წლის ბავშვს ესეეე ბარაშოკები ამ კვარათვე დაალევინეთ მხოლოდ გაუავით, ბარაშოკის ნახევარი ასეთ ჯერზე. ეს ბარაშოკები შართლაც რო უებარი წამალია, თანაც იაფიტოსა

*) ყირგიზთა მინდვრებში თურქესტანში აუარებელი ხოროსანი მცენარეობს და მთელ დედამიწის ზურგზე თვისებითაც საუკეთესოა, ამ მცენარეესგან მზადდება სანტონინი. წინეთა გერმანიაში ამზადებდნენ და ეს ათიოდე წელიწადია ქარხანა იქვე გამართეს ტაშკენტში.

**) გრანი პურის ხორბლის (მარცვლის) წონაა.

კარგი, რომ ჭიას ჭკლავს კიდეც და გარეთაც აგდებს, რადგან ჩალაპა სასაქმებელი წამალია. ამით ადარც სანტონინს შეუძლია საწამლავად გადაქცეს კაცს, რადგან წელებში დიდხანს ვედარ დარჩება, ბევრს არა მცოდნეს ვერ გაურჩევია გულჩიდება (კუჭის ანთება, катаръ желудка) ჭიისაგან. ჭო და შეუძლია ეს პარაშოკები მიიდოს და სარგებელი კი ვერა ნახოს. მით უკეთესი. მაშინ თქვენ შეგიძლიათ სრულებით დარწმუნდეთ, რომ ჭია არა გაქვთ. ისიც საჭიროა შეენიშნოთ, რომ სანტონინი მხოლოდ მრგვალ ჭიას ხოცავს *). მაშასადამე ვისაც პრტუელი ჭია აქვს იმან იმ საშუალებას უნდა მიმართოს რაიც წინა წერილში გვაქვს მოხსენებული.

II

ჭია ოქსიურისი, острица дѣтская, oxyuris vermicularis). ეს არის ერთგვარი წვრილი ჭია ბავშვებისა, რომელიც ვერმიშელსა ჭკავს და კუდი სადგისივით გამწვეტებული აქვს, მამალი მოცერა და დედალი კი მაზზედ ორჯელ დიდი. ეს ჭია ოქსიურისი უფრო ბავშვებს ემტერება. უეკარს ბუდობა უკანა კარში. აქ, დიდი ნაწლევის ბოლოში, გამოსავალში ზოგჯერ იმდენი ფუთფუთობენ, რომ ბავშვს საშინლად აწუხებს აუტანელი ქავილი, რის გამოც ძილი და მოსვენება ეკარგება, თასაც შიშისაგან ძილში იდვიძებს და სხვ.—თუ დროზე არ უშველეთ ბავშვს, ამ ჭიებს შეუძლიათ გამოიწვიონ უკანა კარის ანთება და ზოგჯერ გახვრიტონ კიდეც ნაწლევი (ფისტულას გამოიწვევენ).

ეს ჭიები ოქსიურისები კიდეკ იმითი არიან საშიშნი, რომ დატოტავენ ზოგჯერ, მაკალდოვად, საზარდულებში კვერცხებსა სდებენ რითიც ჭიოწვიან ხოდმე ეგზემას (სირსვეტს), რომელიც დაჩირქებამდე მიდის, უფრო კი საშინელება ის არის, რომ პატარა ქალებს უკანა კარიდან გატოტებული ოქსიურისნი ადვილად შეუძვრებიან ხოლმე სქესის ორგანოში, აქ კვერცხებს სდებენ, უდიტინებენ, რის გამოც ბავშვი ეჩვევა ხშირ ხელის ხლებას, ქექვას და ბოლოს თავდება იმით, რომ ქალი ჩუკნაობას ეჩვევა და სქესის მოუსვენრობა სჭირს, ვაგინიზმიც ემართება. ეოთვალა შემთხვევა სქესის ორგანოდან მერე საშვილოსნომდე ასულიყოს ეს ჭია და რაკი იქ კვერცხებს დასდებს არა რა აუტანელი რამ სტკივარი დაემართება საბრალო ბავშვს. ერთი მეცნიერიც სწერს—მე მინახავს შემთხვევა, როდესაც ეს ოქსიურა ჭიები 10 წლის ქალის კუჭს შეესივნენ, მაგრამ კუჭმა იუკადრისა და პირის რწყევით ზევით ამოუარა.

წამლები და წამლობა.

1) მოხარშეთ რამდენიმე კბილი ნიორი და ეს ნახარში უკანა კარში შესხით რეზინის ბალონით (ოუნა მიეცით). შეიძლება ნიგრის ამ ნახარშს (წვენს) ცოტაც თევზის ერბო მიუმატოთ (Ol. Jecoris Aseli). 2) დაალევინეთ ზემოდ ნათქვამი სანტონინის პირაშოკები ანუ სანტონინის კანფეტები აჭამეთ (კვერები) წლოვანების მიხედვით. 3) აქებეს აგრეთვე გოგირდის ყვავილს (Flores sulfuris) ნახევარი ჩაის კოვზი გოგირდის ფვავილი (ათთიაქში იეიდეთ ერთი შაურისა) ცოტაოდენ წყალში გახსენით და დალევინეთ. 4) მე გირჩევთ ნიგრიანი საჭმელი აჭამოთ (ხაში, არტალა და სხ.) ან არა და ნიგრის კბილი ოთხსა გასჭერით და ეს ნაჭრები აუდაპეთ—ასე სამ დღეს ეოვეკ დღე სამ კბილამდე ჩაუდაპოს. 5) თუ რომ ხელად არ გეშოებათ რეზინის ოუნა, მაშინ შეიძლება დანაუილი ნიორი წყალში აურიოთ, შიგ ბამბა ან ტილოს ნაჭერი ამოსვაროთ (ნიორში) და

*) მე თითონ მინახავს სანტონინის სასწაულებრივი მოქმედება,—ერთმა ბავშვმა 40—60 ერთ საქმებაზე დაჭყარა.

უკანა კარში ფიდთასაებ მისცეთ ანუ ეოველ-თვის ნივრის წყალით ჭვანოთ უკანა კარი, ვიდრე მოსპობდეთ ჭიებს. 6) თუ საქმეს არა ეშ-ველა რა, კვლავ სანტონინს მიმართეთ, ხო-ლო რადგან ეს ჭიები უკანა კარში ბუდობენ, დაღვეთ იქნება არა გამოვიდეს რა. აიღეთ უწყებული ზომა სანტონინისა, მაგალითად ჯერზე ერთი გრანი (ბურის ხორბლის წონა) გასხენით ცოტა წყალში (ღვინის სტაქნის ნახევარი ეყოფა) და აი ეს წამალი შეასხით უკან კარში ბატარა სპრინცოვკით. 7) ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ჭიებმა მოსს-წრეს ბავშვის (ქალის) სქესის ორგანოში და-ბუდება, მაშინ კი უეჭველად უნდა მოიწვიოთ საქმის მცოდნე ექიმი ან აკუშერკა, რომელთა ხელშია უებარი წამალი—სულეემანის წყალს (растворъ сулемы) შეასხმენ ორგანოში და მით ამოხოცვენ ჭიებს და განიკურნება ბავშვი.

ილ. ალხაზიშვილი

შენიშვნა: სულეემანი (сулема) საშინე-ლი შხამიანი წამალია, და ამიტომაც არავითა-რი შემთხვევაში თქვენ ნუ გაერევით მის ხმარებაში.

ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან.

(ვუძღვნი არსენ წითლიძეს).

ბატონყმობის გათიშვისთანავე (1864 წ.) გურიის გლეხკაცობამ*) ხელი მიჰყო სკოლების გახსნას, ასე რომ 1869 წელ-ში თითქმის ყველა სოფლის საზოგადოე-ბას ჰქონდა თავისი სკოლა. რასაკვირვე-ლია, მაშინდელ სკოლის ღირსება-ნაკ-ლულევანებაზე ლაპარაკიც არ ღირს, რადგან იმ დროს რიგიანი მასწავლებელი სანთლით საძებარი იყო; სკოლების უმე-ტესი ნაწილი სოფლის სამმართველოს შენობებში იყო მოთავსებული—სკოლას საკუთარი შენობა არ ჰქონდა; მასწავ-ლებლებად სოფლისავე სამმართველოს მწერლები იყენენ. მაშინდელი მწერ-ლების უმეტესობა კი ან სოფლის ღვდ-ლების ნადიაკვნარი იყო ან და „ხუცის კლასში“ (ოზურგეთის სასულიერო სას-წავლებელს უწოდებდენ ასე) ნამყოფი და ზოგი კურს დამთავრებული. იმ დროს გურიის სოფლის სამმართველოებში საქ-მის წარმოება ქართულათ ხდებოდა—ყო-ველივე მიწერ-მოწერა, ოქმების და გა-ნაჩენების შედგენა და სხ. სულ ქართუ-ლათ წარმოებდა და ამიტომ იყო, რომ ასე მცირე ცოდნით აღჭურვილ მწერ-ლებს არ უჭირდათ საქმის წარმოება. არ შემიძლია აქ არ მოვიხსენიო ერთი ფაქ-ტი, რომელიც ახასიათებს მაშინდელ ადმინისტრაციას. იმ დროს ოზურგეთის მაზრის უფროსათ იყო ბ. ვახრამოვი, ტომით სომეხი, რომელმაც ჩინებულათ იცოდა ქართული. მას დაუნიშნეს თანა-შემწეთ ვილაც მალოროსი—სემენენკო. სემენენკომ სასოფლო სამმართველოებში საქმეების რუსულ ენაზე წარმოება მოი-

*) სხვა წოდებას სკოლების გახსნაში არა-ვითარი წილი არ უდევს.

თხოვა. ვახრამოვს არ მოეწონა თავისი თანაშემწის საქციელი და წინადადება მისცა ან ქართული ენა შეესწავლა, თუ არა და სხვაგან გადასულიყო სამსახურში. მართლაც სემენენკო იძულებული შეიქნა მალე დათხოვოდა გურიაში სამსახურს.

სკოლებს ამ დროს პროგრამა არ ჰქონდა, ვისაც რა მოესურვებოდა იმას ასწავლიდა. უმეტეს დროს მასწავლებელი კანცელარიაში ატარებდა, იქ „მუშაობდა"; მხოლოდ დრო გამოშვებით, როცა ბავშვები ჯდომით და უსაქმობით დაიღლებოდენ და ხმაურობას ასტეხდენ, მასწავლებელი „тише"-ს ძახილით კლასში შედიოდა, სტუქსავდა ბავშვებს და „დამნაშავის" ალმოჩენას უნდებოდა. ბავშებში მაბეზღარობა ძალიან განვითარებული იყო, ხშირათ „ეშმაკობაში" დამნაშავეთ სრულიათ უდანაშაულო ბავშები გამოყავდათ. სასჯელი „დამნაშავე" მოწაფეებისთვის შემოღებული იყო ოზურგეთის საერო და სასულიერო სასწავლებლების მიბაძვით და განიყოფებოდა შემდეგ კატეგორიებათ: სიტყვით დატუქსვა, ყურის აწევა, თმების ქიჩვა, დაჩოქება, სახაზავით ხელის გულზე ცემა, სახაზავითვე შარვალს ზევიდან და შარვლის ჩახდით საჯდომზე დარტყმა და „როზგი". ხშირათ მინახავს შეკრული „როზგი" ბუხრის თავზე შემოდებული სკოლაში თვალ საჩინოთ. როცა ერთ მასწავლებელს ვკითხე, რა საჭიროა ეს შეკრული წკნელები რომ დაგიწყვიათ მეთქი, მიმითითა სკამებზე წყნარათ ჩამწკრივებულ ბავშებზე და მითხრა: „ეს ამათი ჭკუის მასწავლებელიაო".

ზემოთ აღვნიშნე, რომ სასჯელი სოფლის სკოლებში ქალაქის სკოლებიდან იყო გადმოტანილი მეთქი. მეც ასეთ სასწავლებელში ვსწავლობდი და სხვათა შორის ერთი შემთხვევა, რომლის მოწმეთ მე გავხდი მოწაფეობის დროს, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება და არ შემიძლია აქ არ მოვიხსენიო. ჩემთან ერთად სასწავლებელში შემოვიდა ერთი ჩემი მეზობელი ბავშვი. ორივენი ერთ ოჯახში ვიდექით. მე წერა-კითხვა შინ მქონდა ნასწავლი, იმან კი არ იცოდა. პირველი გაკვეთილი მღვდელმა მოგვცა — „აქედან აქნობამდეო" გვითხრა და დაგვინიშნა კარანდაშით წიგნში ის, რაც მეორე დღეს უნდა გვცოდნოდა. გაკვეთილად ხუცური ანბანი გვქონდა დასასწავლი. ხუცური კითხვა არც მე ვიცოდი, მაგრამ როგორც იყო მხედრული ანბანის შემწეობით შევიგნე და დავისწავლე. საბრალო ჩემმა ამხანაგმა ვერაფერი გააწყო, ვერ ისწავლა. აბა როგორ უნდა ესწავლა აუხსნელათ პირველი გაკვეთილი! მეც ვერაფერი ვუშველე. რადგან სასჯელის მეშინოდა და მთელი დღე უაზრო ანბანის ზეპირობას მოვამდომე! მეორე დღეს გამოგვცადა „სტარშმა" (უფროსი განყოფილების მოსწავლე იყო, რომელიც მასწავლებელს ჰყავდა დაყენებული). ჩემმა ამხანაგმა ვერ „მიუგო". ეს „სტარშმა" მოახსენა მღვდელს, რომელმაც პირველი კატეგორიის სასჯელი გადაუწყვეტა ბავშს. გაკვეთილი ვერც შემდეგ ღღეებში დაისწავლა ბავშმა, რადგან წინადღის გაკვეთილს მეორე დღის ახალი გაკვეთილი ემატებოდა. ბოლოს სულ დაანება თავი მეცადინეობას, გული აუცრუვდა სწავლაზე. სრულიად ჯანსაღი ბავში ცოტა ხანში გახდა, სნება მოხდილს დაემსგავსა ყოველ დღე და თანდათან უდიდესი სასჯელის მიყენებით. ბოლოს საქმე შარვალზე სახაზავის დარტყმამდე მივიდა. მასწავლებლის ბრძანე-

ბით „სტარშმა“ ბავში პარტაზე პირქვე მიაწვინა. სასწავლებლის მცველს დაუძახეს, რომელმაც ექვსჯერ დაჰკრა რაც შეეძლო დიდი სახაზავი რბილს ადგილზე. ბავშს ხმა არ ამოუღია. მე შიშისაგან ავკანკალდი, არ მოკვდეს მეთქი ვიფიქრე, დავიხარე და პირის სახეზე შევხედე— ცვლილება ვერაფერი შევნიშნე, ის ისე გამხდარი და გაყვითლებული იყო, როგორც სასჯელის წინ, მაგრამ მშვიდათ მეჩვენა. როცა პროცესი გათავდა, ბავში თავჩაქინდრული ადგა, თავის სკამზე დაჯდა, ხელები პირის სახეზე დაიფარა და თავი მაგიდაზე დასდო. სახლში წავედით. გზაში ბავში სდუმდა, ჩემს კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა, სევდიანობა ეტყობოდა. მხოლოდ ერთი სიტყვა წამოსცდა: „შინ წავალო“. მისი „შინა“ 25 ვერსზე იყო ქალაქიდან დაშორებული და გზაში მოზრდილი მდინარე ჰქონდა გადასასვლელი. მე ავუხსენი ეს გარემოება და ვუთხარი, შინ ვერ წახვალ მეთქი. იმ დღეს ბავშს სადილი არ უჭამია, დაღვრემილი დადიოდა, თითქო რაღაც წინასწარი გრძნობა აწუხებსო. მეორე დღეს არ [illegible]ლდოდა სკოლაში წასვლა, მაგრამ მასპინძელმა ქალმა ურჩია და ისიც წავიდა. იმ დღესაც წინადღის სასჯელი გაუმეორეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეტი სცემეს სახაზავით იმავე ადგილას. ბავშმა წინანდებურათ ჩუმათ აიტანა სასჯელი. ყველას გაუკვირდა ასეთი მოვლენა. მასწავლებელმა დააკვირდა ბავშის პირის სახეს და რაკი ტკივილისაგან ტანჯვა ვერ შეატყო ზედ, განრისხებულმა დაიყვირა: „ჩახადეთო!“ მხოლოდ ამ სიტყვის შემდეგ მორთო ბავშმა ტირილი. დარაჯმა დაუყოვნებლივ შეასრულა ბრძანება და რა ვნახეთ! ბავშს სადღაც „ქვინჩის“ (ცხვრის ტყავის სამზამთრო ტანსაცმელია) ნაჭერი ეპოვნა და შარვალზე მატყლის მხრით მიეკერებია, სწორეთ იმ ადგილას, სადაც ცემას მოელოდა. ამიტომ იყო თურმე, რომ ტკივილს ვერ გრძნობდა. მღვდელმა ეს ამბავი ზედამხედველს მოახსენა. მალე ზედამხედველიც შემოვიდა და ეს რომ დაინახა, განრისხებულმა შეჰყვირა: „როზგიო“. დარაჯი შურდულივით წამსვე გარეთ გავარდა და შეკრული წკნელები შემოიტანა. მთელი კლასს შიშის ზარი დაეცა. მე ვკანკალებ, სული მეხუთება, მუხლები მეკეცება. ბავში გაფითრებული სდგას უძრავათ. „разложить!“—ბრძანა ზედამხედველმა. იქვე პარტების წინ სამასწავლებლო დიდი მაგიდგა იდგა. სტაცეს ხელი საბრალო ბავშს და თვალის დახამხამებაში მაგიდაზე პირქვე დააწვინეს და ზედ დააწვენ: ზოგი ზურგზე, ზოგი ფეხებზე, ზოგიც თავსა და ხელებს უჭერდენ—გაქაჩეს საბრალო „დამნაშავე“. ამ საქმეში უფროსი კლასის შეგირდებიც იღებდენ მონაწილეობას. დარაჯმა როზგი აიღო და ხელში მოიმარჯვა, ზედამხედველმა დაუძახა რუსულათ: „ერთი“ ო და ბავშის გულშემზარავი ყვირილი გაისმა მთელს კლასში. მე მეტი აღარაფერი გამიგონია: გულწასული სკამზე დავშვებულიყავი. როცა გონს მოვედი, ჩემი ამხანაგი აცახცახებული და გაფითრებული იდგა, შეშლილივით აქეთ-იქით აფეთებდა თვალებს. ერთი ბავში სარტყელს უსკვნიდა. უკანასკნელი საათი იყო სწავლისა, სახლში გაგვიშვეს. დასჯილი ბავში ბარბაცით გამრმყვა, არ ტიროდა, გამშრალი იყო. შინ რომ მივედით, საშინელი ზლუქუნი მორთო, პირქვე დაემხო თავის ლოგინზე და მთელი დღე იტირა. ამის შემდეგ იგი სკოლაში აღარ წასულა, სწავლას თავი დაანება, მშობ-

ლებთან წაიყვანეს.

როგორც სასჯელი ისე სწავლების მეთოდიც სოფლის სკოლებში ქალაქის სკოლების და მღვდლებისგან იყო გადმოღებული; წერა კითხვის სწავლებას დიდ დროს ანდომებდენ. ჯერ უნდა გაეზეპირებია მოსწავლეს ეგრეთ წოდებული „კაკალი ანბანი“. მაგ. ასე: ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, ჲე, თან, ინ და სხ. მერე ხმოვანი და თანხმოვანი ასოების შეერთებას სწავლობდენ; მაგალითად:

ბან —ან=ბა, ვინ—ან=ვა,
გან —ან=გა, ზენ—ან=ზა,
დონ—ან=და, თან—ან=თა და სხ.

შემდეგ, როცა ყველა თანხმოვან და ხმოვან ასოების შეერთებას გაიზეპირებდენ, მარცვლების შეერთებას მიყოფდენ ხელს, მაგალითად, ვა—ზა, ბა—გა, ზა—რი, ზო—დი, კი—რი და სხვ. ამას მისდევდა ფრაზების და წინადადებათა კითხვა და სხვ.

მაშინდელი სკოლა ექვემდებარებოდა საზოგადო ადმინისტრაციას—მაზრის უფროს და მომრიგებელ შუამავლებს, რომელნიც, როცა სხვა და სხვა საქმეების გამო სოფლის კანცელარიის ესტუმრებოდენ—სკოლასაც ათვალიერებდენ; თავიანთ შთაბეჭდილებას ხშირათ სოფლის ადმინისტრაციას უზიარებდენ საზოგადოების საყურადღებოთ, მაგრამ იშვიათად მოხდება ხოლმე, მასწავლებელს რომ საყვედური შეხვედროდა სკოლის ცუდი მდგომარეობისათვის, რადგან გასამართლებელი ფიზეზები ჰქონდა: „მოუცლელობა კანცელარიის საქმეების გამო“. სკოლის ანგარიში—მოსწავლეების რიცხვი, მასწავლებლის ვინაობა და სხვა ყოველ წელს ადგილობრივ მაზრის უფროსს ეგზავნებოდა შემოღებულ ფორმის თანხმათ. ასეთ ყოფაში იყო გურიაში სკოლა 1870 წლამდი, როცა ქუთაისის გუბერნიაში სახალხო სკოლების ინსპექცია გაიხსნა.

1872 წელში, თუ არ ვცდები პირველათ დაათვალიერა გურიის სოფლის სკოლები სახალხო სკოლების ინსპეკტორმა ვიქტორ ნიკოლოზისძე ტროიემ. ეს ის ტროიე იყო, რომელმაც ჩვენი დიდებული პოეტი აკაკი გაროზგვას გადაარჩინა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოწაფეთ ყოფნის დროს. ტროიე თავისი საკუთარი ცხენით დადიოდა სკოლების დასათვალიერებლათ გურიაში თავისივე მოსამსახურის თანხლებით. პირველი მისი რევიზიის მიზანი იყო შეემოწმებია სკოლების რიცხვი, რომელიც ადგილობრივ ადმინისტრაციას ჰქონდა მოხსენებული მასთან წარდგენილ ანგარიშში და ძლიერაც გაუკვირდა, როცა ნახა ის, რასაც სწერდენ. „მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ-ჯერობით გურიაში სკოლები მოუწყობელია და სწავლების საქმე ცუდათ არის დაყენებულიო, უთხრა მან თავად გრიგოლ გურიელს *), ამ კუთხეში ისე ძლიერი ყოფილა სწავლის სურვილი, რომ, თუ აქაურ სკოლებს კარგი ხელმძღვანელი დაურჩა, მალე განათლდება ეს მშვენიერი ქვეყანაო“. ბ. ტროიეს ძლიერ მოსწონებოდა აქაური ბუნების სიმშვენიერესთან ერთად ხალხის სიმკვირცხლე და სილამაზე.

ტროიე მეტად მიმზიდველი გარეგნობისა იყო: მისი ახოვანი, გამხდარი, სიმპატიური სახე, თოვლის ფანტელივით თეთრი თმა და წვერულვაში, ჭკვიანი და მახვილი თვალები, პირველსავე შეხედვა-

*) გრიგოლ გურიელი ცნობილი იყო ჩვენში როგორც კეთილი და სწავლა-განათლების გავრცელების ხელის შემწეობი.

ბით „სტარშმა“ ბავში პარტაზე პირქვე მიაწვინა. სასწავლებლის მცველს დაუძახეს, რომელმაც ექვსჯერ დაჰკრა რაც შეეძლო დიდი სახაზავი რბილს ადგილზე. ბავშს ხმა არ ამოუღია. მე შიშისაგან ავკანკალდი, არ მოკვდეს მეთქი ვიფიქრე, დავიხარე და პირის სახეზე შევხედე— ცვლილება ვერაფერი შევნიშნე, ის ისე გამხდარი და გაყვითლებული იყო, როგორც სასჯელის წინ, მაგრამ მშვიდათ მეჩვენა. როცა პროცესი გათავდა, ბავში თავჩაქინდრული ადგა, თავის სკამზე დაჯდა, ხელები ჭირის სახეზე დაიფარა და თავი მაგიდაზე დასდო. სახლში წავედით. გზაში ბავში სდუმდა, ჩემს კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა, სევდიანობა ეტყობოდა. მხოლოდ ერთი სიტყვა წამოსცდა: „შინ წავალო“. მისი „შინა“ 25 ვერსზე იყო ქალაქიდან დაშორებული და გზაში მოზრდილი მდინარე ჰქონდა გადასასვლელი. მე ავუხსენი ეს გარემოება და ვუთხარი, შინ ვერ წახვალ მეთქი. იმ დღეს ბავშს სადილი არ უჭამია, დაღვრემილი დადიოდა, თითქო რაღაც წინასწარი გრძნობა აწუხებსო. მეორე დღეს არ [illegible]ნდოდა სკოლაში წასვლა, მაგრამ მასპინძელმა ქალმა ურჩია და ისიც წავიდა. იმ დღესაც წინადღის სასჯელი გაუმეორეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეტი სცემეს სახაზავით იმავე ადგილას. ბავშმა წინანდებურათ ჩუმათ აიტანა სასჯელი. ყველას გაუკვირდა ასეთი მოვლენა. მასწავლებელმა დააკვირდა ბავშის პირის სახეს და რაკი ტკივილისაგან ტანჯვა ვერ შეატყო ზედ, განრისხებულმა დაიყვირა: „ჩახადეთო!“ მხოლოდ ამ სიტყვის შემდეგ მორთო ბავშმა ტირილი. დარაჯმა დაუყონებლივ შეასრულა ბრძანება და რა ვნახეთ! ბავშს სადღაც „ქვინჩის“ (ცხვრის ტყავის სამზამთრო ტანსაცმელია) ნაჭერი ეპოვნა და შარვალზე მატყლის მხრით მიეკერებია, სწორეთ იმ ადგილას, სადაც ცემას მოელოდა. ამიტომ იყო თურმე, რომ ტკივილს ვერ გრძნობდა. მღვდელმა ეს ამბავი ზედამხედველს მოახსენა. მალე ზედამხედველიც შემოვიდა და ეს რომ დაინახა, განრისხებულმა შეჰყვირა: „როზგიო“. დარაჯი შურდულივით წამსვე გარეთ გავარდა და შეკრული წკნელები შემოიტანა. მთელი კლასს შიშის ზარი დაეცა. მე ვკანკალებ, სული მეხუთება, მუხლები მეკეცება. ბავში გაფითრებული სდგას უძრავათ. „разложить!“—ბრძანა ზედამხედველმა. იქვე პარტების წინ სამასწავლებლო დიდი მაგიდგა იდგა. სტაცეს ხელი საბრალო ბავშს და თვალის დახამხამებაში მაგიდაზე პირქვე დააწვინეს და ზედ დააწვენ: ზოგი ზურგზე, ზოგი ფეხებზე, ზოგიც თავსა და ხელებს უჭერდენ—გაქაჩეს საბრალო „დამნაშავე“. ამ საქმეში უფროსი კლასის შეგირდებიც იღებდენ მონაწილეობას. დარაჯმა როზგი აიღო და ხელში მოიმარჯვა, ზედამხედველმა დაუძახა რუსულათ: „ერთი“ ო და ბავშის გულშემზარავი ყვირილი გაისმა მთელს კლასში. მე მეტი აღარაფერი გამიგონია: გულწასული სკამზე დავშვებულიყავი. როცა გონს მოვედი, ჩემი ამხანაგი აცახცახებული და გაფითრებული იდგა, შეშლილივით აქეთ-იქით აფეთებდა თვალებს. ერთი ბავში სარტყელს უსკვნიდა. უკანასკნელი საათი იყო სწავლისა, სახლში გაგვიშვეს. დასჯილი ბავში ბარბაცით გამომყვა, არ ტიროდა, გამშრალი იყო. შინ რომ მივედით, საშინელი ზლუქუნი მორთო, პირქვე დაეშხო თავის ლოგინზე და მთელი დღე იტირა. ამის შემდეგ იგი სკოლაში აღარ წასულა, სწავლას თავი დაანება, მშობ-

ლებთან წაიყვანეს.

როგორც სასჯელი ისე სწავლების მეთოდიც სოფლის სკოლებში ქალაქის სკოლების და მღვდლებისგან იყო გადმოღებული; წერა კითხვის სწავლებას დიდ დროს ანდომებდენ. ჯერ უნდა გაეზეპირებია მოსწავლეს ეგრეთ წოდებული „კაკალი ანბანი“. მაგ. ასე: ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, ჲე, თან, ინ და სხ. მერე ხმოვანი და თანხმოვანი ასოების შეერთებას სწავლობდენ; მაგალითად:

ბან —ან=ბა, ვინ—ან=ვა,
გან —ან=გა, ზენ—ან=ზა,
დონ—ან=და, თან—ან=თა და სხ.

შემდეგ, როცა ყველა თანხმოვან და ხმოვან ასოების შეერთებას გაიზეპირებდენ, მარცვლების შეერთებას მიყოფდენ ხელს, მაგალითად, ვა—ზა, ბა—გა, ზა—რი, ზო—დი, კი—რი და სხვ. ამას მისდევდა ფრაზების და წინადადებათა კითხვა და სხვ.

მაშინდელი სკოლა ექვემდებარებოდა საზოგადო ადმინისტრაციას—მაზრის უფროს და მომრიგებელ შუამავლებს, რომელნიც, როცა სხვა და სხვა საქმეების გამო სოფლის კანცელარიის ესტუმრებოდენ—სკოლასაც ათვალიერებდენ; თავიანთ შთაბეჭდილებას ხშირათ სოფლის ადმინისტრაციას უზიარებდენ საზოგადოების საყურადღებოთ, მაგრამ იშვიათად მოხდება ხოლმე, მასწავლებელს რომ საყვედური შეხვედროდა სკოლის ცუდი მდგომარეობისათვის, რადგან გასამართლებელი მიზეზები ჰქონდა: „მოუცლელობა კანცელარიის საქმეების გამო“. სკოლის ანგარიში—მოსწავლეების რიცხვი, მასწავლებლის ვინაობა და სხვა ყოველ წელს ადგილობრივ მაზრის უფროსს ეგზავნებოდა შემოღებულ ფორმის თანხმათ. ასეთ ყოფაში იყო გურიაში სკოლა 1870 წლამდი, როცა ქუთაისის გუბერნიაში სახალხო სკოლების ინსპექცია გაიხსნა.

1872 წელში, თუ არ ვცდები პირველათ დაათვალიერა გურიის სოფლის სკოლები სახალხო სკოლების ინსპეკტორმა ვიქტორ ნიკოლოზისძე ტროიემ. ეს ის ტროიე იყო, რომელმაც ჩვენი დიდებული პოეტი აკაკი გაროზგვას გადაარჩინა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოწაფეთ ყოფნის დროს. ტროიე თავისი საკუთარი ცხენით დადიოდა სკოლების დასათვალიერებლათ გურიაში თავისივე მოსამსახურის თანხლებით. პირველი მისი რევიზიის მიზანი იყო შეემოწმებია სკოლების რიცხვი, რომელიც ადგილობრივ ადმინისტრაციას ჰქონდა მოხსენებული მასთან წარდგენილ ანგარიშში და ძლიერაც გაუკვირდა, როცა ნახა ის, რასაც სწერდენ. „მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ-ჯერობით გურიაში სკოლები მოუწყობელია და სწავლების საქმე ცუდათ არის დაყენებულიო, უთხრა მან თავად გრიგოლ გურიელს *), ამ კუთხეში ისე ძლიერი ყოფილა სწავლის სურვილი, რომ, თუ აქაურ სკოლებს კარგი ხელმძღვანელი დაურჩა, მაღე განათლდება ეს მშვენიერი ქვეყანაო“. ბ. ტროიეს ძლიერ მოსწონებოდა აქაური ბუნების სიმშვენიერესთან ერთად ხალხის სიმკვირცხლე და სილამაზე.

ტროიე მეტად მიმზიდველი გარეგნობისა იყო: მისი ახოვანი, გამხდარი, სიმპატიური სახე, თოვლის ფანტელივით თეთრი თმა და წვერულვაში, ჭკვიანი და მახვილი თვალები, პირველსავე შეხედვა-

*) გრიგოლ გურიელი ცნობილი იყო ჩვენში როგორც კეთილი და სწავლა-კანათლების გავრცელების ხელის შემწეობი.

ზე მიიქცევდა მნახველის ყურადღებას. ეხლაც თვალწინ მიდგას თეთრ ცხენზე შემჯდარი, ტყავის სამგზავრო ტუჟურკიანი მოხუცი; განსაკუთრებით მისი უცნაური, ვეებერთელა კალთებიანი ქუდი, რომელსაც გრძელი დოლბანდი ჰქონდა კუშტულზე შემოხვეული და შემდეგ უკან გადაგდებული. ტროიე ზედ გამოჭრილი ძველი დროის მქადაგებელი იყო გარეგნობით.

1872-ვე წელში შემოდგომაზე ტროიემ მოახდინა გურიის მასწავლებელთა კრება. ამ კრებას დაესწრო გურიის თითქმის ყველა სოფლის სკოლების მასწავლებელი. კრება გაიმართა მაშინდელ სამაზრო სასწავლებელში. ახირებულ სურათს წარმოადგენდა ეს ყრილობა: მოწვეულთა ნახევარზე მეტი წილი გრძელ ჩოხებში იყო გამოწყობილი (ზოგს ხანჯლებიც კი ეკიდა), დანარჩენს კი სერთუკ-პიჯაკები ეცვათ. განათლებით ასე იყვენ განაწილებული: ნადიაკვნარები, „ხუცის კლას“ დასრულებულნი და ოთხი ხუთი კაცი სამაზრო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი; კრებაში აქტიურ მონაწილოებას ესენი ღებულობდენ, დანარჩენები უბრალო მსმენელებივით ისხდნენ.

მეცადინეობის დაწყების წინ ვიღაცამ ხმა გაავრცელა: დირექტორმა მასწავლებლები უნდა გამოსცადოს, ეგზამენი უნდა დააჭერინოსო. ამ ამბავმა მასწავლებლები დააფრთხო, ზოგი სახლშიაც გაიპარა, დანარჩენები შიშით მოელოდენ კრების გახსნას. ამ ხმებმა დირექტორის ყურამდეც მიაღწია. მაშინ მან რამდენიმე მასწავლებელი დაიბარა და სთხოვა გადაეცათ სხვებისთვის, რომ არავითარი გამოცდა იქ არ მოხდებოდა.

კრება გაიხსნა სამაზრო სასწავლებლის დარბაზში; გარეშენიც დაესწრენ კრების გახსნას. დირექტორმა კრებას დაახლოებით შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა:

„ბატონო სოფლის მასწავლებელნო! ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ შეგაწუხეთ და აქ შეგკრიბეთ, მაგრამ მიზანი ამ კრებისა ისე დიადია, რომ არ შემეძლო ასე არ მოვქცეულიყავი. მე წილად მარგუნა ბედმა თანამშრომლობა იმ დიდებული დაწესებულებისა, რომელსაც სოფლის სკოლა ეწოდება და რომელმაც განათლების სხივი უნდა შეაშუქოს იქ, სადაც საუკუნოებით წყვდიადი და შეუგნებლობა სუფევს. გილოცავთ თქვენც, ბატონებო, სოფლებში ცოდნის და შეგნების პირველ მახარობელ მერცხლებათ გახდომას. არ იფიქროთ, რომ მე თქვენ მომეწვიოთ გამოსაცდელათ, ეგზამენებისათვის. ჩვენი შეკრების მიზანია, ერთმანეთი გავიცნოთ, გავიზიაროთ ჩვენი ცოდნა—გამოცდილება სწავლების საქმეში და ისე დავბრუნდეთ ჩვენ-ჩვენ ადგილებზე. მე არ ვარ თქვენი უფროსი (начальникъ), თქვენი დამტუქსავი; ჩვენს წმინდა საქმეს ტუქსვა და სიმკაცრე არ შეფერის,—მე დამნიშნა მთავრობამ სწავლების საქმეში ხელმძღვანელათ. ვეცადოთ შეძლების დაგვარად ურთიერთ დახმარებით წესიერ გზაზე დავაყენოთ სწავლა სოფლის სკოლებში. მუდამ უნდა გვახსოვდეს, ბატონებო, რომ ჩვენ დიდი საქმე გვაქს ნაკისრები; მასწავლებლობა ძნელი და დიდი საქმეა და ამიტომ ბევრი შრომა გვმართებს: თვითგანვითარებით უნდა ავმაღლდეთ ზნეობრივათ და გონებრივათ. ჩვენ მარტო ახალ გაზრდების მასწავლებლები როდი ვართ; ჩვენი პატიოსანი და სპეტაკი ცხოვრებით და შრომის მოყვარეობით ვაგრძნობინოთ შეგირდების მშობლებსაც, რომ ღირსნი ვართ მასწავლებელის სახელისა, ვაჩვე-

ნოთ იმათ წესიერი შრომის ატანის და ზნეობის სიფაქიზის მაგალითი და შევაგნებიოთ მოვალეობა შვილების წესიერათ აღზრდა-განათლებისა. თუ ასე მოვიქცევით—მაშინ, მერწმუნეთ, გავხდებით ღირსნი იმ დიდებული სახელისა, რომელსაც ატარებდა კაცობრიობის დიდი მოძღვარი იესო ქრისტე“.

ამ სიტყვამ დააშოშმანა დამფრთხალი მასწავლებლები და მოუსპო შიში ეგზამენების დაჭერისა.

დაიწყო მეცადინოება. დირექტორმა პირველათ აჩვენა კრებას, როგორ დაემზადებიათ მოსწავლეთათვის წინდაწინ სასწავლო ნივთები; ასწავლა კარანდაშების არჩევა და თავების მოქნა, კალმების და მისი ტარების არჩევა, რვეულების შეკერვა, ოთხკუთხი სახაზავების ზომა და რვეულების ხაზვა (იმ დროს დახაზული რვეულები არ იყო შემოღებული) და სხვ. ყველა იმას, რის გაკეთებაც იქ შეიძლებოდა, თვითონ თავის ხელით აკეთებდა, თვით კრების წინ, თვალსაჩინოთ, საკვირველი სისწრაფით, ხერხით და ხელოვნებით. მაგალითად, როცა ოთხკუთხი სახაზავის დახმარებით ხაზავდა კარანდაშით რვეულს, გეგონებოდათ ამ კაცს სულ ეს უმუშავია თავის სიცოცხლეშიო, ისე სწრაფათ და საუცხოვოთ აკეთებდა ამ საქმეს.

მე აქ არ შეუდგები იმ ყრილობის მიმდინარეობის დაწვლილებით აღწერას, რადგან მას შემდეგ აგერ ნახევარი საუკუნე გადის და მეშინია შეცდომაში არ შევიყვანო მკითხველი გულმავიწყობის გამო, ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი იყო წინამორბედი ჩვენი სკოლის შეგნებისა და განვითარებისა; იმ ყრილობამ უარყო ძველი სკოლების ბატონყმური სისასტიკე, შეუბრალებლობა, მოზარდი თაობის დამაჩლუნგებელი და გამაბოროტებელი წესები სკოლაში; სამაგიეროთ აღიარა და შემოიღო სწავლების ახალი მეთოდი; იმის წყალობით გურიის სკოლასაც წვდა ის ნათელი და სპეტაკი სხივი, რომელიც რუსეთის სკოლებს უკვე ნელ-ნელა უნათებდა და უთბობდა სულსა და გულს მაშინდელი უცხოეთის და რუსეთის საუკეთესო პედაგოგების: კომენსკის, დისტერვეგის, უშინსკის, პიროგოვის, ბარონ კორფის და სხვების წყალობით. ბატონი ტროიეც ღირსეული მოციქული იყო იმ პედაგოგებისა, იმათ თეორიას დახელოვნებული პრაკტიკით ახორციელებდა ჩვენს სკოლაში. იმან შემოიღო წერაკითხვის სწავლების ახალი საშუალება, გაკვეთილების ნათლათ და დაწვლილებით ახსნა და სკოლაშივე დასწავლა თვალსაჩინო საგნებისა და სურათების დახმარებით, გაკვეთილების წესიერი განაწილება, შეგირდების ხშირი დასვენება და სუფთა ჰაერზე თავისუფლათ თამაშობა, გარეთ და კლასში გიმნასტიკის ხმარება, საკლასო სიმღერების საჭიროება, ანგარიშის სწავლების თვალსაჩინო საგნების დახმარებით ცხადყოფა და სხვა ყოველივე, რასაც სწავლების ახალი წესი მოითხოვდა. ყველა ამას სამაზრო სასწავლებელის ძველი მასწავლებლები, გარდა ერთი ორისა განცვიფრებულები ეჭვის თვალით უგდებდენ ყურს და რაღაც უკმაყოფილება ეხატებოდათ სახეებზე: არ სწამდათ ეს ახალი წესები სკოლაში. ბევრს გარეშესაც არ ეპაშნიკა ძველი წესების სკოლიდან განდევნა, რადგან იმათი აზრით სიყვარული და მეგობრობა მოსწავლეთა და მასწავლებელთ შორის საქმის დამღუპველი იყო: „შვილი მტრულათ გაზარდე—მოყვრულათ გამოგადგება“. ამ ანდაზას ხელმძღვანელობდა მაშინდელი

მოწინავე საზოგადოება და სკოლა ბავშების აღზრდაში, რადგან ბატონყმურის თვალსაზრისით უყურებდენ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობას.

ტროიე გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებელი იყო, სანიმუშო გაკვეთილებს თვითონ აძლევდა და ჩინებული შედეგიც ჰქონდა მის გაკვეთილებს. თითქმის ყველა საგნებში მისცა იმან გაკვეთილი და მერე რიგრიგობით, შეძლებისდაგვარად, ხელმძღვანელის მეზობაძვით, მასწავლებლებიც მეცადინეობდენ. გაკვეთილების გარჩევა, იმათი ღირსება-ნაკლულევანების დაფასება, გარეშე საზოგადოების დაესწრებლათ ხდებოდა ტროიეს ბინაზე *). კამათი როგორც რუსულათ, აგრეთვე ქართულათაც იმართებოდა. ტროიეს ქართული ესმოდა და წერა-კითხვაც იცოდა.

მეტი არ იქნება მკითხველი გავაცნო იმ წესს, რომელიც ტროიემ წერა-კითხვის სწავლებაში იხმარა კრებაზე. როცა თავის მეთოდით მისცა გაკვეთილი პირველ განყოფილებაში და კარგი შედეგით გათავდა ის, მისმა ყოფილმა მოწაფემ ი. ა. თაყაიშვილმა შენიშნა: პირველ განყოფილებაში ბევრია ძველი მოწაფე დარჩენილი, რომელთაც წერა-კითხვა ცოტათ თუ ბევრათ იციან და ამიტომ იყო, რომ ასე კარგათ შეითვისეს თქვენი გაკვეთილიო". ამის პასუხათ ტროიემ სთხოვა მას მოეყვანა მისთვის წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი ბავში ამ საკილობელი საკითხის ობიექტათ—„მე თქვენ დაგიმტკიცებთ ამ მეთოდის უპირატესობას სხვა მეთოდებთან შედარებით; მაგრამ ბავში იდიოტი კი არ უნდა იყოსო". მართლაც მეორე დღეს მოიყვანეს 10—11 წ. სოფლელი ბავში. ტროიე გაეცნო მას—გამოჰკითხა სახელი, გვარი, მშობლების სახელები, რა ხელობის არის მამა, რას აკეთებს სახლში იმისი დედა და თვითონ ბავში; ჰყავს თუ არა ძმები და დები და სხვ. ბავში ძალიან მიმხვდარი და კვირცხლი გამოდგა—ყველაფერში შესაფერი პასუხი მისცა და ძალიან ცნობის მოყვარეობა გამოიჩინა. ამის შემდეგ ტროიემ მიიყვანა იგი საკლასო დაფასთან, სადაც გაჩაღდა მათ შორის დაახლოებით შემდეგი დიალოგი *).

ტროიე.—გიგო, ცხვარი გუყვთ შინ?

ბავში.—არა, ბატონო.

ტ.—გინახავს ცხვარი?

ბ.—რავა არა, ბატონო.

ტ.—რა ქვია ცხვრის შვილს, თუ იცი?

ბ.—კრავი, ბატონო.

ტ.—ძაღლი გუყვთ?

ბ.—კი, ბატონო.

ტ.—მგელი გინახავს?

ბ.—არა, მარა მგლის ტყავი კი მინახავს.

ტ.—როგორ გგონია, მგელი უფრო დიდია, თუ ძაღლი?

ბ.—მგელი. ბაბამ (მამამ) თქვა, მგელი ცხენს მიერეკოო.

ტ.—დათვი თუ გინახავს, ან გაგიგონია მისი ამბავი?

ბ.—არ მინახავს, მარა შარშან ბაბაი ჩიო-

*) ეს სანიმუშო გაკვეთილი ჩაწერილი არ მქონდა და აღვადგინე მხოლოდ ჩემი მეხსიერების მიხედვით, მაგრამ, მე მგონია, ეხლა ჩვენთვის ამ დიალოგის სტენოგრაფიული სისწორე იმდენათ საყურადღებო არაა, რამდენათ სწავლების მეთოდი. კითხვებს ტროიე ქართულათ აძლევდა ბავშვს, როგორც მოახერხებდა; როცა გაუჭირდებოდა, მასწ. თაყაიშვილს დაიხმარებდა ხოლმე.

*) მას ეშინოდა ისედაც დამფრთხალი მასწავლებლები კარეშე საზოგადოების დასწრებით არ შემცდარიყვენ, არ დაბნეულიყვენ.

და ტეის ჯანა სულერთიანათ შემიჯამა დათგმა.

ტ.—ხო, დათვი და მგელი ტეეში ცხოვრებენ. (აჩვენებს სურათებს, რომელზედაც მარტო დათვი და მგელი მოჩანან, დანარჩენი დაფარულია ქინძისთავებით მიმაგრებული ქაღალდით.) რომელია აქ მგელი?

ბ.—აგი უნდა იყოს, სულ ამისთანა ბალანი და კუდი ქონდა ტეავს.

ტ.—(ადგებს სახასავს დათვის სურათს) ეს რძა სურათი უნდა იყოს?

ბ.—აგი არ ვიცი. დათვი ხომ არაა?

ტ.—ჰო, დათვია. კარგათ შეხედე და დაიხსომე, როგორი კუდი აქვს მგელს და დათვს.

ბ.—მგელს გრძელი კუდი აქვს, დათვს ცოტა აჩნია.

ტ. რომელი უფრო სხვილია?

ბ.—დათვი.

ტ.—აბა ჩამოთვალე, რომელ ცხოველებზე ვილაპარაკეთ?

ბ.—ჩვენ ვილაპარაკეთ ცხვარზე, დათვზე, მგელზე, ძაღლზე.

ტ.—თქვენი ძაღლი აგია?

ბ.—აგი კი არა, იგი ძაღლი ძალუანი კაია. ბაბამ თქვა მერცხალა რომ არ იყოს, ქათმებს სულ წეიღებდა ტურაო.

ტ.—(მობრუნდება რადაცას თაეაიშვილს ეკურჩულება, მერე ბავშს მიუბრუნდება) მე მინდოდა მეკითხა, ბღეზი *) თუა თქვენი ძაღლი მეთქი.

ბ.—ძალუანი ბღეზია, კარეთ კაგდებას რომ დაუპირებ, ღრინავს, ღამე სულ ეეფს და ეზოში არა კაცს არ უშვებს.

ტ.—აბა გაჯავრე, როგორ ღრინავს.

ბ.—რომ გავაჯავრო დამჯამს, ბატონო.

ტ.—არა, შენც ისე დაიღრინე, როგორც ის ღრინავს.

ბ.—რ-რ-რ-რ.

ტ.—ძალიან კარგი. ძაღლი ღრინავს რაცა ეკავრობს, მგელი?

ბ.—არ ვიცი.

ტ.—მგელი ღმეის—უ-უ-უ იძახის, რაცა თავის ტოლებს უხმობს ხოლმე. გაიმეორე!

ბ.—უ-უ-უ, ასე ღმეის მგელი.

ტ—აბა გაიმეორე, როგორ ღრინავს ძაღლი?

ბ.—რ-რ-რ-რ.

ტ.—მგელი როგორ ღმეის?

ბ.—უ-უ-უ-უ-უ

ტ.—დათვი როგორ იძახის, თუ გაგიგონია?

ბ.—არ გამიგონია, ბატონო.

ტ.—დათვი ასე იძახის: ო-ო-ო-ო. გაიმეორე!

ბ.—(იმეორებს რამდენიმეჯერ) ო-ო-ო-ო.

ტ.—ეხლა გაიმეორე ყველას ძახილი.

ბ.—იმეორებს.

ტ.—ცხვარი როგორ უხმობს კრავს, რაცა იგი შორდება დედას?

ბ.—ე-ე-ე-ე.

ტ.—გიეეურებია შენ?

ბ.—კი, ბატონო.

ტ.—ხირზე თუ შეგიხედავს?

ბ.—რავა არა.

ტ.—ცხვარმა რომ ხირი დაადო და დაიხეტელა, რა დაუნახე ხირში?

ბ.—ენა გამოაგდო.

ტ.—მაშინ ცხვარმა როგორ დაიძახა?

ბ.—ე-ე-ე-ე.

ტ.—აბა დავხატოთ ცხვრის ენა, რომ უფრო კარგათ დავიხსომოთ მისი ხმა. (სწერს ასო ე-ს) ეგეე შენც დახატო ცხვრის ენა, ზეგიდან ჭეეეით უნდა ჩამოუსვა ხაზი.

ბ.—(გაჭირვებით სწერს ასო ე-ს, მასწავლებელი ამეორებინებს წერას, სანამ გვარიანათ არ დაწერინებს).

ტ.—შეშას რითი ზიდავთ შორიდან?

ბ.—ურმით.

*) გურიაში-ავ ძაღლს ბღეზს უწოდებენ.

ტ. ურემი რაზე დგას, როცა ხარები არ უბია?

ბ.—მიწაზე, ბატონო.

ტ.—რით სდგას მიწაზე ურემი?

ბ.—გოგრებით (თვლებით).

ტ.—რაზეა წამოცმული გოგრები?

ბ.—ღერძზე (ღერძზე).

ტ.—როცა ღერძი მშრალია, არ სცხია არც საპონი, არც ქონი და მძიმე ტვირთით მიაქანებს იმას ხარები, როგორ ხმაურობს მაშინ ურემი?

ბ.—მაშინ ურემი კრიჭინებს (ჭრიალებს).

ტ.—ხომ არ შეგიძლია შენ ურმის კრიჭინივით ხმა გამოსცე?

ბ.—კი, ბატონო, ი-ი-ი-ი, ასე იძახის.

ტ.—(ხტავს დაფაზე ურმის თვლებს, რომელთა ნახევარს ქვევიდან ცარცის წასმით ფარავს). რა დავხატე?

ბ.—შენ დახატე გოგრები, მერე ქვეიდან წაშალე.

ტ.—ეს გოგრები ვითომ ტალახშია ჩაფლული, მხოლოდ ნახევრები მოჩანან. გაიმეორე, როგორ კრიჭინებს ურემი?

ბ.—ი-ი-ი-ი.

ტ.—აბა გადმოხატე ჩემი დახატული; ხატვა აქედან უნდა დაიწყო (აჩვენებს).

ბ.—(სწერს ი-ს რამდენიმეჯერ).

ტ.—ეს ნახატი მოგვაგონებს ურმის კრიჭინს, დაიხსომე! როგორ კრიჭინებს ურემი?

ბ.—ი-ი-ი-ი.

ტ.—ეხლა ძალიან დაადე პირი, ენა დაიმოკლე და ხმა მალლა დაიძახე.

ბ.—(ვერ ახერხებს).

ტ.—აბა შემხედე და უური დამიგდე (წარმოსთქვამს: ა-ა-ა-ა) გაიმეორე შენც!

ბ.—ა-ა-ა-ა.

ტ.—კარგი. ეს ხმა რომ კარგათ დაიხსომოთ, დავხატოთ პირის ქვედა ნახევარი, ქვედა ბაგე. (სწერს ა-ს). ხომ შეგიძლია შენც დახატო?

ბ.—(ართმევს ცარცს და გაჭირვებით სწერს ა-ს).

ტ.—ძალიან კარგათ დახატე. კიდევ, კიდევ დახატე!

ბ.—(სწერს ა-ს რამოდენიმე ჯერ და თან და თან უკეთესათ გამოჭვავს).

ტ.—დავიხსომოთ, რომ ეს ქვედა ბაგის ნახატია და მოგვაგონებს კაცის ხმას, როცა იგი პირს აღებს, ენას იმოკლებს და ისე იძახის. ამას დავარქვათ ქვედა ბაგე. როგორი ხმა გესმის?

ბ.—ა-ა-ა-ა.

ტ.—აბა თუ გახსოვს, როგორ ღმუის მგელი?

ბ.—უ-უ-უ-უ.

ტ.—მე დავხატავ მგლის კუდს, რომ უფრო დავიხსომოთ ღმუილი (სწერს უ-ს და თითს აღებს) აი ეს ქვევით ჩამოშვებული ხაზი კუდია, მაგრამ ზევიდან ცოტა ტანის ნაწილიც ანდავს. ეგებ შენც დახატო?

ბ.—(ძლივს-ძლიობით ამსგავსებს უ-ს და წუენით ამბობს: ვერ დავხატე, ბატონო!

ტ.—ძალიან კარგათ დახატე; ცოტა კიდ უნდა შესწორება (ასწორებს).

ბ.—(კიდევ სწერს უ-ს თანდათან უკეთესათ).

ტ.—გაიხსენე, გიგო, რის დახატვა ვიცით ჩვენ ეხლა?

ბ.—კაცის პირის, მგლის კუდის, ცხვრის ენის და ნახევარი გოგორის.

ტ.—ჩვენ ას (უ ჩვენებს ა-ზე) დავარქვათ ქვედა ბაგე, შენ კი კაცის პირი დაუძახე. კარგი, ვსთქვათ შენებურათ კაცის პირი, მაგრამ არ გამოვა კარგათ: როცა წარმოვსთქვამ ა-ს, პირს ვაღებ და მხოლოდ ქვედა ბაგე მოსჩანს, ზედა კი დაფარულია ულვაშებით. აბა შემხედე (წარმოსთქვამს ა-ს გრძალთ).

ბ.—(სწერს ა-ს).

ტ.—დახატე ეხლა ცხვრის ენა!

ბ.—(სწერს ე-ს).

ტ.—ნახეკარი გოგორა დახატე.

ბ.—(სწერს ი-ს).

ტ.—ახლა დახატე მგლის კუდი.

ბ.—(სწერს უ-ს).

ტ.—ეხლა ჩვენ უნდა დავხატოთ ძაღლის დრინვის დასამახსოვნებელი ნიშანი.

ბ.—ძაღლი დავხატოთ.

ტ.—არა ძაღლის დახატვა ძნელია, ჩვენ დავხატოთ ძაღლის ფეხი, შეხედე, (სწერს რ-ს) ჩამოგავს ძაღლის ფეხს?

ბ.—კი, ბატონო.

ტ.—დახატე შენც, მაგრამ ხატვა ზეგიდან უნდა დაიწყო ისე, როგორც მე დავიწყე.

ბ.—(გაჯირვებით სწერს რ-ს, მასწავლებელი უსწორებს და რამდენიმე ჯერ აწერინებს).

ტ.—გაიხსენე, როგორ ხმაურობს დათვი?

ბ.—ო-ო-ო-ო.

ტ.—აბა მიგდე ყური, მე დავხატავ დათვს, მაგრამ ისე, რომ ცოტათი წაგავდეს (სწერს ო-ს) აი ამით დავიხსომებთ დათვის ხმაურობას (შდის და კიდევ სწერს ო-ს, მაგრამ ნელათ) ეგებ შენც დახატო?

ბ.—(უჯირს დაწერა, მაგრამ როგორცაა სწერს ო-ს, მასწავლებელი ამეორებიებს წერას, სანამ გვარიანათ არ დასწერს ბავშვი; შემდეგ ტ. ამეორებიებს ნაცნობი ხმების გამოთქმას და შესაფერი ნიშნების წერას. ამის მერე მოაქვს მოძრავი ასოები, რომელნიც თვითონ შეუდგენია ამ გაკვეთილისთვის ქაღალდის ნაჭრებზე, აწყობს ყველას მაგიდაზე და ეკითხება მასწავლეს) აბა, გიგო აარჩიე აქ მაჩვენე ქვედა ბაგე.

ბ.—(იდენ ასო ა-ს) აგია, ბატონო.

ტ.—ახლა ცხვარის ენა მაჩვენე.

ბ. - (აძლევს ე-ს) აჭა ცხვარის ენა.

ასე არჩევს ბავშვი ყველა ასოებს, რომელიც მან ისწავლა გაკვეთილზე.

ტ.—(სწერს დაფაზე სიტყვას: „ორი“) როგორ ხმაურობს პირველი ნახატი?

ბ.—ო-ო-ო.

ტ.—მეორე?

ბ.—რ-რ-რ.

ტ.—მესამე?

ბ.—ი-ი-ი.

ტ.—ეხლა ყველა ნახატები უნდა აახმაურო, წაიკითხო, ისე კი, რომ ხმაგაუწყვეტლათ გააერთიანო, მაგრამ ძაღლის ფეხი ძალიან მოკლეთ უნდა გამოთქვა.

ბ.—(აგრძელებს) ო-ო-ო-რ-რ-რ-ი-ი-ი!

ტ.—შენ კარგი ქენი, რომ დათვი და ნახევარი გოგორა გრძლათ წაიკითხე, მაგრამ ძაღლის ფეხი სულ ძალიან მოკლეთ უნდა აახმაურო.

ბ.—კითხულობს თავისთვის, ცნობილობს სიტყვას და სიხარულით ამოიკითხავს: ორი!

ტ.—კარგი! (შლის პირველსა და უკანასკნელ ასოებს და მაგივრათ სწერს ორივე ადაგს ა-ს) წაიკითხე, მარა არა დაივიწყო ძაღლის ფეხის მოკლეთ გამოთქმა.

ბ.—(ბავში კითხულობს გვარიანათ) „არა“.

ამ რიგათ მასწავლებელი აკითხებს მოსწავლეს ხიტყვებს: ურო, ერი, ურა და სხვას, რაც შესდგება ამ ექვსი ასოდან. მერე მოძრავ ასოებში არჩევს ბავშვი ცნობილ ასოებს და ადგენს სიტყვებს; ამის შემდეგ მასწავლებელი ჰაერში ასახვიებს ყველა ასოებს სალოგი თითით.

დასასრულ ტროიე იღებს ჯიბიდან ქართულ გაზეთს და კარანდაშს, აძლევს ბავშს და ეუბნება: ეს გაზეთია, ამაში სწერია სიტყვები, რომელშიც ურევია ის ხმები, რომლებიც შენ ისწავლე; წაიღე სახლში და როცა მოიცალო, მოანახე შიგ შენი ნაცნობი ხმები ყოველგან, სადაც იპოვო, დანიშნე ასე (აჩვენებს) კარანდაშით და ხვალ მაჩვენე მე.

უმთავრეს ყურადღებას ტროიე თვალ საჩინო საგნების დახმარებით სწავლებას აქცევდა. ამიტომ ის ავალებდა მასწავ-

ლებლებს, სკოლაში უთუოთ საგნების და სურათების კოლექცია ქონოდათ. მისი აზრით ამ საქმეში ყოველი საგანი და სურათი, რაც უნდა უბრალო იყოს იგი, გამოსადეგი იქნებოდა. შეგირდების სასეირნოთ წაყვანასაც (ექსკურსია) დიდ მნიშვნელობას აძლევდა, მაგრამ აფრთხილებდა მასწავლებლებს; რომ ექსკურსიისათვის თვითონ წინასწარ კარგათ მომზადებულიყვენ: „თუ მოსწავლეთა ცნობის მოყვარება კარგათ ვერ დააკმაყოფილეთ, თუ ყველა კითხვაზე სეირნობის დროს შესაფერი პასუხი ვერ მიეცით, ყოველივე გავლენას და პატივისცემას დაჰკარგავთ და უმჯობესია სრულიათ თავი დაანებოთ ამ საქმესო.

იმას არ მოსწონდა მასწავლებლის მრავალსიტყვაობა, — „ბევრის მოლაპარაკე მასწავლებელი, რაც უნდა კარგი მომზადებული იყოს იგი, ვერაფერს გააწყობს სკოლაში გარდა იმისა, რომ შეგირდებს თავს მოაბეზრებს თავის მრავალ სიტყვაობით და დასასწავლი საგნის ინტერესს დაუკარგავსო. კარგი მასწავლებელი ის არის, ვინც თვითონ ცოტას ლაპარაკობს და შეგირდებს ბევრს ალაპარაკებსო. კარგი მასწავლებელი თავისი მოკლე, ხერხიანი და ჭკვიანური კითხვებით დასასწავლი საგნის ინტერესს გაუღვიძებს თავის შეგირდებს. მასწავლებელმა მოთმინებით უნდა მოუსმინოს მოსწავლეს პასუხი, რაც უნდა უხეირო იყოს იგი. ჩამორჩენილ მოწაფეს უნდა აქცევდეს ყურადღებას, რომ ის წინ წასწიოს, უკეთესს შეგირდებს გაუსწოროს. მან მოსწავლეებისადმი მიმართულ თავისავე კითხვას არას შემთხვევაში თვითონ პასუხი არ უნდა გასცეს. თუ ვინიცობაა ვერც ერთმა შეგირდმა ამ კითხვაზე ჯეროვანი პასუხი ვერ მისცა, მაშინ მასწავლებელი კითხვის ფორმას სცვლის და იმდენს ეცდება, რომ რიგიანს და შესაფერ პასუხს თვით მოსწავლეს ათქმევინებს. თუ ესეც არ მოხერხდა, მაშინ საუკეთესო მოსწავლეებს დაიხმარიებს. ერთი სიტყვით ბავში უნდა მიეჩვიოს დაფიქრებას, თუ გსურთ თვითგანვითარების გზაზე დააყენოთ იგი.

ყველა შეცდომის გასწორება, რასაც ბავში ჩაიდენს გაკვეთილზე სარგებლობას არ მოიტანს. მისი აზრით, საკმაო 3—4 უდიდესი შეცდომის გასწორება. ბევრი შეცდომის გასწორება სწავლის ხალისს უკარგავს ბავშს, გულს უცრუებს სწავლაზე. ამაში ხედავს თავის უილბლობას და ნიჭის სისუსტეს. შეცდომები კლასში უნდა სწორდებოდეს მეთოდიურათ, თანდათანობით—რამდენათ ბავში წინ მიდის სწავლაში, იმდენათ მეტი შეცდომის გასწორება შეიძლება, თუ საჭირო იქნება.

ყოველივე საზეპირო, ლექსი იქნება იგი, იგავ-არაკი, თუ სხვა რამ, კლასში უნდა იქნეს დასწავლილი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. სახლში გაკვეთილათ საზეპიროს გატანება არ ვარგა: ბავში უაზროთ ზეპირობს მას, უხეიროთ კითხულობს, ნიშნებზე ვერ ჩერდება, თუთიყუშივით სწავლობს სიტყვებს, წაკითხული არც თვითონ ესმის და ვერც სხვას გააგებინებს. ამისათვის აუცილებელია საზეპიროს შინაარსის დაწვლილებით ახსნა და ცხადყოფა შეგირდებისთვის და მერე კლასშივე ზეპირათ დასწავლა განსაკუთრებით სოფლის სკოლაში.

ზეპირათ სწავლის მეთოდი ტროეს ასეთი ქონდა: მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდი საკლასო დაფაზე სწერს ლამაზი და გარკვეული ხელით დასასწავლი ლექსის იმდენ ნაწილს, რამდენის მოსწრებაც შეიძლება განსაზღვრულ დრო-

ში. გაკვეთილის დაწყების დროს კლასი ვერ ხედავს ნაწერს: დაფის დაწერილი მხარე მიბრუნებულია კედლისკენ. მასწავლებელი უხსნის შეგირდებს ლექსის გაუგებარ სიტყვებს და აზრს: მან წინდაწინ იცის, რომელი სიტყვები და წინადადებანი არ ესმით ბავშებს და აი სწორეთ იმას უხსნის, ასწავლის, რაც არ იციან—წინდაწინვე მომზადებული მასწავლებელი ტყვილა უბრალოთ დროს აღარ დაკარგავს. თუ დასასწავლ ლექსს შეეფერება, სურათებს და საგნებსაც იხმარიებს გაკვეთილის ასახსნელათ—ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ დასასწავლი ლექსის შინაარსი კარგათ შეიგნონ ბავშებმა. ამის შემდეგ მოაბრუნებს დაფის დაწერილ მხარეს კლასისკენ. კლასი ინტერესით ათვალიერებს და კითხულობს ჩუმათ. მასწავლებელი ერთ ალაგას დგას და სდუმს, კლასს თვალს არ აშორებს;. მოსწავლეები ჯერ განაგრძობენ ჩუმათ ლექსის კითხვას, ეცნობიან მას; შემდეგ თვით მასწავლებელი კითხულობს გარკვევით, მაგრამ უბრალოთ, თითქო ზეპირათ ბაასობსო. ბოლოს სახაზავს ან წკეპლს ადებს პირველ სიტყვას, ანიშნებს კლასს—ერთად წაიკითხეთო. კლასი კითხულობს როგორც ერთი კაცი ტაკტით, რომელსაც მასწავლებელი დაწერილი ლექსის თითოეულ სიტყვაზე სახაზავის დადებით აღნიშნავს, ყოველ შესასვენებელ ნიშანზე შეაჩერებს ხოლმე. ორსამჯერ ასე წაკითხვით შეგირდები ეჩვევიან გვარიან კითხვას და მერე მასწავლებლის დაუხმარებლათაც კითხულობენ. ამასობაში მასწავლებელი გზადაგზა შლის ისეთ ასოებს, რომელთა წერა საზოგადოთ ძნელია—ѣ, ѳ, ъ, ы და სხვ.; თანდათანობით სხვა ასოებსაც შლის სიტყვებში, დასაწყის და ბოლო ასოებს გარდა. კლასი განაგრძობს კითხვას, სანამ დაფაზე მთელი ნაწერი არ წაიშლება და თან ძალაუნებურათ იხსომებს, რომელ სიტყვაში რა ასო წაიშალა. გაკვეთილი თავდება უძაბუნეს მოსწავლეთა გამოცდით. ბოლოს მასწავლებელი ამოაღებიებს კლასს წიგნებს, უჩვენებს წიგნის გვერდს, რომელზედაც დაბეჭდილია დასასწავლი ლექსი და მოითხოვს, წაიკითხონ სახლში და კარგათ დაისწავლონ გაკვეთილი.

ქართული საზეპიროს დასწავლის მეთოდიც ისეთია, როგორც რუსულის. დასწავლილი ლექსი, იგავ-არაკი და სხვა მოსწავლემ უთუოთ წერით უნდა გაიმეოროს. წერის დაწყების უმალ მასწავლებელი კითხვების საშუალებით უსწორებს ხოლმე მოსწავლეებს მოსალოდნელ შეცდომებს.

რვეულები მასწავლებელს სახლში არ მიაქვს გასასწორებლათ—კლასშივე ასწორებს შეგირდების დახმარებით. ამისათვის მთელი კლასიდან ერთი შეგირდი მიბრუნებულ საკლასო დაფაზე სწერს, ისე კი რომ დანარჩენი, რომლებიც რვეულებში სწერენ, მას ვერ ხედავენ. მასწავლებელს დაფასთან ყოველთვის საშუალო მოსწავლე გამოჰყავს. როცა წერას მოასრულებენ, დაფას კლასისკენ მოაბრუნებენ. კლასი ათვალიერებს ნაწერს, თითოეული მოწაფე ადარებს თავის რვეულში დაფაზე დაწერილ შეცდომებს ეძებს და ააშკარავებს. აქაც მასწავლებელს შემთხვევა ეძლევა კამათი გამოიწვიოს ამა თუ იმ შეცდომის გამო. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს, რომელმაც დაასახელა შეცდომა—რატომ არის ეს შეცდომა? მოსწავლე შეძლებისდაგვარათ შეცდომის სინამდვილეს უმტკიცებს. ეს გამოიწვევს მოსწავლეებში კამათს, რაც ძალიან საჭიროა აზროვნების და ენის განვითარე-

ბისთვის. კარნახი ძალიან იშვიათად ეხმარებოდა სკოლაში.

ყოველი გაკვეთილი საზოგადოთ რომელიმე საერო საბავშო სიმღერით თავდება. რუსულის სწავლება ტროიეს პროგრამის თანახმათ მაშინ იწყება—როცა ბავში ქართულ წერა-კითხვას შედარებით რიგიანათ დაისწავლის.

გარდა წერა-კითხვისა, ანგარიშისა, სამღვთო სჯულისა, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ქართულათ და შეძლების დაგვარათ, რუსულათაც თვალსაჩინოთ გარე მყოფი საგნებიც. ეს საგნები პირველი წლიდანვე იწყება, მაგრამ ძალიან უბრალოთ და მოკლეთ, შემდეგში კი კონცენტრიული რგოლით თანდათან ფართოვდება. ბუნების მოვლენათა გაცნობაც სავალდებულოა. ამისთვის საუკეთესო სახელმძღვანელოთ ტროიეს ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ მიაჩნია. ზოგიერთი გეომეტრიული სხეულის აწერაც სავალდებულოა სოფლის სკოლაში *). სავალდებულოა აგრეეთვე მოკლეთ სამშობლოს შესწავლაც. დირექტორი სწავლების საქმეში უდიდეს ყურადღებას აქცევს მასწავლებლის მიერ გაკვეთილების მომზადებას. რაც უნდა განვითარებული და დახელოვნებული პედაგოგი იყოს მასწავლებელი, თუ გაკვეთილი ცხადათ არ აქვს გათვალისწინებული და დასწავლილი—მისი სწავლებიდან არაფერი გამოვა. მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეადგინოს გაკვეთილის გეგმა, კარგათ შეისწავლოს იგი და ჩაიწეროს რვეულში თავისი კითხვები და შეგირდებისაგან მოსალოდნელი პასუხებიც კი.

*) მაშინ ჩვენში ეგეჯ სკოლები სამწლიანი იყო.

სწავლების დროს მასწავლებელი უთუოდ კლასის წინ უნდა იდგეს ისე, რომ თითოეული შეგირდი და მასწავლებელი კარგათ ხედავდენ ერთი მეორეს—მასწავლებელის ყურადღება ბავშვების ყურადღებასთან უნდა იყოს შეერთებული და ყოველივე, რასაც ის ასწავლის, ისე უკლისად უნდა გადადიოდეს მოსწავლეებზე, როგორც მზის სხივები გადადიან ედედა მიწაზე მოწმენდილ დღეში. ამ დროს ისე უნდა იყოს მოჯადოებული მთელი კლასი, რომ ვერავითარმა ჩვეულებრივმა გარეგანმა მოვლენამ იგი ვერ ააცდინოს თავის მიზანს. აი მაშინ ექნება ხვავი მუშაობასო, ამბობდა ტროიე.

ყველა გაკვეთილები ლოგიკურათ უნდა იყოს შეკავშირებული ერთი მეორესთან. ამისათვის დიდი ყურადღებაა საჭირო მასწავლებლის მხრით. მან გაკვეთილის მომზადების დროს უნდა ირჩიოს ისეთი მასალა, რომელიც შეადგენს წინანდელი მასალის გაგრძელებას: ყველა დასწავლილი გაკვეთილი ისე უნდა იყოს შეკავშირებული ერთი მეორესთან, როგორც ჯაჭვის რკინებია „გადაბმული რგოლების საშუალებით. ამასთან საჭიროა ყოველი ახალი გაკვეთილის ბოლოს წინეთ დასწავლილი გაკვეთილების მოკლეთ განმეორება კითხვების დახმარებით. ეს არაოდეს არ უნდა იქნეს დავიწყებული.

რომელიმე საგნის აღწერა სინტეზით იწყება და ანალიზით თავდება. აღწერილი სხვადასხვა გვარი საგნების შედარება—მსგავსება—განსხვავების შესწავლა—აუცილებელია, თუ გინდათ ცხადი წარმოდგენა ჰქონდეს ამ საგანზე.

სუფთა წერასაც (კალიგრაფია) დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. ისე მექანიკურათ არ უნდა ისწავლებდეს.

ასოების წერა ელემენტების კარგათ შესწავლით უნდა იწყებოდეს და ხშირი ვარჯიშობით უნდა იქნეს გაგრძობილი. ხატვა-ხაზვაში ხატვას უნდა მიეცეს უპირატესობა. შეგირდები თავისთავათ ხატვენ შეძლების დაგვარათ ავეჯეულებას, ჭურჭლებს, ცხოველებს, ფრინველებს, თევზებს და სხვა საგნებს.

დასვენების დროს თამაშობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ტროიეს აზრით ბავშების ფიზიკურათ და გონებრივათ განვითარებაში. აქ ადგილობრივი თამაშობა უფრო სასარგებლოთ მიაჩნია; ხშირათ მასწავლებელიც იღებს მონაწილეობას ამ საქმეში. ის უფრო გონივრული, სასარგებლო თამაშობით ართობს იმათ. მასწავლებელი, სხვათა შორის, ავარჯიშებს მანძილის, რომელიმე საგნის სიგრძის, სისქის, სიმაღლის თვალით გაზომვაში; სხვა და სხვა მცენარეთა ყნოსვით გამოცნობაში და სხვ. ერთი სიტყვით მასწავლებელი აქაც ცდილობს თავის შეგირდების ყველა გარეგანი გრძნობების განვითარებას.

ადგილობრივ ზღაპრებს, გამოცანებს, ანდაზებს და სხვა გასართობებსაც არ ივიწყებს მასწავლებელი. რადგან ამათ დიდი აღმზრდელი და განმავითარებელი მნიშვნელობა აქვს *).

*) არ მახსოვს რომელ წელს იყო, აწ განსვენებულმა ბებურა ბებურიშვილმა შეკრიბა გურიაში სუკეთესო გასართობები და ეს კრებული შეტროგრადში რუსულ ენაზე გამოსცა წიგნაკებათ. ამ გამოცემამ ადტაცება-ში მოიყვანა მაშინდელი შეტროგრადის ბრესა. იგი ურჩევდა რუსთა საზოგადოებას, შეეძინათ საახალწლო საჩუქრათ თავიანთი ბავშვებისთვის. ამასთან დასძენდა ერთი გაზეთი: დიდი წარსული უნდა ჰქონდეს იმ ხალხს, რომელსაც ასეთი ჭკვიანური ხალხური ზეპირგადმოცემა აქვსო. ჩვენშიაც მოიძებნდა აქა-იქ ეს წიგნაკი გასაყიდათ, მაგრამ, სამწუხაროთ, დიდი ხანია არ შეგხვედრივართ. გ. შ.

კრებამ თერთმეტ დღეს, გასტანა და მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას გული აუცრუა თავის თანამდებობაზე: ცხადათ დაინახეს, რომ იმათ არ შეეძლოთ თავიანთი ცოდნით და ზნეობით ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებიათ ის მოთხოვნილებანი, რაც ამ კრებაზე იყო გამოთქმული დირექტორის მიერ. ბევრმა სურა მუდამოთ ხელი აიღო მასწავლებლობაზე, შინ გაიპარა სოფლის კანცელარიაში „მუშაობის“ გასაგრძობათ.

კრების დამლისას სასწავლებლის დარბაზში შეკრებილ მასწავლებელთ ტროიემ პედაგოგიური წიგნები დაურიგა და ასწავლა, როგორ ჩაეწერათ წიგნები სკოლის კატალოგში.

ამის შემდეგ ყრილობას შეატყობია, რომ ამბერიდან ყოველ წელიწადს მთელი ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლები იქნებიან ხოლმე შეკრებილნი დაბა ხონში, და დახურა კრება.

გავიდა ცოტა ხანი პირველი კრების შემდეგ და მასწავლებლებს შემდეგი შინაარსის მოწმობა მიუვიდათ დირექტორისაგან ფოსტით:

Свидѣтельство дано предъявителю сего, жителю Еркетскаго общества Ивану Кипиардіевичу Чантладзе въ томъ, что ему дозволено обучать дѣтей въ сельскихъ общественныхъ училищахъ Кутаисской губерніи.

Свидѣтельство это должно быть предъявляемо Директору народныхъ училищъ, или его помощнику, каждый разъ, какъ посѣтитъ кто либо

изъ нихъ ввѣренное ему училище для наложенія на свидѣтельство надлежащей печати.

Общее число печатей подъ чертой означаетъ количество ревизій, произведенныхъ у сего учителя; цвѣтъ же печатей означаетъ результатъ сихъ ревизій, а именно: красная печать означаетъ хорошіе, синяя—посредственные, а черная—плохіе успѣхи по училищу. 1873 года, іюля 3 дня г. Кутаисъ.

Директоръ народныхъ училищъ Кутаисской губ. В. Тройе.

(ბეჭედი და თარიღი, რომლის იყო დათვალიერებული სკოლა).

რევიზიის შემდეგ მთელი მაზრის მასწავლებლებს ასეთი მოწმობები შესაფერი ბეჭდის დასმით ეგზავნებოდა დირექციიდან მაზრის უფროსს, რომელიც ურიგებდა სოფლის მამასახლისებს, ეს უკანასკნელები კი, სანამ მასწავლებლებს გადასცემდენ, მცხოვრებლებს ატყობინებდენ, თუ როგორ მიდიოდა სწავლის საქმე სკოლებში—კარგათ, საშუალოთ, თუ ცუდათ—წითელი ბილეთი იყო მოწმობაზე დასმული, ლურჯი, თუ შავი. იმ დროს მასწავლებლებს საზოგადოება იწვევდა და დირექტორთან აგზავნიდა დასამტკიცებლათ. დირექტორი გამოცდიდა იმას და, თუ ღირსათ იცნობდა, ზემოხსენებულ მოწმობას აძლევდა. თუ მასწავლებელი ორჯერ მიიღებდა შავ ბეჭედს, სოფელი იმას ადგილს აცლევინებდა და სხვა, უკეთესს მასწავლებელს ეძებდა.

ტროიე სკოლებს წელიწადში ერთხელ მაინც ინახულებდა ხოლმე, მეტჯერ ვერ ასწრობდა, რადგან დიდი რაიონი ჰქონდა მოსავლელი. სიამოვნებით ელოდებოდენ იმის მოსვლას მასწავლებლები. ამხანაგური მოპყრობა იცოდა და კარგათაც აფასებდა მასწავლებლის შრომას. შეგირდებსაც ძალიან უყვარდათ იგი, რადგან უბრალო და ჭკვიანური კითხვების მიცემა იცოდა კლასში; მასთან შეგირდებს მეტი სიცოცხლე და გულის ყური ეტყობოდათ. სკოლაში უთუოთ ერთი დღე და ღამე უნდა დარჩენილიყო. იმ დროის განმავლობაში, როცა სკოლის დათვალიერებას მორჩებოდა, სულ მასწავლებელს ებაასებოდა და ისე არ წავიდოდა, რომ მსმენელს რამე ახალი არ შეეძინა მისგან. სკოლის საჭიროების გამო უფრო სოფლის გავლენიან გლეხებს მიმართავდა ხოლმე: „მამასახლისს ბევრი უფროსები ყვანან და ამიტომ დრო არ აქვს სკოლის საქმეებზე იზრუნოს. თვით ხალხმა უნდა ითავოს მისი სკოლის საქმეები, მაშინ უფრო შეიყვარებს სკოლას და მეტ სარგებლობას მოატანინებსო“.

1873 წლის 15 სეკტემბერს დაპირებისამებრ ტროიემ მთელი ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლები მოიწვია დაბა ხონში. გზის, ბინის და სასმელ-საჭმელის ხარჯი ხაზინიდან ეძლეოდათ მასწავლებლებს. კრება გაიხსნა ხონის მაშინდელ ორკლასიან სასწავლებელში. ეს კრება ოზურგეთის კრებიდან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ ყველაფერი გათვალისწინებული იყო, ისე ნაუცბადევათ არ იყო მოწყობილი, როგორც ოზურგეთში: სკოლის დარბაზის კედლები თვით ტროიეს ხელით დაწერილი კრების ჭვლელობის წეს-რიგის ქაღალდებით იყო აჭრელებული. კრების მეცადინეობა სამ ნაწილათ იყოფებოდა: სანიმუშო და საცდელი გაკვეთილები, გაკვეთილების გარჩევა—დაფასება და ლექციების კითხვა. სხვათა შორის ლექციებსაც თვითონ

ტროიე კითხულობდა პედაგოგიიდან, დიდაქტიკიდან და სხვა საზოგადო საგნებიდან. ეს ლექციები ძალიან საინტერესო იყო. მსმენელთა გონებრივ განვითარებასთან შეთანხმებულათ იყო შედგენილი—რაც შეიძლებოდა პოპულიარულათ. მასწავლებლები ამ კრებაზე ბევრათ უკეთესი მომზადებული აღმოჩნდენ, ვინემ ოზურგეთში. შედარებით უფრო მეტი ცოდნა და სიცოცხლე ქუთაისის სასულიერო სკოლაში კურს დამთავრებულებს ეტყობოდათ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ესენი განსვენებული ნიჭიერი პედაგოგი გერასიმე კალანდრიშვილის შეგირდები იყვნენ.

მასწავლებლებში ოფიციალური კრების გარეშეც აღიძრა კითხვები შეკავშირების და ურთიერთ დახმარების შესახებ. ა. ჯ—მა წინადადება შემოიტანა მასწავლებელთა კასის დაარსების შესახებ და პროექტიც ჰქონდა დამზადებული; ეს პროექტი არ განხორციელდა, რადგან მასწავლებლების უმეტესობა ჯერ არ იყო ამ საქმისთვის მომზადებული, თუმცა ბევრი სჯა და ბაასი კი გამოიწვია მასწავლებლებში. იმ დროს ჩვენშიაც იჩინა თავი რუსეთის „ნაროდნიკულმა“ მოძრაობამ. ამიტომ ადმინისტრაცია ფხიზლათ ადევნებდა თვალყურს ყოველსავე ახალ მოვლენას ჩვენში. პროექტის შინაარსი ვიღაცამ სულ სხვანაირათ გადასცა ჟანდარმერიას, რის გამო ზოგიერთი სკოლები გაჩხრიკეს—სხვათა შორის ა. ჯ—ლის პროექტს ეძებდენ. ბევრი მასწავლებელი დაიტანჯებოდა ტყვილა უბრალოთ, რომ აქაც ტროიე არ დახმარებოდა.

ამ კრებამ ხუთმეტ დღეს გასტანა და ძლიერ კარგათაც იმოქმედა მასწავლებლებზე; სულ ერთიან გამოცოცხლებულნი და იმედით აღსავსენი დაბრუნდენ თავ-თავიანთ სკოლებში.

უკანასკნელ კრებას, რომელიც გაიმართა დ. ხონში *) ორი ხელმძღვანელი ყავდა ბ. ტროიე და მისი თანაშემწე კ. ქ—ლი, რომელიც, როგორც ამბობდენ, ტროიეს სურვილის თანახმათ დანიშნა მთავრობამ. ქ—ლი სანიმუშო გაკვეთილებს აძლევდა ხოლმე კრებაზე და კარგიც იყო მისი გაკვეთილები, ტროიე კი ლექციებს კითხულობდა და გაკვეთილების გარჩევის დროს თავმჯდომარეობდა კრებას. ამ კრებაზე კიდევ უკეთესად მიდიოდა საქმე, რადგან ტროიეს სწავლების სისტემა ბევრს კარგათ შეეთვისებია და ახალი მასწავლებლებიც შედარებით კარგები შემატებოდა ჩვენს სკოლას წლის განმავლობაში.

ეს კრებაც ჩვეულებრივ ძალიან საინტერესო იყო, როგორც პრაკტიკული მეცადინეობით, ისე ლექციებით და გარეშე საზოგადოებაც მეტი ესწრებოდა. კრება ჩვეულებრივ დირექტორის გამოსათხოვარი სიტყვით დასრულდა. ამ სიტყვაში მან კრებას, სხვათა შორის, სკოლების წინა სამოსწავლო წლის დათვალიერების შედეგები შეატყობინა და სიხარული გამოთქვა, რომ ქუთაისის გუბერნიის სკოლების საქმე საზოგადოთ წინ მიდის. ამასთან ზოგიერთი ნაკლიც აღნიშნა და ამ ნაკლის გასწორების საშუალებაზეც მიუთითა მასწავლებლებს.

ამ კრებით გათავდა ტროიეს მოღვა-

---

*) ტროიემ თავის დირექტორობაში სულ 4 კრება გამართა მასწავლებლებისა:

ოზურგეთში 1872 წ. 7—18 სექტემბრამდე
ხონში 1873 წ. 15—30 „
„ 1874 წ. 15—26 „
„ 1876 წ. 16—30 „

წეობა. ამის შემდეგ იმას ჩვენი სკოლები აღარ დაუთვალიერებია, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 1881 წელში მიიცვალა. სიკვდილის წინ ძალიან სწუხდა, რომ მისი ნაკვდავ-ნალვაწი სკოლები ისეთი კაცის ხელში გადავიდა, რომელსაც ამ საქმის მაინცა და მაინც ბევრი არაფერი გაეგებოდა. ეს კაცი ბ. მარსოვი იყო. ის არ ყოფილა ურიგო კაცი, მაგრამ როგორც პედაგოგი სუსტობდა. მარსოვი ერთი დიდი კაცის გუვერნიორათ ნამყოფი იყო და პროტექციით იშოვა ეს ადგილი.

გ. შარაშიძე

(შემდეგი იქნება)

ქართული თამაშობანი *)

1802 წელს პეტროგრადში დაიბეჭდა რუსულად ერთი წიგნი შემდეგის სათაურით: „Историческое изображеніе Грузіи въ политическомъ, церковномъ и ученомъ ея состояніи“. ამ წიგნის ავტორი უცნობია; სათაურზე აწერია, რომ „იგი შეთხზულია ალექსანდრო-ნევსკის აკადემიაში“. წიგნი ფრიად საინტერესოა და მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი ხანია, რაც დაიბეჭდა, წარმოადგენს მეტად ძვირფასს და თითქმის ღირსებით ერთად ერთს მასალას ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებისა და ზნეობის შესასწავლად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

როცა ამ წიგნს ვათვალიერებდით განსაკუთრებულის ინტერესით შევჩერდით „ქართულ სახალხო თამაშობის“ აღწერილობაზე, როგორც საზოგადოთ ხალხის მიერ მიღებულს დროს გასატარებლად.

აი რას ამბობს ავტორი საქართველო-

.....

*) გადმოთარგმნილია ბებურ ბებურიშვილის წიგნიდან: Грузинскія народныя сказки и игры“. როცა ამ წიგნის პირველი გამოცემა დაიბეჭდა „პეტერბურგის გაზეთში“ № 307, 1884 წელს შემდეგი რეცენზია დაიბეჭდა: „ჩვენ წინ არის ქართული ხალხური ზღაპრები ბებურასი. მართლა სჩანს, რომ ქართველ ხალხს თავისი დიდებული წარსული ჰქონია. დუკვირდით, რამდენი აზრია და საზნეობრივ სწავლა ამ ზღაპრებში, რომლებიც სრულიად არ ჰგვანან რუსულ ზღაპრებს.

.....

განსაკუთრებითი უურადღებაა ღირსია ეს წიგნი იმით, რომ ავტორს მოჰყავს მოელი სერია ქართულ თამაშობისა, რომელიც არ არის მოკლებული ცოტნალ, შედაგოგიურს ინტერესს. უკეთესს საჩუქარს ამ დღესასწაულებში თავიანთ შვილებისათვის მშობლებს ვერ ვურჩევთ“.

აქ აწერილი თამაშობა-კართობა უფრო კავრცელებული იყო გურიაში, ავტორი, აწ განსვენებული ბებურ ბებურიშვილი, გურიელან იყო, და უეჭველია ეს თამაშობანიც, რომელნიც დღეს სრულიად ჰქრება, გურიაშია შეკრებილი.

რედ.

ში გავრცელებულ შექცევაზე, რომელსაც „ზმა“ ეწოდება.

„ქართველებს აქვსთ ძველის დროიდან შემოღებული ზოგიერთი ჭკვიანური თამაშობა, რომელსაც „ზმა“ ჰქვიან და რომელსაც ხმარობენ მხიარულს წვეულების დროს. იგი იმაში მდგომარეობს, რომ რამდენისამე ნათქვამი სიტყვებიდან, მარცვლების შეერთებით, გადაკვრით ანიშნებენ ამა თუ იმ პირზე ან საგანზე— იმ საგნის დასახელებით, ასე რომ ყველა წარმოთქმული სიტყვა ზრდილობიანად მიმართულია იმ საგნისკენ. აქედან ხშირად გამომდინარეობს მახვილ გონებითი ოხუნჯობა, გადაკვრით მხილება კარგისა და ცუდისა. ყოველ შემთხვევაში ეს ძლიერ შემაქცევარია მოსაუბრეებისა და სასაცილოც. ამ გართობის პირველი ღირსება ის არის, რომ ასეთს სახუმარო ზმებს წარმოსთქმენ ძალდაუტანებლად და სწრაფად. საუკეთესო წვეულება საქართველოში ასე ერთობოდა“.

ამ სიტყვებს, რომელიც თითქმის ას წელზე მეტია, რაც დაწერილა, ჩვენ დავუმატებთ ქართველი ხალხის თამაშობას, რაც დღეს არსებობს.

ქართველებს აქვსთ თამაშობა მოზრდილთა და ბავშვებისათვის, მაგრამ საზოგადოთ, როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაშიაც ამ თამაშობებს არ აზის ბეჭედი შემთხვევით გამოგონილი სამხიარულო გასართობებისა, არამედ შეიცავს სასტიკად მოფიქრებულს და შემოწმებულს სისტემას, რომელიც თვალსაჩინოდ შეესაბამება ბავშვების შინაური კარგი აღზრდის მოთხოვნილებას და სასარგებლო გართობად ორივე სქესის ახალგაზდებისათვის.

მოზრდილი ყმაწვილები ქალ-ვაჟნი, როცა შეგროვდებიან გასართობად, უსათუოდ წარმოსთქვამენ ლექსებს, სთხზავენ ექსპრომტებს, ან უგზავნიან ერთმანეთს პოეტიურს ეპისტოლეებს.

მოზარდ ბავშვების თამაშობასაც თავშეკავებისა და პრაქტიკული სარგებლობის ხასიათი აქვს. ცოცხალი ლიტერატურული გართობა აკეთილშობილებს, აფაქიზებს ბავშვების დროს გატარებას და ჰასაკის მიხედვით, ჰქმნის მეტად გონიერს პროგრამას.

„ქართულ თამაშობათა“ წმინდა პედაგოგიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი, თამაშობის არსებითი მხარის მიხედვით, რაც ერთგვარად მისაწვდომია ორივე სქესის ბავშთათვის, აუცილებლად გაეცნობა გეოგრაფიას, ისტორიას, ბოტანიკას, მინერალოგიას, ლიტერატურას და ცოდნის სხვა და სხვა დარგს, რასაკვირველია, ზერელე, შემთხვევის მიხედვით.

რაკი ბავშვებს უჩვენებთ ამ თამაშობას, თქვენ აცნობთ მათ სრულიად ახალ ქვეყანას, სადაც ბავშვი უკვე ემყარება არა ძალას, სიმარდეს ან სწრაფად გაქცევას, არამედ გონებით მოსაზრების, შეგნების და ლაპარაკის ცოდნას.

თამაშობის პირველად დაწყების დროს უსათუოდ უნდა ჩაერიოს ვინმე მოზრდილი ხელმძღვანელი, რადგანაც თამაშობის სხვა და სხვა გვარობა მოითხოვს არამც თუ მომზადებას, არამედ მოსწრებულობას, რასაც დიდი მომხიბლავი გავლენა აქვს ნორჩს გონებაზე აუარებელს სათამაშოებში, რომელიც კითხვა პასუხით იწყება, დავასახელებთ ანბანზე თამაშობას.

ანზე თამაშობა.

კ. რა გქვიან?
ბ. ანდრია.

კ. თქვენი გვარი?
ვ. ადამაშვილი.
კ. საიდან მოდიხართ? *)
ვ. ართვინიდან, ამერიკიდან, ასტრახანიდან.
კ. სად მიდიხართ?
ვ. აბაშაში, არაბეთში, ავსტრალიაში.
კ. რა ხის არის თქვენი შვილდი?
ვ. აკაკის.
კ. რა ხის არის ისარი?
ვ. ატმის.
კ. რას მოკლავთ?
ვ. არწივს.
კ. სად მოარტყამთ?
ვ. არტერიაში.
კ. ვის მიუტანთ? *)
ვ. ალექსანდრე მაკედონელს.
კ. რას გაჩუქებს?
ვ. ალმაზს.

ბ-ანზე თამაშობა

კ. რა გქვიან?
ვ. ბესარიონი.
კ. რა გვარი ხართ?
ვ. ბებიაშვილი.
კ. საიდან მოდიხარ?
ვ. ბათომიდან.
კ. სად მიდიხარ?
ვ. ბორჯომში, ბერლინში.
კ. რა ხის არის ისარი?
ვ. ბზისა.
კ. რა ხის არის შვილდი?
ვ. ბლისა.
კ. რას მოჭკლავ?
ვ. ბუსა.
კ. სად მოახვედრებ?
ვ. ბარკალში.
კ. ვის მიუტანს? *)
ვ. ბებიას.
კ. რას გაჩუქებს ბებია?
ვ. ბეჭედს.

გ-ანზე თამაშობა.

კ. შენი სახელი?
ვ. გიორგი.
კ. რა გვარი ხარ?
ვ. გოლაშვილი.
კ. საიდან მოდიხარ?
ვ. გორიდან.
კ. სად მიდიხარ?
ვ. გრაკალში, გერმანიაში.
კ. რა ხისაა ისარი.
ვ. გრაკლის.
კ. რა ხისაა შვილდი?
ვ. გულაბის.
კ. რას მოჭკლავ?
ვ. გვრიტს.
კ. სად მოახვედრებ?
ვ. გვერდში.
კ. ვის მიუტანს?
ვ. გიორგის.
კ. რას გაჩუქებს?
ვ. გვირგვინს.

დ-ზე თამაშობა.

კ. რა გქვიან?
ვ. დავითი.
კ. რა გვარი ხარ?
ვ. დოდაშვილი.

---

*) ვატარებისთვის საკმარისია კითხვები საიდან სად მიდიხართ? ქალაქებისა და დაბების ჩამოთვლით; უფრო მოზრდილებმა კი უნდა ჩამოთვალონ სახელმწიფოები, ან ქვეყნები.

*) ძალა არ უნდა დაატანოთ; ბავშვებს შეუძლიათ მოკლული ნადირი მიუტანონ გისაც უნდათ, მხოლოდ ასო ა-ზე იყვეს, შეუძლიათ მიიდონ ატამი, აბაზი, არგანი, ერთი სიტყვით რაც ჰსურთ.

*) არ კმარა, რომ მოზრდილებმა გიპასუხონ „ბებიას“, მათ უსათუოდ უნდა უპასუხონ: ბაირონს, ბესიკის, ბეკონს, აჩუქებენ— ბრილიანტს, ბრინჯაოს და სხვ.

კ. სიდან მოდიხარ?
პ. დადესტნიდან.
კ. სად მიდიხარ?
პ. დარკვეთში, დარუბანდში.
კ. რა ხის არის ისარი?
პ. დიდგულასი.
კ. რა ხისაა შვილდი?
პ. დამასხის.
კ. რას მოჭკლავ?
პ. დათვს.
კ. სად მოახვედრებ?
პ. დრუნჩში.
კ. ვის მიუტანს? *)
პ. დიდმელებს.
კ. რას გაჩუქებენ?
პ. დოშს.

როცა ამ თამაშობას გაიცნობენ, შემდეგ ბავშვები თვითონ, უფროსების დაუხმარებლად, დამოუკიდებლად თავის თავად თამაშობენ.

თამაშობის წესად, რომლის საშუალებითაც ბავშვები თანდათან იხსოვნებენ ქალაქების, ფრინველების, მხეცების, მცენარეებისა და აღმონათხრედის (минералъ) სახელებს, ვურჩევთ შემდეგს:

აიღებენ ხელში სასწორის ქვას, ბოთლს, გრაფინს ან სანთელს *), ბავშვებს წრის გარშემო დააყენებენ და საგანს უფროსს გადასცემენ. ეს უფროსი აღებულ საგანს გადასცემს შემდეგს და კითხვას აძლევს, მეორე კი პასუხს იძლევა და გადასცემს შემდეგს. ბავშვი ფიქრობს რომელი ქალაქი ან საგანი დაასახელოს და ცდილობს მალე მოიშოროს ხელიდან გადაცემული ნივთი. თუ ნივთი ხელში შერჩა, ეს იქნება მისთვის მხილება, რომ მან არ იცის ქალაქები ან საგნები, რისთვისაც დასცინებენ ხოლმე. დაცინვის შემდეგ ამხანაგები მოაგონებენ რიგ-რიგად ქალაქებსა და საგნებს. ისიც ჯავრობს, თვალყურს ადევნებს ამხანაგებს, როცა პასუხი შეეშლებათ და დაცინითვე უხდის სამაგიეროს. ერთი სიტყვით მხიარულობით ერთმანეთს ასწავლიან, აქეზებენ მოუხეშავებს.

აგრეთვე „ქალაქობის“ თამაშობიდან გადადიან „ფრინველთა სამეფოში“, „თევზებში“, „მწერებში“, „ცხოველებში“ და სხვეებში ამ სახით:

ვინმე აიღებს ხელში ნივთს, სათამაშოთ არჩეულს, გადასცემს ამხანაგს და ეუბნება:

— „აი ფრინველი“.

ჩამოართმევს ნივთს და ჰკითხავს:

„რა ფრინველია?“

— „მიმინო“.

ნივთს გადასცემს შემდეგს ახალის კითხვით.

— აი ფრინველი!

— რა ფრინველი?

ბულბული, ღობემძვრალა, არწივი, ქორი, ძერა, კაჭკაჭი, ტყის ქათამი, ხოხობი, შაშვი, შოშია, მწყერი, ჩხიკვი, ხაჟო, გუგული, ოფოფი, მწყერჩიტა, გვრიტი, ბელურა და სხვ.

თამაშობა გრძელდება

— „აი მხეცი!“

— „რა მხეცი?“

— ვეფხი, ლომი, მგელი, დათვი, სპილო, მელა, ტურა, მარტორქა, აფთარი და სხვ.

თამაშობა გრძელდება

— „აი თევზი!“

*) კითხვაზე „ვის მიუტანს?“ ბავშვებს შეუძლიათ გიპასუხონ—დიოშიდეს და სხვ. და „რას გაჩუქებენ?“—დანას, დოდს, დოშაკს და სხვ.

*) ან იდებენ ანთებულს კვარს; ფანტს აგებს ის, ვის ხელშიაც კვარი ჩაქრება, ვიდრე საგანს დასასხელებდეს.

—„რა თევზი?“

— ზუთხი, ტარაღანა, ორაგული, კალმახი, მურწა, ღლავი, ვეშაპი, ზვიგენი, ქორჭილა, კარჩხანა, თართი, ფიჩხული, ხრამული და სხ.

თამაშობა ბრძელდება

—„აი ყვავილი!“

—„რა ყვავილი?“

—ია, სუმბული, ვარდი, იასამანი, ზამბახი, შროშანა, ღილილო, მიხაკი და სხვ.

„ქალაქობიას“ თამაშობენ ასე: ვინმე იღებს სათამაშოდ აღებულს ნივთს და ამბობს: „ბერი ჩამოხტა ქალაქში“. რომელ ქალაქში? — ჰკითხავენ მას. — ქუთაისში, მეორე ჩამოართმევს ნივთს და გადასცემს რა შემდეგს, გაიმეორებს სიტყვებს; „ბერი ჩამოხტა“ და შემდეგი ამხანაგის კითხვაზე: სადაო?— ტფილისში,—და გასცემენ ნივთს ასე, ბოლომდის.

ამგვარ შეჯიბრებაში ბავშვები ჩამოთვლიან ყველა ცხოველებს, ფრინველებს, რაც ცნობილია ბუნების მეცნიერებაში, მაგრამ როცა მასალა შემოაკლდებათ, ბავშვის დაჟინებული ფანტაზია თავისუფლად გადაიჭრება უხსოვარ დროის ცხოველთა სამეფოში და ბოლოს ზღაპრულ გველვეშაპისა და დევებისაკენ, რომლითაც სავსეა აღმოსავლეთის ლეგენდარული მოთხრობები.

არის კიდევ სხვა სათამაშო, რომელიც მეტის მეტად ავითარებს ახალგაზდებს და ზოგჯერ მოხუცთაც ასწავლის ლაპარაკის ლოგიკურ წესებს, რომელიც გამოიხატება კითხვა-პასუხის ორგინალურ წესებში.

მაგალითად, თქვენ ჩაიფიქრეთ რაიმე. საგანი, ან სიტყვა, ან სახელი ან რაც გინდათ. მაგალითად —ცისარტყელა —და ეუბნებით მოსაუბრეს გამოიცნოს, თუ რა ჩაიფიქრეთ.

ყველა მის კითხვებზე თქვენ მიუგებთ: „დიაღ“, ან „არა“.

თქვენ გეკითხებიან:

— საგანი სულიერია?
— არა.
— ულსულოა?
— დიაღ.
— ხილულია?
— დიაღ.
— არის აქ ოთახში?
— არა.
— ამ სახელმწიფოში?
— არა
— მთელს დედამიწაზე?
— არა.
— ციური მოვლენაა?
— დიაღ.
— ახლა ვხედავთ?
— არა.
— მაშ, ხანდახან სჩანს?
— დიაღ.
— უსაჭიროესი მოვლენაა?
— არა.
— გამქვირვალეა?
— არა.
— მიწაზე აქვს გავლენა?
— არა.
— ჩრდილოეთის ციმციმებაა.
— არა.
— ღამით ჩნდება?
— არა.
— დღისით ჩნდება?
— დიაღ.
— სქელი ნივთიერებაა?
— არა.
— სინათლე აქვს?
— დიაღ.
— მზის სხივებია?

— არა.
— მაშ ცისარტყელაა?
— გამოიცანით.

თუ მაგალითად ხასიათის თვისებას ჩაიფიქრებთ, მაშინ ასეთი კითხვები უნდა:

— სულიერია?
— არა.
— დედამიწაზეა?
— არა.
— იქნება ამ ოთახშია?
— დიაღ.
— ადამიანის კუთვნილებაა?
— დიაღ.
— აქ მყოფთაგანის?
— დიაღ.
— ერთის კუთვნილებაა?
— დიაღ.
— თქვენ გაქვს?
— არა.
— მე მაქვს?
— არა.
— ამას და ამას?
— დიაღ.
— მუდამ მასთანა?
— არა.
— ხანდახან?
— დიაღ.
— შეუძლია ჩვენ გადმოგვცეს თუ მოინდომებს?
— არა.
— მისი დამამშვენებელია?
— არა.
— ნაკლულევანებაა?
— დიაღ.
— ფიზიკური?
— არა.
— სულიერი?
— დიაღ.
— სიძუნწე?
— არა.
— სიამაყე?
— არა.
— სიფიცხე?
— გამოიცანით!

ყოველი ახალი თავდაპირველად ძნელად მოგეჩვენებათ. რომ გავარჯიშდენ ამ თამაშობაში, საჭიროა ადვილიდან დაწყება. მაგალითად ჯერ უნდა აიღოთ ხილული ნივთი და ისეთი, რომელიც ოთახში არის, სადაც თამაშობენ მაგ. შაქარი, პური, ღვინო, სკამი, ან ვინმე დამსწრეთაგანი და თანდათან გადახვიდეთ უფრო ძნელ ნივთებზე.

ერთს საზოგადოებაში ჩაიფიქრეს სიტყვა და უნდა გენახათ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ერთი მანდილოსანი, რომელსაც უნდა გამოეცნო მის მიერ დასმულ კითხვებში „არის თუ არა ამ ოთახშიო“, უპასუხებდენ „დიაღ“-საც და „არა“-საც, რადგანაც დამსწრეთაგანი ხანიკინოდენ, ხან კი სდუმდენ.

მანდილოსანს იპყრობდა ის გარემოება, რომ ოთახში არც შემოუტანიათ რა და არც გაუტანიათ, რაც კი ლაპარაკი დაიწყეს.

ამის გამო დაუყენა შემდეგი კითხვა: შეიძლება თქვენ მიერ ჩაფიქრებული მოქმედებაა, რომელიც ადამიანისაგან წარმოსდგება?

— დიაღ.
— ეს მოქმედება ხომ არ არის ნიშანი ადამიანის?
— დიაღ.
— ცუდი შთაბეჭდილების გამო?
— არა?
— სასიამოვნოს?
— დიაღ.
— ყველა ჩვენთაგანს შეუძლია მიიღოს ასეთი შთაბეჭდილება?
— დიაღ.

— ამ მოქმედებისათვის საჭიროა პირის გაღება?

— დიაღ.

— მაშინ შთაბეჭდილების ანარეკლი სახეზე გამოჩნდება?

— დიაღ.

— მაშ სიცილი ყოფილა.

— გამოიცანით.

ამ სახით ვარჯიშობით ვერ იპოვით ვერც ერთს ძნელს საგანს, რომლის გამოცნობაც არ შეიძლებოდეს, თუ კი მიცემული კითხვები სისტემატიურად—წესიერად იქმნება დაყენებული.

იყო ასეთი შემთხვევა, სადაც ჩაიფიქრეს რკინა, როცა გამომცნობელმა ჰკითხა „რკინასაა?“ და მიიღო დასტური, ვერ მიხვდა ეკითხა:—ადამიანის ხელით ნამუშევარია?—მან ჩამოთვალა რკინის ყოველგვარი ნივთები, მაგრამ მაინც ვერ გამოიცნო. მაშინ როცა საჭირო იყო ეკითხა—ბუნებრივია თუ ქარხანაში დამუშავებული ჩაფიქრებული ლითონი?

რომ საბოლოოდ შევადგინოთ ფართო წარმოდგენა ჩაფიქრებული ნივთების გამოცნობის შეძლებისა და წესისა, საჭიროა დაცული იქმნეს შემდეგი სისტემა:

თუ გეუბნებიან: „ამ ოთახშიო“, საჭიროა ოთახში არსებული ნივთები დაჰყოთ შემდეგ ჯუფებად:—ნივთები უსაჭიროესი, არა უსაჭიროესი, გასართობი, შენობის კუთვნილება, საჭმელი, უკანასკნელი უნდა დაიყოს: წვნიანად, სქლად, ტკბილად, მწარედ და ფორმებად, ანუ შინაარსის მოცულობათ.

რა საკვირველია კითხვების დროს არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ისეთი განსაზღვრა, მაგალ. თვისებათა შესახებ, როგორც მაგ. „მცენარეული“, „მადნეული“ და სხ. და სხვ.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტაში შეიძლება ისე გავარჯიშდეს კაცი, როგორც ერთი ჩემი ნაცნობი, რომელსაც გამოსაცნობად მისცეს „მთელი ფრაზა“, გამოთქმული შემდეგის სიტყვებით: „ჩონგურის პირველი ხმა“.

ნაცნობს დასჭირდა მხოლოდ ნახევარი საათი დრო, რომ სიტყვა სიტყვით გამოეცნო.

მოსწრებული ამოცანები

ერთმა ბრძენმა სიკვდილის წინ მემკვიდრეებს დაუტოვა 17 აქლემი ანდერძით, რომ გაეყოთ ასე:

უფროს შვილს წაეღო ნახევარი ე. ი. $8^1/_2$ აქლემი, შუათანას ერთი მეხუთედი ნაწილი, რაც შეადგენს $5^2/_3$ და მესამეს, უმცროსს—ერთი მეათედი—ე. ი. $1^7/_{10}$ აქლემისა.

მემკვიდრეებს არ უნდოდათ ნაანდერძევის ნაკლები მიეღოთ, ან თავისი ნაწილი დაეთმოთ მეორესთვის, საქმის გადასაწყვეტად მიჰმართეს ყადს ე. ი. მსაჯულს და სთხოვეს გაუყოს მათ 17 აქლემი.

ყადმა გაყოფის წინ გაგზავნა მეზობელთან მოსამსახურე და სთხოვა 15 წუთით ერთი აქლემი.

როცა მეზობელმა გამოუგზავნა ერთი აქლემი, ყადს გაუხდა 17-კი არა 18 აქლემი. მაშინ მიმართა უფროს მემკვიდრეს და ჰკითხა: რამდენი ერგება მას სამკვიდრო ნაწილით? როცა მიიღო პასუხად $8^1/_2$, ყადმა კიდევ ჰკითხა: კმაყოფილი იქნება თუ არა იგი 9 აქლემი რომ მისცეს?—მემკვიდრე ყაბულს გახდა და ყადმა მისცა მას 9 აქლემი. შემდეგ ჰკითხა შუათანას და მისგანაც მიიღო პასუხად, რომ მას ერგება $5^2/_3$ აქლემიო. კითხვაზე „სურს თუ არა ექვსი აქლემი“, მიიღო თანხმობა და ყადმაც მიუთვალა

6 აქლემი. შემდეგ რაკი, იცოდა ანდერძიდან, რომ უმცროს ერგებოდა $1^7/_{10}$ აქლემი, ყადი ეკითხება ,,დასჯერდები ორი აქლემი რომ მოგცეო'', თანხმობის შემდეგ მასაც ორი აქლემი მისცა.

ასეთი გაყოფიდან ყველამ დაინახა, რომ ერთი აქლემი მაინც მეტი დარჩა და ყადმა სანათხოვროდ წამოაყვანინა მეზობლისაგან ერთი აქლემი მხოლოდ მისთვის, რომ ჩაეფუჩეჩებინა გაყოფა ძმათა შორის და ამით მოესპო მათ შორის დავა და საყვედური.

დარჩენილი აქლემი პატრონს გაუგზავნეს და კმაყოფილი მემკვიდრეები სახლში წავიდნენ.

შენიშვნა: აიღეთ 17 კაკალი, ან ასანთი, რაც ხელთა გექნებათ და სთხოვეთ კიდეგ დამსწრეთაგანს გათხოვოსთ ერთი კაკალი ან ასანთი და შემდეგ მიეცით უფროსს 9, შუათანას 6 და პატარას 2, თქვენ დაგჩებათ კიდეგ 1 კაკალი, რომელსაც გადასცემთ პატრონს.

II

მეორე ბრძენს გარდაცვალების შემდეგ დარჩა ორი შვილი: ერთი უფროსი ღვიძლი შვილი და მეორე უმცროსი— ნაშვილევი.

გარდაცვალებულს ანდერძში ჰქონდა ნათქვამი: ,,ჩვიდმეტ მილიონს მანეთ ფულად და ყველა უძრავ ქონებას ვუტოვებ ჩემს ღვიძლს შვილს იმ პირობით, რომ მან ჩემმა ღვიძლმა შვილმა მისცეს ჩემს ნაშვილევს, თავისს ძმას, იმდენი, რამდენსაც თვითონ მოისურვებს ფულსა და უძრავ ქონებასაო.

ღვიძლმა შვილმა,მამის ნების ამსრულებელმა, მისცა თავის ძმად აყვანილს ორი მილიონი მანეთი ფულად და უძრავ და მოძრავ ქონებიდან არა მისცა რა.

მაშინ უკანასკნელმა მიმართა სასამართლოს და სთხოვა ძალა დაეტანებინათ ძმისთვის, რომ თანახმად ანდერძისა მიეცა მას რამე ნაწილი უძრავ ქონებიდანაც

სასამართლომ გაარჩია თხოვნა და უარი უთხრა მომჩივანს, რადგანაც უფროსი ძმის საქციელი კანონიერადაც სცნო და მამის ანდერძის თანახმადაც.

უმცროსმა ძმამ საჩივრით მიმართა მეფეს და მიანდო მის მაღალ სიბრძნეს ამ საქმის გარჩევა.

იმ ქვეყნის მეფემ, სადაც ძმები ცხოვრობდნენ, წაიკითხა მათი მამის ანდერძი და ნახა, რომ მსაჯულებს თავისი გადაწყვეტილებით დაუმახინჯებიათ ანდერძის აზრი და ხელმწიფემ გადასწყვიტა, რომ უფროს შვილს უნდა მიეცა უმცროსისათვის იმდენი, რამდენსაც იგი მოისურვებდა თავისთვის ფულსა და ქონებას, ე. ი. უმცროსისათვის უნდა ერგუნებიათ ის ნაწილი ფულისა, და ,,ქონებისა'', რომელსაც თავისთვის მოისურვებდა უფროსი ძმა.

მასწავლებლის შენიშვნები

2.

ქართულის სწავლების შესახებ.

მე შემინიშნავს და, უეჭველია, მკითხველო, თქვენც შემჩნეული გექნებათ, რომ ჩვენებურ სკოლაში გამოვლილები უფრო ცუდათ და ზლაყუნით ლაპარაკობენ ქართულს, ვიდრე სრულიად უსწავლელნი სოფლის გოგო-ბიჭები. ამ განსხვავებას უფრო აშკარათ შეატყობთ, თუ ერთმანეთს შეადარებთ ქართველი ინტელიგენტების და სოფლელ გლეხების ლაპარაკს: მაშინ როდესაც პირველნი სიტყვებს ეძებენ და როდესაც დაიჭერენ უშნოთ აკოწიწებენ ერთმანეთს, მეორენი სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლათ მძივებსავით ასხამენ სიტყვებს თავიანთი აზრებისა და გრძნობათა გამოსახატავად.

ჩვენებურ სკოლებში ნასწავლთა ასეთი ჩამოქვეითების მიზეზი მრავალია... ახლა მათ გამოკვლევას არ შევუდგები. ამ ჟამად მე მსურს მიგითითოთ ერთ მიზეზთაგანზე და რამდენათ მართალი ვარ—ეს მერე თქვენ გასინჯეთ...

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში დღევანდლამდის დაცულია თავისებური ქართული კილო, გამოთქმა, რაც ლიტერატურული ქართულისაგან ცოტათ თუ ბევრათ განსხვავდება.

მასწავლებელმა თვითონ, რასაკვირველია, კარგათ უნდა იცოდეს ლიტერატურული ქართული, მაგრამ სკოლაში ახლად შესულ ბავშვებს სრული თავისუფლება უნდა მისცეს ამ მხრივ, როგორათაც ზეპირში აგრეთვე წერის დროს, უმთავრესი ყურადღება მას უნდა მიექცეს, რომ მოწაფემ სრულიად თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი და გრძნობა: მასწავლებელმა შეცდომათ არ უნდა ჩაუთვალოს, თუ პირველ ხანებში ბავშვი ,,წავიდას'' მაგივრათ ,,წევიდას'' ამბობს და სწერს; ან თუ ,,შეჭამს'' მაგიერ ,,შაჭამს'', ,,მამას'' მაგიერ—,,ბაბას'', ,,იხვის'' მაგიერ—,,კვატას'' და სხ... იმიტომ რომ ამისთანა წვრილმანებზე მოწაფის შეჩერებას და ,,შეცდომის'' გასწორებას ბავშვი ეჭვში შეყავს თავისი ცოდნის შესახებ, უნდობლად ექცევა თავის სიტყვებს, ეჭვი შეაქვს თავის ენის ცოდნაში. შიში იბადება მოსწავლის გულში, ამ შიშს და სირცხვილს კი შედეგათ მოსდევს გონებისა და ენის დაჩლუნგება...

ჩემის აზრით, პირველ ხანებში მასწავლებელმა შეგირდს არც კი უნდა აგრძნობინოს, რაც უნდა შეცდომებით ლაპარაკობდეს, რომ მისი ლაპარაკი ლიტერატურული არ არის, პირიქით, ბავშვი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ენა წმინდა ქართულია, რადგანაც ეს რწმენა მისცემს მას სითამამეს აზრის გამოთქმაში თავის კილოზე.

ზემოთ დაწერილით სრულებით მე იმის თქმა არ მინდა, რომ ლიტერატურული

ქართულის შესწავლა უყურადღებოდ უნდა იყოს დატოვებული თუნდ იმავე დაბალ სასწავლებლებში... პირიქით, ტკბილი ქართულის, წმინდა ლიტერატურული ენის შეთვისება და ამ ენაზე მოწაფეთაგან თავიანთი აზრებისა და გრძნობათა გამოთქმა მიმაჩნია ყოველი სკოლის და, მით უმეტეს, პირველ დაწყებითი სკოლის მიზნათ... მაგრამ პროვინციალურიდან ლიტერატურულ ენაზე გადასვლა ისეთის თანდათანობით, შელავათით და სიამტკბილობით უნდა ხდებოდეს; რომ მოწაფემ არავითარი დამცირება და, მით უმეტეს, შიში არ უნდა იგრძნოს.

თუ ამნაირათ მოეწყობა ქართული ენის სწავლება, მე დარწმუნებული ვარ, ერთი ათად იმატებს ქართული ენის მოყვარულთა და მცოდნეთა რიცხვი და მალე დიდი წარმატება დაეტყობა ქართულ ენას წერაშიც და ლაპარაკშიც...

ი. ვ—რი

მასწავლებელთა კავშირის აუცილებლობა

ვინ არ იცის რა მძიმე, რთული და პასუხ-საგები მოვალეობა აწევს სახალხო მასწავლებელს—აღზრდა და გათვითცნობიერება მოზარდ თაობისა, მომავალ ერისა. მაგრამ სახალხო მასწავლებლის მოღვაწეობა მარტო მოზარდ თაობის აღზრდით განისაზღვრება? არა, ის როგორც ამის სახელი „სახალხო მასწავლებელი" გვიჩვენებს, არის უახლოესი მესაიდუმლე ჩვენი ჩაგრული ერის გულისა, თანამშრომელი ყოველ ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებისა; ხალხის ერთგული მეგობარი ჭირში და ლხინში, რომლისგან ითხოვს ყველანი შველას, რჩევას და დარიგება-დახმარებას. ყველა ეს კი აუცილებელია დღევანდელ საბედისწერო მომენტში, როდესაც მთელი კაცობრიობა საშინელ ომის ცეცხლშია გახვეული. აი ასეთ საისტორიო განცდის ჟამს, ცხოვრების სისასტიკე ითხოვს მასწავლებლისგან მეტს სულის სიმტკიცეს, ენერგიასა და თვითმოქმედებას; ცხოვრება უყენებს მას წინ ახალს, რთულს საჭირბოროტო საკითხებს. საკითხებს ფართო საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობისას: გამონახვას საშუალებისას გამოფხიზლებულ ერის სულიერ სიმშილის დასაკმაყოფილებლად! ერის, რომელსაც ახლანდელმა ცხოვრების სისასტიკემ ნათლად დაანახვა საზოგადოებრივ ცხოვრების მოუწყობლობა, ნაკლი იმისი და მრავალი თავისი იარები..., შექმნა მასწავლებელთა საზოგადოებისა, კავშირისა მასწავლებელთავე სულიერ, ნივთიერ და ზნეობრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და სხვა.

რა ქმნას ბედკრულმა მასწავლებელმა? მისგან ბევრს ითხოვენ, ხოლო მას არას აძლევენ, ის უჭირისუფლოა, მასზედ არავინ ფიქრობს, არ უთანაგრძნობს არც ერი, რომლის საკეთილღღეოთ ის შრომობს, იწვის, ვინაიდგან ეროვნული განათლება, თვითშეგნება ჩვენში ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზეა. სახალხო მას-

წავლებლის მოვალეობა მუდამ მძიმე და რთული იყო, ხოლო მისი ნივთიერი მდგომარეობა—აუტანელი. არც ერთი დარგის მოხელე დღევანდელ მძიმე დროს არ განიცდის ისეთ სიმძაფრეს და სისასტიკეს სიძვირის გამო, როგორც ნივთიერად ხელმოკლე სახალხო მასწავლებელი, რომლის უმნიშვნელო, თვიური ჯამაგირის მაქსიმუმი ისევ უცვლელია. მაშ, როდემდის იყოს სახალხო მასწავლებელი ასეთ უუფლებო და უნუგეშო პირობებში და ვინ ეცდება მის მდგომარეობის გაუმჯობესობას? არავინ, თუ არა ისევ სახალხო მასწავლებელი, რომლის შეერთებულმა ძალამ უნდა გასჭედოს ჯაჭვი მასწავლებელთა მომავალ ბედისა. ის ტყუილად შეჰყურებს ბიუროკრატიას მოწყალების თვალით, ტყუილად მოელის მისგან შველას, პატრონობას და მით ჰკარგავს ყოველს უნარს და ინიციატივას თვითმოქმედებისას. საჭიროა მასწავლებლის ძლიერ ძალთა გაერთიანება, შეკავშირება და ამ გაერთიანებულ ძალის, კავშირის ირგვლივ თავის შემოკრება შეერთებულის ძალღონით სამოქმედოთ. კავშირს შეუძლია მასწავლებლის დღევანდელ უნუგეშო ნივთიერი, სულიერი და ზნეობრივი მხარეების გაუმჯობესება, სკოლიდან ყოველგვარ პოლიტიკის დევნა, სწავლა-განათლების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და საერთოდ სკოლაში გამაცოცხლებელ, ცხოველ-მყოფელ სულის შთაჰერვა და მისი განახლება. მხოლოთ კავშირს, მასწავლებელთა კოლექტიურს, შეერთებულს ძლიერ ძალას შეუძლია დღეს ხმა აღიმაღლოს, სკოლის და მის სულის ჩამდგმელ—მასწავლებლის გარშემო გამეფებულ დეფეკტებს ებრძოლოს, დაიცოს მასწავლებლის პრინციპი, საშობლო ენა, საღი მეთოდი და აღადგინოს მასწ. უფლებები. სურვილი მასწავლებელთა კავშირისა, საზოგადოების შექმნისა, დიდი ხანია სახალხო მასწავლებელთა შორის, ხოლო მისი აუცილებლობა, დაუყოვნებლივ განხორციელება კი ნათლად წარმოგვიდგინა დღევანდელმა ცხოვრების სისასტიკემ. დღეს, როდესაც ერობები, ქალაქის თვითმართველობა, კოოპერატივები, წვრილ კრედიტთა ამხანაგობანი და სხვა საზოგადო დაწესებულებანი შეერთებულს მოქმედებას განაგრძობენ, ჩვენ, სახალხო მასწავლებლები მოკლებული ვართ ყოველს საორგანიზაციო ძალას, მასწავლებელთა კავშირს, საზოგადოებას; მოკლებული მზრუნველობას სკოლისა და მის გარშემო განათლების საქმის მოწყობისადმი, მასწავლებლის აუტანელ ნივთიერ, უფლებრივ და სულიერ მხარეების გაუმჯობესებისადმი და სხვა.

მხოლოთ მასწავლებელთა კავშირს შეუძლია გაერთიანება მასწავლებელთა ძლიერ ძალისა, რომელიც დაჰფანტულია ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში, მას შეუძლია სულიერათ დააკავშიროს მასწავლებლობა ერთმანერთში, დაამკვიდროს იმათ და მათ მოქმედებას, მოღვაწეობას შორის სრული სოლიდარობა, გარმონია; ხელი შეუწყოს სკოლისა და ცხოვრების მიერ წამოყენებულ ახალ საკითხების შესწავლას, პედაგოგიურ და მეთოდიურ საკითხების განხილვა-გადაწყვეტას, პროფესიონალურ ორგანოს დაარსებას და არსებულის გაძლიერებას, სამოღვაწეო, სამოქმედო გეგმის შედგენას და სხვა... აი უდიდესი პრინციპი მასწავლებელთა კავშირისა, რომელიც ჩინებულათაა განვითარებული ევროპის განათლებულ ქვეყნებში, სადაც სახალხო მასწავლებლობა გაცილებით მაღლა დგას

ჩვენზედ ნივთიერ-სულიერ-უფლებრივად. ჩვენ დიდი სიხარულით უნდა მივეგებოთ ობილისის ქალაქის პირველდაწყებით სკოლების მასწავლებელთა გადაღგმულ ნაბიჯს მასწ. კავშირის დაარსების საქმეში. ნაბიჯი ეს უდიდესი ფაქტორია მასწავლებელთა გაერთიანებისა, სიმპტომია მათი გამოფხიზლებისა და სამოქმედო ასპარეზზედ გამოსვლისა, რაიც, ეჭვს გარეშეა, ჭეშმარიტს სიხარულს და სიამოვნებას გამოიწვევს ყოველ სახალხო მასწავლებლებში. ჯერ-ჯერობით უსურვოთ ხსენებულ მასწავლებელთა მცირე ჯგუფს მხნეობა და ნაკისრ საქმის სასურველად დაგვირგვინება. სწამდეს ამ პატარა ჯგუფს მასწავლებლებისას, რომ მთელი სასალხო მასწავლებლობა მზადაა და სულიერად შეკავშირებულია მათ მოქმედებასთან, რათა გვერდში ამოუდგეს მათ საჭიროების დროს.

სტ. ნიკ—ლი.

გრ. ორბელიანი და მისი პოეზია.

მისი პოეზიის კრიტიკული განხილვა.

(დასასრული) *)

როდესაც დაკვირებით გადაიკითხავთ გრ. ორბელიანის ლექსებს, ის ჭკვარემოება დაგეფიქრებთ, რომ ამ ბოეტურ ღრმა ნიჭით დაგვირგვინებულმა მგოსანმა მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შესწირა სულ სამიოდე ათეულს ლექსს, რომელთ მოთავსება შესაძლოა ერთს ბატარა წიგნაკში... ამ ლექსთა უმეტესი ნაწილი ესრედ წოდებულ უბადლებულ სიყვარულს შეეხება და არავითარი საღმზრდელოო და საესოეთიკო მნიშვნელობა არ აქვს... შეგნებულ ქართველს, როდესაც ამ სიყვარულის ლექსებს ჭკითხულობ, გული გიკვდება იმის გამო, რომ ზეგარდმო მადლით ცხებული მგოსანი დროს ჭკარგავდა სიყვარულის შესახებ ლექსების წერაში... მთელი ორმოცდა ათი წელი მეცხრამეტე საუკუნეში ქართველმა გაატარა თითქმის უსარგებლოდ, ვერაფერი შესძინა თვის არსებობას. ვერ შექმნა რაიმე საზოგადოებრივი მაცოცხლებელი ჭაზრი, რომელსაც შეძლებოდა მთელი შეგნებული ჯგუფის ამოძრავება, საბედისწერო გატაცება...

გრ. ორბელიანის ლექსებს რომ მისი სიყვარულის ლექსები გამოვაკლოთ, მივიღებთ სულ ხუთ-ექვს ლექსს, რომელთ გარჩევა ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, როგორც რომანტიული მიმართულების ნიმუშებისა, რომლებშიც გამოსჭვრივს რამდენადმე ორმოციან წლების ქართველთა სულისკვეთება...

ცნობილს 1832 წლის მოძრაობაში გრ. ორბელიანმა მაინც და მაინც მხურვალე მონაწილეობა არ მიიღო, მაგრამ სასჯელი მაინც ხვდა, თუმცა არა მძიმე, იმის გამო, რომ სთარგმნა ცნობილი რიდლეევის: „Исповѣдь Наливайки“, რომელშიც გატარებულია თავისუფალი აზრები სახელმწიფოებრივ და

*) იხილე „განათლება“ № № 8—9.

საზოგადოებრივ საკითხების შესახებ... ის სასამართლოს გადაწყვეტილებით მეტეხის ციხეში დამწყვდიეს... სწორედ დედა მაშინ გარდაეცვალა... პოეტი ძლიერ დაღონდა... მაგრამ ამ დაღონებას მის ფიზიკურს არსებობაზე ცუდი გავლენა არ მოუხდენია, თუმცა ამის გამო კარგი ლექსი კი დაწერა. (მწუხარების დრო ყამნი მსწავლნი...).

გრ. ორბელიანი უპირველეს ყოვლისა რომანტიკოს-ლირიკოსი იყო. ის იმყოფებოდა, სხვათა შორის, ვ. ა. ჟუკოვსკის ზედგავლენის ქვეშ. რომანტიულ მიმართულებას საქართველოში შესაფერი ნიადაგი შეხვდა: ეს ის პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რომელშიც იმყოფებოდა ქართველი ხალხი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში... ამის გამო ქართულ რომანტიზმს, როგორც სამართლიანად შენიშნა ბატ. კიტა აბაშიძემ, შეიძლება ვუწოდოთ პოლიტიკური რომანტიზმი.

ლექსთა უმეტესი ნაწილი პოეტმა სიყვარულს უძღვნა. მან დაგვისატა სიყვარულის ხორციელი მხარე, სპარსული პოეზიის გამოგონებაზე... პოეტმა შეამჩნია სიყვარულში ის მხარეც, რომელსაც ზნეობრივი ხასიათი აქვს.

სიყვარული პოეტის აზრით,

„გვიშვენებს სიცოცხლეს
ზეციურისა სხივითა
და აღგვამაღლებს ამ სოფლით
სულისა აღმაფრენითა“.

უფრო კარგათ ასეთი სიყვარული პოეტმა გამოხატა თავის ლექსში, რომელსაც ეწოდება: „სადამო გამოსალმებისა“. სწორედ ისეთივე ჭეშმარიტ ამ ლექსში სიყვარულის შესახებ, როგორც რუსთველმა გამოთქვა შემდეგ სიტყვებში:

„საბრალოა სიყვარული:
კაცსა შეიქმს გულმოკლულად“.

პოეტი სიყვარულს დაუსრულებელ გრძნობას უწოდებს:

„სიყვარული სულის მაშენი
სიცოცხლესთანა არა დაჰშრტების“

ამისდამიუხედავად, პოეტის სიყვარულს აზის უმთავრესად ფიზიოლოგიური (ხორციელი) ბეჭედი... ,მის დამამტკიცებელი ადგილები ბლომადაა გაბნეული მის ლექსებში: (სიყვარულის ბაგება, სიტკბოების ზღვაში შთაფლვა, წუთიერი თავდავიწყება და სხვა...).

ბუნება... გრ. ორბელიანის პოეზია იმითაა შესანიშნავი, რომ შეიცავს ბუნების და მის მოვლენათა საუცხოო მხატვრულ აღწერას, რომელიც დიად შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე... პოეტი საზოგადოდ ბუნების მოტრფიალეა. მას ადიდებს, მას შეამკობს და განკვირვებული მის სიდიადით მიმართავს შემოქმედს:

„ღმერთო! ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,
მის ფერუთვალავს შვენებას:
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ბადავ ცხოვრებას!“

ბუნების დახატვაში დიდი სიძლიერე და მხატვრული ნიჭი გამოიჩინა... მისი „განთიადი“ კლასიკური (სამაგალითო) ლექსია ამ მხრით, მარგალიტია ქართულ პოეზიაში. მოვიყვანთ ამ ლექსის ზოგიერთ ადგილებს:

„ილეკა ბინდი ღამისა,
ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან,
ათასის ხმითა ფრინველნი
განთიადს მიეგებიან...
ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს
ბუნება მიძინებული!!..
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ...
არ გესმით? გალობს ბულბული.
ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს
ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჰმუნვის გამქარველს,
სიცოცხლის დამატკბობელსა!“

გრ. ორბელიანმა პირველად ქართულ სალირიკო პოეზიაში შემოიტანა ბუნების აღწერილობა, პირველად მან გამოთქვა პოეტი-

ლირიკოსის ჭაზრი კაცზე ბუნების ზედ გავლენისა და მათ შორის არსებულ დამოკიდებულების შესახებ-

მესამე საგანი, რომელსაც რომანტიზმის ზედგავლენით ბოეტი თავის ქნარს ამსახურებდა არის მამულის სიყვარული. ჯერ კიდევ 1827 წელს მან დაწერა „სადღეგრძელო“. ეს ნაწარმოები წარმოადგენს საქართველოს გადექსილ ისტორიას, სავსეა მშრალი დამაზი თვრაზებით. და მასში არაა თამამად გამოთქმული ქართველი ერის საუკეთესო შვილთა სულის კვეთება მეცხრამეტე საუკუნეში, როგორც ამას ვხედავთ ნიკ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“-ში და ანუ იდ. ჭავჭავაძის: „აჩრდილ“-ში. საუცხოოა „სადღეგრძელო“-ში მხოლოდ ბუნების აღწერა ორ-სამს ადგილს, მაგალითად, იქ, სადაც აღწერილია ბუნების ზედგავლენა სამშობლო სიყვარულის შემუშავებაში. ერთი ნაწყვეტიც „სადღეგრძელო“-ში მამულის შესახებ, ერთი საუცხოო მარგალიტთაგანია ქართულს ბოეზიაში. მისი მამულის სიყვარული ძველ ქართველი გმირ-თავადის სიყვარულია, ბაძანაშალვა-ელიზბარისებური, უანგარო, თავგაწირული! უშიშარი... ბოეტი მამულს ეუბნება:

„ვინ ვიხილოს დროსა საშიშს
არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დაიკლას თავი თვისი
შენს დიდებად ვითა მსხვერპლი?!
სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა,
ერი გულადი, პურადი,
მებრძოლე შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა!“

ქართველების მამულისადმი სიყვარული და მათი შავბედთან ბრძოლა, საზოგადო ისტორიული, თვალსაზრისით მართალია, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ოცდამეათე წლებში ამ სიყვარულს და ბრძოლას სხვა ხასიათი და მიმართულება ჰქონდა. ამ სიყვარულს თან სდევდა უფრო კაბინეტური ხასიათი, ის მოკლებული იყო იმ ცხოველ გამოსტულებას, რომელშიც უნდა ჩამოყალიბდეს ნამდვილი სიყვარული... ეს სიყვარული უფრო ფიზიოლოგიური იყო. მას სიცხოველე, საქმიანობა, ადმაფრენა აკლდა... ქართველთა ბრძოლა კი იმყამად მიმართული იყო რუსთა სახელის გადიდებისადმი. ამის გულისთვის ქართველნი ებრძოდნენ პირდაპირ და ხან რუსთა ჯარს წინ, გზის მაჩვენებლებად მიუძღოდნენ სხვა და სხვა მეზობელ ხალხის მიწა-წყლის დასაპყრობად... ამას ქართულად „ჯავრის ამოურას“ ეძახდნენ... სამწუხაროდ, მაშინდელ ქართველებს (მათ შორის თვით დიდებულ მგოსანს ნიკ. ბარათაშვილს) ეს ბრძოლა მეზობელთა დასაჩაგრავად სასახელოდ მიაჩნდათ... ეს გარემოება მაჩვენებელია იმისი, რომ ქართველთ მოწინავე პირები მოკლებულნი იყვნენ იმ დროს ვრცელ სოფლმხედველობასს; ოღონდ საქართველო გაბედნიერებულიყო,—საქართველო ფეოდალური, შებოჭილებული ბატონყმური ჯაჭვით, საქართველო, რომლის მკვიდრთ უმეტესობას,—გლეხობას მძიმე უღლისქვეშ სული ხდებოდა...

„სადღეგრძელო“ თავდება რუსთა ხელმწიფის ნიკოლოზ პირველის შექებით... დაიწყო მგოსანმა ფარნაოზ მეფიდამ და დასამთავრა ნიკოლოზ ხელმწიფით. აი როგორ მიმართავს ბოეტი ამ ხელმწიფეს:

„ძველი ივერი,
შენი ივერი,
შენდა მომართავს თვალსა და გულსა;
შენგან მოელის,
რომ სწავლის ლამპარს
კვალად აღუნთებ ძველად გამქრალსა.
შენგან მოელის,

ვით გაზაფხულის
ყვავილი მისგან აღმოცენასა!
განახლებული
განათლებული
ფენიქსებრ იწყებს აღმაფრენასა! და სხ...

სხვათა შორის შეთხოვს ხელმწიფეს ნიკოლოზს პირველს:

თამარის დღენი
დიდების დღენი
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!...

როგორც ვიცით, საქართველოს რუსეთთან შეერთება მოხდა უმთავრესად თავად-აზნაურობის მცადინობათა მეოხებით... ეს წოდება დაუძლურდა მის წევრთა ურთიერთ შორის და კარეშე მტრებთანაც ხანგრძლივი ბრძოლით და მოინდომა რუსეთთან შეერთება, რათა რუსთა მებატონე-თეოდალებთან შეკავშირებით თვით წელში გამაგრებულიეო, სამშობლოდ გამოეხსნა ტანჯვათაგან და უფრო თვართო მოედანი გამოსჩენოდა თვისი არსებობის გასამტკიცებლად. მთავრობაც, პირველ ხანად მაინც, ქართველ თავად-აზნაურობას ერთგული სამსახურისთვის თვის მოწეალებს არ აკლებდა... ქართველი მოწინავე ინტელიგენცია, რომლის წევრთა რიცხვი მცირე იეო, მეორმოცე წლებში საქართველოს რესეთთან შეერთების ზოგიერთ ზედაპირულს, საკეთილო მხარეს ამჩნევდა და ამ მოვლენას სიდრმეს არ უშინჯავდა... ამის მეოხებით ამ შეერთებას საქართველოსთვის დიადად სასარგებლოდ სთვლიდა, აი ეს მხარეებიც ა) საქართველო, წინად დანაწილებული, გაერთდა, თუმცა ეს გაერთება იეო უფრო გარეგნული, ძაფით გადაბმული და არა სულიერი, არსებითი... ბ) დამეარდა შედარებითი მშვიდობა, რასაც შეეძლო ხელი შეეწეო, თუკი ამას ერი მოისურვებდა, მისი გონებითი და ეკონომიური განვითარებისთვის; გ) ქართველ ახალთაობას გზა გაეხსნა მეცნიერების შესაძენად რუსეთში და ევროპაში; დ) ერი გამრავლების გზას დადგა; ე) ქრისტიანობის სვე-ბედი უზრუნველ ეოფილ იქმნა და სხვა... ეოველივე ამასთან ერთად პოეტს გრ. ორბელიანს და ბევრს მაშინდელ ქართველს სჯეროდა, რომ საქართველოში, მისი მეზობელი ქვეყნების რუსთაგან დაპეურობის შემდეგ, აღდგენილ იქნებოდა მეფობა იმ სახით, რა სახითაც ირაკლი მეფეს ჰქონდა რუსეთთან შეკრული წერილობითი პირობა (1783 წ.). სჯეროდათ, რომ საქართველოს კვლავ დაუბრუნდებოდა „თამარის დღენი, დიდების დღენი!“ თავად-აზნაურობა თვისი ერთგულებისთვის რუსთა მიმართ, მათგან მოითხოვდა ქართული ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველეოფას (ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი და სხ.), რეალური პოლიტიკა მაშინდელი თავად-აზნაურობისა გამოიხატებოდა იმ მისწრაფებაში, რომ ქართული ეროვნული კულტურა გაფურჩქვნილიეო რუსთა ხელმწიფის მფარველობის ქვეშე. შესაძლოა ეს ჭაზრიც ჰქონდეს სახეში გრ. ორბელიანს, როდესაც რუსთ ხელმწიფეს სთხოვს:

„თამარის დღენი,
დიდების დღენი
შენ დაუბრუნე შენსა ივერსა!“...

ეგებ პოეტს სასეში აქვს იხილოს ისეთი ძალეში აღეფენა კულტურისა, როგორიც იეო მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს... ქართველ თავად—პოეტს, დიდი იმედი აქვსთ სწავლა-განათლებისა... გულ დამწყვარნი საქართველოს შვ-ბედით მას ეპოტინებიან, მას ებდაუჭებიან, რადგან მასში და მხოლოდ მასში ხედვენ ქართველების აღორძინების და მომავალი ბედნიერების ერთადერთ საამედო საფასარს. სწავლა-განათლების გაძლიერებას ხელს შეუწყობს ის მშვიდობანი დრო, რომელიც რუსთა ხელმწიფემ დაამყარა ჩვენში (იხ. არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი, წიგნი მეხუთე, გვ. 16). თავად-

პოეტის აზრი სწავლა განათლების შეძენის საჭიროების შესახებ ქართველთათვის მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მომავალი ბედის გამოსაჭედად ჭეშმარიტებაა.

მესამე მუხლში პოეტი შეეხება მეგობრობის გრძნობას. აქვე მოუკავს თვისი აზრი სიცოცხლის მიზნის შესახებ... მისი დეკსი: „რა არის ჩვენი სიცოცხლეს“ სათაურით წარმოადგენს მშრალს დარიგებას ადამიანის დანიშნულების შესახებ. კეთილი საქმე, დაცემულის ნუგეშის ცემა, სიმართლის მფარველობა, სხვისი კვნესა-ტკივილის შესმენა და სხვა ამისი მსგავსი რამეები ადამიანმა კატეხიზმოდამაც იცის. მაგრამ ესევე დეკსი თავდება მშვენიერი სტრიქონებით, რომელთ დაწერა 1827 წელს სასიამოვნო მოგდენად უნდა დაისახოს. აი ეს სტრიქონებიც:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანის ცემა დირსებასნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას.
კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მაღლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული!“

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამისი მსგავსი ჭაზრები ძველად იყო ჩვენში, თუნდა ამ სახით:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა;
თუ კაცი თვით არ ვარგა,
ცუდია გვარი შვილობა!“

რომანტიკოსები მამულის სიყვარულის გასაძღიერებლად ისტორიას მიმართავდნენ ხოდმე და იქიდამ უჩვენებდნენ სამშობლოს და ერისთვის თავდადებულ გმირთა ტიპებს. ამით მათ სურდათ თანამედროვე ხალხში ადენთოთ მამულის სიყვარულის ცეცხლი და მის სასარგებლოდ თავგანწირულების დიადის გრძნობით გაემსჭვალათ. გრიგოლ ორბელიანმა ამ საშუალებას მიმართა, მაგრამ პირველ ხანად რიგიანად კი ვერ შესრულა თავისი გულის წადილი, მან ვერ მოახერხა პოემის დაწერა და მხოლოდ ისტორიული ამბები გადექსა. იმ ხანად, 1827 წ., პოეტს სამშობლოს სიყვარული გამორკვეული არ ჰქონდა... იმას გარკვევით არ ესმოდა სამშობლოს თანამედროვე მდგომარეობა; ის კი იცოდა, რომ საქართველოში აქა-იქ გაისმოდა ხმები თვისი მდგომარეობის უკმაყოფილებისა ქართველთა შორის, ისახებოდა რადაც მოძრაობა, რომელსაც ეროვნული ელფერი მიეცემოდა მომავალში. მან ხელი მიჰყო წარსულის ქება-დიდებას, წარსული აწმყოსთან გადაბა და, სინამდვილის მიუხედავად, ქართველთა თანამედროვე ბედი იმ ხანად ფერად საიმედოდ დასახა... მაგრამ თავისს დეკსში: „იარალის“-ში, რომელიც 1832 წელს დასწერ პოეტს უფრო გარკვეული აქვს მამულის ვარული. დეკსის პირველს ნაწილში ადწერილია ქართული ლხინი მწვანე ველზე მთელ მისის კუთვნილებით. პოეტს ეს ლხინი არ მიაჩნია უბრალო დროს გასატარებელს გასართობად... მასთან უნდა იყოს შეერთებული ძველებურად სასარგებლო საუბარი საქართველოს წარსულის დიდების შესახებ. პოეტს ენატრებოდა, რომ მას იარაღი მოუპრობდეს,

„თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გმირნი
ჰბრძოდენ, სცხოვრობდენ დროსა წარსულსა...“

„დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე
თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად,
როს ერთგულება, სარწმუნოება,
ივერთ თვისებას შეადგინებდა;
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდა“.

შემდეგ აღწერილია ჯირითობა, ეს საუკე-

თესო „სპორტთაგანი“, რომელიც ხელს უწყობდა ქართველთა ფიზიკურს განვითარებას... იარალს, მოხუცებულს 1832 წელში, ირაკლი მეფეც ესროლებოდა და იმის დროის მომწყრე იქნებოდა. ბოეტს სურს, რომ იარალიმ უამბოს მას, თუ მეფე ერეკლე როგორ უცქერდა ჯირითს, შეერთებულს ვაჟკაცობასთან, —ის ერეკლე მეფე,

„ვინცა ეწერა დიდება სახეს,
ვინცა არლა არს, ვისთვისაც ვსტირით“.

ბოეტის დროინდელი ქართველობა დაძაბუნებულია; დალაჩრებულია, დაძინებულია, თითქოს თავს გეშაპი დასწოლოდეს... საქართველოს კამდვიძებელი და მხსნელი გმირი არსად სჩანს...

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწას დასცემდეს?

ბოეტი საქართველოს წარსულს სანუტარად სთვლის და რადგანაც იცის, რომ ეს ნეტარი წარსული ადარ კუმეორდება, „მოთქმით და ჯმუნვით ნადველს იქარგვებს“... ბოეტი უკან მისტირის წარსულს...

„წარსულთა ლოთა, დიდების დროთა
ყოველი კეთილი თანა წარიღეს“.

მაშ ბოეტს მადე შეუგნია „სადღეგრძელოს“ დაწერიდამ (1827 წ.) სულ ხუთის წლის შემდეგ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის ზოგიერთი უარეოფითი მხარეები... ალბად, ბოეტმა ამ ხანებში კამოსცადა საგრძნობი უსიამოვნება როგორც ქართველი ტომის შვილმა, როგორც ქართველმა...

1832 წლის შეთქმულობის მეთაურნი და მცოდნენი, როგორც ვიცით, სხვა და სხვა გვარად დაისჯნენ, და მათ შორის დაისჯა გრიგოლ ორბელიანიც... მაგრამ ბოეტი ამ წლის შემდეგ კარიერამ და ომებმა კაიტაცა. სიმამაცის მოტრფიალე ბოეტი ომებში იყო გაროული. მესამოცე წლების მოდვაწეებს ველარ ამოუდგებოდა გვერდში, ვინაიდგან ესენი ახალი ცხოვრებისთვის უფრო მომზადებულნი იყვნენ, სანამ იგი; მესამოცე წლების მოდვაწეები მას უკიეინებდენ დაუდეგრობას, სიზარმაცეს, უკან ჩამორჩენილობას; მათთვის თითქოს დიმარხა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც კარგა ხანია სალიტერატურო სარბიელს ჩამოშორებული იყო. პირველ ხანად იმან ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა მესამოცე წლების მოდვაწეებს, რომელთაც ფუქსავატობას სწამებდა. ის ვერ შერიგებოდა იმ ჭაზრს, რომ შეიძლებოდა სამშობლოსთვის ეზრუნა არა თავადსაც, არა სამხედრო კაცს, არა ჩინიანს. ის ძველ ბატონყმურ რეჟიმის ქვეშ იყო აღზრდილი და სურდა საქართველო ისევ ფეოდალური ქვეყანა ყოფილიყო... ახალმა მწერლებმა (გიორგი ერისთავი, ჭონქაძე; ალია, აკაკი, გიორგი წერეთელი) დაიწყეს თვისი ქვეყნის ავის ძაგება, შეეხენ მამა-პაპათა ცრუმორწმუნეობას, მათს ბედოვლათ ცხოვრებას, ძველი მწერლების მართლწერას და ენის ზოგიერთ ფორმებს. ამ კარემოებამ მეტად გაბრაზა მოხუცი ბოეტი, რომელიც წინანდელი მწერლობის ერთი მესვეურთაგან იყო... მისი მეთაურობით მაშინდელმა ქართველმა რეტროგრადებმა (უკანსკვის მოსურნეებმა) სასტიკი ომი გამოუცხადეს ახალრიობას.

ბლატონ იოსელიანი სწუხდა, რომ მთავრობა ახალთაობის ალაგმვას არ სცდილობდა. გრ. ორბელიანს ეჯავრებოდა ყოველივე ახალი ჭაზრი, ამაში გამოიხატებოდა მისი ძველი, დინჯი, კონიერულ-კონსერვატული ბუნება... მას და რამდენსამე სხვას სწეინდათ, რომ ქართული მწერლობიდამ აძევებდნენ „უ“-ს ბრჯვუანს და ზოგიერთ მეტს ასოებს. ამას ძველის მოტრფიალენი სამშობლოს ალალტად სთვლიდნენ. ასეთნი არ იყვნენ სხვა

ძველი მოღვაწეები: ალ. და ვახტ. ორბელიანები, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ციციანი და სხვანი... ძველის მოტრფიალეებს არავერად ეწყინებოდათ, რომ სალიტერატურო სარბიელზე გამოვიდნენ: ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი... ესენი ლენერლები არ იყვნენ. ამ ნიადაგზე გაჩნდა უკმაყოფილება, რომელმაც გამოიწვია ბრძოლა ძველისა და ახლის შორის. ეს ბრძოლა იყო სასტიკი და შეუბრალებელი... სიქმე ასეა. „ცისკარ“-მა მესამოცე წლებში აღძრა საკითხი ქართულ სამწერლო ენის შესახებ (ლავრ. არდაზიანის, ნიკ. ბერძენოვის, ალ. ორბელიანის წერილები). უკანასკნელმა აღძრა საკითხი შემოკლებულ-სწორ-ქართულ გრამატიკის შედგენის შესახებ... კამათში მონაწილეობა მიიღო მეისტორიემ დიმ. ბაქრაძემ, რომელიც უარყოფდა გრამატიკის შესწავლის საჭიროებას. არჩილ ჯორჯაძე ამ საკითხის შესახებ სწერს შემდეგს: „ცისკრის“ თანამშრომლები აღმოჩნდნენ მოუმზადებელი ამ საკითხის გადაწყვეტაში. ენის შესახებ კამათს დაუკავშირდა ძველ და ახალ თაობის შეტაკებაც, „შვილების“ და „მამების“ დაძგერება, რომელიც გამოცხადდა ლიტერატურულ ნიადაგზე... ამ გარემოებას მოჰყვა ის მათ საოფლმხედველობათა შორის არსებული განსხვავების სიღრმე და სიგანე... ძველ ქართველთა გვერდით გამოჩნდნენ ახალი ქართველები, რომელთაც შეიტანეს ქართულ მწერლობაში არა თუ მხოლოდ ახალი ქართული ენა, არამედ ახალი ჭეშმარიტი, ახალი გრძნობა, ახალი იდეალები. ორი თაობის ბრძოლა 1861—1862 წლებში სწარმოებდა ვრთადერთ ქართულ ჟურნალის: „ცისკრის“ ჭერქვეშ, რადგან იმ ალრეს ახალთაობას სხვა ორგანო არ მოეპოებოდა. მაგრამ, როდესაც დაარსდა მეორე ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, მაშინ ახალთაობამ ბურთი და მოედანი ამ უკანასკნელ გამოცემაში გადმოიტანა... აქედან იწყება თაობათა ნამდვილი ბრძოლა, საზოგადოებრივ-კულტურული შეხედა-შეჯახება... პირველად ხმა ქართული ასოების შესახებ იღეა ჭავჭავაძემ ამოიდო. ასოები: უ (ბრჯკუანი) უ, ჲ, ჳ და სხვანი მეტად ჩათვალა. წინააღმდეგობა ამას გარდა თანამედროვე ტრუ პოეტებს, რომელთ ლექსებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქედან იწყება ამხედრება ახალთაობის მიმართ მამების მხრით. უკანასკნელნი არავითარ ლონისძიებას არ ერიდებოდნენ ახალ მწერლების სახელის დასამცირებლად... განსაკუთრებით წინააღმდეგნენ ძველის ბოტრფიალენი იმ გარემოებას, რომ ახალთაობის მწერლები თხოულობდენ სამწერლო ენის ხალხის სასაუბრო ენასთან დაახლოებას. ძველებს არ ესმოდათ, რომ მესამოცე წლებიდან ქართულ საზოგადოებაში ახალი აზროვნება ჩაისახა, და რომ ამ ახალი აზროვნობისთვის საჭიროა შეიქმნა ახალი თეორია, ახალი ენა... ძველი ეამმოჯმუდი სხოლასტიკა შეება ახალი თავისუფალ აზროვნობას, ძველი არისტოკრატული სოფლმხედველობა ახალ დემოკრატულ სოფლმხედველობას, და ამ ნიადაგზე აფრიალდა დროშა საქართველოს სახის და ვინაობის გამორკვევისა (არჩილ ჯორჯაძე). ახალთაობა ამ ბრძოლას არ შეუშინდა და ნელის და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა მოშავლისკენ,—მსჯელობდნენ და არკვევდნენ სხვა და სხვა საკითხს. ისინი იმ აზრს ადიარებდნენ, რომ „მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფით უნდა სარგებლობდეს არა მარტო პრივილეგიით აღჭურვილი საზოგადოება, არამედ ხალხიც“, ის ხალხი, რომლის შესახებ ილიამ ბრძანა: „ჩვენ უნდა მივცეთ მოშავალ ხალხს“... და სწორედ ამ ხალხის გამოსაფხიზლებლად და განათლებიერებლად მუშაობდა ახალთაობა... და ეს მუშაობა არ მოსწონდათ იმათ, ვისთვისაც კეთილშობილური ჩამომავლობა, ხარისხი და ჯამაგირი—

სანუკვარ საკანს შეადგენდა. კულტურული ბრძოლა, აზრთა შეჯახება სწარმოებდა 1860 წლიდამ 1870 წლამდის თითქმის ყოველ წელს...

1870 წ. საქართველოს ეწვია ხელმწიფე ალექსანდრე მეორე. ხალხს უნდოდა მისთვის მიერთმია წერილობითი მიმართვა (ადრესი) და ეთხოვა თბილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსება. ძველებმა: პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა და სხვებმა ახლებს არ დაუჯერეს. ამათგან მიიმხრეს ბეს. დოდობერიძე და ითხოვეს უმაღლეს სასწავლებლის მაგიერ საკადეტო კორპუსის დაარსება... ამ გარემოებამ აადელვა ახალგაზდა მწერლები ძველთა წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძემ პირდაპირ სთქვა თავის ლექსში გრ. ორბელიანის შესახებ, რომ „მას ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ჰკიდიაო“. ამ შენიშვნამ გააბრაზა ლესერალი პოეტი და ამის გაშო დასწერა ცხარე ლექსი, რომელსაც აქ მოგვიყვანთ ბ. ა. წულაძის რედაქციით (იხ. „ახალი აზრი“ № 138, 1914 წ.).

„კოლო ბუზებო, ლიბერალებო,
ჭკუით გლახებო, პატრიოტებო!
გზა დაკარგულნო, წყალ წაღებულნო
კატის კნუტებო, საიდამ ჰკნავით!
მოვლეთ რუსეთი და საფრანგეთი
მობრძანდით ისევ უანბანონი?!
ვირი წავიდა, ვირი მოვიდა,
კაცად ვერ იქცა თვით ქაბის *) მადლით
თუშნი, ოსები, ფილოსოფები,
ფინანსისტები, ვიშ ნეტარებავ!
გოგრა ცალიერ, ჯიბე ცალიერ
მილიონებზე მაღლა მყვირალნო,
მსხვილ ბეკიანსა **) ნახშირიანსა
ბარგი აჰკიდეთ, გაგზავნეთ მთაში,
ულონოებო, უსაქმურებო,
საქართველოსთვის დიდო მზრუნველნო.
ის ლიბერალი ბურთივით მრგვალი, ***)
ზნეობის მცველი ამას ჰქადაგებს:
„ლოცვა რათ გვინდა? ღმერთი რათ
გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი.
ჩხირ პაიკებო, ცრუ პოეტებო,
თქვე ჯაგლაგებო, ჟურნალისტებო,
არც რუს-ფრანგები არც ინგლისები,
არც ქართველები. მაშ ვინა ჰყრიხართ?
თქვენ უსწავლელნო ცრუ რუსთაველნო,
რათ წაგვიბილწეთ ენა მდიდარი?!
ენა მაღალი, მის სიღრმე-ძალი
წახდა თქვენ ხელში უწმინდურ ჯიჯგნით.
მტრობა ენისა არს მტრობა ქვეყნის,
ჩირქი რათ წასცხეთ ტაძარსა წმინდას!
სულითა სუსტნი, სწავლითა სუსტნი
სუსტნი ღონითა, რის ხართ მომქმედნი?
რა ბრძოლის ცეცხლი ასტყდეს ფიცხელი
ხმლისა კრიალით, ძველის ყიჟინით
თქვენ ქაჩუებო, ჭიანჭველებო,
ხელს ბაირალით ვერ დასცეთ ყარსი!
თქვენში ვტრიალებ, თქვენში ვღრიალებ
გულით-კი ვწუხვარ თქვენს უნიჭობას!
ვაი საბრალოს, ჩვენს საქართველოს
თქვენ დაებადეთ მათ სადიდებლად!
თქვენ არ შეკრთებით ამა სიტყვებით
ბევრი მოვიდნენ თქვენისთანები
კოლო-ბუზები, ლიბერალები,
რიონელები *), გოგიტელები **).

ამ „შვიდებთ ბასუხში“, როგორც დაბეჭდილია პოეტის ლექსთა კრებულში ერთი შესანიშნავი ადგილია, რომელიც თვით ლექსის შინაარსიდამ დამოუკიდებლად მეტად ჭკვიანს აზროვანია:

„ერის ცხოვრება,
მისი დიდება

*) მაჰმადიანთა სალოცავი ადგილია.
**) იგულისხმება ილია ჭავჭავაძე.

***) აქაც ილია იგულისხმება.
*) ს. მესხი, მიძელაძე (მეველე), ნიკოლაძე...
**) გ. წერეთელი.

მის ისტორია დაცულ არს ენით,..
რა ენა წარხდეს.
ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი
ტაძარსა წმინდას!

ამ დექსმა გამოიწვია თავის მხრით პასუხი დექსითვე; ცნობილია აკაკის სპასუხო დექსი: „იარანალ ხარაბუზას *)... მანვე დასწერა სხვაგვარ თქმულებითი (ალეგორიული) სატირა პოეტის შესახებ სათაურით: „ფარშავანგი“, რომელიც ასე თავდება:

„გვასწავლეთ საით გაფრინდა
ის ჩიტი ღვთით მადლიანი
და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი ორბელიანი“!

ეოგელიეე ეს მაჩვენებელია იმ აზრისა, რომ ქართულ ინტელიგენციის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ფსიხოლოგიურ-სოციალურ მოვლენას, რომელსაც ეწოდება თაობათა ბრძოლა.., და ეს ბრძოლა ეოგელგან ახალ იდეათა, ახალ მოდგაწეთა გამარჯვებით თავდება... საქართველოშიც ასე მოხდა... უპირველეს ეოგლისა გრ. ორბ—ის გამოდაპირაკებას ახალთაობის წინააღმდეგ ფსიხოლოგიური, სულის მეცნიერებითი თვალსაზრისით უნდა შევხედოთ. ჩვენ კარგად გვესმის იმ გვამის გაბოროტება, რომელსაც დღემდის (1870 წ.) დიდ პატივს სცემდნენ, თიქთმის ადმერთებდნენ, და დღეს კი ადრინდელი პატივი აუხდა... იმ ჭასკში, რომელიც პოეტს ჰქონდა სამოცდა მეათე წლებში (თითქმის 70 წლისას) ზეეულებრივია გადამეტებითი თავ-მოეგვარეობა, თითქმის სიკაპასე... გაბრაზება... პოეტის სულიერ ტანჯვას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ ფეოდალური წეს-წეობილება, რომელთანაც იეო შესისხლხორცებული პოეტის არსება, რომელსაც თვლიდა საქართველოს მთლიანობის და ვინაობის დამცველ წესწეობილებად, მის თვალთა წინაშე ბოლო ედებოდა. თავად--ზნაურობა კი, ეს ძველი სიამაყე საქართველოისა, ავად თუ კარგად მისი დამცველ-პატრონი, გადაშენების გზას იეო დამდგარი, როგორც ცალკე წოდება. სამხედრო-სამსახურს, ვაჭკაცობას, ხმალ-თოფს, ომს ქართველთა შორის ფასი დაეკარგა... ჭეშმარიტად, თვით პოეტისა არ იეოს,

„დრო შეიცვალა:
გამეფდა სწავლა.

მწერლობამ, თუმცა არა თამამად, კანტიკუნტად ხმა აპოიდო შრომის თავისუფლების, გლეხის და მუშის შესახებ... მოისპო ბატონ-ყმობა, რომელიც სამარეს უთხრიდა ქართველი გლეხის ადამიანობას და ქართველ ერის წარმატებას აფერხებდა... მოჭბერა ახალმა სიიომ საქართველოს ნამდვილი ერთობისამ, რომლის ფერხულში თავადაზნაურებთან ერთად გლეხნიც მიიღებდენ შემდეგში მონაწილეობას... ამერ-იმერეთი ნამდვილი სულიერი ერთობის გზას დაადგა, როდესაც იმერთა შვილებმა ხელი მოჭიდეს შრომას ქართული ლიტერატურის და ბრესის გასამდიდრებლად... ,,აკაკიები, რიონელები, გოგიტელები'', რომელთ გრიგოლ ორბელიანი არასაკადრისად იხსენიებდა, იმერთა შვილნი იეენენ... კალამს ემსახურებოდა გლეხის შვილიც კი თავადიშვილებთან ერთად... ხალხმა ძველი კერპები უარეეო, ახალი კერპები გაიჩინა, ამათ სცემდა თაყვანს, ამათ გუნდრუკს უკმევდა... პოეტმა იგრძნო თვისი თავი სიძველეთ საცავის ნივთად. ახალგათქმულმა გმირმა—პოეტმა ახალთაობას უკიეინა სიდაჩრე, სიმხთალე, ფუქსავატობა, უსაქმურობა, არარაობა, ესე იგი ნაკლულევანებანი, რომლებშიაც ბრალი ძველ თაობას მიუძღოდა... (იხ. ილია ჭავჭავაძის დექსი: ,,რა ვაკეთეთ, რას გეშვრებოდით?'') თავის

*) მოვიყვანთ აკაკის შესახებ ჩვენს კრიტიკულ წერილში.

დროის შესაფერი საქმის უნარი, ახალ აზრთა ხალხში გავრცელების ნიჭი, ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ხალხის გამოფხიზლება, ქვეყნის სასარგებლო სხვა და სხვა დაწესებულების დაარსება, ეროვნულივე ეს ახალთაობის საქმე იყო ჩვენს ცხოვრებაში... ზოგიერთს იმათგანს გრიგოლ ორბელიანიც თანაუგრძნობდა... ახალთაობა შეუდგა საქართველოს ნამდვილი ვითარების გამოარკვევას, შეიგნო მისი აწმყო და წინასწარ იგრძნო მისი მყობადის ავი და კარგი, გაიგო მისი ცუდ მდგომარეობის მიზეზები და, რამდენადაც შეეძლო, შეებრძოლა დამჩაგვრელ პირობებს მშვიდ კულტურულ საშუალებით, კურთხეულ კალმის წვერით. მას ჰქონდა მოქმედების რამდენადმე გამორკვეული პროგრამა, იცოდა ვის და რას ემსახურებოდა. ახალთაობა შეუძლებელი, მოუხერხებელ მყობადის შესახებ არ ოცნებობდა, წარსულს აღარ მისტიროდა უკან; მან ,,მოიკლა წარსულის დროებაზე დარდი'' და დაიწყო მუშაობა ხალხისთვის ახალი მომავლის მიცემის შესახებ... პოეტს ბევრი რამ არ მოსწონდა ახალ თაობის ცხოვრებიდან, მაგრამ გრძნობდა რომ ,,შვილნი გაიმარჯვებენ''... მას მეტად სურდა, რომ ახალთაობას ხელი გამოეღო სამშობლოს აღსადგენად, მაგრამ თანაც კარგად იცოდა, რომ ეს მას არ შეეძლო... გარჩეულს დექსში, მაშასადამე, გამოთქმულია მწარე სევდა ნახევრად პატივახდილი მოდგაწისა. ის გაჟღენთილია იმ სამგლოვარო ხმით, რომლითაც ოვით პოეტი წესს უგებს ძველ ჭაზრებს და სოფლმხედველობას და შავ სამარემდის აცილებს. ეს დექსი აწმყოში გავლენით უძლურის, მაგრამ წარსულში გავლენიანი მოხუცის წუევლა და კრულვა, რომელიც წარმოდინარეობს მის სამშობლოს წრფელად მოყვარულ გულის სიღრმიდგან... მით უფრო სასიმოვნოა, რაც ძალიერია ეს წუევლა-კრულვა, რომელსაც საზოგადოებრივობის ბეჭედი ახის და კერძოობას განშორებულია. ის ამტკიცებს ახალ აზრთა და ახალ სოფლმხედველობის ძალვა მოსიდობას და ძველი აზრების და სოფლმხედველობის განქარვებას... ამ დექსში (როგორც ვთქვით) კლასიკური აზრია ენის წაბილწვის საშიშროების შესახებ... (,,რა ენა წახდეს''...) ამ აზრს არ შეეძლო არ გაეფერთხილებია ახალი მწერლები, რომელნიც ზოგიერთს შემთხვევაში ენის სიწმინდეს დალატობენ... მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველომ დაჭკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, დაშრა ყველა ის წყარო, რომელნიც ასაზრდოებდენ ქართულ ეროვნულ გრძნობას, აზრსა და ენას. შეწყდა საშეცნიერო ენის ზრდა-განვითარება, რაიც იქიდამ წარმოსდგება, რომ ქართველი ახალთაობა მეცნიერებას უცხო ენაზე ითვისებდა... არ იყო საშეცნიერო ტერმინების ქართულად ცოდნა. მოსპობილი იყო ენა იერიდიული, ენა ხელოვნებისა, ენა ნამდვილ ორიგინალურ სიტყვა-კაზმულ მწერლობისა. ქართული ენა გადასცდა ძველ სტილს და ახალი სტილიც მოსწონი არ იყო: ვისაც როგორ უნდოდა, ისე სწერდა... სხვადა სხვა სტილი ჭქონდათ ქართველ მწერლებს: ილიას, აკაკის, ნიკ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ს. მეხუს, ანტ. ფურცელაძეს... არ იყო ერთი მტკიცე შემუშავებული სტილი, რომელიც წარსულმა გადმოგვცა. მყარდებოდა ქართულ-რუსული ენა, ერთმანეთში შერეული, ენა ირეკვნებოდა, როგორც ინტელიგენციასა, ისე ხალხში... ერთი სიტყვით, დიდი სიფრთხილით უნდა მოექცეს ერი თავის ენას; რომ ის არ შეიბღალოს, არ წახდეს... ის უნდა სცდილობდეს მის შესწავლას, მას ახუსად არავინ უნდა იგდებდეს, სცდილობდეს შექმნას ისეთი განმავითარებელ საზოგადოებრივი კულტურული ორგანოები, რომელთაც შეეძლებათ ასაზრდოვონ ენა, მუდამ ცოცხალჰყონ იგი...

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (1877 წ.) ამ ლექსს ჩვენ ვსთვლით პოეტის ლექსთა შორის სამაგალითო ლექსად. ის მაშინაა დაწერილი, როდესაც გრიგოლ ორბელიანის მიერ ერთს დროს დაწუნებულმა მწერლებმა რამდენადმე გამოარკვიეს საზოგადოებრივი იდეალები, გამოამზევეს საერთო კვნესა, ეროვნული ავ-კარგი... ამ გარემოებამ იმოქმედა ზეგარდმო მადლით ცხებულ მხცოვან პოეტზე, რომლის გული გამსჭვალული იყო მამულის სიყვარულის გრძნობით. ოთხმოც წელს მიხწეულმა მხცოვანმა მგოსანმა საუცხოოდ აუღერა თვისი ქნარის სიმები და მას გამოათქმევინა ქართველი ერის გულის მომწყვლელი კაეშნის ხმები. შეუდარებელია მხცოვანი მგოსანი ამ ლექსში თვისი აღმაფრენით... სჩანს, ბოლო დროს, თვისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შეიგნო საბოლოოდ ქართველთა ცხოვრების მწარე ჭეშმარიტება... მას ესმოდა ქართველი ერის ქართული ენის არაფრად ჩაგდების ამბავი იმათგან, რომელთ გაძღიერებას თავ-განწირულად ემსახურებოდა... ამას თვისი იმედები გაუცრუვდა... მოტეუებული დარჩა... რაც დრო და ხანი გადიოდა და ქართველთა თვითცნობიერება იზრდებოდა, მით უფრო ქართველს მეტი დაბრკოლება ედობებოდა წინ განვითარების გზაზე... აი რას სწერს 1872 წ. პოეტი თავ. ლევან მელიქიშვილს: „უსმართლობა და ძალადობა მარადის ჭბადვენ უსიამოვნებასა, უგულებელსა, წყევასა და თვით ორგულებასაცა. მიკვირს, რას ერჩიან ამ საბრალოს, მორჩილს, კეთილსა და ერთგულს ერსა? სამწუხაროა კნიაზო ლევან; რომელ საუკუნეში ვცხოვრებთ?“ ესრედ პოეტს, სამშობლოს სვე-ბედით გულ გატეხილს, გული აუტირდა, როდეს იხილა დიდებულის თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში (ქალ. თბილისიდან 14 გერსტის მანძილზე)... მისი ეს ლექსი სასოწარკვეთილებითაა გაჟღენთილი... პოეტს შეუძლებლად მიაჩნია თვისი სამშობლოს საუკეთესო გმირები, თამარის დროთა კვალვ დადგომა, ძველი ფეოდალების წესწეობილების კვლავ დაბრუნება... არ აღსრულდა მისი მოლოდინი, და რადა დარჩენოდა მას, თუ არ კვლავ, ჭმუნვა... მოვუსმინოთ პოეტს, თუ რას ეუბნება სხვათა შორის თამარ დედოფალს...

ხნით დამაშვრალი,
დაღონებული
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედე ბედ-კრულს,
შენს სატრფოს მამულს
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად
შენი ივერი,
აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული...
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავ მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.
მაგრამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი
და მე ვეღარ მცნობ ბედ-შემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმა მიღებულსა
ბედ დაკარგულის ივერიის ძეს;
ეჭვით აღვსილსა,
უსასო ქმნილსა,
გულ უიმედოს, გაუხარებელს.
ვა თუ, რაც წახდეს,
ვეღარა აღჰსდგეს
ვეღარ აჰყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი?!

გაიხსენეთ 1827 წლის „სადღეგრძელო“-ში მოთავსებული ჭიმნი იმპერატორისადმი

და ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონები და შეგხვდეთ, თუ ვიფარი ძირითადი ცვლილება მოხდა მხეოვანი პოეტის სოფლმხედველობაში მაშინ, ოდეს ის „ხნით დამაშვრალი“. ეჭვით აღვსილი და უსასო ქმნილი გახდა. პოეტი გარდაიცვალა მწარე ეჭვით მოწამლული: მას თითქოს აღარ სწამდა სამშობლო ქვეყნის აღდგინება:

და „ვა თუ რაც წახდეს,
ველარა აღჰსდგეს.
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი?!

პოეტის ამ გვარს იეჭვიანობას განიცდის ქართველი შეგნებული მამულიშვილი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არ განიზიარებს პოეტის ოცნებას საქართველოს სამეფოს შესახებ... დღევანდელი ქართველი შეგნებული მამულიშვილი აღარ გლოვობს დაკარგულს წარსულს („მოიკლა წარსულ დროებაზე დარდი“) და მუშაობს სხვაგვარ ნაადგზე არსებულ პირობათა შორის საუკეთესო მომავლის მოსაპოებლად... ის წარსულს სწავლობს; რომ შეიგნოს თუ რას ემსახურებოდენ მისი ძველები, რამდენად მდიდარია ძველი ქართული მწერლობა, ხელოვნება, რა სამსახური მიუძღვის ქართველობას კაცობრიობის და ქრისტიანობის წინაშე... სურს შეიტყოს თვისი ისტორიული ღვაწლი, თვისი როლი ისტორიაში.

მუშა ბოქულაძე (1874 წ.) ამ ლექსის დაწერის 14 წლის წინ ქართველი მგოსნები შეეხენ მუშაოა ცხოვრებას და აღძრეს მეთხვეულებში მათდამი თანაგრძნობა... ლექსში ისეთი ჭვაზრებია გამოთქმული, რომელთაც იმ ხანებში ქართველი მუშა ვერ წარმოსთქვამდა: ის გათვითცნობიერებული არ იყო. ქართველი მუშის კათვითცნობიერება მოხდა 1893—1905 წლებში. ლექსში პოეტი გადმოგვცემს მუშის ტანჯვას. მასში ერთის მხრით გატარებულია მუშის სამდურავი თავისი ბედის მიმართ და მეორე მხრით, თვისი ადამიანობის შეგნება... მუშა ბოქულაძე ეკითხება მდიდარს, თუ რად უცქერის მას ასე გაკვირვებითა... მას, მუშას,

„სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა პურისა,
სჩანს, არ იცი, რომ არიან ღარიბნი,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება;
სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა,
მე ვმუშაობ, სხვები კი იმღერიან..
როგორც მოველ, ისე გავალ ამ სოფლით
სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული.
განცხრომის ძევ, ნებიერად გაზრდილო,
ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი...
თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,
შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად.
დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურობას,
რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა...
და შორით ვეზერ... კრძალვით მლოდე
წყალობის
შენ ხარ მეფე... მე ძაღლადა არ მაგდებ.

საუცხოო ჭაზრებია, რომელთ სადღეისო მნიშვნელობაც აქვს... სჩანს, პოეტმა წინასწარ აგრძნო მუშათა საკითხის ახალი ხანა და შრომის სუფევის მოახლოვება... ესეც დიდი ნაბიჯია მისს სოფლმხედველობაში... მაგრამ იმავე ლექსის მეორე ნახევარში ასეთი აზრია გატარებული, რომელიც მოხუცებულის სარწმუნოების ღრმად მოუვარულს მგოსანს შეეფერება: პოეტი ბოქულაძეს ალაპარაკებს თავის თავზე შემდეგს: „მდვდლის მოძღვრების მოსმენის მეოხებით:

„სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ ცემისა...
გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...
ვგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ,
და აღარ ვწყევ ჩემ შობის დღეს, ჩემ ბედსა..
მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,
და მას ლამეს მძინავს ისე მშვიდობით,

თითქოს ჩემს ქოხს დაფრინვენ ანგელოსნი"!

მაშ ვერ გაგვიგია, რადან უჩივის ბედს მუშა ბოქულაძე. ყოველს ფეხის გადადგმაზე შეუძლია შეხვდეს ეკლესიას და მდვდელს, რომელიც მას მოძღვრულს დარიგებას მისცემს ქრისტიანობრივი სიმშვიდის და მოთმინების შესახებ... და მასაც დაუვიწყდება თავიხი შავბედითი სიმწარე. სკამოა ორიოდე ლოცვის დაზეპირება და საქმე გაჩარხულია: ადარც სამდურავი ბედის მიმართ, არც წყევლა შობის დღისა და შავ-ბედისა. ყოველ დღეს შეუძლია მუშამ ამ საშუალებას მიმართოს და მით შრომა გაიადვილოს, გულის ჭმუნვა განიკარგოს, და ლოცვების წარმოთქმის შემდეგ ტკბილად დაიძინოს... ცხადია, რომ ჰოეტის ამ რჩევას დღევანდელი შეგნებული მუშა უკუაგდებს...

ილ. ფერაძე.

სასალხო განათლების ასპარეზზე მოღვაწენი

ლადო ბზვანელი.

ამა 1915 წლის სეკტემბერში შესრულდა 25 წელიწადი, რაც ლადო ბზვანელი მოღვაწეობს სახალხო განათლების ასპარეზზე და ამავე დროს ოცი წლის განმავლობაში თანამშრომლობს ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში უსასყიდლოთ.

ბზვანელი დაიბადა 1871 წელში აპრილის 12-ს ქუთაისის მაზრის ს. ბზვანში, სადაც მისი მამა ქრისტეფორე ნაცვლიშვილი, სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებული, მსახურებდა მასწავლებლად იქაურ სამრევლო სკოლაში. პირველდაწყებითი სწავლა ლადომ მიიღო მამასთან საბრევლო სკოლაში, საიდანაც შემდეგ ცხრა წლისა მშობლებმა შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, უმცროს მოსამზადებელ კლასში, 1880 წ. სასწავლებელში შესვლის შემდეგ გავიდა ოთხი თვე და ლადოს დედა მოუკვდა სოფელში, დარჩა ობლათ;მის გარდა მამას დარჩა კიდევ ორი უმცროსი ქალ-ვაჟი; შვილების ადზრდაში ამ დროს დაეხმარა იმის მამას, ძმა გიორგი, რომელიც მსახურებდა რკინის გზაში, მაგრამ მალე ეს დამხმარე ბიძაც მოუკვდა და ლადო დარჩა მხოლოდ მამის ამარა, რომელსაც სამრევლო სკოლის მასწავლებლის მცირე ჯამაგირით გაუჭირდა შვილის გამოზრდა, რის გამო ლადო იძულებული შეიქმნა 1888 წელში გამოსულიყო გიმნაზიიდან; მას შემდეგ ლადო შეუდგა თვით-განვითარებას და ორი წლის განმავლობაში მაცადინობდა ხან ქუთაისში და ხან თბილისში სემინარიელებთან. 1890 წელში მან ქალაქში პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების ხარისხი მიიღო გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს მიერ გამოცდით და გამწესდა სახალხო მასწავლებლად შორაპნის მაზრის მერევის სამინისტრო სასწავლებელში; ორიოდე წლის შემდე ის გა-

დაყვანილ იქმნა მაშინდელი დირექტორის ლევიტსკის მიერ რაჭის მაზრაში ნიკორწმინდის საზოგადოებაში; რაჭაშიც იმსახურა ორ წელს და გადმოვიდა ქუთაისის მაზრაში, ეწრის სასწავლებელში; ორი წლის განმავლობაში ეს სულთ-მობრძავი სკოლა ფეხზე დააყენა, ამ დროს ქუთაისის მაზრაში ს. ტობანიერში გადაკეთებულ იქმნა ერთკლასიანი სასწავლებელი ორკლასიანად და ლადო დირექტორმა დანიშნა ამ ახალ სასწავლებელში შედამხედველად. ლადო დარჩა ტობანიერის ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელში ზედამხედველად ათ წელიწადს; ამ ხნის განმავლობაში მან ჩინებულად დააყენა საქმე ამ სასწავლებელში, დაამთავრებია სწავლა მრავალ მოწაფეს, რომელთა შორის 60-მდე ჩამოარიგა სხვა და სხვა სასწავლებელში და დღეს იგინი მსახურობენ ზოგნი სახალხო მასწავლებლად, ზოგნი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად და სხვა დაწესებულებებში.

სოფელში ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებია მას, ბევრ ღარიბ მოწაფეს დახმარებია უსასყიდლოთ, ამავე დროს იღებდა მონაწილეობას სხვა დი სხვა სასოფლო კულტურულ საქმეებში, რის გამო, სადაც უმსახურია, იმ სოფლებში დღეს ლადოს ყოველგან დიდი პატისცემით იხსენიებენ. 7—8 წლის განმავლობაში ლადო მსახურობდა დიქტორის ლევიტსკის დროს, მაგრამ ის არასოდეს არ ყოფილა იმისი მუნჯური მეთოდის მომხრე და მას ყოველთვის სკოლაში შეჰქონდა ცოცხალი სული. 1907 წ. ლადო ოჯახური გარემოებისა გამო უნდა დაბრუნებულიყო ქურაისში ან მახლობლად ქალაქისა. მაშინ დირექტორად მსახურებდა ყველასთვის საყვარელი ადამიანი და დღესაც პატივისცემით მოსაგონარი ლევ იაკობისძე სემიონოვი, რომელმაც ლადო დანიშნა ზედამხედველად დიდიჯიხაიშის ნორმალურ ორკლასიან სასწავლებელში, მაგრამ ამ დროს ის მიიწვიეს ქუთაისის ქალაქის სასწავლებელში მასწავლებლად, სადაც ლადომ სამეტოქეო გაკვეთილების მიცემის შემდეგ მიიღო ადგილი. (რადგანაც ბევრი გამოჩნდა მთხოვნელი). მასშემდეგ იგი მსახურებს ქალაქის სასწავლებელში პატიოსნად და

ლადო ბზვანელი.

ერთგულად. ლადოს გაკვეთბლებს დასწრებია ნეტარხსენებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ეპისკოპოსი ლეონიდი, გუბერნატორები, დირექტორები, სამოსწავლო ოლქის ინსპექტორები და სხვა საპატიო პირნი, და ყველასგან მადლობა დაუმსახურებია. ამ ორიოდე წლის წინად ლადო ცნობილი ინსპექტორის გროზდოვის მოხსენებით დირექტორმა კრუპსკიმ გადააყენა სამსახურიდან 1881 წლის სა-

მოსწავლო გეგმის პრესაში გამოსარჩლებისათვის. რაიონის ინსპექტორმა გროზდოვმა იმისი სტატია გადაათარგმნია და წარუდგინა დირექტორს, რომელმაც მოახდინა განკარგულება იმის გადასაყენებლად; მაგრამ ლადო ცხრა თვის განმავლობაში დარჩა გადაყენებული მხოლოდ ქალალდზე, თორემ სკოლისათვის თავი არ დაუნებებია და პრესით ებრძოდა გროზდოვ-კრუპსკის უსამართლობას და უკანონობას. ქუთაისის ქალაქის გამგეობამ, ქალაქის თავმა ი. ჩიქოვანმა, პრესამ, რედაქციებმა და შეგნებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ ყველამ დაუჭირა მხარი ლადოს. ამის გამო როდესაც გროზდოვი და კრუპსკი გადაყვანილ იქმნენ ქუთაისის გუბერნიიდან და დირექტორად დაინიშნა ბინი ვიშნევსკი, რომელმაც მხარი დაუჭირა კანონიერად, როგორც ლადოს და მასთან ერთად ამავე საქმის გამო გარდაყენებულს ა. ოდიშარიასაც, ისინი გაემგზავრნენ თბილისში ოლქის მზრუნველთან პირადად მოსალაპარაკებლად; ოლქის მზრუნველმა ბ-ნმა რუდოლფმა მოუსმინა რა მათ საქმის ვითარება ყურადღებით, დასტოვა ორივე თავიანთ თანამდებობაზე და გამოისტუმრა ქუთაისში, გროზდოვ-კრუპსკი კი შემდეგ გააძევეს თბილისიდანაც.

სიმშილი, სიცივე, ვაჭირვება, უსამართლობა, დევნა, უსიამოვნება ბევრჯელ გამოუცია ლადოს, მაგრამ მას ერთხელაც არ უღალატნია თავისი მიზნისთვის და პროფესიისათვის. სოფლებში 17 წლის განმავლობაში მას სულ მამასახლისებთან ჰქონდა საქმე, მათგან იღებდა ჯაჭვაგირს, მაგრამ მას ყველგან პატივს სცემდნენ და არავისთან არა ჰქონია არაოდეს უსიამოვნება, ისე ჰქონდა დაყენებული თავისი საქმე, რომ, პირიქით, მათ სჭიროდათ ყოველთვის ლადოსაგან სხვა და სხვა საქმეებში დახმარება; მასწავლებელს გარდა ის იყო სოფელში ღარიბი გლეხების იურისტი, ფერშალი, მოსამართლე და სხვა და სხვა გზით დამხმარე. ამავე დროს 1895 წლებიდან დაწყებული დღემდე მასწავლებლის მძიმე მოვალეობასთან ერთად ემსახურება უსასყიდლოდ პრესას. ათი წლის განმავლობაში ის თანამშრომლობდა გაზ. „ივერიაში", განსვენებული ილია ჭავჭავაძის რედაქტორობის დროს, შემდეგ როდესაც „ივერია" დაიხურა, თანამშრომლობდა და თანაშრომლობს „თემში", „შინაურ საქმეებში", „კოლხიდა—ერ—იმერეთში" „სახალხო გაზეთ-ფურცელში", ჟურნალ „განათლებაში", „სამშობლოში" და სხ. ოცი წლის განმავლობაში მოუთავსებია აუარებელი წერილები ქართულ-ჟურნალ-გაზეთებში და შეეხება: დაბა-სოფლებს, დდიურ ჭირ-ვარამს, პირველ-დაწყებით სკოლებსა და მასწავლებელთა ცხოვრებას, ქართული ენის და პედაგოგიურ საკითხებს, თეატრის ცხოვრებას, ბიბლიოგრაფიულ წერილებს, მოგზაურობას, სპოლემიკა და პუბლიცისტური ხასიათის წერილებს.

დღეს ლადო ცხოვრობს ქუთაისში, თავის ბინაზე, მსახურებს ქალაქის სასწავლებელში, ასწავლის იქვე უმაღლეს დაწყებით სასწავლებელშიაც ქართულ ენას, ზრდის გიმნაზიაში თავის ერთად-ერთ ვაჟს, რომელიც დღეს მერვე კლასშია, თვითონ არის 44 წლისა, ღებულობს მონაწილეობას სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში, არის უწყინარი, მშვიდობიანი და ჩუმი მუშაკი, არა მყვირალა ზოგიერთებივით, როგორც მწერალი ობიექტიურია და ამ 25 წლის განმავლობაში თავისი ერთგული მოღვაწეობით სახ. სკ. მწერლობის მძიმე ასპარეზზე ბევრი

რამ კარგი გაუკეთებია ხალხისათვის, პირნათლად უმსახურია ერისა და საზოგადოების წინაშე, მტკიცედ სჭერია დროშა სახალხო მასწავლებლისა და ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე იმედია კიდევ კარგა ხანს განაგრძობს ნაყოფიერ და უანგარო მოღვაწეობას ჩვენი ერის სასარგებლოდ, რასაც სულითა და გულით ვუსურვებთ.

მეგობარი.

შიო მღვიმელი

Mცდა ათი წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი საყვარელი მგოსანი შიო მღვიმელი (შიო ქუჩუკაშვილი) მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე. შიო უფრო ყმაწვილების მგოსანია, მაგრამ მისი ბროლივით სუფთა ლექსებით არა ერთი მოზრდილიც დამტკბარა და დასტკბება ხოლმე. „ახალი თაობაო,—აბბობს რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსი, ბელინსკი. —აწმყო დროის სტუმრებია და მასპინძელი, პატრონი მყოფადისა, რომელიც მისი აწმყოა, მემკვიდრეობით მიღებული უფროს თაობისაგან. ცოცხალი, ახალი შთამომავლობა მომავლის **ნასაბიი, ახალი** იდეაა, მომზადებული ძველის შესაცვლელად. „ნუ ჩაასხამთ ახალს ღვინოს ძველს თხიერშიო“, ბრძანა მაცხოვარმა და თან დაუმატა ბავშვების შესახებ, რომ „მათი არს სასუფეველი ცაოაო“. მაგრამ, ახალი, რომ არ იქმნეს სინამდვილეს მოკოკლებული, იგი ძველებისაგან უნდა გამომდინარეობდეს და ამ **კანონში** მოზარდ თაობის აღზრდაა დედა ძარღვი, და მოწოდება იმ პირთა, რომელნიც **ბავ**შვების აღმზრდელებად ითვლებიან. საბავშვო მწერალი უდიდესი აღმზრდელია ბავშვებისა, მისი დანიშნულებაა ბავშვს გულში ჩაუნერგოს **კარგი. საზნეობრივ**თესლი, გაუთბოს გული, გაუშალოს წინ კარგი მხარე კაცთ-მოყვარულ დამოკიდებულობისა, განუღვიძოს ნაზი შთაბეჭდილებანი, მოყვასთა სიბრალული, კეთილისადმი სიყვარული, რომელიც იყიწყებს კერძო თავმოყვარეობას, ეგოიზმს და თავგანწირვით ემსახურება სიკეთესა და სიმართლეს. ასეთია შიოს მუზა, როგორც საბავშვო მწერლისა, რომელიც ბევრად განირჩევა მოზრდილთა მწერლებში. თუ უკანასკნელთათვის საკმარისია მხოლოთ ცოტაოდენი ნიჭი, ცოტაოდენი განათლება და **სალიტერატურო** ენის ცოდნა, საბავშვო მწერლისათვის ამას გარდა საჭიროა სულ სხვა ფსიხოლოგიური ორგანიზაცია—წმინდა სიყვარული ბავშვებისა, მათი ბუნებისა და ფსიხოლოგიის შეგნება. სწორედ ჩვენი შიოც ბუნების მიერ საკმაოდ დაჯილდოებულია ამ ნიჭით. მას ბავშვები უყვარს და ბავშვებსაც—შიო უყვართ. ბავშვებისთვის **წერა** შეუძლებელია, თუ მწერალს ბავშვები არ უყვარს, არ ესმის მისი სულის ვითარება, მაგრამ არც ეს კმარა, საჭიროა ნიჭი, ღვთიური მადლი, შემოქმედებითი ძალა და არც ერთს ამას არ არის მოკლებული ჩვენი შიო, საბავშვო მწერლად დაბადებული,—რომელმაც მთლად შესწირა

თავისი ძალ-ღონე თავისი ცოდნა და ნიჭი „პატარა ხალხს“, მომავალ თაობას. შიოს აზრადაც არ ჰქონია, რომ ლიტერატურული შრომა ნივთიერ სარგებლობას მოუტანდა ან სახელს მოუხვეჭდა, მაგრამ თუ მოკლედ შაინც გავითვალისწინებთ ჩვენი ბავშვებისადმი მის უანგარო სიყვარულს, იმ სამსახურს, რაც შიომ გაუწია ჩვენს ქვეყანას, მის მომავალ მოქალაქეებს, უეჭველად უნდა აღვიაროთ, რომ შიო უაღრესად ღირსია საზოგადოების მიერ გულწრფელის მადლობისა და პატივისცემისა.

ზნეობრივად ვალდებულია მისდამი რწმუნებულს სკოლებში მოაწყოს შიოს დილა, წააკითხოს ბავშვებს შიოს ლექსები და გააცნოს ყველას ამ ნიჭიერი საბავშვო მწერლის ტკბილი ლექსები.

ჟურნალი „განათლების“ რეადქცია მალე დაბეჭდავს შიო მღვიმელის ნაწარმოების სრულს გარჩევას, რომელიც შეკვეთილი აქვს ჩვენს ნიჭიერ თანამშრომელს ი. ვართაგავასათვის.

დღეს, როცა ქართველი საზოგადოება მზადებაშია და სცდილობს პატივისცეს საყარელ მგოსანს, ხელი შეუწყოს ამ ჟამად ნივთიერად ხელმოკლე შიოს და მისს ოჯახს, ყველა სახალხო მასწავლებელი

ამ ჟამად კი ვუსურვებთ ჩვენს საყვარელ მგოსანს კიდევ მრავალ წელს აღეროს მისი მადლიანი ჩანგი ჩვენი მომავალი იმედის, ჩვენი ქვეყნისა და ერის სასარგებლოდ. დარწმუნებული ვართ ჩვენი პატივცემული მგოსნის ღვაწლის დაფასებაში ჩვენი საზოგადოება საკმარ უნარს გამოიჩენს.

ლ. ბიცვაძ

ჩემი პირველი თავგადასავალი

მე დავიბადე სოფელ გეზრულში (შორაპნის მაზრა) 1852 წელში. მამა ჩემს თავის სოფელში ღარიბს არ უძახოდენ, თუმც ფასი სიმდიდრე იმაში მდგომარეობდა, რომ თავისი საყოფი ბური და ღვინო მოჰყავდა ყოველთვის თვისის მუშაობით. მას ძალიან სწყურდა თავისი შვილების გამოზრდა, მაგრამ ამისი საშუალება არა ჰქონდა. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა და ხშირად იტყოდა ხოლმე: „ერთს მაინც ვასწავლი რასმე, კიდევაც რომ დავწინდო“ და მიმცა მე, როგორც უფროსი შვილი, საქარაში (ყვირილის სადგურის ახლო) მღვდლის გიორგი საყვარელიძის სამრევლო სკოლაში (გეზრულიდან 30 ვერსტით იქნება; იმაზე ახლო სკოლა არ მოიპოვებოდა. ეს სკოლა მაშინ თითქმის ერთად ერთი იყო მთელ შორაპნის მაზრაში). იქ პირველად ანბანი რუსის მასწავლებელმა, ნასალდათებმა, დაგვაწყებინა და აღწერა არ შემიძლია, რაც ტანჯვა ჩვენ მის ხელში გამოვიარეთ ა, ბე, გე, დე, ფ-ს სწავლაში. მალე ბედმა გაგვიღიმა და ის მასწავლებელი მ. გიორგიმ ლოთობისათვის დაითხოვა და შოგვიყვანა ქართველი მასწავლებელი გ. აბზიანიძე. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ჩვენი, ქართული ანბანი დაგვაწყებინა და ჩვენ გასაგებ ენაზე დაგვიწყო სწავლება. რაოდენიმე თვის დამუნჯებულმა ბავშვებმა ენა ამოვიდგით და სიხარულით შეგასწავლეთ ქართული წერა-კითხვა და შემდეგ რუსულსაც ხალისით შეგუდექით.

ორი წლის შემდეგ ენკენისთვეში მამა ჩემმა ქუთაისში წამიყვანა. რადგანაც დაგვიანებული იყო, არც ერთ სასწავლებელში ჩემთვის ადგილი არ აღმოჩნდა და არ მიმიღეს. დამაბრუნა სახლში დალონებული. იანვარში ხელ ახლა წამიყვანა მამა ჩემმა და რომ მაშინაც ვერა გაწყო რა, პირდაპირ გაბრიელ ეპისკოპოზთან შემიყვანა. ახლაც კარგად მახსოვს ის სიტყვები, რომლებითაც მიმართა მამა ჩემმა მღვდელ მთავარს: „თქვენო მეუფეებავ, ეს მეორეთ ჩამომიყვანია აქ ჩემი შვილი სწავლაში მისაცემად და უველგან უარით მისტუმრებენ. ჩვენი სოფელი იმდენად მივარდნილი ადგილია, რომ, როდესაც რაიმე წერილს მივიღებთ, ოცი ვერსტის მანძილზე მაინც უნდა წავიდეთ, რომ წავაკითხოთ ვისმე, ან დავწერიოთ. ჩვენში მღვდელმაც კი არ იცის წერა, თუმცა სამღვთო წერილს კარგად კითხულობს. აი ამისთანა მდგომარეობაში გახლავს მთელი ჩვენი მხარე. მე ხუთი ვაჟი მყავს, ყველას გამოზრდა არ შემიძლია, დარწმუნებული ვარ, თუ ერთს სასწავლე რამე, მერე ის სხვებსაც გაუზიარებს თავის ცოდნას. გთხოვ, მოიღეთ თქვენი მოწყალება, შემეწიეთ, უბრძანეთ—მიიღონ ეს ჩემი შვილი თქვენს სასწავლებელში, სადაც ორჯერ გამომისტუმრეს უარით“. ამ სიტყვების შემდეგ აწ განსვენებული გაბრიელი მივიდა მაგიდასთან, დაწერა ორი სიტყვა, მისცა მამა ჩემს და უბრძანა მიეტანა ეს სახელიერო სასწავლებლის უფროსთან, გერასიმე კალანდარიშვილთან. გერასიმე კალანდარიშვილმა რომ ბარათი წაიკითხა, სთქვა:— „ტოვე ეგ შენი შვილი, იყოს კლასში, მაგრამ თვითონვე დაინახავს, რომ დასჯდო-

მი ადგილი არ ექნება, რაც მიდებული ბავშვი გვეყვს, იმისი ნახევრობაც კი იატაკზე ყრია. „ბატონო, სტოლსა და სკამს მე ვუყიდი ჩემ შვილს, მიაყოლა უცებ სიხარულით მამა ჩემმა.—არა, არა, შენ წადი, ეგ კი დატოვე კლასში.

მეორე დღეს შემიყვანეს ახლად აშენებულ სასწავლებელში, პირველ კლასში, სადაც ორი თუ სამი ძველი გრძელი პარტა იდგა, რომელიც მწიდრად იყენენ გატენილი ბავშვებით; დანარჩენი ბავშვები კი იატაკზე იყვნენ ზოგი გვერდზე წამომჯდარი და ზოგი წამოწოლილი. მეც მივედი და მივუჯექი უკანასკნელებს გვერდზე. ასე ვუცქერდით მასწავლებელს, რომელიც ხან ერთს წააკითხებდა ბედნიერებთაგან (პარტებზე მჯდომს) ხან მეორეს. წერის დროს კი ჩვენ გულით დავწვებოდით ხოლმე, ფეხებს მთლად გავწიმავდით, დავიდებდით თავად წინ რვეულს, რომელსაც თვითონვე ვხაზავდით და ისე ვიწერდით რასმეს ლედა-ენიდან. ასეთი ჩვენი მდგომარეობა მეორე წლიდან შეიცვალა. ყველანი ბედნიერი შევიქმენით პარტებზე სხდომით. იმავე წელში მე გადამიყვანეს მეორე კლასში, რადგანაც ის წელი გადაყვანის წელი ეოთვალიეო, ესე იგი, კლასიდან კლასში გადაყავდათ ათი ო წლის შემდეგ კი არა, როგორც ახლა არის, ორი წლის შემდეგ და ვინც ჩარჩებოდა, ვერ გადავიდოდა, ის კიდევ ორი წელი უნდა ეოთვალიეო იმავ კლასში.

ასე, ექვსი წლისა და ექვსი თვის შემდეგ, 1871 წელში, გავათავე ოთხი კლასი სასულიერო სასწავლებლისა. როდესაც მივედი ზედამხედველთან, გერასიმე კალანდარიშვილთან, მოწმობის მისაღებად, მან შემიყვანა თავის ოთახში და გამომკითხა—შეუძლია მამაჩემს ჩემი გაგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიაში, თუ არა. რაკი დარწმუნდა, მამა ჩემი მე ვედარსად გამგზავნის, მითხრა:—ახლა შენ მწერლების ადგილს სასამართლოებში უველგან მოგცემენ და შემდეგში, ალია, კარგი ჩინოვნიკიც შეიქმნები, ეოველ სამსახურს და ჩინოვნიკობას ... მასწავლებლობა (კანსტანტინეულმა ინს... გათავებული ადექსანდრე წულუკიძე ... პირველ კლასის მასწავლებლად, რ... მეოთხე კლასის მოსწავლეებს ორ... განმავლობაში გვასწავლიდა პრაქტიკულ... დაქტიკას ახალი მეთოდით). ახლა ...

ყარამან ტარიელიძე ჩხეიძე

... ში სკოლები ინსნება, იმაში სამსახურზე ... რო პატიოსანი და ხალხისათვის სასარგებ... სამსახური სხვა არ მოიძებნება და შენც ... ჩემ, ამ პატიოსან ხელობას მოკიდო ხელ... თუ სწავლის გაგრძობა არ შეგიძლია, კარ... გახსოვდეს ეს ჩემი სიტყვებიო, დაუმატა ... გადმოცა მოწმობა.

მეორე დღეს გავიგე, რომ მართლაც ... ლი განკარგულება ეოფილა გამოსული სამ... ნისტრო სკოლების გახსნის შესახებ და ... ხალხო სკოლების ინსპექტორიც დაუნიშნავს ... ბ. ტროიე (გიმნაზიის მასწავლებელი).

მოგეცხადე მას თხოვნით, გამომცადა, მომცა მოწმობა და წერილი და გამგზავნა შორაპნის მაზრის უფროსთან. როდესაც წარვუდგინე ინსპექტორს მოწერილი ქალაქდი, მაზრის უფროსმა მითხრა—ერთს ან ორ კვირას აქ დარჩი ჩემს კანცელარიაში ქალაქდების მიღებ-მოწერის წესები უნდა შეისწავლოო. ერთი კვირის შემდეგ იმასაც გამომცადა და შემეკითხა:—სად გინდა ახლა შენ გაგამწესოო. ჭიარაულის საზოგადოებაში, ვუპასუხე მე.—რატომ ჩხარაულში და არა ხარაგაულში, რომელიც უფლაფერით სჯობია ჩხარაულს?

„Тамъ моя родина-მეთქი, ვუპასუხე. მაზე ძალიან გაეცინა ცხონებულს, მითხრა—კარგი, კარგიო და უბრძანა მდივანს დაეწერა ქალაქდი ჩხარაულის მამასახლისის სახელზე. ამ სიტყვის მიზეზი მერე შევიტყე—თურმე родина მარტო ჩემ სოფელს კი არა რქმეოდა.—იმ დროს მასწავლებელს შემდეგის წესით ამწესებდნენ: ის უნდა ეოფილიყო მასწავლებელი სკოლაში, ისე მწერალიც სოფლის კანცელარიაში. ამისათვის ეძლეოდა სულ წელიწადში 300 მანეთი, რომლიდგანაც 180 მანეთი მასწავლებლობისათვის და 120 მანეთი მწერლობისათვის. მამასახლისს ძალიან გაეხარდა, როდესაც მიგვედი, მწერალი ძალიან გვესაჭიროებაო. როდესაც დავეკითხე—სად არის სკოლა მეთქი, იმან დაცინვის გამოთქმა მიპასუხა: სკოლა?! „ის არსად არ არის ჯერ, მგონი არც მერე იქნება, ღმერთთან სწორი ჯობს, სახლი კი აგვაშენებიეს მანდოეთში (კანცელარიიდან ოთხი ვერსტი იქნებოდა), მაგრამ ამ სახლს არც „ბოდი“, არც ბერი, არც კარები და არც „აკოშკები“ არ გაუჩნია. დალბობით კი არ დალბება კრამიტით გადავხურეთ. ბარასკევი დღე იყო, სახლში ადარ გამიშვეს, ხვალ შაბათიაო. დაბეს შაბათ დილით და კვირას-საღამოდის მწერინეს სოფლის მოსამართლეებმა თავისი კანცელენები.

ორშაბათ დილიდან დავუწყე ბავშვებს შეკრება და ეგვლას ვეხვეწებოდი მოეყვანათ ბავშვები. დიდის ხვეწნითა და ვედრებით ორი თვის განმავლობაში მოვაგროვე რამდენიმე ბავშვი, რომელთაც ხან სოფლის კანცელარიაში, ხან კერძო სახლში ვასწავლიდი. შაბათ-კვირას კი „სუდიებისა“ და მამასახლისის სრული მოხა-ემა ვიეავი. ასე გავატარე ცხრა თვე. ძნელად წარმოსადგენია, რამდენი სულიერი ტანჯვა მე გამოვიარე „სუდიებისა“ და მამასახლისის ხელში. ერთი „სუდია“ მიბრძანებდა,—ასე დასწერე განაჩენიო, მეორე მეტეოდა, არა, ასე დასწერეო. ერთი გამიხმობდა და წამიჩურჩულებდა—განჩინებაში ასე ჩასწერე და წაკითხვით კი ისე წაიკითხეო და ამისათვის ამდენს მიიღებო და სხ. მე რომ მათ უზნეო სურვილებს არ ვასრულებდი, გადგებით შემუქრებოდნენ.

რომ ვეეურებდი იმ ზნეობით დაცემას, გათახსირებას, რასაც ეს ხალხი, რომელსაც ღვთის ხალხს ვეძახით და მეც ასე მქონდა წარმოდგენილი, ჩადიოდა, გული მიკვდებოდა და სასოწარკვეთილებამდის მივდიოდი. მე რომ ვედარ მოვნათლენ, სხვა მწერალს დაეწყეს ძებნა. ჩემ გასაგონათ ეტეოდენ ხოლმე: რათ გვინდა მასწავლებელი! ჩვენ იმისთანა მწერალი გვინდა, ეგვლათერის მოხერხება შეეძლოსო და თუ მწერალს მოხერხება არა აქვს, ჩვენც მშიერს დაგვტოვებს და თვითონაც ხელს ვერ მოითბობსო. ვედარ გაუძელ ამ მდგომარეობას და თავი დავანებე მწერლობას და მასთან შეერთებულ მასწავლებლობასაც. ცხრა თვის სამსახურში ძლივს-ძლობით ავიღე ცხრა თუმანი, სოფლის მოსამართლეებმა და მამასახლისმა მადე გამოძებნეს გამოქნილი და მათთვის სასურველი მწერალი. ამ მწერალში არც კი მოსტეუვდნენ. დადგომისთანავე გამოძებნა ძველი მოწერილობა მთავრობისა—შესახებ სწავლაში მისცემ ბავშვების რიცხვისა საზოგადოებაში. გაიდევნა თან სუდია-მამასახლისი

მაც. „ჩვენი ივანეს შვილებმა ისწავლონ და მე თუ ლები ვიხადო? მე რას კამოამდგებს მისი სწავლა? ისწავლის და მერე თავზე დამაჯდება ჩემი თუ ლებით კამოზრდილი, დაამატა მან.

მე შეკვეტეე, რომ ჩემი პასუხი მათკენ კაის არას კამოიტანდა და სწრაფად გავშორდი.

ეს მაკალითი მომეკვს როგორც ნიმუში მრავალთაკენ. შეუგნებელ კლეხებს როგორ უნდა დავმდურებოდი, როდესაც ზოგი განათლებულნიც მათსავით გვიეურებდნენ. ვის არ ახსოვს,—რა ციერკულაარი კამოუშვა სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ. მაკაკარიანმა: მასწავლებელს ქუდი უნდა მოეხადა და თავანი ეცა სოფლის მამასახლისისა და სხვებისათვის და ეოველ მათ ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა.

საჩხერეში სკოლასთან სანიმუშო საფუტკრე მედგა ეზოში. ეს ეზო სულ ას ოთხკუთხ საჟენს არ აღემატებოდა. ეს პატარა ეზო ისე მქონდა შემუშავებული, რომ იმაში საფუტკრეს კარდა სხვა და სხვა ეკვილებიც მქონდა, ბოსტნეულიც და კარმემო ხეები ჭქონდა შემოეოლებული.

აგიდობრივმა პოლიციის ბოქაულმა, ტომით რუსმა მოინდომა, რომ ეს ჩემი სკოლის ეზო საჩხერლებისთვის მიეკუთვნებია. სკოლა თავის ეზოთი ჩიხის საზოკადოებას ეკუთვნოდა; საჩხერის საზოკადოებას, რომელსაც შეადგენდა ვაჭრები, უმეტეს ნაწილად სომხები და ურიები, თავისი სკოლა არა ჭქონდათ. ბოქაულმა ამ მიზნის შესასრულებლად დაარწმუნა ჩიხის საზოკადოების კლეხები, რომ თუ მე რაიმე საშუალებით არ კამისტუმრებენ იქიდან და ამით თავის მეფლობელობას არ ეაღგენენ, მე იმ სკოლას და აგიდასაც ჩემ საკუთრებად დავირჩენ, რადგანაც 23—24 წ. მე ვფლობ. ერთ დღეს, როდესაც მე კლასში ვმეცადინობდი, მოცვინდნენ კლეხები, მოგლიჯეს ეზოს დობე და სულ კაანადგურეს ეს პატარა ეზო—ეკვილები, მწვანილი, და სხვა ამოგლიჯეს, ქუჩაში კადაეარეს. „ეს ჩვენი ოფლით ნაეიდი აგიდი სხვამ უნდა წაიღოსო“, კაიძახოდენ. შემდეგში თვითონ კლეხებმა დაკმეს ამ სისულელის ჩამდენი. მე სულ ახლა შემოვრაკვე ეზო და ჩემი საქმე კანვაკრძე. მათთვის ამაზე აღარც არაფერი მითქვამს. როდესაც ეს ბოქაულმა კაიკო, მოვიდა ჩემთან და თვითონ მაქებებდა,—კლეხებს უჩივლე და დასაჯეო, მაკრამ ეურადღებაც არ მიმიქცევია მისთვის.

ამის შემდეგ ერთ დღეს ამ ეზოში ჩემი კაზრდილი ორი აღვის ხე მოვჭერი, რადგანაც სხვები ტეტხლმა იმსხვერპლა, რომლების მაკიერ აკაცია შამოვაკვლე და ეს ორი კადარჩენილი ხე კი ეზოს აუშნოებდა და აგილს იცავდა. ბს იეო სწავლა კავათვე, ავიდე ხელში ნაჯახი და წაქცეულ ხეების ტოტებს ვაცლიდი და ვურიგებდი მოსწავლეებს თავისი ეზოებისათვის შამოსარკავად.—შამობრძანდა იგივე ბოქაული, ხელები უკან მოეკვა, მოვიდა ჩემთან და მომმართა: ,,ვინ მოჭრა ეს ხეები?''

— მე, მივუგე კაკვირვებით.

,,შენ ვინ მოგცა მაგისი ნება?''

— და თქვენ ვინ მოგცათ მაგისი ნება, ასეთი კითხვით მომმართოთ?

ამ ჩემ პასუხზე ის ძალიან კანრისხდა, აეგირდა, დამემუქრა დატუსაღებით, დასჯით და სხვ.

მეც მოთმინება დავკარგე, ხმას ავუმაღლე და კააფთრებულმა მივაეგირე, რომ ეზოდან კამშორებოდა.

ეზოდან მაშინვე კამშორდა და ამაზე იქ შეკრფილი ხალხი იმოწმა. იმავე დღეს ის ჩემი ხეები, უბრძანა მამასახლის და ურმით თავის კანცელარიაში მიათრევინა; მე ,,პროტოკოლი'' შემიეენა და კადმცა კაზომძიებელს.

მეორე დღეს დირექტორიდან მიგიღე ამ

„ბრისტავის მიერ კარგი ხნის გაგზავნილი ქადალდი, რომლითაც სთხოვდა დირექტორს, —მოეხდინა განკარგულება, რომ მე გამეხსნა სკოლის ეზო და გადმეცა მის, ბოქაულის განკარგულებაში, რადგანაც მას ეს ეზო ვითომ ხალხის საჭიროებისათვის უნდოდა.

ამ ქადალდმა სრულიად დამარწმუნა, ვისთან მქონდა საქმე და რა მიზანი ჰქონდა ბოქაულს და საკადრისი პასუხი მივეცი დირექტორს, რომელმაც, რასაკვირველია, ბოქაულის ქადალდი უყურადღებოთ დატოვა.

როგორ დამიცვა დირექციამ ამ შემთხვევაში?

ინსპექტორმა ბ. სვიჩმა, რომელსაც ჩემი ინციდენტი ვაცნობე, მაშინვე დირექტორს, ბ. სოკოლოვს, მოახსენა, რომ ამ უკანასკნელს გუბერნატორისათვის მიეწერა ბოქაულის ამ ნაირი თავ-ახსნილ მოქმედებაზე. სოკოლოვმა ინსპექტორის მოხსენებას არავითარი მსვლელობა არ მისცა, რაიცა მე კერძოდ მაცნობა ბ. სვიჩმა.

როდესაც პირისპირ მოველაპარაკე ამაზე ბ. სოკოლოვს, ასე მიპასუხა: „მართალია, ბოქაული უკანონოდ გასჯილა, მაგრამ ჩვენ რომ ახლა ჩხუბი და საჩივარი დავუწყოთ პოლიციას, სრულიად დაგვიკეტენ სკოლებს; ხომ სადავ, დღეს სკოლები სულ იმათი წყალობით არსებობენ, თორემ გლეხები აქამდე და ეზოდან ყველას? ამის შემდეგ ვსთხოვეთ ჩეოეკას მაინც დაერთო ნება, რომ მივქცეულიყვავ გუბერნატორთან, მაგრამ ამაზედაც უარი მივიღე.

ბოლოს მოვახერხე, რომ მე ადგილობით სამსჯავროში დავიწყებ საჩივარს და ჩემს ხელებს მაინც დავიბრუნებ-მეთქი.

„არა, საჩივარსაც ნუ დაიწყებ, მაგაზე მე მივწერ გუბერნატორს, რომ ხელები ბოქაულმა ახლავე მოგიტანოსო“ და კიდევაც მოატანინა.

ერთი კიდევ შევეკითხე: ბოქაულის პროტოკოლით მე რომ სასამართლო კამსჯის, ამაზე თქვენ რა შემწეობას მაძლევთ?

„მოვითმენდი, რათ აწუნია, რაც უნდა ექმნა ჩუმად ვიქმნებოდიო.

აი როგორ გამომესარჩლა ჩემი მთავრობა!

მე კი, თუმცა ოლქის სასამართლომ სუთი მახეთით დამჯარიმა, მაგრამ პალატამ სრულიად განმათავისუფლა, როდესაც დაწვრილებით ავუხსენი კარგად.

აწინდელი სოფლის მასწავლებელს, დარწმუნებული ვარ, ასეთი არაფერი არ შეემთხვევა.

ყარამან ტარიელიძე ჩხეიძე.

სკოლის ექიმის მოვალეობა

სკოლის ექიმების ფართო მოლვაწეობა მჭიდროდ არის შეკავშირებული სკოლის რეფორმასთან, რაც თავის-თავად ღღევანდელი სახელმწიფო წეს-წყობილების ძირიანად შეცვლაზეა დამყარებული. ეს აუცილებლობა ცვლილებისა სახელწიფო წეს-წყობილებასა და სკოლის საქმეში იგრძნო თვით განათლების სამინისტრომაც, რომელიც, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შეეხო სკოლის ექიმების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობას. სამინისტრო აზრად აქვს ჯამაგირის გადიდება სკოლის ექიმებისათვის და პედაგოგიურ რჩევაში მათთვის მეტი უფლების მინიჭება. ჩვენ საზოგადოებამ თეორიულად და პრაქტიკ

კულადაც განათლების სამინისტროს წინ წაუსწრო სკოლის ექიმის ეკონომიური მდგომარეობის და საქმიანობის გამორკვევაში. ამისთვის პრინციპიალურადაც საინტერესოა ზოგადად გამოირკვიოს კაცმა სკოლის ექიმის უფლება და ვალდებულება.საზოგადოდ ექიმის დანიშნულება მარტო მკურნალობაში კი არ არის, ექიმი უნდა ცდილობდეს ადამიანი ავადმყოფობამდის არ მიიყვანოს, არ დაავადოს მისი აგებულება. თუ ეს ექიმის მოვალეობაა, საზოგადოდ, ამგვარი ვალდებულება უფრო მეტია სკოლის ექიმისათვის. ვინაიდან სკოლის ექიმს აქვს საქმე მოზარდ ნორჩ ადამიანთან, მეტადრე უფრო მოვალეა იგი არ მიიყვანოს მოსწავლე ისეთ მდგომარეობამდის, რომ ავადმყოფობა ადვილად შეეპარაოს მას. ეს მისთვის, რომ მოწაფის ფიზიკური ზრდის გამო მის აგებულობას მეტი ხარჯი მოსდის და ეს ხარჯი უფრო ორკეცდება მაშინ, როცა მოზარდის აგებულობა ებრძვის ავადმყოფობას და საზოგადოდ ცუდ პირობებს.

ამისთვის პირველი და აუცილებელი მოვალეობა ექიმისა არის ისე იზრუნოს მოსწავლეთათვის, რომ დაავადებამდის არ მიიყვანოს მათი აგებულობა, არამედ უნდა გაამაგროს ბუნებასთან საბრძოლველად. ამის მისაღწევად სკოლის ექიმს უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ყოველი საჰიგიენო და საზოგადოდ სამეცნიერო ღონის ძიება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჯანმრთელობას. მხოლოდ მაშინ გამოიყენებს სკოლის ექიმი, როცა გაცნობილი აქვს ყოველ მხრივ მოწაფის პირადობა.

კიდევ ამ მოწაფეთა პირადობის გასაცნობად საჭიროა პერიოდული გასინჯვა მოწაფეებისა. სასწავლებლის საგანგებო დავთრებში უნდა აღინიშნებოდეს სიმაღლე მოწაფისა, გულ-მკერდის სიმსხოსაზოგადოდ ტანის შინაგან და გრძნობათა ორგანოების, მაგალითად თვალების, ყურების, ცხვირის და სხვების მდგომარეობა. ამავე დროს ექიმი უნდა ცდილობდეს გაიგოს ბავშვების წინაპართა ცხოვრება, ოჯახობრივი მემკვიდრეობა და გადაგვარების ნიშნები და თუ კი ამ გვარი თვისებანი აღმოჩნდებიან, ზემოხსენებულ დავთარში აღინიშნებიან. პერიოდიულად გამეორებულს გასინჯვას ბავშვებისას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამით ექიმს აქვს შეძლება იცოდეს კანონიერად სწარმოობს ზრდა ახალგაზრდისა თუ არა, რადგან ბევრია შემთხვევა, როდესაც თანაბრად არ იზრდება ყოველი ორგანო და რომელსამე ორგანოს ზრდაში ჩამორჩენა ხდება მიზეზი ჩამორჩენილ ორგანოს დაავადებისა, ან და გაჩქარებული ზრდა მთელი ტანისა უმნიშვნელოდ არ რჩება ბავშვის ფსიხიკისათვის. ამ რიგად უწყებულია ამ გვარ პირობებში ფილტვებში ჭლექის გაჩენა, ან გულის, კუჭის წელების დასნეულება. სკოლის ექიმი ამ გვარ შემთხვევაში ვალდებულია დროზედ იღონოს ყოველი შესაძლო ღონე და მოსწავლე გადაარჩინოს მოსალოდნელ ავადმყოფობას. ამ გვარი დაკვირვებით და წერილობითი აღნიშვნით ექიმს უფრო კარგად შეუძლიან სავსებით კარგად გაიცნოს ბავშვის ფიზიკური აგებულობა და მისი ნაკლულოვანება და ღირსება. რადგან ფიზიკურ ზრდას ძლიერ დიდი კავშირი აქვს გონებრივ ზრდასთან და არის შემთხვევა, როდესაც ირღვევა ეს თანასწორობა, რის გამო საჭიროდ ხდება კიდეც განგებ შეჩერება გონებრივი ზრდისა, მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც მოწაფეს ეტყობა გადა-

გვარება. სკოლის ექიმი ამ გვარ მოვლენას მეტი სიფრთხილით უნდა მოექცეს, თავის აზრს და საჭირო ზომებს მასწავლებელთა კოლლეგიას დასაბუთებულად უზიარებდეს. მხოლოდ ყოფილ ამ გვარ მოვლენის უფრო თვალსაჩინო გამოკვლევისათვის საჭირო და სავალდებულოც უნდა იყოს ექიმისათვის სწავლების დროს დროგამოშვებით სკოლაში დასწრება. აქ სკოლის ექიმი უფრო ადვილად გაეცნობა ფიზიკური და გონებრივ ზრდის ურთიერთობას და შეფერებას, ან ერთი მეორისაგან ჩამორჩენას, უკანასკნელ შემთხვევაში ექიმი ზნეობრივად ვალდებულია გამოიკვლიოს ყოველ მხრივ ყმაწვილის ჩამორჩენის ან რომელიმე არაჩვეულებრივ მოვლენის მიზეზი. სწავლაზე დასწრებით ექიმი ადვილად შეამჩნევს ამა თუ იმ მოსწავლის დაქანცულობას.

დაქანცულება, ნაყოფი დღევანდელ პოლიტიკურ და გართულებულ ეკონომიურ ცხოვრებისა, უფრო ჰკიდებს ხელს ახალგაზრდობას, რასაც ისიც უწყობს ხოლმე ხელს, რომ სასწავლო საგანთა რიცხვი თანდათან მსწრაფლდება და ბევრი მათგანი ყმაწვილს ცნობის მოყვარეობასაც არ უკმაყოფილებს. თუმცა მზრუნველი ბუნება მალე დაავიწყებინებს ყმაწვილს მას, რაც მეტი ბარგია და ცხოვრებისათვის და გონებისათვის გამოუდეგარი, მოსწავლეს თავისი დაემართება, ძალზე დაიქანცება, ხშირად ფიზიკურად და სულიერად დაღონდება. დაქანცულობას*) ამ ბოლო დროს ფსიხიატრებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და შეშფოთებულობაში და თავის მკვლელობაში მას დიდი წილი დაუდვეს. დიდი ხანი არ იქნება, რაც მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა ფსიხიატრმა ს. კორსაკოვა აღმოაჩინა ერთგვარი შეშლილობა, რომელსაც კორსაკოვის სახელი უწოდეს და რომელიც დღევანდელ სკოლის ბრძმედში გატარებულ ყმაწვილების საშიშარი სენია და აწინდელ დროს ეკუთვნის. ამ საშიშარი სულის ავადმყოფობის ეტიოლოგია უფრო დაქანცულობაა, თუმცა შთამომავლობითი მიდრეკილებასაც ვერ უარჰყოფთ. მაგრამ სკოლის ექიმი იმასაც არ უნდა ივიწყებდეს, რომ დაქანცულობა მარტო დღევანდელი სწავლის სისტემის ნაყოფი როდია, იგი სხვა პირობებისაგანაც იქნება ხოლმე გამოწვეული. ყმაწვილი შეიძლება ეტანებოდეს სკოლის გარეშე დღევანდელ კულტურისაგან ნაბოძებ არა ჰიგიენურ ცხოვრებას და ამ შემთხვევაში სკოლა უმიზეზოა. საკვირველია, უკიდურესობას ვერ ცდება საზოგადოების და სკოლის ცხოვრება. იყო დრო, როდესაც მოსწავლენი იძულებულნი იყვნენ სახლში ესწავლათ დაუხმარებლად აუარებელი გაკვეთილები და ეგეთი დაქანცულობა არ იყო მაშინ შემჩნეული. დადგა დრო, როდესაც მასწავლებელნი იძულებულნი არიან თავში ჩაულაგონ მოწაფეებს გაკვეთილები, რომ სახლში ცოტა იმუშავონ და ამ გვარ პირობებში დაქანცულობამ იჩინა თავი. ამის გამო ყოველ შემთხვევაში სკოლის ექიმმა დაქანცულობის მიზეზი სკოლის გარეშეც უნდა ძებნოს. უწყებულია, რომ ხანდისხან მოსწავლე ზარმაცობას იჩენს. ამის მიზეზი ხშირად რომელი სერიოზული ავადმყოფობაა და ზოგი მასწავლებელი კი ზარმაცობას მოწაფის თავნებობას აწერს. ყოველი ამგვარი მოვლენა სწავლების დროს უფრო შეინიშ

*) დაქანცულება მოდსევს აგრეთვე კონკურსს, რომელიც გამეფებულია სკოლებში მოსწავლეთა მიღების დროს.

ნება. ექიმი სწავლების დროს ადვილად იკვლევს მოსწავლის ტვინის ყოველგვარ ძალას; მეხსიერებას, მოგონებას, გულის ყურს, საზოგადოდ მტკიცედ შეკავშირებულ ადამიანის ნებასთან და სხვ. ექიმი იკვლევს, როგორ ითვისებს ყმაწვილი შთაბეჭდილებას, უკანასკნელის გარდაქმნას წარმოდგენად და წარმოდგენათა ასოციაციას. მოწაფის ყოველი ფსიხიური აქტის აწონ-დაწონა, მისი ინდივიდუალური ხასიათის შეგნება უფრო ადვილია სკოლის ექიმისათვის, ვიდრე მასწავლებლისათვის, რადგან მასწავლებელი ჯერ ერთგვარ ცოდნას აძლევს ყმაწვილებს, ამასთანავე ერთგვარ მოვლენათა მუდმივი განმეორება კიდეც აჩლუნგებს ზოგი მასწავლებლის დაკვირვებას და ამ შემთხვევაში სკოლის ექიმი, როგორც უფრო ობიექტიური მაყურებელი და მკვლევარი, ადვილად შეამჩნევს მოსწავლის სულიერ მდგომარეობაში ინდივიდუალურს და საზოგადო თვისებას. მხოლოდ ექიმი, როგორც სამასწავლებლო რჩევის ერთი წევრთაგანი, მოვალედ უნდა ხდიდეს თავის თავს, თავისი დაკვირვება და დასკვნა მოწაფეთა სულიერი და ფიზიკური მხარეების შესახებ გაუზიაროს მასწავლებელთა კრებას, მხოლოდ ეს აზრი მაინც და მაინც სავალდებულო არ—უნდა იყოს მასწავლებელთათვის, რომ სკოლის საქმეში დიდად საჭირო ჰარმონია არ დაირღვეს. ექიმისაგან კარგათ ახსნილი და დასაბუთებული დასკვნა ძალაუნებურადაც იქნება მასწავლებლებისაგან დაფასებული და მიღებული, აქაც, მასწავლებლების ურთიერთობაში, როგორც ყმაწვილებთან, ექიმისათვის საჭიროა მეტი ტაქტიკა და თავ-დაჭერილობა. სწავლაში ჩამორჩენის მიზეზი ბევრნაირია, ყველას აქ ვერ ჩამოვთვლით, მხოლოდ დროზედ უნდა მოიძებნოს იგი სკოლაში იქნება თუ სკოლის გარეშე. შეიძლება, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ ყმაწვილის ფიზიკური და გონებრივი ზრდა არ ეფერებოდეს ერთი მეორეს, ან შეიძლება ყმაწვილი ცხადად იჩენს ფიზიკურს და სულიერს გადაგვარებას და ეს კარგათ უნდა იქმნას გამორკვეული ექიმისაგან და ღონისძიებაც დროზედ მიღებული. ან შეიძლება ყმაწვილი, რომელიც ჰასაკში გადადის, ყოველი თვისი ყურადღება, როგორც ხშირად ხდება, ხოლმე, სქესობრივ მოთხოვნილებას აქცევს და სხვა არა ეინტერესება. შეიძლება ყმაწვილი მეტად ნიჭიერი იყოს ამხანაგებთან შედარებით, თვითონ წინდაწინვე სასწავლელ საგნებს ითვისებდეს და ამგვარ ყმაწვილთათვის კლასში საინტერესო არა დარჩენილა. ამ პირობებში სქესობრივი მოთხოვნილება ყმაწვილისა იპყრობს მთელს მის ყურადღებას, ხრწნის მას ზნეობრივად და ფიზიკურადაც, რადგან ყმაწვილი გულის ყურის კლასში უვარჯიშობისა გამო მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს და მავნებელ ჩუკენობის (Мануступрація) მსხვერპლად ხდება. ეს გარემოებაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს სკოლის ექიმს სახეში და მეტს ყურადღებას უნდა აქცევდეს მოწიფულ ყმაწვილებს. ზენოხსენებულ გარემოებას დიდი ზარალი მოაქვს ყმაწვილის ნებისათვის, ასუსტებს მას და ნებით სუსტი ადამიანი ცუდი მოქალაქე და მოღვაწეა. ამ ზემოხსენებულს შემთხვევაში საჭიროა ექიმმა მასწავლებლების დახმარებით გაუჩინოს ყმაწვილს სხვა რამ ინტერესი. მხოლოდ ექიმს ეს იმ შემთხვევაში გაუადვილდება, თუ იგი ყმაწვილების გულწრფელი მეგობარი იქნება. ექიმის და მოწაფეთა შორის გულახდილობა და მეგობრობა კი ადვილია, რად-

გან მოსწავლენი ისედაც საზოგადოდ დიდის პატივისცემით ეკიდებიან სკოლის ექიმებს. ეს გულახდილობა და მეგობრული განწყობილება საუკეთესო ნიადაგია სკოლის ექიმისაგან მოსწავლის ყოველის მხრით გასაცნობად, რაც, როგორც ზევითაც ვსთქვით, ქვაკუთხედია სკოლაში ექიმის სასარგებლო მოღვაწეობისა, მხოლოდ ყმაწვილების პირადობის კარგად გაცნობის გულისთვის სკოლის ექიმი უნდა აღევნებდეს მათ ყურადღებას არა მარტო კლასში სწავლის დროს, არა მარტო პანსიონში, კერძო ბინებზედაც კი, რადგან ყოველი პირობები, რომლებშიაც მიმდინარეობს ყმაწვილის ცხოვრება ექიმს ამ გზით მხოლოდ ექნება კარგად შეგნებული და აწონ-დაწონილი. ამავე მიზნის შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ექიმის პირადობას და მის მაგალითს.

ყმაწვილების ფიზიკურ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს გიმნასტიკას, სხვა და სხვა მოძრავ თამაშობას. ამ გვარ ვარჯიშობას ძლიერ ეტანებოდნენ ბერძნები, რომაელები. ძველებისაგან ნაანდერძევი აზრი: mens sana in corpore sano, მათგან პრაქტიკულადაც იყო განხორციელებული. ჩვენის აზრით მრავალ გვარ ვარჯიშობის წყალობით ბერძნებმა მიაღწიეს კლასსიკური მშვენიერების განხორციელებას ცხოვრებაში და ხელოვნებაში. დღევანდელ ერებში ფიზიკურს აღზრდას ყმაწვილებისას უფრო ეტანებიან ინგლისელები, მაგრამ ყველაზე უფრო იაპონელებს დაუფასებიათ გიმნასტური ვარჯიშობა მოზარდ თაობის ფიზიკურად გასაღონიერებლად, როგორც მოწმობენ იაპონიის დღევანდელი მკვლევარნი. იაპონიის სკოლებში ვაჟებიც და ქალებიც ვარჯიშობენ და ამ გარემოებას მეტი მნიშვნელობა აქვს მოდგმის საქმეში. ორივე სქესისაგან შემენილი სასარგებლო თვისებანი უფრო საფუძვლიანად იკიდებენ ფეხს შთამომავლობაში. საზოგადოდ გიმნასტიკა იაპონიაში ტყუილად დროს დაკარგვა როდია. მთელი გროვა მუსკულებისა ჰარმონიულად იღებენ მონაწილეობას ვარჯიშობის დროს და ამ პირობებში ვარჯიშობა სასიამოვნოა, რადგანაც იგი ფიზიოლოგიის და ანატომიის სრულ ცოდნაზეა დამყარებული. რუსეთში კი გიმნასტიკა უსიამოვნო ნჯღრევაა აგებულობისა და უმეცარ ადამიანების ხელშია. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ რუსეთი, სხვათა შორის, ჰიგიენურად მოწყობილმა იაპონიის სკოლამ დაამარცხა. ქართველებისაგან მრავალ საუკუნოების განმავლობაში მუდმივი სხვა და სხვა ერებთან ომიანობის ატანა, ხანდისხან მათი ძლევა-მოსილება მარტო ეროვნულ თვისებას როდი მიეწერება, შეეგია ძველად ძლიერ გავრცელებულ და ეხლა მივიწყებულის ჯირითისა, სხვა და სხვა გვარ ვარჯიშობისა და ბურთაობისა, რომელიც ძველადაც დიდ პატივში ყოფილა, როგორც ხშირად მოგვითხრობს შოთა რუსთაველი „ვეფხის-ტყაოსან“-ში. ჩვენში ეხლაც მიღებულია სხვა და სხვა გვარი მოძრავი თამაშობა. ძველებური წესწყობილება და ჩვეულება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მალე მოისპო. საქართველო დაადგა ახალ ცხოვრებას. აუცილებელი შეიქნა სალდათების გაყვანა და მათი ყაზარმებში და უცხო და ცივ ადგილებში ცხოვრება. მუშამრეწველობამ და სახლში სივიწროემ და სიღარიბემ ქარხნებში შედენა. ამ ახალმა შეუჩვეველმა ცხოვრების პირობებმა შექმნა ჩვენში მეტი დასუსტება და დაავადება ადამიანისა, რასაც მოწმობს კარ-

გათ ჯერ კიდევ დაუმუშავებელი სტატისტიკა. დღეს იმდენად ცვალებადი შეიქმნა ცხოვრება, რომ ადვილად შეიძლება გუშინდელი მუშა კაცის შვილი ხვალ მწერალი, ადვოკატი ან სახელმწიფო მოღვაწე გახდეს. ასე უცბად მამა-პაპური ცხოვრების პირობების გამოცვლა უმნიშვნელოდ არ ჩაივლის ხოლმე შვილისა და შვილის შვილისათვის. კიდეც ამის გამო გიმნასტიკას და სხვა და სხვა გვარ მოძრავ ვარჯიშობას დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენ ცხოვრებაში და სკოლაში და ამ საქმის კარგა დაყენება სკოლის ექიმის პირდაპირი მოვალეობა უნდა იყვეს. უმჯობესია ხანგრძლივობის და ჯანმრთელობის პირობები თვით ცხოვრებაში ვეძებნოთ, მოვაწყოთ ცხოვრება და უფრო სკოლა, შეძლებისა დაგვარად, დიეტეტიკისა და ჰიგიენის მოთხოვნების დაგვარად. ამნაირად უფრო ადვილათ ავწევთ ადამიანის ბუნებასთან საბრძოლველ ძალას. ამ პირობებში უფრო შესაძლოა ადამიანის მაღალი აზროვნებაც. ნუ დავივიწყებთ ძველ ბერძნებს, რომელთაც საუცხოვო ფილოსოფოსი იმავე დროს იყო მეომარი და მუშაც (სოკრატი).

საჭიროა სკოლის ექიმი გაშინჯვის დროს თან ესაუბრებოდეს ყმაწვილებს ზოგი ჰიგიენურ კითხვების გამო, საჭიროა უხსნიდეს მათ მათში შენიშნულ ავადმყოფობის პროფელაკტიკას. ამასთან ერთად სასარგებლო და საჭიროა ექიმმა კვირაში ერთხელ მაინც გაუმართოს მოწაფეებს ჰიგიენური მუსაიფი, რომელიც, როგორც ვიცით, ყმაწვილებს ძლიერ ეხალისებათ და ეინტერესებათ. მასალა კი დიდი აქვს ექიმს. მის წინ გადაშლილია მთელი ბუნება საზოგადოდ და მეტადრე ბუნება ადამიანისა. ექიმი მასალას უხვად იშოვის საზოგადო ჰიგიენიდან და თვით დღიური ცხოვრებიდანაც. ამ შემთხვევაში ექიმი შეიქმნება მასწავლებელი და დამრიგებელი თუ როგორ და რა პირობებში უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, რომ ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა მოიპოვოს. ამასთანავე ექიმს ეძლევა შემთხვევა განუმარტოს მოსწავლეთ საზღვრები თავის მოყვარეობისა, გულშემატკივრობისა და სხვისათვის მზრუნველობისა ჰიგიენის თვალით.

მაგალითად მცნება: ნუ ჰყოფ სხვისათვის მას, რაც არ გსურს სხვებმა შენთვის ჰყონ—ადვილად განიმარტება ჰიგიენის მხრითაც. ახლად მიცვალებული საფრანგეთის მეცნიერი პასტერის ინსტიტუტის დირექტორად ყოფილი დიუკლო მოგვითხრობს ერთს ამბავს პარიზის ცხოვრებიდან. პარიზმა ისარგებლა თავის სიმდიდრით და რიცხვით და ვერაგულად შეისყიდა თავისათვის პარიზთან მახლობელ სოფლებისაგან წყაროები. მოტყუებულმა სოფლელებმა სამაგიერო იმით გადაუხადეს პარიზელებს, რომ ნაგავს და ყოველ სიბინძურეს მოურიდებლად ატანდენ წყაროებს, რისგამო პარიზში გადამდებმა სენმა მაგ. ხურვებამ, ძლიერ იმატა. „ამ გვარად პასუხს აძლევს ბუნება, ამბობს დიუკლო, ადამიანის მოქმედებას, რომელიც გაჟღენთილია კოლექტიური ეგოიზმით, ამ შემთხვევაში გეოლოგია გვაძლევს გაკვეთილებს ზნეობისას“. მეორის მხრით ისეთი მაგალითიც ბევრია, რომელიც გვაჩვენებს ადამიანების მოქმედებას, გაჟღენთილს ინდივიდუალური ეგოიზმით, რომელიც მთელ საზოგადოებას სტანჯავს და მავნებლობას აძლევს. მხოლოდ ღრმად შესმენა საზოგადოდ სოლიდარობისა აბათილებს გა-

დაჭარბებულს ზედგავლენას კერძო და კოლექტიურ ეგოიზმისას. ამ გადაჭარბებულს ზედგავლენას კერძო და კოლ-ლექტიურ ეგოიზმისას ცხოვრებაზე უნდა ებრძოდეს ყოველი სკოლა და მასთან ერთად სკოლის ექიმიც. ამას ექიმი ღირსეულად შეასრულებს, თუ თავის დანიშნულება და მოვალეობა კარგად ესმის და უყვარს ნაკისრი საქმე, თან საკმარისადაც არის მომზადებული და განათლებული. ბევრს უსარგებლო და მავნებელს ჩვეულებას ადამიანი ყმაწვილობის დროს იძენს და, რაკი ჩვეულება ძვალ რბილში უჯდება, ბოლოს მხოლოდ მტკიცე ხასიათს შეუძლია ამგვარი ჩვეულების უარ-ყოფა და მოსპობა. კიდეც ამისათვის არა ჰიგიენურ ჩვეულების მოსპობას მოსწავლეში ექიმი დროზედ და მოხერხებულად უნდა შეეცადოს. ამგვარი ჩვეულება ბლომად აქვს დღევანდელს კულტურით ამაყ ადამიანს. ყმაწვილობაში მიბაძვის წყალობით მხოლოდ და არა ბუნებრივი მოთხოვნილების და მიდრეკილების წყალობით თამბაქოს მოწევას ეჩვევიან, იწამლავენ და იხრწნიან ფილტვებს, ღვიძლს, გულს, ერთი სიტყვით ყოველს ორგანოს და ამავე დროს მოურიდებლად სხვებსაც ჰაერს უწამლავენ, პირიქით უზრდელად პირში უბოლებენ და ამგვარად თავისი სიამოვნებისათვის სხვას უსიამოვნებას აყენებენ. სნეულები ქუჩებში გამოდიან; ყვავილით, წითელით, ყელტკივილით და სხვა გადამდებ სენით ავადმყოფი ბავშვები დედამამებს გამოჰყავთ ქუჩებში, საზოგადოებაში, სასოფლო ჭასთან და წყაროსთან სწორედ იმ დროს, როდესაც ავადმყოფთ კანი ეცლებათ და ამგვარად სენი ადვილად გადასადები ხდება. ამგვარადვე სხვისთვის მავნებელია ბოლქიანების ეგოისტური საქციელი, რომლის წყალობით ისინი ნახველს ყოველგან აბნევენ და ამით სხვას განსაცდელში აყენებენ. ამგვარი მაგალითები ბევრია და მათ საზოგადო ხასიათი აქვს. სკოლის ექიმის მოვალეობა უნდა იყვეს ამგვარ კითხვების გამო საუბრების გამართვა ყმაწვილებთან, მხოლოდ საუბარი კარგად უნდა იყვეს დასაბუთებული, რომ მოსწავლეთ ექიმისაგან გადმოცემული ჰიგიენური სწავლა გონებაში მტკიცეთ გაუჯდეთ. მოსწავლენი ბოლოს მოქალაქეებად და საზოგადო მოღვაწეთ ხდებიან. და ჰიგიენურ ცოდნის გატარებას ცხოვრებაში მოქმედებით და სამაგალითო ცხოვრებით ხელს შეუწყობენ. მხოლოდ სკოლების წყალობით იქნება შეგნებული ინდივიდუალური პროფილაქტიკა, რომელიც საოჯახო და საზოგადო ჰიგიენას საძირკვლად დაედება. უამისოდ საზოგადო ჰიგიენის განხორციელებას ვერ შეუწყობს ხელს ვერავითარი სანიტარული კანონმდებლობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჰიგიენა მალე იქნება შემოღებული საშუალო სასწავლებლებში, ზოგან ცოტად დღესაც არის შემოღებული ზოგს ქალაქის სასწავლებლებში და სემინარიაში. ვინ იცის რაგვარ ცოდნას არ უწვდიან ახალგაზდობას, ზოგი ცოდნა სახლამდისაც არ მიჰყვება ბავშვებს და ის კი არ იციან, რასაც მტკიცე კავშირი აქვს სიცოცხლის ხანგრძლივობასთან და ჯანმრთელობასთან. რადგან ასე ვრცელი და რთულია ექიმის მოვალეობა და მოქმედება, ამისათვის სავალდებულოა მისგან საზოგადო ექიმობის, ჰიგიენის, ფსიხო-ფიზიოლოგიის და მეტადრე ფსიხიატრიის საკმარისად ცოდნა.

თუ სკოლის ექიმს შისწავლის ნიჭი და

ცნობის მოყვარეობა და ნივთიერადაც უზრუნველყოფილ იქნება, ყოველ ზაფხულობით თავისუფალი, ყოველთვის შესძლებს სკოლის ექიმი ყოველ წელიწადში თუ არა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც გამგზავრებას საზღვარ გარედ დანაკლისის შესავსებად, შესძლებს ევროპის სკოლების შესწავლას ჰიგიენურის მხრით, რათა ზოგი გამოსადეგარი ჰიგიენური ზომები თავის სკოლაში განახორციელოს. ეს დიდი მსხვერპლი როდია ექიმისათვის, პირიქით სასიხარულო და საოცნებელია. გარდა ზემოხსენებულ საგნების ცოდნისა სკოლის ექიმმა უნდა იცოდეს ქიმიკურ-ბაქტეოროლოგიური გამოკვლევაც.

წარმოვთქვით რა ზოგადი მოსაზრებანი სკოლის ექიმის მოვალეობისა და უფლების შესახებ, ჩვენ არ შევეხებით ზოგიერთ სკოლაში ადვილად შესაძენს ავადმყოფობას და მის პროფილაქტიკას, როგორიც არიან მაგ. თავის ტკივილი, ცხვირიდან სისხლისდენა, უმადობა და უძილობა, ისტერია, თვალების ავადმყოფობა (მიოპია), ხერხემალის ურიგო ზრდა სკოლაში უხეიროდ სხდომისა გამო და სხვ., არც ბევრ სხვა გვარს სასკოლო ჰიგიენისაგან წამოყენებულ კითხვებს შეეხებით, რადგან ეს კითხვები საკმარისად გამორკვეული არიან და უფრო უკეთესად იქნებიან გამორკვეულნი, თუ სკოლის ჰიგიენა და თვით სკოლის ექიმების მდგომარეობა საპატივო ადგილს დაიჭერენ სწავლა-განათლების საქმეში,

ექიმი ე. ვაშაკიძე

ჰატარა წერილები

1. გატრეგნილ სული.

ჯურს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო, ნათქვამია. ეს ანდაზა, თუ სრულებით არა, რამდენიმეთ მაინც ითქმის ადამიანის ნორჩ სულზე, რომელიც მეტად ფაქიზი და გრძნობიერია თავისთავად: თუ გვინდა მომწიფებულ სულს რამე დადებითი მოვთხოვოთ, უნდა შევეცადნეთ მას სინორჩეში შევთვისოთ დადებითი მხარეებისკენ მიდრეკილება. ეს ჰეშმარიტება ადამიანობის საუკეთესო შვილებს უხსოვარ დროიდან ჰქონდათ გათვალისწინებული და კაცობრიობის წინსვლისათვის სწორედ რომ ნორჩ სულთა შესაფერ აღზრდას თვლიდენ. მაგრამ, როგორც დრო, ისე ცხოვრებაც ცვალებადია და აღზრდის საქმე, რომელიც ყოველ ეპვის გარეშე პირველ მორიგ ადგილზე უნდა იდგეს, ნელნელა მიჩანჩალობს, ჯერ მას კიდევ ვერ მოუშორებია თეორიული სახე; სამწუხაროდ, მას ხშირად მაზედ ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ჩრდილავს.

სწავლა აღზრდის—პედაგოგიკის უმთავრეს მტრად და მოყვარედ ჩვენს ახლო-მახლო ეპოქებში უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მისწრა-

ფება. ხშირად ხდება, რომ სწავლა-აღზრდის საქმეს რომელსამე დასახულ პოლიტიკას უქვემდებარებენ და აქ არის, რომ პედაგოგიკას ფრთები ეკვეცება,— ის მის ფაქიზ არსებისთვის აუტანელ ჩარჩოებში ისმება. ასეთ ჩარჩოებისაგან პედაგოგიკა დღესაც არ არის თავისუფალი. ამისათვის სწავლა-აღზრდის საკითხი თვით კულტურულ ქვეყნებშიაც კი დღეს დღეობით მოელის თვისდა სასარგებლოთ გადაჭრას. ეს გადაჭრაც იმაში გამოიხატება, რომ პედაგოგიური საკითხები განცალკებულ საკითხებათ იქცევიან და ცხოვრებაში ფართოდ გატარდებიან.

ყოველ საქმეს მოთავე, ხელმძღვანელი სჭირია. საქმის ვითარება, უეჭველია, მის ხელმძღვანელთან არის მჭიდროთ დაკავშირებული: კარგ საქმეს ყოველთვინ კარგი მეთაური უდგას სათავეში, ცუდს კი ცუდი. ამ სინამდვილეს ვერც სწავლა-აღზრდის საქმე აშორდებოდა: ბევრჯერ გაუღიმია მისთვის ბედს, ბევრჯერ აციმციმებულა მისი ვარსკვლავი,— მაგრამ ბევრჯერვე დაუბურავს ის შავ ღრუბლებს. ადვილი წარმოსადგენია ის საფრთხე, რომელსაც მოუმზადებდა მას ეს უკანასკნელი მდგომარეობა. ძნელი საქმე არ არის წამხდარ ნივთის შეკეთება, მაგრამ ცუდ ნიადაგზე აღზრდილ სულის გასწორება ერთობ ძნელი და ხშირად შეუძლებელი საქმეა.

ამისათვის აღზრდის საქმეს მუდამ განსაკუთრებით ათვალული ფაქიზი მოაზროვნე უნდა უდგეს თავში. ამას კ ცხოვრებაში იშვიათად ეხედავთ და ეს არის, რომ თითქმის შუა გზაზე მდგარ საქმის სწრაფად უკუტრიალს აადვილებს. ასეთი სიო ჰქმნის განსაკუთრებულ სამოსწავლო ატმოსფერას, რომლის წყალობით ხშირად შუქმფენის, მასწავლებლის სახელის მატარებელნი სულიერ ჯალათების როლებში გამოდიან. როდესაც ჩვენ სწავლა აღზრდაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიგულისხმოთ ერთის მხრით მასწავლებელნი, ხოლო მეორეს მხრით მოწაფენი. ვინ არის იმ მასწავლებლის უმეტესობა, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ?— გუშინდელი მოწაფენი, რომელთა სული მოწამლულია განვლილი ატმოსფერით.

ნათქვამია, ცუდი მდგომარეობა სულს აკეთილშობილებსო, მაგრამ ეს ყოველთვინ მართალი არ არის. ასეთ ატმოსფერიდან გამოსული ადამიანები განვლილ მდგომარეობის წინააღმდეგ საბრძოლველად ხშირად მხოლოდ თეორეტიკოსთა სახით გამოდიან და საქმეს ვერას მატებენ. ძნელია სულის ხელახლად გარდაქმნა, გამოზრდა. სჩანს, პრაქტიკაში ცუდ ატმოსფერიდან გამოსული ადამიანები ასე თუ ისე ცუდ დასაწყისის მსახურად გამოდიან. ასეთებს ჩვენ ვაბარებთ ნორჩი, ფაქიზ სულის მატარებელ მოწაფეებს. უკამათოდ უნდა მივიღოთ ის აზრი, რომ მოწაფეებზე მეტად დიდი გავლენა აქვს მასწავლებელთან დამოკიდებულებას. ვის არ უნახავს მთელი დღეობით სახე მოღუშული ნორჩი მოწაფე, რომელიც რამე საქციელისათვის დაეტუქსა მის მასწავლებელს? ან იმავე ასაკის მოწაფე გახარებული, აღტაცებული იმისათვის, რომ მისთვის შეუქია იმავე მასწავლებელს? ვინ იცის რას იფიქრებს, თუნდაც მისდა უნებურად, ორივე მდგომარეობაში ნორჩი და გრძნობიერი ყრმა? ვინ იცის წინ წააქეზებს თუ უკან მას შთაბეჭდილება?—ეს ანგარიშის გაწევის ღირსია, მაგრამ განა ხშირად აქცევენ მას ყურადღებას?..

ქება— გაიცხვა, სიხარული—ტირილი, აი რას შევნიშნავთ ჩვენ სკოლების კედ-

ლებში. ერთ ნორჩს და გრძნობიერ არსებას ხოტბას ასხამენ, მეორეს მიწასთან ასწორებენ, კიცხავენ,—ერთს სიხარულის ალში ხვევენ, მეორეს ატირებენ. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია მრავალტანჯულ მოწაფის მისწრაფება—დაიმსახუროს მასწავლებლის შექება, თუნდაც ეს მას ძვირად დაუჯდეს. ის თითქმის ინსტინქტიურად ხმარობს თავისებურ იარაღს, რომლისთვის მას მიამართია შექმნილ მდგომარეობამ. ეს იარაღია ფალსიფიკაცია, მდიქვნელობა მასწავლებლის წინაშე.

მოწაფე მუდამ წინ უტრიალებს მასწავლებელს, ამბობს მას, რაც მასწავლებელს უხარია, როცა მასწავლებელს მოჰკრავს თვალს, ჭკვიან გამომეტყველებას მიიღებს, ვითომ და სხვების დარიგებასაც კისრულობს და ცდილობს ყველა ამითი მასწავლებლის გული მოიგოს. მასწავლებლები ხშირად, სულ ხშირად გრმავდებიან, ვერ ამჩნევენ მოწაფის ამ საქციელს და მას პატივსადებ მოწაფედ სთვლიან. ერთი მოწაფის მაგალითი მეორეს გადააქვს, მეორის მესამეს და ამ რიგად იწამლება მთელი ჯგუფი მოზარდი თაობისა. მაშინ, როდესაც მასწავლებლის მიზანიც ის არის, რომ რამეფერად უფროსის გული მოიგოს, ასეთი მოწაფეები მას სამსახურს უწევენ. ის ვერ ურიგდება პირდაპირობის მოყვარე მოწაფეებს და იშორებს მათ. ამ რიგად სკოლების კედლებში ისპობა მოწაფეთა ინდივიდუალური თვისებანი და თითქმის ყველა ერთ მოშხამულ ჰაერით იჟღენთება. ასე გრძელდება სულ, რადგანაც სწავლა-აღზრდის საქმე სწორ გზას გადამცდარია. თუ სკოლაში „ვერ ივარგა“ მოწაფემ, მას სახლშიც ალმაცერად შეჰყურებენ და ეს კიდევ უთითებს მას ლაქუცა ამხანაგების მიერ ამორჩეულ გზისკენ.

ამ რიგად მის სულს თანდათან შორდება დადებითი მხარეები, თუ კი ასეთი მას გააჩნდა. სკოლა მას ფორმალიზმს აჩვევს. მისი სული კი იტრეგნება სკოლაში და სწავლა-აღზრდის საქმეც უარყოფით სახეს ღებულობს.

არ. ფანცულაია

არითმეტიკის ტერმინები

1915 წლის 15 და 30 ენკენისთვეს, 2 ღვინობისთვეს და 7 გიორგობისთვეს ტფილისის ქართულ გიმნაზიაში ჰქონდა სხდომები კომისიას, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საარითმეტიკო ტერმინები. თავმჯდომარეობდა გიმნაზიის გამგე ბ. ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე. კომისიაში შედიოდნენ მათემატიკის მასწავლებელნი ტფილისის ქართულ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისა და „განათლების“ სასწავლებლისა. მონაწილეობას იღებდნენ კომისიაში ბ.ბ. ვასილ ზაქარიას ძე ბარნოვი და პეტრე გრიგოლის ძე მირიანაშვილი. მდივნად იყო ლ. ა. ჩიმაკაძე.

კომისიამ გადაშინჯა დღემდის ცნობილი და ზოგიერთ სახელმძღვანელოში უკვე მიღებული ტერმინები (ხრამელაშვილისა, ყიფიანისა), მიიღო მხედველობაში 1882—1883 წლ. კომისიის მიერ შემუშავებული და აგრედვე სხდომებზე დამსწრე წევრების მიერ ახლად მოწოდებული მასალა, და ყველანი შეთანხმდნენ, რომ მიღებულ იქნას ქვემოდ მოყვანილი ტერმინები.

ამასთანავე კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ მცოდნე პირებმა ამ ტერმინების შესახებ თვისი აზრი გამოსთქვან და რაც შეიძლება მალე მოგვაწოდონ თვისი შენიშვნები კერძოდ თუ პრესის საშუალებით, ვინაიდან განზრახულია მოკლე დროში გამოიცეს არითმეტიკის ამოცანათა კრებული, რომელიც უკვე დამზადებულია.

1. Предметы однородные и разнородные—საგნები ერთგვარი და სხვა და სხვა გვარი. 2. Единица—ერთეული. 3. Отвлеченныя числа—განყენებული რიცხვები. 4. Именованныя числа—სახელდებული რიცხვები. 5. Цѣлыя числа—მთლიანი რიცხვები. 6. Цѣликомъ, все—მთლად. 7. Счисленіе—აღრიცხვა. 8. Считать—თვლა. 9. Счетъ—სათვალავი. 10. Вычисленіе—გამოანგარიშება. 11. Классъ—კლასი, წყობა. 12. Разрядъ—რიგი. 13. Цифра—ციფრი. 14. Знакъ—ნიშანი. 15. Система—სისტემა. 16. Дѣйствіе—მოქმედება. 17. Сложеніе—შეერთება. 18. Присчитываніе—მითვლა. 19. Прибавлять—მიმატება. 20. Слагаемыя—შესაკრებნი. 21. Плюсъ—პლიუსი. 22. Сумма—ჯამი. 23. Вычитаніе—გამოკლება. 24. Уменьшаемое — შესამცირებელი. 25. Вычитаемое—შემამცირებელი. 26. Разность—განსხვავება. 27. Остатокъ—ნაშთი. 28. Умноженіе—გამრავლება. 29. Множимое—სამრავლი. 30. Множитель—მამრავლი. 31. Произведеніе—ნამრავლი. 32. Дѣленіе—გაყოფა. 33. Дѣлимое—გასაყოფი. 34. Дѣлитель—გამყოფი. 35. Частное—ნაწილადი. 36. Задача—ამოცანა. 37. Повѣрка—შემოწმება. 38. Скобки—ფრჩხილები. 39. Сомножители, производители—თანამამრავლნი. 40. Таблица—ტაბულა. 41. Степень—ხარისხი. 42. Возвышеніе—აღმატება. 43. Показатель степени—აღმატების მაჩვენებელი. 44. Основаніе степени—ხარისხის საფუძველი. 45. Корень—ძირი. 46. Возвышеніе въ степень—აღმატება ხარისხად. 47. Рѣшеніе—გადაწყვეტა, გამოანგარიშება. 48. Составное именованное число—რთული სახელდებული რიცხვი. 49. Простое именованное число—მარტივი სახელდებული რიცხვი. 50. Составное (отвлеч.) число—რთული (განყენებული) რიცხვი. 51. Первоначальное число—მარტივი რიცხვი. 52. Величина—ოდენობა. 53. Мѣра—ზომა, საზომი. 54. Длина—სიგრძე. 55. Поверхность—პირი. 56. Поверхность внѣшняя, внутреняя, верхняя—გარე,—შიდა,—ზედა პირი. 57. Площадь—სიფართე. 58. Плоскость—სიბრტყე. 59. Объемъ—მოცულობა. 60. Вмѣстимость, емкость—ტევა. 61. Раздробленіе — დაწვრილმანება. 62. Превращеніе—გარდაქცევა. 63. Кратное число—ჯერადი რიცხვი. 64. Дѣлимость—განაყოფა. 65. Признакъ дѣлимости—ნიშანი განაყოფისა. 66. Разложеніе—დაშლა. 67. Точные дѣлители—სწორ-გამყოფნი. 68. Четное

число—წყვილადი რიცხვი. 69. Нечетное число—კენტი რიცხვი. 70. Числа взаимно-простыя—რიცხვნი ერთმანეთ შორის მარტივნი. 71. Дробь, и ნაწევარი, ნაწევრები. 72. Дробь смѣшанная—შერეული ნაწევარი, правильная—წესიანი (კანონიერი), неправильная—უწესო (უკანონო). 73. Сокращеніе дроби—ნაწევართა შეკეცა. 74. Числитель—მრიცხველი. 75. Знаменатель—მნიშვნელი. 76. Приведеніе дроби къ одному знаменателю—ნაწევართა მნიშვნელობის გათანასწორება. 77. Десятичная дробь—ათწილადი ნაწევარი. 78. Періодическая—პერიოდული. 79. Конечная, безконечная—დაბოლოოვებული, დაუბოლოოველი. 80. Чистая періодическая дробь—წმინდა პერიოდული ნაწევარი. 81. Смѣшанная—შერეული. 82. Непрерывная дробь—შეუწყვეტელი ნაწევარი. 83. Отношеніе—შეფარდება. 84. Сравненіе—შედარება. 85. Пропорція—პროპორცია. 86. Предыдущій членъ, послѣдующій—წინა წევრი, მიმდევარი. 87. Знаменатель отношенія—შეფარდების მაჩვენებელი. 88. Разность отношенія—შეფარდების განსხვავება. 89. Относится—ეკრება. 90. Взаимно-обратныя другъ другу—ერთმანეთ შორის შექცეულნი. 91. Два числа относятся другъ другу—ორი რიცხვი ეკრება ერთმანეთს. 92. Уравненіе—თანაბრობა. 93. Прямое отношеніе—პირდაპირი შეფარდება. 94. Обратное отношеніе—შექცეული შეფარდება. 95. Равенство—თანასწორობა. 96. Тождество—იგივეობა. 97. Крайніе члены—გარე წევრნი. 98. Средніе члены—შუა წევრნი. 99. Производныя пропорціи—ნაწარმოები პროპორციები. 100. Неизвѣстное число—საპოვნი რიცხვი. 101. Тройное правило—სამთა წესი. 102. Пропорціональность—პროპორციონალობა. 103. Процентъ—პროცენტი, სარგებელი. 104. Процентныя деньги—სარგებლის ფული. 105. Капиталъ—თანხა, თავნი. 106. Процентная такса—სარგებელი. 107. Нарощенный капиталъ—ნაზარდი თანხა. 108. Правило процентовъ—პროცენტების წესი. 109. Вексель—თამასუქი. 110. Дебиторъ—მოვალე, დებიტორი. 111. Кредиторъ—კრედიტორი. 112. Учесть вексель—თამასუქის გამორიცხვა. 113. Учетъ, дисконтъ—გამოსარიცხი, დისკონტი 114. Валюта—ვალიუტა, თამასუქის ფასი (ღირებულობა). 115. Проба—დამლა. 116. Пропорціональное дѣленіе—პროპორციონალური გაყოფა. 117. Правила товарищества—საამხანაგო წესი. 118. Правило смѣшенія—შერევის წესი. 119. Смѣсь—ნარევი. 120. Рѣшеніе задачи приведеніемъ къ единицѣ—გადაწყვეტა ამოცანისა ერთეულებზე გამოანგარიშებით.

ამონაკვნესი

(ვაჟას ხსოვნას)

აღარა გვყევხარ!.. შენც გაგვშორდი, დაობლდა ერი,
სამშობლოს ცასა მოსწყდა კიდევ ერთი ვარსკვლავი,
გლოვის ძაძებში გახვეულან სამშობლოს მთები,
ირგვლივ გაისმის შავი ყორნის ხმა გულსაკლავი.

სამშობლოვ ჩემო, მუდამ გლოვა შენი ხვედრია,
შავი აჩრდილი სიკვდილისა თავს დაგტრიალებს,
ნუ თუ შენს გლოვას ბოლო აღარ უნდა მოეღოს?
ნუ თუ მარადის უნდა ღვრიდე მდუღარე ცრემლებს?

მოკვდა მგოსანი... სამუდამოთ დახუჭა თვალი,
სამშობლოს ცასა გარდეფარა მწუხრის ზეწარი,
მამავ ძვირფასო, რად დაგვტოვე, შენს საყვარელ ერს
რისთვის არგუნე მწუხარება და გლოვის ზარი?

ა. გაფრინდაშვილი

ფოთოლი

ვით ქალწული სამარესთან, ისე სტირის ეს ფოთოლი—
ცამ რო მკერდი შეურხია, გამჭვირვალე როგორც ბროლი...

სტირის ასე: გაზაფხული, ჩუმი ცრემლით გაფრინდება,
ასე გვტანჯავს უხილავი, ასე არის, ასე ხდება...

აჰა, ნახე ვით მოგროვდა ვაება და სევდა, სნება—
ახ! სიკვდილათ შეიცვალა გაზაფხულის ქორწინება...

იქ რა არის? იქ რა მელის, იქაც სხივი აინთება—
თუ ჩაქრება ისევ მალე—უხილავის იყოს ნება?...

გ. ლეონიძე

განთიადის ჟამს!..

განთიადის ჟამს, ჟამს სანატაროს, ოდეს სინათლე წყვდიადს გაჰკვეთავს,
მზისა სხივები ვით ცეცხლის შუბი, ღამის სუდარას დაფხრეწს, დაფლეთავს!..
აღაჟღაჟდება ცისა კიდური, გაცისკროვნდება ტყე-მინდორ-ველი,
აჟღურტულდება ცისა ფრინველი, ისმის გალობა საამო-მწველი!..
აკიაფდება მდელოს გულ-მკერდში ნამი, მძივებად მიმოფრქვეული,
და ახლად ფურჩქნილ კოკობ ვარდის ყლორტს გრძნობა მორევით დამღერს ბულბული!..
... ამ დროს მეც მხიბლავს ლაღი ბუნება, იმედის ცეცხლით მიტოკავს გული,
ვგრძნობ სასიცოცხლო სიამის წუთებს, ცისა სივრცეში ნავარდობს სული!..
... დავმღერი, ვმღერი იმედის ჰანგზე, ვივიწყებ სევდას, ვიამებ წყლულებს,
საგანთიადოთ ვაჟღერებ ჩონგურს, აღთქმის მხარეში ვუხმობ ჩაგრულებს!...
... ნაგრამ, როცა ცა მოიკუპრება, შავნი ღრუბელნი აიშლებიან,
მძაფრი გრიგალი დაიგრიალებს, მავნე ძალები ამხედრდებიან,
ლაღ განთიადის სიმშვენიერეს დაასამარებს უკუნი ბნელი
და გამეფდება კვლავ სამყაროში წყვდიადის ღმერთი, სულის მხეთველი!..
... ამ დროს ვივსები წყევის ფიალით, წყვდიადში ყოფნას ვერ უძლებს გული,
მინდა ვეკვეთო ბნელეთის ღმერთებს, რისხვის ფარ ხმალად გარდაქცეული!..
თვერ გავიმარჯვებ, ბევრად მირჩევნის მათთან ბრძოლაში დავლიო სული!..

ხ. ვარდო-შვილი

ჟამი ლოცვისა

ჰქროდა ნიავი,—ასული მთისა
ბარად შვებისთვის გადმოფრენილი
და თან მიჰქონდა ლოცვა სულისა
ტანჯულ მიწიდან ცად ავლენილი!..
ჰქროდა ნიავი... ტბის ჭავლს ლერწამი
ალერსით ფოთლებს უცაცუნებდა
და გულიც გრძნობდა, რომ ლოცვის წამი
სულს დამწუხრებულს უსალბუნებდა!..
ჰქროდა ნიავი... მე ვლოცულობდი,
ვით განდეგილი მეუდაბნოე
და იმ ლოცვაში შენ შეგყუროდი
ვით ცისარტყელას წმინდანი ნოე!..
ჰქროდა ნიავი... მე ვლოცულობდი
ოცნებით შექმნილს ხატების წინა
და იგი ლოცვა მე თვითონ ვგრძნობდი,
რომ ღაღადებდა თვით ცათა შინა!..
ჰქროდა ნიავი... ჟამი ლოცვისა,
მწველ კაეშანით გარემოცულსა,—
ვით ჰიმნი ციურ საგალობლისა,
ნეტარი შვებით ჰმოსავდა გულსა!..
... ჩადგა ნიავი!.. სულიც დადუმდა
ხანგრძლივი ლოცვით ქანც-მილეული;
გულში-კი ჩუმად კვლავ გრძნობით სდუღდა
მხურვალე ლოცვა ცად აკვეული!...

ილ. გოგია

ჩემი სურათი

(თ—ს).

გულის სიწრფელე ტილოდ ვიხმარე,
გრძნობის სიუხვე სხვადასხვა ფერად,
სულისა ლტოლვა, ჩემივე სულის
ჯადოსნურ ისრის სახატავ წვერად!
და საუცხოვო ვარდის ფერ ფონზე
ის სურნელით შეზავებულზე,
დავხატე ჩემივ ბედის სურათი
გადანაგები თვით სიყვარულზე!
და ის სურათი შენ მოგიძღვენი,
შენ, სასოებავ ჩემი სულისა,
სურათი გამცნობს: თუ რაოდენად
მონა ვარ შენი სიყვარულისა;
და თუ იმ სურათს შენივ თვალის წინ
ფერი ეცვალოს, გადასხვაფერდეს,—
გრწამდეს, რომ მყისვე უძრავად გდებულს,
სიკვდილის ჰანგებს გული მიძგერდეს!
მაშინ მიგლოვე და ჩემსა გამო
წამით უმანკო ცრემლი თუ ღვარო,
გთხოვ დამივიწყო და ჩემი ხსოვნა
გულიდან სრულად გადაიყარო!

ლადო გეგეჭკორი

ჭეშმარიტი სული

(თ—ს).

მე ვეძებდი შენში სულსა,
მე ვეძებდი ჭეშმარიტ სულს,—
ჭეშმარიტ სულს ტრფობის ალში
ამოწრთობილ-ამოტრუსულს!
შენი სახის მეტყველებით
გამოვიცან შენი სული,—
შენი სული ჩემს მწირ სულთან
გადაკვანძულ-ჩახლართული!
შენი სული წმინდა არის
და უმანკო ვითა მტრედი,—
ვითა მტრედი დიდი წარღვნის
დასასრულის წინ-მორბედი!
შენი სული ჩემს სულს ისე
ჩაეჭდო და ჩაექსოვა,—
ჩაექსოვა, რომ დღეს სულაც
გულს არ მიხშავს სევდა-ბლოვა!
დავეძებდი და დღეს შენში
ჭეშმარიტი ვპოვე სული!
ვპოვე სული ჩემს მწირ სულთან
გადახლართულ-ჩაკვანძული!

ლადო გეგეჭკორი.

სტრიქონები

დილის ცისკარსა ბინდი შეგვიცვლის,
ეკალი ბასრი აჩენს იარებს...
ვითა გრიგალი სწრაფი და მალი
ჟამი,—ოცნებას გაატიალებს...
მაშ უკვდავება ჩვენში ვინ იცნო,
მაშ რაა ყოფნა, ყოფნა უმიზნო?..

2.

თუ ვქრები, როგორც ოცნება მალი,
როგორც აჩრდილი შუადამისა,
თუ ვარ—საფლავის გამოძახილი
თუ უკვდავებაც არ მაქვს წამისა,
თუ სასო მიხდილს და უნუგეშოს,
ვერ გამაცოცხლებს მზიური ფრთენი—
თუ ვერ დავტოვებ კვალსა წაუშლელს—
ცაო, პირქუშო, რად შევიქენი?..

გ. ლეონიძე.

ჩემი თამარი!

ისიც მეფეა, მხოლოდ ჩემი საკუთარ სულის!
მეფეა აწმყოს, მომავლისა და თვით წარსულის.
მასში ადგებეჭდე იდეალი ქართველ ქალისა,—
ის სიმბოლოა სასურველი მომავალისა!

მან შეჰქმნა ჩემსა გარეშემო სულ სხვა ცხოვ-
რება,
აწ ჩემი სულიც ბრმა ჰირობებს არ ემორჩილება...
მისი სინაზე და ღიმილით თვალ-წარბთა
კრთომა,
ჩემივ მიმქრალიშ, ტანჯულ სულის არის
აღდგომა!

ჯადო შერეულს მასმევს ნექტარს ამ ქვეყნიურსა,
მიმდერს აკორდებს და საგმირო ჭანგებს
ციურსა...
თანდათან მატებს ჩემს არსებას ძალას გმირულსა,
ვალად მდებს ბრძოლას სამშობლოსთვის თავ-
განწირულსა!

სასასპარეზოდ ხელთ უპყრია დროშა წინსვლისა
და ლამპარივით გზას მინათებს, მიმიძღვის ისა!
და მეც შევეწევი, ისე ვეუმე, რომ მათვალზა
უმწიკვლო გრძნობის და წრფელ გულის მო-
დიდო ვაზა!

ის წმინდანია, მხოლოდ ჩემი სულის წმინდანი,
მან ამაშორა დუხჭირ ბედზე ჩივილ-მოთქმანი...
მამცნო, თუ ვითარ ჩვენს ქვეყანას იცავდენ
ძველად,
მანვე მაქცია სამშობლოის ერთგულ დამცველად!

ისიც მეფეა, მხოლოდ ჩემი საკუთარ სულის!
მეფეა აწმყოს, მომავლისა და თვით წარსულის,
მასში ადგებეჭდე იდეალი ქართველ ქალისა,—
ის სიმბოლოა სასურველი მომავალისა!

ლადო გეგეჭკორი

ნეტავი თქვენ, ჩიტუნებო!

ნეტავი თქვენ, ჩიტუნებო,
ამ დილაზე რომ ლოცვილობთ!
თავისუფლად დაფრთხიალობთ,
ერთმანეთთან სიამტკბილობთ!
შევენატრე თქვენ ცხოვრებას:
ნეტავი მეც ჩიტი ვიყო!
გარს ცოლ-შვილი მეხვეოდეს,
მხიარული მითი ვიყო!
მაგრამ ჩემდა სავალალოდ
კაცად შემქნა შემომქმედმა,
და მომგლიჯა მშობელ კერას
მოღალატე შავმა ბედმა!
მე აქ გული მიღონდება,
როცა სახლი მაგონდება!
იქ ცოლ-შვილი ცრემლად დნება
და ყოველ წამს მელოდება!
ნეტავი მეც ფრთები მესხას,
ჩიტუნებო, როგორც თქვენა!
რომ შევიძლო სამშობლოში
სამუდამოთ გადაფრენა!

ს. აბულაძე

დრო

1.

გაზაფხულზე მოკეკლუცე ვარდი ვნახე,
მზის სხივებით ანათრთოლი მოცახცახე,
მოლაჟლაჟე, ვით ყვითელი აბრეშუმი,
თვალ-ყუჟუნა, მიმზიდველი, ნაზი, ჩუმი;
თმებს უშლიდა და კოცნიდა სიო წყნარი
და ტოკავდა და ღელავდა ნაზ-ნარნარი!..

2.

შემოდგომა არის მკაცრი სუსხიანი,
ქარი დაჰქრის საშინელი, შავ-ფრთიანი
და კვნესავენ დაცვივნული ფოთლებიცა,
წყრომის ღრუბლით იმოსება მაღლა ზეცა.
დაზრა ვარდი, ტურფა, ქორფა, მოცახცახე
და ქანაობს ეხლა მხოლოდ ეკლისა ხე.

ნ. ზენობნიელი.

აკკორდი

გალიაში მისთვის მყვანდი,
მისთვის მყვანდი გალიაში,—
სიკოცხლეო, რომ მიყვარდი,
ვერ გაგვცვლიდი ვერა, სხვაში!
მე ვსტკებოდი შენის ცქერით,
შენთან ყოფნით ვნეტარობდი;
რა ვიცოდი თუ შენ ამ დროს
ტყვეობაში ტანჯვას გრძნობდი!..
მაგრამ, მზეო, მეც რომ ტყვე ვარ!
ტყვე ვარ სულით წმინდა გრძნობის
და შენ გფიცავ,—ის ტყვეობა
აჩრდილია ამ ტყვეობის!..
მაგრამ ოდეს შეგიბრალე,
გაგიხსენი გულის ყარი,
შენ გაფრინდი, მე დამტოვე
მარტო, ობლად, გულ-მწუხარი!..
...გრძნობის სიმებს გამოვტაცე
ნაღვლიანი ეს აკკორდი
და ოცნების თაიგულად
გიძღვენ იმას, ვისაც გტრფობდი.
ჩემი ფიცი თუ არა გწამს,
ჩემი სიტყვა თუ არ გჯერა,
ყური უგდე თუ რას გეტყვის
საიდუმლო გულის ძგერა!..

ილ. გოგია.

შემოდგომა

შემოდგომაა!.. სცვივა და სცვივა
გაყვითლებული ფოთლები ხეებს;
და ეგ ფოლები დღეებს მაგონებს,—
ჩემი სიცოცხლის უფერულ დღეებს!..

სცრის!.. მუქი ნისლი გარს ახვევია
გრძნეულ სუდარად არეს მდუმარეს
და ფრთებით ლოკავს ტყეს ჩაყვითლებულს,
ვით სევდის ალი გულსა მწუხარეს;

ცასაც დაჰკვრია ქმუნვის ზეწარი,
მზე მოკისკასე წყვდიადს შთაუნთქავს;
დაძრწის გრიგალი და ამ გრიგალში
ქვესკნეთის რისხვა,—სიკვდილი სუნთქავს!

მთის ორწოხისკენ მიჰქრის ფოთოლი
მკვდარი, უსულო, გაფითრებული;
ერთხელ უმიზნო სიცოცხლით მჩქროლი,
უმიზნოთ ხეზედ დაკიდებული;

კვლავ ვერ იხილავს გაზაფხულს მზეს
მას ცივი თოვლი დაასამარებს,—
მეც გაზაფხული ჩემის სიცოცხლის
კვლავ სხივს ცხოველმყოფს არ მომაკარებს!.

და თვით არ იცის რისთვის სცოცხლობდა,
რად იყო ქვეყნად სიცოცხლე ტკბილი,
თუ კვლავ მოწყვეტდა მას ყოფნის ხეზედ
სამარადისო შავი სიკვდილი!..

და ისევ-ისე სცვივა და სცვივა
გაყვითლებული ფოთლები ხეებს,
და ეგ ფოთლები დღეებს მაგონებს,—
ჩემის სიცოცხლის უფერულ დღეებს!..

ტყე მიიძინებს გაზაფხულამდე,
არ შეუდრკება ზამთრის იარებს,
იმ ტკბილ იმედით, რომ გაზაფხულზე
შვების ნორჩ ფოთლებს ააშრიალებს!—

მაგრამ, ვაი მას, ვისაც შავ ბედი
სიმწუხარეში ჰპარავდა დღეებს
და მომავალიც ამაო ფუჭი
არას ჰპირდება, არ ანუგეშებს!..—

...სცრის, ნესტიანი და მუქი ნისლი,
თავს დასწოლია ტყეს ჩაყვითლებულს
და ფრთებს ულოკავს დაცრემლილ სერებს
ვით სევდა მწველი გულს დამწუხრებულს!..

შემოდგომაა და ცივი ქარი
ავი სულივით დაისისინებს,
ხან სატანურად მოჰყვება ხარხარს,
ხან მწარედ, მწარედ ჩაიქვითინებს.

და ცა მწუხარე, ცა ნაღვლიანი
არ აფრქვევს მიწას შვების ნაზ სხივებს,—
სცრის!ჩამჭკნარ წალკოტს სამარედ ქცეულს
გულის ტკივილით ცრემლებს აწვიმებს!..

ილ. გოგია.

ვარდი

მთის ნიავმა შავი ნისლი
მთის გადაღმა გადაჰკარგა.
მზის სხივთ კონამ ზღვის გულ მკერდი
ოქრომკედით ამოჰქარგა!..
შეჰკრთა ვარდი—ღამით შლილი,
ლალის ფრთები შეარხია,
მარგალიტის ცვართა მძივი
ლბილ მდელოზე დააფრქვია!..
თრთოდა ვარდი, ღია მკერდით
შვების ცრემლი წანწკარობდა
მზის ცელქ სხივებს ჩაეკოცნა,
ეშხით გულში ჩაჰპარვოდა!..
და... კვლავ მწუხრის გრძნეულ ფრთებზე
შეჰკრთა ვარდი ფერ მიხდილი,—
თურმე ტრფობას და სიცოცხლეს
თანვე ახლდა თვით სიკვდილი!..
...მთის ნიავმა ღამის ჩრდილი
მთიდგან ისევ წამოშალა;
ვარდმაც ფრთები ფერმიხდილი
სამუდამოდ ჩამოშალა!..
ნიავი კი კვლავ ლუკლუკებს
ყვავილთ შორის მოლივლივე
—ეგრე სჭკნება თვით სიცოცხლე,
ეგრე ჰქრება ყოველივე.

ილ. გოგია.

„რისთვის?!“

(ფსიხოლოგიური ეტიუდი)

ღილას ის გვიან ადგა.

გაზაფხულის თბილი მზე უკვე მისდგომოდა მის ფანჯარას და გარეთ ეძახოდა მას. ის ნელა ადგა, ჩაიცვა.

უცბათ მან თვალი მოკრა თავის სახეს საწოლთან დაკიდებულ დიდ სარკეში—ის მიუახლოვდა მას, დაიწყო ცქერა შიგ... რამოდენიმე ხანს ის ისე იყო გაჩერებული სარკის წინ და როცა გამობრუნდა—მის სახეზე ღრმა მწუხარება იყო აღბეჭდილი. მან პირი აღარ დაიბანა... დაიწყო სიარული ოთახში... კიდევ მივიდა სარკესთან, კიდევ დააკვირდა თავის სახეს...

შუბლი—ღრმა ღარებით დასერილი, ჩაღრმავებული თვალები, შეზნექილი, თითქმის ზურგზე გაკრული გულ-მკერდი, მოხრილი ბეჭები... ყველა ამან მაზე დამადონებელი შთაბეჭდილება მოახდინა...

— „ის“ მოვა, მალე მოვა... საშინელი... ულმობელი...

და მან კბილები დაახრჭიალა, ხელები დამუჭნა, თითქოს უხილავ მტერს უნდა ეცესო...

— და მერე რისთვის, რისთვის უნდა მოვიდეს „ის“ კაცობრიობის ჯალათი საუკუნეთა განმავლობაში.— აღელვებულ

ფიქრობდა ის—ნუ თუ არ შეიძლება „მისი“ ცოდნა!.. მე კი ჯერ სიცოცხლე მწყურია... ჯერ კი არა—სულ, სულ მინდა ვიცოცხლო... არასოდეს არ მსურს შევხედო მის გაციებულ სახეს, მაგრამ ის მოვა, მალე მოვა...

მან დაიწყო ჩქარა სიარული ოთახში... დაჯდა... წამოხტა უცბათ... გაჩერდა შუა ოთახში...

მის პირდაპირ კედელზედ სურათი „Игра кончена“—ეკიდა... სიკვდილი დასდგომოდა ჭადრაკის მაგიდას პატარა პატარა ტომრით ხელში, კრეფავდა ჭადრაკის კაცებს და ყველას პარკში უშვებდა... მხატვარს ის აზრი გაეტარებია თავის სურათში, რომ ჩვენი ცხოვრება—თამაშია, გათავდება თამაში და მერე ყველას—მეფესა და უბრალო მომაკვდავს, ყველას სიკვდილი მოგვხვევს ხელს და ჩაგვიშვებს უფსკრულ ტომარაში—მიწაშიო.

— რამდენიმე წუთი ის მისჩერებოდა სურათს... მისწვდა მას, ჩამოგლიჯა და იატაკზედ დაუშვა... უნდოდა ფეხით შემდგარიყო ზედ... შეჩერდა... აიღო... გაშალა და კიდევ დააკვირდა... ისევ იატაკზედ დაახალა...

— როდის ვიყიდე ეს საშინელება—იფიქრა მან, და კიდევ თვალი გადაავლო ძირს დაგდებულ სურათს—ჰმ, როდის ვიყიდე?!.

ვერ მოიგონა... აიღო და შუაზედ გახია...

— რომ ასე შემეძლოს „შენი“ შეხება, „შენი“ დამარცხება... მაგრამ მე ხომ მომაკვდავი არსება ვარ... „მომაკვდავი“ არსება—წაილაპარაკა მან, დახია სურათის ნახევარი და ბუხარში შეჰყარა, დაჯდა სკამზე და მაგიდას დაეყრდნო...

— და რისთვის ვსცხოვრობ, ფიქრობდა ის, რისთვის გავჩნდი... სანამ მე ქვეყანას დავინახავდი—ჩემი მკვლელი უკვე არსებობდა... და თუკი უსათუოდ უნდა მომკვდარიყავ—რისთვის ვჩნდებოდი?..

ნუთუ მისთვის, რომ სიკდილს საკლავი არ შემოლეოდა?.. მაგრამ, ესეც რომ ასე იყვეს, მაშინ სიკვდილში უნდა იყვეს რაიმე აზრი; თუ არ ვიცი რისთვის ვცხოვრობ, ის მინდა, უნდა ვიცოდე—რისთვის ვკვდები?!. იქნებ მისთვის ვჩნდებით, განაგრძობდა ის ფიქრს—რომ ერთი წუთით უცქირო ამ ქვეყანას, ერთი წუთით დავსტკბეთ და განუსაზღვრელათ ვიტანჯოთ? მაგრამ რა აზრი აქვს ამ წუთიერ ნეტარებას—რისთვის ვიყვე მე ბედნიერი ერთს წუთს, თუ ამისათვსის განუსაზღვრელათ უნდა ვიტანჯო?

თუ ეს ასეა, მაშ მე არ მინდა ეს ბედნიერება, მაშასადამე არ მინდა არც ტანჯვა...

მაგრამ ტანჯვით ვიტანჯები, თუმცა არ ვიცი რა არის ბედნიერება... და ამ ტანჯვას, რომ შეურიგდე „ის“ მაინც მოვა... რომ ტანჯვით ბედნიერება გამოვისყიდო, „ის“ მაინც მოვა... რაღა უნდა, რისთვის მოდის, რისთვის ვერასოდეს ვერ ვიშორებ მის შავ აჩრდილს?!.

ის მოვიდა ფანჯარასთან, გააღო და გადახედა მოძრაობით მოცულ ქუჩას...

— რა დავარქვა ყველა ამას—სიკვდილი თუ სიცოცხლე?—იფიქრა მან. —ხალხი მიდი-მოდის, ყველა მოძრაობაშია, ვიტყვი ისინი—სცოცხლობენ, მაგრამ ეს არ იქმნა მართალი—ისინი კვდებიან, დიახ ისინი სცოცხლობენ და კვდებიან ერთსა და იმავე დროს... სად იწყება სიცოცხლე, სად თავდება იგი?... თუ ის სულ არ არსებობს, და, თუ არსებობს, ნუთუ სასიკვდილოთ?!.

მაშ, როგორ ხდება ეს—სიკვდილი მუდმივია, ის არასოდეს არა კვდება, ის თვით კლავს, სიცოცხლე კი იწყება და თავდება... სიკვდილი არ თავდება, მას ბოლო არ უჩანს, ბოლო მისია... ბოლოს მაინც ის მეფობს... მისთვის დრო არ არსებობს, ის თვით დრო არის, დრო კი სიკვდილია, სიცოცხლობ—ნიშნავს—კვდები... და რისთვის ვჩნდები. თუ კი ირგვლივ სიკვდილია გამეფებული, რისთვის?!.

ის მოშორდა ფანჯარას... ძალზედ მიარახუნა... მივიდა სარკესთან და ისევ დააკვირდა თავის ჩაღრმავებულს თვალებს...

— რისთვის—თითქმის ტირილით წაიბუტბუტა მან, თითქოს ეკითხებოდა თავის სახეს, მაგრამ სარკედან გამხდარი სახე, რომელსაც უკვე ეტყობოდა ბეჭედი სიკვდილისა, იმავე კითხვას აძლევდა მას—

რისთვის?!. რისთვის?!!

მიწიშვილი.

ბედნიერება

(ტეტმაიერიდან)

ნურას ვიტყვით ბედნიერებაზე, რომელიც ჩვენ გვსურს, ნურას ვიტყვით...

ვით პატარა ფრინველი, ბედნიერებაც ადვილი დასაფრთხობია.

ველოდეთ წყნარად. ნურას ვიტყვით და ნუ ვიფიქრებთ. ველოდეთ მოთმინებით. ოცნებასაც კი დაუფაროთ ჩვენ ეს სურვილი.

ბედნიერება, ვით მზე ღრუბლის ნაკვთებში, ოდნავ გამოანათებს და ისევ მიიმალება. ნუ მოუწოდებთ ბედნიერებას, ნუ მივისწრაფვით ბედნიერებისაკენ, ნუ იბრძვით მისთვის. ვით ბავშვები მოუთმენლად და კრძალვით ელოდებიან შობის ღამეს, რადგან ფიქრობენ, რომ ქრისტე მოვა მათთან საჩუქრებით, იმ რიგათ ველოდეთ ჩვენც ბედნიერებას.

თუ მოვა, დეე მოვიდეს, ჩვენ ნუ მივისწრაფვით მისკენ.

ბედნიერება—მზეა, რომელსაც ელოდებიან ნაზი ყვავილნი. ყვავილნი, რომელნიც მხოლოდ ერთ დღეს სცოცხლობენ. თუ დღე ბრწყინვალეა, ისინი იხილავენ მზეს, თუ ღრუბელი ფარავს ცის თაღს, ამაოა მათი ლოდინი. მზეს ვერ იხილავენ. საღამო ჟამს, როდესაც სიკვდილი უახლოვდებათ, ისინი ამბობენ: ამაოთ გავიფურჩქნეთ მზისთვის, ის არ მოვიდა.

დამშვიდებით ველოდები ბედნიერებას, ის სულისთვის ოგივეა, რაც მზე იმ ყვავილთათვის, რომელნიც მხოლოდ ერთ დღეს სცოცხლობენ. თუ მოვა, დეე მოვიდეს.

ნურას ვიტყვით ბედნიერებაზე, რომელიც სწყურია სულს.

ვით პაწია ფრინველი, ბედნიერებაც ადვილად დასაფრთხობია.

მიხ. ბოჭორიშვილი.

ბოროტი მომავალი

(ტუტმაიერიდან)

ვამშვიდებით, უცქირე ბოროტ მომავალს, რა უყოთ, რომ აუცილებელია? თუმცა შესაძლოა შენ სულ სხვას ელოდი.

ძლიერ სამწუხარო კი არის?

სულ სხვა გვარად შრიალებდა ტყე, სხვა ხმით დუდუნებდა მდინარე, ვიდრე მოხდა ის, რაც შექმნა ბოროტმა მომავალმა.

სხვა გვარად ანათებდა მზე, სხვა გვარად მოძრაობდა ხელი და ფეხი, სხვა გვარი იყო სუნთქვა, გრძნობა და ფიქრი.

სულ სხვა ადამიანი იყავ ვიდრე მოხდა ის, რაც შეჰქმნა ბოროტმა მომავალმა. რას არ მივცემდი, რომ წარსულზე ფიქრით გამოგლვიძებოდა და არა ოცნებით ბოროტ მომავალზე? მაგრამ სხვაზე არასაფერზე შეგიძლია იფიქრო, თუ არა მომავალზე.

რას ნიშნავს შენი განვლილი ტანჯვა-ვაება, მწუხარება, სასოწარკვეთილება მაშინ, როდესაც შენს თვალ-წინ წამოიჭრება ბოროტი მომავალი.

სცხოვრობ ვით სიკვდილით დასჯას გადაწყვეტილი პატიმარი. ყოველი ლუკმა პური მწარეა შენთვის, ყოველი საათი მოცულია საშინელებით, ყოველი მოსაზრება სიკვდილია. გესლით აღვსილი ფინჯანი იმყოფება შენს ტუჩებთან, ბასრი ცელი გიჭრის ხელის თითებს, ეკალი გჩხვლეტს ფეხის გულში. თრთი, ცახცახებ.

ოჰ, წყეული იყავ, წყეული იყავ, სამ გზით წყეული იყავ ცოდნავ შენი ბოროტ მომავლისა.

მიხ. ბოჭორიშვილი.

გულწრფელ მოღვაწისადმი

გულწრფელ აზრებსა ვერ მიგიხვდნენ. შენი მოქმედების სარჩულს უკუღმას ხედვენ და ეს გაღელვებს? მერწმუნე, ამისთვის შფოთვა მეტია. ნურცა ქებას, ნურც გაკიცხვას ნურად ჩააგდებ. სხვა მხოლოდ ენას ატარებს, შენ კი არ დაგეძებს—ასეა სამწუხაროდ უმრავლესობა.

მრავალი ადამიანი მხოლოდ სიტყვით არს ღვი, ქებასაც უმალ იმეტებს, მაგრამ საქმით კი... აქ დავსხათ მრავალ წერტილი. ზოგი პირადათაც ეცდება უგვანო სიტყვით გული გიმღვრიოს და ზურგს იქით ხომ...

მაგრამ ვინც რა უნდა სთქვას, იარე კი, კეთილსა კვალზე,—ვერ დაგინახვენ? —ნურას დაეძებ, დეე, პირიქით, სათნოებისთვის გაიცხონ და გაიცხონ!—მომავალი აღმოაჩენს ავსაც და კარგსაც.—

თითქოს დასამოწმებლად ამ სიტყვებისა, აი, ბანს გვაძლევს წყალის წისქვილიც, რომელსაც ეს არის გვერდთ ჩაუარეთ; გააქვს შხუილი მედიდურად, კმაყოფილის ხმით თითქო ამბობსო; „ვინც რა უნდა სთქვასო—წისქვილმა კი ფქვასო“, ჩქრიალით მიექანება წყალი წინ—მზისაგან გასხივოსნებული.

დიადია მზე! მაგრამ... მზეც ყოველთვის არ მოსჩანს სრულის სიცხადით, მის დაჩრდილვა-დაბურვას ცდილობენ ზოგჯერ ღრუბლები და, ამის გამო მზესაცა ხვდება მწარე სიტყვები:

„საოხრო მზე რას იმალება, სითბო მოგვაკლო“, ან კიდევ: „რას აცხუნებს დასაქცევი მზე—ლამის დაგვწვასო“.

მზე კი, განაგრძობს თავის ბუნებრივ დანიშნულებას და, დგება დრო, როცა მთელის თვისის სიდიადით ისევ ბრწყინვალებს ცაზე! უხვ სხივებს აფენს კეკლუცათ, მიდამოს—სითბოთი და საამურ კმაყოფილებით აღფრთოვანებს ყოველსა არსსა!!.

ნატ. ვიგაური-გაბაევ-გაბაონელისა.

ქართულ კულტურულ მოუვარულთა საზოგადოება

ოქმი საგრამატიკო კრებისა *)

7 მაისის კრება.

კრება გაიმართა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში საღამოს სრულ 7 ნახ. საათზე გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარე საბჭოს სახელით წინადადებას აძლევს დამსწრეთ აირჩიონ საზოგადოების საპატიო წევრად ეპისკოპოსი კირიონი. ეს წინადადება ერთხმად მიღებულ იქმნა.

მიღებულ იქმნენ აგრეთვე ახალი წევრები, რის შემდეგაც მ. მელიტონ კელენჯერიძემ წაიკითხა თავის მოხსენების მეორე ნაწილი.

6 მაისს წაკითხულ მოხსენების პირველ ნაწილში, როგორც ზემო ნათქვამია, მომხსენებელი შეეხო ჩვენს მწერლებს და მათს ენას; მეტ წილად მაგალითები სიტყვა-კაზმულ მწერლობიდგან მოჰყავდა. დღევანდელ კრებაზე-კი, მოხსენების მეორე ნაწილში მან გაარჩია ქართულ გრამატიკის სახელმძღვანელოები.

პირველათ შეეხო ს. ხუნდაძის გრამატიკას. ავიღოთ საკითხი „ვით“, ბრძანა მომხსენებელმა, სილოვანი ამბობს: „კურდღელი ვით ხტის“; აქ „ვით“ თანდებულია და სახელობითი ბრუნვას მოითხოვსო. ეს შეუწყნარებელია, ვინაიდგან „ვით“ თანდებული კი არა, კავშირია. მაგალითად, „ეს ბიჭი დრიალებს, როგორც ვირი“, რომ შეგამოკლოთ შემდეგი კამოვა: „ეს ბიჭი ვირივით დრიალებს“. ეს „ვით“ შედარებითი კავშირია და უნდა ვიხმაროთ შედარებით წინადადებაში. მოსე ჯანაშვილსაც „ვით“ თანდებული ჰგონია.

ჩვენი გრამატიკოსები-ამბობენ „ვით“ სახელობით ბრუნვას თხოულობსო; ეს მოძღვრება კი მე არ შეშიძლიან გავიზიარო. ქვემდებარე თანდებულისგან „ვით“ არას

*) იხ. „განათლება“ № VIII—IX.

დროს დამოკიდებული არ იქნება, ჰირიქით ქვემდებარისაგან წინადადების სხვა ნაწილებია დამოკიდებული.

როცა „ვით“-ს უნდა მივადევნოთ მიცემითი ბრუნვა, მაშინ ჩვენი მწერლები სახელობითს ბრუნვას სწერენ და როცა სახელობითი უნდა, მაშინ მიცემითს ბრუნვას მიაყოლებენ ხოლმე. აკაკის აქვს ეს ფორმა უსწოროთ ნახმარი ერთ თავის დექსში—მონა ეუბნება ბატონს „ჰირუტუვივით მიმონებ“, „ვით“ რომ წინ გადმოსვამ კამოვა უაზრობა: შენ მიმონებ ვით ჰირუტუვი, ჰირუტუვს არავის დამონება არ შეუძლიან. ალ. ყაზბეგი სწერს: „გაშეშებულსავით იდგა“—უნდა იყვეს—იდგა გაშეშებულივით. გ. წერეთელი: „ხატის შერისხებულსავით ავეთებდა თვალებს“. ნამდვილად კი უნდა ითქვას: „ისე ავეთებდა თვალებს, ვით ხატის შერისხული“.

ივ. ჯავახიშვილი სწერს: „ციცინ ქართულსავით“. უნდა იყოს „ციცინ ქართულივით“. „ჭომელი ამ ენებს ლენორმანსავით ალარდიულს ეძახდა“ (ივ. ჯავახიშვილის მაგალ.) ნამდვილად კი უნდა ითქვას: „ლენორმანივით ალარდიულს ეძახდა“ და სხვა.

გადავთვალიერთ საგრამატიკო ტერმინოლოგია.

ს. ხუნდაძე არიულებს გრამატიკის ტერმინებს და გარდა ამისა ერთნაირად არა ხმარობს ერთსა და იმავე ტერმინს სხვა და სხვა ალაგს. მაგ., ის სწერს: „სახელთა ბრუნვებას (declinatio) მეორე ადგილს „სახელების ბრუნვებას“ და სხვა. ბრეფიქსებს (სა, მე, მო, სი) ის სუფიქსად ხდის ს. ხუნდაძე თავის ბრინციპს თვითვე არღვევს: როცა სიტყვას ბოლოში უზის „ს“, მაშინ მიცემით ბრენვაში უნდა ორი „ს“, მაგალითად „ის—სახელობითი, მიცემითი—მისს“, ხუნდაძე კი სწერს ასე „მის“ (ერთ ასოს „ს“).

შეუწყნარებელია კვიცარიძის ტერმინოლოგიაც. მის მიხედვით სარკვევი—სარჩევია ჯრუ წარმოდგენა—მსახველობა. მისი აზრით საგანი არის გებადი და არ გებადი (ესე იგი ხილული და განუყენებული). წინადადების ნაწილებია: საუბნი, სახლომნი და საერთი, არხაზმების ეძახის ოდესმნი, შორისდებულს—კრთომა, შეკრებულებით სახელს—მკონობით სახელს და სხვა.

ამგვარი მაგალითები შეიძლება ბევრი ინახულოს კაცმა კვიცარიძის შრომაში და მეტად საკვალალო იქნებაო, სთქვა მომხსენებელმა, ასეთ არეულ-დარეული ტერმინები მივწოდოთ თაობას.

ნაირ-ნაირად ხმარობს ტერმინებს მოსე ჯანაშვილიც: წინასიტყვაობას—მეთაურს, უწოდებს, შემოკლებას შელევას, სწერს „კანკალედობა“ და იქვე ფრჩხილებში მარტავს=ბრუნვა, დასაკვეთი—იქვე უწერს=ხმის ამაღლება, ან ერთი ტერმინი უნდა იხმაროს კაცმა ან მეორე, ასე გაურჩევლად ხმარება ტერმინებისა ბაგშვს ცოდნას ვერ შესძენს, ესევე სწერს ზმნების შესახებ: „ზმნის დარგი ანუ გვარი“ „ზმნის სახე—ზმნის მაგვარი“ „ზმნის სახეობანი: დასაწყისი, სიგრძე, და დასასრული; „ზმნას აქვს ხუთი კილო“ და იქვე ფრჩხილებში უწერს „დახრა“. ი ასეთი მრავალფერობა ემჩნევა ჩვენ გრამატიკოსებს ტერმინოლოგიის ხმარებაში. გარდა ამისა, მ. ჯანაშვილს თავის გრამატიკაში მოუქცევია ისეთი მასალა, რომელსაც ადგილი გრამატიკაში—სახელმძღვანელოში კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ სამეცნიერო შრომაში. მაგალითად, „მასპინძელი=მენძელი=მაინძელი“; „კარგია=კარგი არს=კაის=კას და სხვა.

ქართულ გრამატიკის სადაო საკითხს შეადგენს სიტყვა „ვადვიარებ თუ ადვიარებ“. ეს სიტყვა, მომხსენებელის აზრით, წარმოდგარია ზმნიდგან „რეგა“, ად—თავსართი, „ვ“ კიდევ ჰირის მაჩვენებელი. იმერეთში ამბობენ „ადვიარებ“ ესე იგი ჰირის მაჩვე-

ნებელი ,,ვ'' თავსართის და ზმნის შუა მოქცევის ამ გვარად ,,ად-ვ-იარებ''. ადმოსავლეთ საქართველოში ამბობენ ,,ვადვიარებ'' ეს კი სმენისთვის მძიმე გასაგონია და გარდ ამისა აქ არეულია ზმნის პირველ სახე სახელ-ზმნასთან.

აგრეთვე გარკვეულია ქართულ გრამატიკაში დაბოლოება დნენ თუ დენ. შემოკლების პროცესს დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს პროცესი მე მგონი უფრო სიმარტივისკენ წაგვიყვანს. ავიღოთ მაგალითად:

მოკვდნენ და მოკვდენ

შეუდგნენ და შეუდგენ... ეს ორივე ფორმა სწორეა გრამატიკულად; რომელი მივიღოთ? რომელია უფრო კანონიერი? რომელს მივცეთ უპირატესობა? უფრო ,,დენ''-ს, ვინაიდგან შემოკლების პროცესი ამ სიმარტივესთან მიგვიყვანს.

ივ. ჯავახიშვილის ენა. ჩვენი პატივცებული მეცნიერი, ი. მაჭავარიანის შენიშვნით (ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრება'') ხან სრულს ფორმას ხმარობს ზედშესრულისას, ხან მოკლეს. შემოკლებული ფორმებია: ,,ქართველ(ი) ერის ისტორია'', ,,სამ(ი) საუკუნის'', ,,ერთ(ი) რგვალ ქვის'', ,,კავკასურ ოქმულებით'' და სხვა.

სრული ფორმებია: ,,თვითეულის სამის დგოაების შესახებ'', ნამდვილად კი უნდა ,,თვითეული სამი დგოაების შესახებ'' და სხვა.

მრავლობითი რიცხვი სიტყვა ,,კარი''-სა იქნება ,,კარები'' და არა ,,კარებები'', ვინ იტყვის—კაცი—კაცებები, არამედ კაცები.

დაწყებას თუ დაწყობას, მდევებს თუ დევებს, სამზღვარი თუ საზღვარი. ამ სიტყვებში კანონიერია უფრო მეორე ფორმები, ესე იგი, დაწყობა, დევები, საზღვარი. ჩვენი მეცნიერი ხმარობს: ,,სამწერლობო ენა''—სჯობიან კი სამწერლო ენა, ,,შესასწავლელი''—სჯობიან ამის მაგივრად ვსწერეთ—შესწავლილი.

მოქმედებით ბრუნვაში ჩვენი მეცნიერი მუდამ სწერს დაბოლოებას ,,ად''. მაგალითად: კარგი—კარგად. აქ სრული სისწორით არის დაცული გრამატიკული ფორმა. თანდებული ,,გან'' მოითხოვს სახელობით, ნათესაობით და მოქმედებითი ბრუნვას, აქაც ჩვენს მეცნიერს სწორე უხმარია ფორმა ,,ქალაქითგან''. (მოქმედებითი ბრუნვა=ქალაქით×გან).

———

ჩვენი ენა შერყვნილია, ბრძანა მ. მელიტონმა, ამ სენს რამე წამალი უნდა გამოუნახოთ, რომ თავიდგან ავიცილოთ გადაგვარება. მომხსენებელმა მიგვითითა მრავალ პრაქტიკულ ზომაზე, რომელთაგან აღვნიშნავთ ზოგიერთს. 1. ერთვნული სკოლისა და დისციპლინის შექმნა. 2. დაკვირვება და სიფრთხილე წერა-დაპარაკის დროს. 3. დროგამოშვებით ქართულის ენის მასწავლებელთა კრება და ანკეტა. 4. სპეციალური საგრამატიკო კომისიის დაარსება. 5. სპეციალური ჟურნალის დაარსება, სადაც ქართ. გრამატიკის საკითხები ირკვეოდეს. 6. საერთო გრამატიკის შედგენა და ხმარება.

საუურადღებო და შინაარსიანი მოხსენებისათვის მ. მელიტონი ტაშით დაჯილდოეს. შემდეგ გაიმართა კამათი.

პ. მირიანაშვილი. ,,ვით'' კავშირია. მის შემდეგ იხმარებიან დამოუკიდებელი ბრუნვა—სახელობით და სხვა ბრუნვებიც. კამონაკლისს შეადგენს—ჩემსავით, ხესავით და სხვა.

ს. გორგაძე. ,,ვით'' თანდებულია და ,,ვითარცა'', ,,როგორც''-ს რიცა სიტყვა ხმოვანზე დაბოლოვდება (ა, ე, ო, უ), მაშინ ,,ვით'' მიცემოს ბრუნვას მოითხოვს. მაგალ., მამა—მამასავით და არა მაშავით, რკო—რკოსავით და სხვა. მ. მელიტონმა ბრძანა აბა მიჩვენეთ ისეთი თანდებული, რომელიც სახელობით ბრუნვას თხოულობდეს.

ასეთი თანდებული არის ,,თვინიერ''. ანტონი რავახის ცხოვრებაში არის ამის მაგალითი რომ ,,თვინიერ''-ის შემდეგ სახელობითი იყოს. ,,არა არს სხვაი შჯული თვინიერ შჯული ქრისტიანეთაი'' (იხ. ყიფშიძე. ანტონი რავახის ცხოვრება და წამება. ბეტრეს ქალაქი. 1913 წ. 86 გვ. მე-19 სტრიქონი).

ლ. ბოცვაძე. ,,ვით'' თანდებულია? გვეკითხება მამა მელიტონი. მე მგონია, რომ ვით თანდებულია, მაგრამ განსხვავდება კი სხვა თანდებულებში. იგია შემოკლებული ზმნას ზედა ვითარცა, დაისმის სიტყვის თავშიაც ცალკე და ბოლოში შეერთებულად. ეს რომ თანდებულია სჩანს იქიდგან, რომ ვერც ერთს სიტყვას ა-ზე, ე-ზე, ო-ზე და უ-ზე დაბოლოებულს ვერ იპოვით ქართულში, რომ არ იყვეს მიცემითს ბრუნვაში თუ კი ვით ახლავს მაგ. ხესავით, კატასავით, ოქროსავით, კუსავით და სხვა. მაშასადამე ვით თანდებულია და ითხოვს მიცემით ბრუნვას, მაგრამ თუ სიტყვა ი-ზეა დაბოლოებული, მაშინ, ,,ვითთან'' ერთად უფრო ხშირად სიტყვა სახელობით ბრუნვაშია, კურდღელივით, ბულბულივით, კატივით, ქალივით და სხვა. მაგრამ აქაც უსათუოდ გამონაკლისს შეგხვდებით — თუ ზმნა მოითხოვს რომ ი-ზე დაბოლოებული სახელი მიცემითს ბრუნვაში იყვეს, მაგ. სძინავს კურდღელს, ბულბულს — იტევიან კურდღელსავით, ბულბულსავით. ის მაგალითი. ,,პირუტყვივით მიმოხვ''ბ'' სწორი ქართული არ უნდა იყვეს, რადგანაც შენ იმოხებ პირუტყვს — მეც პირუტყვსავით მიმოხებ. ასეთი წესით უნდა იყოს დაცული, ჩემის აზრით, თანდებულის ვით ხმარების შესახებ წერასა და ლაპარაკში.

რატიშვილი. ვინაიდგან ეგ ფორმები გაუგებრობას არ იწვევს, ამიტომ ამაზე კამათი მეტია.

გ. იმნაიშვილი. მოითხოვს, რომ განუმარტონ რა მნიშვნელობით იხმარება კაცივით და კაცსავით?

მ. კელენჯერიძე. თუ ზმნა ითხოვს მიცემითს, მაშინ ,,ვით'' მიცემითთან დაისმის, თუ სახელობითს, მაშინ სახელობითთან.

ვაღვიარებ თუ აღვიარებ?

პ. მირიანაშვილი. ძირითადი სიტყვა ამ ზმნისა არის ,,არება'' აღ — ოსვსართი ყოველთვის წინ უძღვის, ასო ვ ჩვენი მწიგნობრების მიერ არის ჩართული და ისიც ნაძალადევ, ისევე როგორც რუსთველს უსწორებდენ ზმნის ულვლილების დროს მაგ. ვუწერ — „ეუწერ"-ის მაგიერ ეს რედაქციების ბრალია.

ს. გორგაძე. ეს ,,ვ'' კაბინეთის ბრალი არ არის, ცხოვრებაში გვხვდება, თუმცა კი ძველს მწერლობაში არ იყო ხმარებული იქ, სადაც ეხლა ხმარობენ. ეს ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ, ვინაიდგან ,,ვ'' პირის აღმნიშვნელია

მღვდ. ქრ. ცეცქიშვილი. ქართულს ენაში ნაცვალ სახელი ზმნასთან ძალიან ხშირად არ იხმარება. ,,უ''-ს წინ პირველი პირის ზმნის წინ რომ ,,ვ'' არ დავსვათ აზრი ხშირად გაუგებარი დარჩება. მაგ. ,,მატარებელს უნდა გაუსწრო'', აქ გაუგებარია, ვინ. უნდა გაუსწრაო: მე, თუ შენ. აქ ,,ვ'' უსათუოდ საჭიროა პირების გასარჩევად.

კამათის გაგრძელება შემდეგი კრებისთვის გადიდო; კრებას დიდი საზოგადოება დაესწრო და დასრულდა 11 ნახ. საათზე.

8 მაისის კრება

კრება გაიმართა სამკურნალო დარბაზში საღამოს სრულ $7^1/_2$ საათზე გ. თ. ეორდანიას თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე საჭიროდა თვლის მ. მელიტონის მიერ წამოყენებულ საკითხების

რიგ-რიგათ, სათითოთ განხილვას და სთხოვს მოკამათეთ ეს წესი დაიცვან.

თავდაპირველად წამოყენებულია გასარჩევად ფორმები დენ და ნენ.

3. მირიანაშვილი. ჩვენს ძველს მწერლობაში ქართულ ზნებს ჰქონდათ ერთგვარი ფორმა (ნამყოსა და ნატვრით კილოში) იმისდა მიუხედავათ თუ როგორი იყო ეს ზმნა: მოქმედებითი თუ ვნებითი. ეს ფორმა გახლავთ „ეს“. ვეფ.-ტყ. ვკითხულობთ „მოვიდეს სრულნი არაბნი“, ან კიდევ სადვოთ წერილში: “და მოეხდეს მას (იესოს) ფარისეველნი და სადუკეველნი“. ფორმები მოვიდეს და მოუხდეს უდრის ეხლანდელს მოვიდნენ, მოუხდნენ. ამ „ს“მა განიცადა ევოლუცია. ჯერ ისევ მეათე საუკუნეში გაჩოჩნდა „ნ“. ამისი მაგალითი სადვოთ წერილშიც გვხვდება და ვეფხის-ტყაოსანშიც. „იხარებდენ ძენი ისრაელისანი“ (აქ ნატვრითი კილოა, დეე იხარებდენ ძენი ისრაელისანი). ეს იხარებდენ უდრის ძველს ფორმას—იხარებდეს. „შესხდენ მეფე და ავთანდილ“, აქაც ენ ნახმარია ძველი დაბოლოება „ეს“ის მაგიერ. ბოლოს კიდევ შემოვიდა ხმარებაში დენ. მაშასადამე არქაიკული ფორმა ეოფილა „ეს“, შემდეგ დენ და ბოლოს—დნენ. იმერეთში ეს მაგიერ გამოსთქვამენ დენ-ს, ხოლო ამერეთში დნენ-ს. იმერეთში—წავიდენ, აქ კი წავიდნენ. გარდა ამისა საწყოა კარგეული სახე ჰქონდეს ამ ორ ფორმის ხმარებას. დენ დამოკიდებულ სახეს უნდა ხატავდეს, დნენ-კი ჩვენებით სახეს. როგორც იმერეთში, ისე აქ ამ ორ ფორმას (დენ და დნენ) არეულად ხმარობენ, ესე იგი, არა თავთავის ადგილს. რიცა გვსურს აწმყო დროის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ხმარება დამოკიდებით სახედ (сослагат. наклоненіе) მაშინ უნდა ვწერდეთ დენ, უკეთუ საწყოა ნამყო დროის მრავლ. რიცხვის მესამე პირის ხმარება ჩვენებით სახედ (изъявит. наклоненіе) მაშინ უნდა მუდამ ვსწერეთ დნენ.

მღ. ქრ. ციცქიშვილი. წავიდნენ და წავიდენ ერთი და იგივეა—ნატვრითი ფორმაში იქნება იგი თუ ბძანებითში ხმარებული. ნატვრით კილოში იმერული ამბობს „წავიდონ, იკითხონ“ ორ აზროვნობას თუ არ ჰბადებს მაშინ მარტივი ფორმა დენ უნდა ვიხმაროთ.

გ. იმნაიშვილი. უეჭველად უნდა დარჩეს ხმარებაში როგორც დენ, ისე დენ; თუ არა და აბა რა გარჩევა იქნება ფორმებში ჩავიდნენ და ჩავიდენ. პირველი ფორმა (ჩავიდნენ) ნატავს მიმართულებას ზევიდგან ქვეით, ხოლო მეორე ფორმა (ჩავიდენ) ორაზროვანია, თუ არ გვექნება დაბოლოება დენ, მაშინ ის გამოხატავს მოქმედებას ან ავს, ან კარგს. მაგ. მე ჩავიდენ ან ავს, ან კარგს.

3. მირიანაშვილი. საჭიროა ორივე ფორმა, მხოლოდ თავ-თავის ადგილს უნდა ვიხმაროთ.

ალ. ჭიჭინაძე. სჩანს, რომ ერთგან ერთი ფორმა იხმარება ორი სხვა და სხვა ფორმის მაგიერ. ვიხმაროთ ორივე ფორმა, და ის ფორმები, რომლებიც იმერეთშია დაცული, მოვიშველიოთ საგრამატიკო საკითხთა გასაშუქებლად.

შალამბერიძე. ევოლუცია, როგორცა სჩანს, მუდამ გამარტივება არა ეოფილა. განვითარებამ ჩვენ ზევით აგვიყვანა და ჩვენ კი გვინდა ქვეით დავბრუნდეთ.

მღ. ქრ. ციცქიშვილი. ადვნიშნავ ერთ ფორმას, რომელსაც ეურადღება უნდა მივაქციოთ. ფორმა „დონ“. იმერეთში ამბობენ: წავიდონ, მოვიდონ, დაესწრონ. ეველა კუთხეში დარჩენილია ჩვენი ენის მარგალიტები და ჩვენი ვალია ისინი ვკრიფოთ.

3. მირიანაშვილი. იმერეთში ენას უფვარს გაერთფერება ფორმებისა, ქართლ-კახეთში კი დიფერენციაცია არის. მაგ-

ლითად, იმერეთში ამბობენ ისინი წევან და ეს ფორმა ნაწარმოებია მხოლობით რიცხვის მესამე პირიდამ (ის წევს—ისინი წევან) ამერეთში კი ხმარობენ წვანან, აქ კი დიფერენციაცია არის, ის წევს—ისინი წვანან.

გ. იმნაიშვილი. არსად იმერეთში არ არის ფორმა „წევან". (თუმცა ბ. იმნაიშვილმა განაცხადა რომ იმერეთში არ იხმარება ფორმა წევან-ო, მაგრამ რომ გადაშალოს ს. ხუნდაძის გამოკვლევა „სალიტერატურო ქართული" მე 75 გვერდი იქ სწერია: წვანან თუ წევან? „იმერეთში იხმარება ფორმა წევან.... და, ჩემი აზრით, ბრძანებს ს. ხუნდაძე, კარგი იქნება, რომ წვანან-ის მაგიერ წევან ვიხმაროთ"... იხ. ს. ხუნდაძე. სალიტერატურო ქართული, 75 გვ., ქუთაისი, 1901 წ.)

ლ. ბოცვაძე. დნენ და დენ ეხლანდელი საკითხი არ არის. სიბას, გურამიშვილს და სხვა ძველ მწერლებსაც ნახმარი აქვთ დნენ-იც და დენ-იც. სიმარტივე მუდამ სჯობიან. დნენ-მა უნდა დრო-ეამი მოჭამოს და გამეფდეს დენ თუ ყი ორ აზროვნებას ან უაზროობას არ შეჭამნის.

მოქმედებითი ბრუნვას რა დაბოლოება შივცეთ ითგან თუ იდგან?

ბ. მირიანაშვილი. მოქმედებითი ბრუნვა ბოლოვდება „თ"-ზე. სწერდნენ და დაბარაკობდნენ—სახლითგან. თ—გ-ის წინ გამაგრდა და იქცა დ-ად; მაგ. სახლიდგან, რათგან, თ გამაგრდა და ვამბობთ რადგან. მოქმედებითი ბრუნვა თანდებულთან შეერთებით ადნიშნავს მიმართულებას. ეს „დან" ჩვენში ადერბეიჯანის გავლენით უნდა იყოს შემოსული, თათრულად ამბობენ: სტამბოლდან. საჭირო კლასიკური ფორმა იხმარებოდეს, ესე იგი, სახლითგან, ვინაიდგან ეს უფრო სწორე ფორმაა.

ალ. ჭიჭინაძე. დავიცვათ ძველი ფორმა. ამბობენ მარჯვნით წავიდა და არა მარჯვნიდგან წავიდა.

გ. იმნაიშვილი. გან დ. ჩუბინაშვილის განმარტებით გადი თგან წარმოსდგა და უჩვენებს მიმართულებას. დგან—იხმარება მაშინ, როცა მოქმედება შიგნიდგან გარეთკენ არის მიმართული, ხოლო დან—როცა გარედგან შინისკენ მიდის.

განვითარებით ბრუნვა რაზე დაბოლოვდეს დ-ზე თუ თ-ზე?

მ. კელენჯერიძე. ვიდრე ვიქონიებდეთ მსჯელობას მასზე თუ, როგორ დავაბოლოთ განვითარებით ბრუნვა, საჭიროა გამოვარკვიოთ რა უწოდოთ ამ ბრუნვას? ჩვენი გრამატიკოსები სხვა და სხვა ნაირ ტერმინს ხმარობენ და ეს არევ-დარევას იწვევს.

ბ. მირიანაშვილი. საჯობიან დარჩეს განვითარებითი.

გ. იმნაიშვილი. ს. ხუნდაძის აზრით აქ ვნებაა და ამიტომ ეს ბრუნვა ვნებითი იეოსო. ჩვენ მივიდოთ ან განვითარებითი, ან მიმართულებითი.

მ. კელენჯერიძე. როცა ტერმინებს ვირჩევთ, პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება დაბოლოებას, ჩაუკვირდეთ მას, თუ ის დაბოლოება რას იძლევა. ერთი და იგივე დაბოლოება „ად" ხან მიზნითი ტნებას გვაძლევს და ხან ვითარებითი კარეოებას. მაგალითად, ვსდი, რომ გამოვიდეს კაცად, აქ მიზანია; ვწერ კარგად—ეს კიდევ ვითარებაა. მაინც და მაინც ჯერ ნუ ავჩქარდებით არჩევანში.

ლ. ბოცვაძე. ვნებითი ბრუნვა ნაშინავს მას, რომ ერთი საგანი მეორედ გარდიქცევა. უკეთესი იქნება ამ ბრუნვას უწოდოთ ან ცვალებადი, ან გარდაქნითი.

ალ. ჭიჭინაძე. ერთი ჩვენი გრამატიკოსთაგანი (მ. ჯანაშვილი) ამ ბრუნვას უწოდებს ზმნის ზეადათს და ეს იქნებ მასალად გამოდგეს.

თ. კიკვაძე. ჩვენ აქ ორ ტნებას ვრეკთ.

ს. ხუნდაძის აზრით არსებითში ჩვენ უნდა დავსვათ დ—, ზმნის ზედითში—თ.

მ. შალამბერიძე. ის რაც იქცევა ამად თუ იმად—გვიჩვენებს ვითარებას, ამიტომ ვიხმართ ვითარებითი, ან განვითარებითი.

ალ. ჭიჭინაძე. სჯობიან განვითარებითი ვიხმართ.

გ. იმნაიშვილი. ანტონ კათალიკოზს არა აქვს ტერმინი განვითარებითი, პირველად ეს ტერმინი შემოიღო დ. ჩუბინაშვილმა, უმჯობესი იქნება საუოველთაოდ იქნას შემოღებული ეს ტერმინი.

კრება ეთანხმება უკანასკნელ აზრს.

ს. დადიანი. მე მაინტერესებს პრინციპიალური საკითხები, ენის კანონია საკითხი. როცა ლაპარაკობენ მოწმად მოჰყავთ ძველი მწერლობა, ცოცხალი ენა და ფონეტიკა, ამ სამს წყარეს ასახელებენ ენის საფუძვლიანი ცოდნისა და წერისათვის. მაგრამ რომ გადავთვალიერთ ძველი მწერლობა — ეეფ.-ტყაოსანი, ვისრამიანი და აგრეთვე ახალი მწერლობა—ჩვენ იქ სისწორეს ვერ ვნახავთ. სწერენ სხვა და სხვა ნაირად—არ არის ერთ-ფეროვნება, ერთ-გვარობა წერის დროს; ასევეა ცოცხალ ენაში. კანონი—ნორმაა, კანონი ხატავს იმას, რაც რაოდენჯერმე გამეორებულა. მოვიცით შე ეს კანონი, რომ მის მიხედვით ვიხელმძღვანელო.

ილ. ნაკაშიძე. ჩვენ რომ ვიწამოთ მარტო ერთი რამ მტკიცე შეურეველ საფუძვლად—ეს შეცდომა იქნება. არსებობს ადამიანის შემოქმედობა, შეიძლება ესა თუ ის ფორმა ძველს მწერლობაში—და ცოცხალს ენაში მოიძებნებოდეს, მაგრამ შემოქმედს ადამიანს ჩვენ ვერ შეეზღუდავთ. თუ ის რაიმე ახალს ფორმას, კანონს შეჰქმნის—ის მიღებულ უნდა იქნას; აგრეთვე შეიძლება ჩვენი სამშობლოს რომელსამე კუთხეში ახალი—სრულიად არ უოფილი ფორმა. შეიქმნას ამგვარ რამეს კი ეველგან გზა უნდა მიეცეს.

ალ. ჭიჭინაძე. ჩვენ მარტო ერთ წყაროს ვერ დავადგებით, არამედ სამივე წეერთ უნდა ვისარგებლო.

ამით გათავდა კამათი. მ. მელიტონმა, აგრედვე დამსწრეთ, საჯიროდ სცნეს, რომ ამ გვარი კრებები საგრამატიკო საკითხთა გასარკვევად ხშირად გაიმართოს ხოლმე.

წერილი რედაქციის მიმართ *

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ. რედაქტორო!

ეს ერთი ხანია, „ოქვენმა ყურსალმა „განათლებამ“ ნიშანში ამოიღო ძე და ცდი-

*) ვბეჭდავთ ამ წერილს სრულიად უცვლელად. აქვე ვბეჭდავთ ბ-ნი კახაბერის პასუხსაც; რედაქცია მუდამ ერიდება ვისმე ციდი დასწამოს. თუ ბ-ნი ვ. ჯაფარიძე საბუთიანად დაარღვევს იმ ფაქტებს, რაც ბ-ნ კახაბერს აქვს აღნიშნული, რედაქცია სიამოვნებით მიეგებება ამას და თავის თავს და ბ-ნ კახაბერსაც დამნაშავეთ ჩათვლის ბ-ნის ჯაფარიძის წინაშე და ბოდიშსაც კი მოიხდის, როგორც მკითხველების, ისე ბ-ნი ვ. ჯაფარიძესთან. ამ ჟამად კი რედაქცია იხიარებს ბ-ნი კახაბერის აზრს და წინადადებას აძლევს ბ-ნს ჯაფარიძეს პასუხი ბ-ნ კახაბერს პრესის საშუალებით გასცეს, რომ მკითხველმა თვითონ დასდოს მსჯავრი. რედაქცია აქვე აცხადებს, რომ ბ-ნი ვ. ჯაფარიძის თავისგასამართლებელს პასუხს, თუ მოისურვებს, სიამოვნებით დაუბეჭდავს. რედ.

ლობს ქართველ საზოგადოებაში გაავრცელოს ჩემსა და ჩემს მოღვაწეობაზედ უალბი აზრები. რასაკვირველია, „განათლებას“, როგორც პერიოდიულ ორგანოს არამც თუ ნება აქვს, პირდაპირ მოვალეა, ანგარიში გაუწიოს უოველივე მახინჯ და უმგვანო მოვლენას, რომელთაც რაიმე ვნება მოაქვთ ქართული საქმისთვის. თუ მართლა ეურნალი „განათლება“ მე და ჩემ მოღვაწეობას ჩვენი საზოგადოებისათვის მართლა ეოვლად მაგნებლადა სოვლის, როგორც ეხლა მოგახსენეთ, მოვალეა ეოველივე ეს აღნიშნოს, მხოლოდ ერთის პირობით: უეჭველად ყოველივე ბრალდება დასაბუთებული უნდა იყვეს, რათა საზოგადოება დარწმუნდეს და შესაფერი მსჯავრი დამსდოს. თქვენს ეურნალ „განათლებაში“ (№ VII, სექტემბერი 1915 წ.) თქვენ მოათავსეთ ბ. კახაბერის წერილი (შინაური მიმოხილვა), სადაც, სხვათა შორის, შემდეგია ჩემზედ ნათქვამი:

„რაც უნდა საეურადღებოც იევეს ისეთის კაცისაგან რჩევის მიღება, როგორიც ბ. ჯაფარიძეა თავისი წარსულითა და აწმყოთი, ყველა თავისი ერისა და სამშობლოს მოყვარე ადამიანისათვის სათაკილოა (კურს. ეველგან ჩემია. ვ. ჯ.) როგორც ერთ ერთს ქუთაისის გუბერნიაში ბ-ნი მკურნალი შეადგენდა მარჯვენა ხელს ცნობილ ლევიტსკისას მუნჯური მეთოდის გატარებაში, ისეთივე და მეტადაც განჯის გუბერნიაში ვას. ჯაფარიძე აღმოჩნდა. ვინ შეეძლოდა განჯის გუბერნიაში ლევიტსკის „მუნჯური“ მეთოდის გავრცელებაში?—ვასო ჯაფარიძე. ვინ მუშაობდა ლევიტსკისთან ერთად ცნობილის Курсъ-ის შედგენა-შესწორებაში?—ვასო ჯაფარიძე. ვინ ახორციელებდა ზელმიწევნით ლევიტსკის აზრს განჯის საქალაქო სკოლაში?—ვ. ჯაფარიძე. ვინ ჰეავდა განჯაში სამაგალითოდ ლევიტსკის მისი მეთოდის განსახორციელებლად?—ვ. ჯაფარიძე. რას ურჩევდა ლევიტსკი „მუნჯური“ მეთოდის პრინციპიალურ მოწინააღმდეგე მასწავლებლებს? წადით და ნახეთ ვ. ჯაფარიძე, როგორ ახორციელებს პრაქტიკულად ჩემს მეთოდსაო... ვინ შეითვისა ზელმიწევნით ლევიტსკის დუნჯური მეთოდი უდედაენოდ და მის განხორციელებას შეუდგა საქართველოში ქართველებისათვის და გამოსცა ასეთი სახელმძღვანელოები?—ვასო ჯაფარიძეშ. ვინ უღალატა 81 წლის გეგმას თელავის კურსებზე და პირველ განეოფილებაში არითმეტიკის გაკვეთილი მისცა რუსულად? ვ. ჯაფარიძეშ. ვინ არწმუნებს სიტყვიერად ამ ჟამად ქართველ საზოგადოებას, რომ მას ქართული საქმეების გამო გული შესტკივა და საქმით კი სხვანაირად იქცევა? ვასო ჯაფარიძე. ან რა დაეჯერება ისეთს კაცს, რომელიც შენთან ვითომ შენიანია და სხვასთან სხვისი?“

ეველა დაგვარწმუნება, რომ ვინც ბ. კახაბერის წერილის ამ ადგილს წაიკითხავს, ზიზღით შემოგვხედავს ჩვენ და სამშობლოს მტრად დაგვსახავს. მე პატიოსანი რედაქტორი ასე მეავს წარმოდგენილი: როდესაც იმას ვინმე მიუტანს ვისიმე პბრაგენების შემლახველს და მიწასთან გამასწორებელ წერილს, იგი (რედაქტორი), თუ კი საქიროდა სცნობს ასეთი წერილის დაბეჭდვას, უპირველეს ეოვლისა ავტორს მოსთხოვს უტეეარ სიბუთეებს და, როდესაც დარწმუნდება ავტორის სიმართლეში, მხოლოდ მაშინ მოათავსებს თავის ორგანოში ასეთ წერილს. როდესაც თქვენ, ბ. რედაქტორო, ჭბეჭდავდით ბ. კახაბერის წერილს, ისიც უშენიშვნოთ, უეჭველია, ხელთა გქონდათ უტეეარი სიბუთეები, ზემო აღნიშნულ წერილში მოყვანილ ფაქტების დამამტკიცებელი. რაკი ეს წერილი სრულიად დაუსაბუთებელია და შესაძლოა მკითხველს ეჭვი დაებადოს წერილში მოყვანილ ფაქტების სინამდვილეში,

უმორჩილესადა გთხოვთ, თქვენი ჟურნალის უმახლობელეს ნომერში გამოამჟღავნოთ საქიეყნოდ ეს სიბუთები, რომელნიც, უეჭველია, ხელთ გექნებათ, უამისოდ, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ, როგორც უკვე გამოცდილი რედაქტორი, ზემო აღნიშნულ წერილს ან სულ არ დაბეჭდავდით, ან შესაფერ შენიშვნას გაუკეთებდით. ამ სიბუთების გამომჟღავნებას მოვითხოვ კიდევ, და უმეტესად, იმიტომ, რომ შეძლება მომეცეს შესაფერი პასუხი მოვსთხოვო ბ. კასიბერს, ან თქვენ, ბ. რედაქტორო, ტიდის წამებისათვის, თუ, ვინიცობაა, ეს სიბუთები ვერ წარმოადგინეთ.

დავუთები თქვენი პატ. მტემ.

ვ. ჯაფარიძე

P. S. გთხოვთ ეს წერილიც მოათავსოთ „განათლებისაგან“ უმახლობელეს ნომერში.

ვ. ჯ.

24/X 1915 წ.

ჩემი პასუხი

ბ-ნი ვ. ჯაფარიძე, როგორც წინა წერილიდან სჩანს, საბუთებს თხოულობს, ვითომ მისი „მოღვაწეობის“ შესახებ ყალბ აზრს ვავრცელებდეთ და ცილის წამებას გვაწერს.

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ არა გვგონია ის საბუთები, რომელზედაც დავამყარეთ ჩვენი აზრი ჯაფარიძის პიროვნების შესახებ, ვისმესთვის საიდუმლოს შეადგენდეს; ვერც ბ-ნი ვ. ჯაფარიძე გაიმართლებს თავს, რადგანაც სწორედ ერთ საბუთად მისი სიტყვები, მის მიერ ხელმოწერილი ხელში გვაქვს. აი ბატონებო ვ. ჯაფარიძის სიტყვები: „თუ გნებავთ მე ვაწერ ჩემს თავს იმ პატივს, (ხაზი ჩემია) რომ დავაჯერე ლევიტსკი აღგილობრივს ენებზე გადათარგმნით გამოეცა თავისი სახელმძღვანელოები და ქართულადაც მე გადვუთარგმნე“ (ოქმი მედიატორეთა სასამართლოსი 13 დეკემბერს 1911 წ. შემოქმედელისა და ვ. ჯაფარიძის შესახებ). ბ-ნს ვ. ჯაფარიძეს დიდ „მოღვაწეობად“ მიაჩნია ლევიტსკისთან ერთად მუშაობა ცნობილი „Курсъ“-ის შედგენა-შესწორებაში და პატივსაც აწერს თავის თავს, რომ ქართულად თვითონ უთარგმნია. თუ რაგვარი მოღვაწეობაა ეს, ყველასთვის ცხადია. ცხადია ისიც, რომ ასეთს შრომას თავის ერის მოყვარული და პატივისმცემელი ადამიანი უნდა თაკილობდეს და არამც თუ ქებით იხსენებდეს თავის თავს ასეთის საძრახისი საქციელით. ყველამ ვიცით, რას წარმოადგენდა თავისთავად ამ ჟამად დასამარებული „Курсъ“-ი და რა ღირსება შეემატებოდა მას ბ-ნი ვ. ჯაფარიძის ქართულად გადათარგმნით, ან რომელი სახელმძღვანელოების გაძღვებას უწყობდა ხელს ბ-ნი ვ. ჯაფარიძე ქართულ სკოლიდან, როცა ლევიტსკისთან ერთად მუშაობდა მისს სახელმძღვანელოზე.

ბ-ნი ვ. ჯაფარიძე არწმუნებს ყველას ქართულად „მე არც წარსულში და არც აწმყოში ბრმა მრმხრე მუნჯურის მეთოდისა არ ვყოფილვარ, თუმცა არა ვმა-

ლავ, საუკეთესო მხარე ამ მეთოდისა მიღებული მაქვს, ვსარგებლობ და კიდეც გამოვიყენებ საქმეშიო“ (იგივე ოქმი, ხელმოწერილი ბ-ნი ვ. ჯაფარიძის მიერ). კარგად ვიცით, რომ ბ-ნს ვ. ჯაფარიძეს, როცა ჩვენს სკოლებში „მუნჯური მეთოდის“ წყალობით საცოდავ ბავშვებს სულს უხუთავდენ, და არც მის შემდეგაც რუსულად კრინტიც არ დაუძრავს ამ დუხჭირი მეთოდის წინააღმდეგ და „როგორ ესმის მას საუკეთესო მხარე ამ მეთოდისა და როგორ სარგებლობს მას“, ეს ცხადად სჩანს მისი და ბ-ნი ი. ზედგინიძის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებიდან. რას შეიცავს მათი „მეთოდიური სახელმძღვანელო“ თუ არა პირწმინდა „მუნჯურ მეთოდს“! იქნებ მარტო ჩვენ ვიყოთ ამ აზრისა? არა. ამ აზრისა ყველა შეგნებული ქართველი მასწავლებლები და ქართული მოწინავე პრესა. ამის დასამტკიცებელ საბუთებს აუარებელს დავასახელებდით, მაგრამ ამ ჟამად ვიკმაროთ ის ზოგიერთა შენიშვნები, რაც „სახალხო ფურცელში“ გამოითქვა 1913 წელს, სადაც ბ-ნი კორდელი № 1014-ში მიწასთან ასწორებდა „ქართველ პედაგოგების“ ზედგინიძე-ჯაფარიძის „მეთოდიურ ქრისტომატიას“. დიდს კამათს ზედგინიძე-ჯაფარიძისა და კორდელ შორის მოჰყვა სრულიად მიუკერძებელი დასკვნა ბ-ნი ლადო ბზვანელისა იმავე წლის „სახალხო ფურცლის“ № 1072-ში. ბ-ნი ლადო ბზვანელის დასკვნაში ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო ბზვანელის კერძო შეხედულობას, არამედ საზოგადო აზრს ქართველ შეგნებულ მასწავლებელთა ჯგუფისას. აი რა დასკვნა გამოჰყავს ბ-ნს ბზვანელს:

„რეცენზეტმა (ბ. კორდელმა) მასალის შინაარსისა და სურათების უვარგისობა-შეუფერებლობა არა რუსთა სკოლების ბავშვთათვის, რამდენადაც შეიძლებოდა, დირსეულად და სავსებით აწონ-დაწონა (ხაზი ჩემია) და აგრეთვე გაარჩია მასალის დამუშავება და განმარტება სამშობლო ენის დაუხმარებლად. მე როგორც სახალხო მასწავლებელმა დაკვირვებით გავეცანი ხსენებული ავტორების წიგნებს და არ შემიძლია არ დავადასტურო, როგორც ბ-ნ კორდელის, ისე სხვათა აზრი იმის შესახებ, რომ ზედგინიძე-ჯაფარიძის სახელმძღვანელოები მუნჯურ მეთოდის გეგმაზეა აშენებული, რადგანაც ყოველივე უცხო სიტყვა მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოწაფეს ისევ უცხო სიტყვებით და თვალსაჩინო მეთოდით, სამშობლო ენის დაუხმარებლად.

„დირეკტორად ნამყოფის ლევიტსკის „მუნჯური მეთოდით“ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნებიც, რომლებსაც ძალა უნებურად გვაჩვენებდა თვითონ ავტორი და ბაზარი ჰქონდა კავკასიის არა რუსთა სკოლებში 1892 წლიდან მთელი ათი წლის განმავლობაში, სწორედ ამგვარი იყო. ამას გარდა ზედგინიძე-ჯაფარიძის წიგნებში სავსებით და აშკარად ტრიალებს რუსული სული და ატმოსფერა და სხ. და სხ.“ („სახალხო ფურცელი“ № 1072, 1913 წ.).

თუ ბ-ნი ვ. ჯაფარიძის „მეთოდიური ქრესტომატია“ არაფრით განირჩევა ლევიტსკის „Курсъ“-იდან, მაშასადამე რად სწყინს ბ-ნ ჯაფარიძეს ჩვენი შენიშვნა, რომ მან ზედმიწევნით შეითვისა ლევიტსკის დუხჭირი მეთოდი და მის განხორციელებას შეუდგა საქართველოში ქართველებისათვის და გამოსცა ასეთი სახელმძღვანელოები. განა ეს მართალი არ არის! ხე ხილით იცნობისო, ნათქვამია და კაცი საქმით. ბ-ნი ვ. ჯაფარიძე ქარ-

თულად გვეუბნება—დედა-ენის დახმარება საჭიროა რუსული ენის სწავლების დროსო, როცა ამის განხორციელებაზე მიდგება საქმე, თვითონვე უარჰყოფს და წმინდა მუნჯურ მეთოდს ახორციელებს, მისი სიტყვა და საქმე შორი-შორს დგანან ერთმანერთისაგან; განა აქედან ის უტყუარი დასკვნა არ გამოდის, რომ ბ-ნი ვ. ჯაფარიძე სიტყვით ერთს გვეუბნება და საქმით სხვას აკეთებს?! რად სწყინს ეს სიმართლე ბ-ნ ჯაფარიძეს, იმიტომ რომ правда глаза колетъ-ო რუსები იტყვიან და იმის მაგიერ, რომ ჩაუკვირდეს ასეთს სამართლიან შენიშვნებს, მოთმინებას ჰკარგავს და ვითომ ცილისწამების ბადეში გვხვევს.

ბ-ნი ვ. ჯაფარიძეს არასოდეს არ უკისრია ქართული ენის დარაჯობა ჩვენს სკოლებში, და თუ ოდესმე რამე დაუწერია (ქართულად, რასაკვირველია) ისიც რუსულ ენას უფრო გამოქომაგებია, ვიდრე ქართულს. აი რასა სწერდა ბ-ნი ვ. ჯაფარიძე 1913 წ. „სახალხო გაზეთის“ № 1033-ში: „რუსული ენა დღევანდელ სკოლაში არის ის ღერძი, რომელსაც გარს დასტრიალებს ყველა დანარჩენი საგანი. სასკოლო მთავრობის მთელი ყურადღებაც ამ საგნისკენ არის მიქცეული... ეს ენა ჩვენს ყურადღებასაც უნდა იპყრობდეს ერთის მხრივ იმიტომ, რომ რუსული ენა დღევანდელ პირობებში არა ნაკლებ დედა-ენისა საჭიროა ჩვენთვის; მეორე მხრივ ამ ენაზედ ასწავლიან სკოლებში ყველა საგანს, და კიდევ იმიტომ, რომ სწორედ ამ გზით, ენის შემწეობით, მთავრობა აწარმოებს თავისს სასკოლო პოლიტიკას“. აი რა შეადგენს ბ-ნი ვ. ჯაფარიძის რწმენას; იგი არამც თუ არ ჰგმობს არსებულს უწესოებას უცხო ენაზედ სწავლებისას, ყოველგვარ პედაგოგიურს მოსაზრებას მოკლებულს, პირიქით თვისი სახელმძღვანელოებით ხელს უწყობს ასეთს უკუღმართობას, ამიტომ ჩვენც ვუერთდებით ბ-ნი სიტყვას აზრს, რომელმაც „მეთოდიური ქრისტომატიის“ ავტორებს ზემოთ მოყვანილი აზრისათვის „ძალად დარაჯნი“ უწოდა („სახ. გაზ.“ № 1040, 1913 წ.) და სრულიად ვეთანხმებით ბ-ნს ლადო ბზვანელს, რომელიც სახალხო მასწავლებლის ბაგით აღიარებს: „სამწუხაროა, რომ ქართველი პედაგოგები (ზედგინიძე-ჯაფარიძე) თავიანთ სახელმძღვანელოებს უფარდებენ უკუღმართ წესს. ინოროდცებს ასეთი მეთოდიკური სახელმძღვანელო სამშობლო ენაზე აზროვნებას დაავიწყებს და უცხო ენაზე ლაპარაკს თუთიყუშივით შეასწავლის“. (სახ. გაზ. № 1072, 1913 წ.). აქედან მკითხველისთვის ცხადია თუ, როგორ შესტკივებული ბ-ნს ვ. ჯაფარიძეს ქართული საქმის გამო და როგორ იქცევა იგი.

რაც შეეხება ბ-ნი ვ. ჯაფარიძის მასწავლებლობას განჯის საქალაქო სკოლაში ლევიტსკის დირიკტორობის დროს და რაც ჩემს წერილში იყო მოყვანილი, ამას ზოგს უარს არ ჰყოფს არც ბ-ნი ვ. ჯაფარიძე, იგი ხომ მუშაობდა ლევიტსკისთან ერთად, ხომ გადაუთარგმნა ქართულად „Курсъ“-ი და რომ ბ-ნი ჯაფარიძე ლევიტსკის მეთოდს განჯის საქალაქო სკოლაში ზედმიწევნით ახორციელებდა და ამ მხრით ლევიტსკიც ბ. ვ. ჯაფარიძეს სამაგალითო მასწავლებლად სთვლიდა და დაიახლოვა კიდეც, ამის მოწამენი არიან თუ გინდ იმ დროს განჯის საქალაქო სკოლაში მოსამსახურე მასწავლებლები, რომელთაგანაც არა ერთხელ გაგვიგონია და მათი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გვაქვს მოყვანილი; მე-

დიატორეთა სასამართლოს ბ-ნი ვ. ჯაფარიძე ყოფილი ინსპექტორის ბ-ნი ცერცვაძის სიტყვით არწმუნებდა, რომ მას ლევიტსკის დირექტორობის დროს მეორე კლასზე დაბლა არ უსწავლებია, ამით ბ-ნ ჯაფარიძეს იმის თქმა უნდა, რომ მეორე კლასში და ზევით რუსული ენის სწავლება არა რუსთა სკოლებში უდედაენოთ ე. ი. წმინდა მუნჯური მეთოდით შეიძლებაო და უეჭველია ასეც იქცეოდა ბ-ნი ვ. ჯაფარიძე განჯის სკოლაში, სადაც უმეტესობა თათრისა და სომხის ბავშვებია, თორემ თათრული და სომხური, როგორც ვიცით, ბ-მა ვ. ჯაფარიძემ არ უნდა იცოდეს და ლევიტსკის დროს ამ ენებს რუსულის სწავლებაში ვერც გამოიყენებდა. ბ-ნი ჯაფარიძის შემცდარია, როცა ფიქრობს, რომ დედაენის საშუალებით უცხო ენა დაბალ საფეხურზე უნდა ისწავლებოდეს და შემდეგ კი ეს უპირველესი პედაგოგიური იარაღი ამა თუ იმ ცნების შეგნებით შეთვისებისათვის თითქოს საჭირო არ იყვეს.

ახლა შევეხოთ თელავის კურსების ამბავს. ბ. ვ. ჯაფარიძე თშილისის სახალხო სკოლების დირექციამ მიიწვია 1911 წ. თელავის კურსებზე. ინსპექტორი კურსებისა ბ-ნი პოგარელოვი სწერდა ვ. ჯაფარიძეს წერილის ბოლოში: „Присылаю программу ариѳметики для начальныхъ школъ съ 4 год. курсомъ, которою Вы и будете руководствоваться. П. Погорѣловъ. 12 мая 1911 г. რა ეწერა ამ პროგრამაში, რომელიც უნდა ეხელმძღვანელა ბ-ნს ვ. ჯაფარიძეს: „Преподаваніе ариѳметики въ I и во II отдѣленіяхъ происходитъ на грузинскомъ языкѣ“. ასეთია 1881 წლის სასწავლო გეგმის მოთხოვნილებაც, რომელსაც უღალატა ბ-ნმა ვ. ჯაფარიძემ და პირველ განყოფილებაში გაკვეთილი რუსულად მისცა და სხვა მასწავლებლებიც მიბაძვით ასევე მოიქცნენ. ამას არც ბ-ნი ვ. ჯაფარიძე ჰფარავდა და საჯართად აღიარებდა სამედიატორო სასამართლოში, რომელიც ამოწმებს, რომ „ბ-ნმა ვ. ჯაფარიძემ ფაქტი არა სამშობლო ენით არითმეტიკის გაკვეთილის მიცემისა აღიარა“.

ჟურნალ „განათლებაში“ თელაველი კორესპონდენტი ეხებოდა საზოგადოთ თელავის კურსებზე 1881 წლის გეგმის დარღვევას და დასძენდა: „სად იყვნენ ჩვენი მოჭირნახულე ლექტორები? რატომ იმათ მაინც არ ჩააგონეს თავიანთი შემცდარი მსმენელები? ამათ იმისთვის არ ეცალათ. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. დიალ „საქმეს“, ბ-ნმა ვ. ჯაფარიძემ და მის მიხედვით მასწავლებლებმაც რუსულად ინებეს ანგარიშის სანიმუშო გაკვეთილების მიცემა პირველ განყოფილებაში“ (იხ. „განათლება“ № 8—1911 წ. გვ. 492). იქნებ „განათლების“ კორესპონდენტს მიკერძოება დასწამოს ბ-მა ვ. ჯაფარიძემ, ამიტომ მივმართოთ სხვა გაზეთებსაც, აი რას ვკითხულობთ „სახალხო გაზეთის“ 1911 წ. № 346-ში: „როდესაც ლექტორები და თვით მასწავლებელნიც ანგარიშიდან წარბ-შეუხრელად აძლევდენ პირველ განყოფილებაში რუსულად გაკვეთილებს, ჩვენ ეს ლაღად და მიუტოვებელ ცოდვად (ხაზი ჩვენია) მიგვაჩნია. 28 კაცში არც ერთი არ აღმოჩნდა იმისთანა, რომ ხმა აღემაღლებინა და დაეგმო უპრინციპობა და საღი პედაგოგიურის თვალსაზრისით გამოერკვია სიყალბე იმ ნიადაგისა, რომელზედაც დააყენეს კურსები მისმა ხელმძღვანელებმა“. ასეთივე და უარესი წე-

რილები იყო დასტამბული რუსულ გაზეთს „Закавк. Рѣч"-ში. ახლა ჩავუკვირდეთ ბ-ნი დ. შემოქმედელის აზრს, რომელიც ჩაწერილია 1911 წლის 13 დეკემბრის ოქმში და დაბეჭდილი 1912 წლის „განათლების" № 2-ში: „ბ-ნი ვ. ჯაფარიძე თავისი საქციელით თელავის პედაგოგიურს კურსებზე დამნაშავეა არა მარტო სახალხო სკოლისა და მასწავლებლის, არამედ მთელი ქართველ საზოგადოების წინაშეო". რასაკვირველია ბ-ნ ვ. ჯაფარიძეს საგმირო საქმეებს ვერ მოვთხოვთ, მაგრამ იგი ისე მაინც უნდა მოქცეულიყო, როგორც კურსების მეთვალყურე ურჩევდა ე. ი. ქართულად სწავლებას. ეს კანონიერიც იქნებოდა და უფრო სასარგებლოც. ყველა ეს ბ-მა ვ. ჯაფარიძემ ძალიან კარგად უნდა იცოდეს და, როცა მართალს ვამბობთ, მაინც გვედავება, მაინც ცდილობს თავის მართლებას, თუმცა მისი საბუთები ყოველ ღირსებას მოკლებული უნდა იყვეს.

აი რა ფაქტებით ყველაზე ძლიერ ნელობდით, როცა ბ-ნს ვ. ჯაფარიძეს შევეხეთ. თუ რამეში ცილი დავწამეთ ბ-ნ ვ. ჯაფარიძეს, მას, შეუძლიან პრესის საშუალებითვე თავი იმართლოს და მკითხველი საზოგადოება დასდებს მსჯავრს, ვინ არის მართალი და ვინ არა.

კახაბერი

მოწაფეების მიერ საფიზიკო იარაღის კეთება *)

II გაზი და სითხე

(გაგრძელება)

7. ჰაერის უმარტივესი ტუმბო

როგორც ვიცით, ცარიელ ბოთლში ჰაერი არის. მაგრამ როგორ უნდა გავაშოროთ იქიდან ჰაერი, რომ ბოთლი სრულიად დაცალიერდეს? მთელი ჰაერისაგან ბოთლის დაცალიერება ძნელი საქმეა, მაგრამ მისი მოშეტებული ნაწილის განდევნა კი შესაძლებელია. ყველაზე ადვილია—პირში ჩაიდოთ ბოთლის ყელი და ამოსწოვოთ ჰაერი—მაშინ ბოთლში ცოტა ჰაერი დარჩება. მაგრამ უბედურება ის არის, რომ რაკი ბოთლს პირს მოვაშორებთ, ჰაერი მაშინვე ხელახლად ჩავა. რა მოვუხერხოთ ამას?

ავიღოთ მაღალი საცობი, გავხვრიტოთ და მაგრად გავატაროთ შიგ შუშის მილი, შემდეგ ასეთის პრობკით მაგრა დავუცოთ თავი ბოთლს. შემდეგ შუშის ზემო მილის თავს ჩამოვაცვათ რეზინის მილი, ეს მილი ჩავიდოთ პირში, ამოვწოვოთ ჰაერი და შემდეგ მოვუჭიროთ თითები რეზინის მილს. დასვენების შემდეგ ისევ ამოვწოვოთ და ისევ მოუჭიროთ ხელი. ამნაირად ბოთლში ჰაერს უკან არ ჩაუშვებთ და ისიც თანდათან დაცარიელდება ყოველის ამოსრუტვის შემდეგ.

*) იხ. „განათლება" № VIII—IX.

ასეთი ცარიელი ბოთლი პირით ჩასდეთ წყალში და მოაშორეთ რეზინის მილი; მაშინ წყალი სწრაფად შევარდება ბოთლში. ეს წყალი ჰაერის დაწოლით შედის ცარიელ ბოთლში

8. ჰაერის წონა

გააკეთეთ ჩხირის სასწორი, შუაში ჩაურჭეთ ნემსი (სწორ მხრებიანი ბერკეტი). სასწორის ბოლოში ძაფით მიაბით ქაღალდის ან კარდონის ჯამები. ეს სასწორი სრულიად გამოდგება ჰაერის ასაწონად.

მოამზადებთ თუ არა სასწორსა და სილას გირების მაგიერ, აიღეთ რეზინის ბუშტი და გამოსწოვეთ იქიდან მთელი გაზი, რითაც სავსეა, რომ ბუშტი დაცარიელდეს, შემდეგ დასდეთ სასწორის ერთს ჯამზედ და შეათანწონეთ სასწორი მეორე ჯამზე სილის დაყრით. შემდეგ აიღეთ ცარიელი ბუშტი და ჩაბერეთ ჩალის ლულით ჰაერი და მაგრად მოუკარით ძაფით თავი, ჰაერი რომ არ გავიდეს.

ახლა ასწონეთ ჰაერიანი ბუშტი, დასდეთ იმავე ჯამზე ან მიაკარით მას. ბუშტი გადასწონის. ეს ცდა გვიმტკიცებს, რომ ჰაერს სიმძიმე აქვს. რეზინის ბუშტის მაგიერ შეიძლება აიღოთ ხარის ან ღორის ბუშტი, მაგრამ ორივე ისე უნდა გაბეროთ, რომ ჰაერი ბლომად იყვეს.

არა ერთხელ აუწონიათ ჰაერი. აღმოჩნდა, რომ იგი ძლიერ მსუბუქია, 770 ჯერ მსუბუქია წყალზე. ერთი ვედრო წყალი 30 გირვანქას იწონის, ვედრო ჰაერი კი 4 მისხალზე ნაკლებია. ჰაერის კუბიკური ფუტი იწონის თითქმის 8 ნახ. მისხალს—მაშასადამე მისი კუბიკური საჟენი აიწონის სწორედ 30 გირვანქას. როცა ეს იცით, გამოიანგარიშეთ, რამდენი ფუთი და გირვანქა ჰაერია თქვენს კლასში.

9. ჭერიხნის შადრევანი

აიღეთ ბოთლი, იშოვეთ პრობკა, გაუკეთეთ პრობკას ორი ნახვრეტი და თითოში გაატარეთ ლულა; ერთში მოგრძო იყოს, რომ ბოთლის ფსკერამდის სწვდებოდეს და პრობკის ზემოთაც ამოდიოდეს ეთი გოჯით ან მეტი, მეორეში — მოკლე და მოკაკული ლულა. ლულები შეიძლება შუშისა იყვეს, ან ჩალის, დიდგულასი, ან ბატის ფრთისა; მხოლოდ როცა იღებთ მსხვილს ლულას, შუშასაც ფართო ყელი უნდა ჰქონდეს, პრობკა და ლულა მჭიდროდ უნდა ეცობოდეს, რომ ჰაერი არსაიდამ გადიოდეს: ყველა ჭუჭრუტანა უნდა ამოიგლისოს ცვილით ან ფისით. გრძელ ლულას ზემო თავი გახსნილი უნდა ჰქონდეს წყლის გასასვლელად, წყალი რომ ქევლად სცემდეს.

თუ ჩაასხამთ შუშაში წყალს და შემდეგ მოკლე ლულაში ჩაჰბერავთ, გრძელი ლულიდან წყალი შადრევანივით ამოვარდება. ეს შადრევანი მოიგონა ძველი ბერძნების მეცნიერმა ჰერონმა.

10. საპკურებელი

საპკურებელის გაკეთება ძლიერ ადვილია. გამოსჭერით პრობკა და გაუყარეთ შიგ ორი ბატის ფრთა ან შუშის ვიწრო ლულა ისე, რომ მათი ბოლო ერთმანეთს უერთდებოდეს. ქვემო ლულას ბოლო წვეტიანი უნდა ჰქონდეს და თუ ის ბატის ფრთაა, ბოლო არ უნდა მოაჭრათ, მხოლოდ ლურსმით უნდა გაუკეთოთ პატარა ნახვრეტი. ჩასდეთ ამ უკანასკნელი ლულის ბოლო წყალში, მეორე თავიდან კი ჩაჰბერეთ პირით: წყალი ზევით ამოიწევს და ზემო თავში, მეორე ლულიდან ჩაჰბერილ ჰაერის ქევლით წვრილ-წვრილ წინწკლებათ იქცევა. როცა საპკურებელს აკეთებთ, თვალყური უნდა გეჭიროთ, რომ ჰაერის ქევლი ხვდებოდეს სწორედ

ლულის თავს. საპკურებელს ხმარობენ ყვავილების მოსარწყავად, სურნელების გასაფანტავად, დეზინფექციისათვის (დეზინფექცია ჰქვიან კარბოლის სიმჟავის, სულემის ან სხვა რისიმე მოსხმას, რომ ნივთი, რომელსაც გადამდები სენით ავადმყოფი სარგებლობდა, უვნებელი გახადოს.)

11. სიფონი.

სიფონი ჰქვიან ისეთ ლულას, რომელიც ორ მუხლად არის მოღუნული: ერთი გრძელია და მეორე მოკლე. რასაკვირველია ლულა სხვა და სხვა მასალისა შეიძლება: შუშის, რეზინის, ხის, ბოგრის ფოთლის ღეროსი და სხვ. თუ ასეთ ლულას წყლით აავსებთ და ბოლოებს თითებს დაუცობთ, ჩაუშვებთ მოკლე მუხლს წყლიან ფინჯანში, შემდეგ მოაშორებთ ბოლოებს თითს, მაშინ წყალი გრძელი მუხლიდან წამოვა და გადმოიღვრება, სანამ ჭიქა არ დაიცლება.

სსვანაირადაც შეიძლება სიფონის ამუშავება. ჩაუშვით მოკლე ბოლო წყლიან ჭიქაში, გრძელი ბოლოთი ამოსწოვეთ პირით, სანამ წყალი არ წამოვიდეს.

სიფონი იმიტომ მუშაობს, რომ მოგრძო მუხლში წყალი უმძიმესია, ვიდრე მოკლე მუხლში: რაკი გადასწონის, როგორც არასწორმხრეთიანი აზარმაცი, წყალი გამოდის გრძელი მუხლიდან და თან მიაქვს წყალი მოკლე მუხლიდან, რომელიც ისევ ივსება ჰაერის დაწოლით.

12. შადრევანი.

აიღეთ დიდგულას სამი ჩხირი: ერთი მოდიდო, მეორე პატარა და მესამე უფრო მოკლე და მავთულით გაუწმინდე გული, რომ მიიღოთ ლულები. მოსჭერით თავები ალმაცერად და შეადგინეთ ამ ლულებიდან რუსული ასო Г-ს მსგავსი ფიგურა; რომ არ დაიშალოს, კუთხეები უნდა მიაწებოთ, მიწებება შეიძლება ტილოს ნაჭრებით, რომელიც უნდა ამოავლოთ გამდნარ ფისში ან შრეში (двухромокислый клейстеръ). როცა კუთხეები მიეწებება, რომ დავრწმუნდეთ არის თუ არა ჰაერის გასავალი გზა ლულიდან კუთხეებში, ჩაჰბერეთ ლულაში.

როცა ყველაფერი მზად იქნება, აიღეთ ფსკერ ვახვრეტილი დიდი ყვავილების ქოთანი, ჩაარჭვეთ ნახვრეტში გრძელი ლულის მეორე ბოლო, დააწებეთ კარგად ფისით, ქოთანი მიაკარით ღობეს ან ხეს ბაღში იმ სიმაღლეზე, რომ შეიძლებოდეს შუა მილის მიწით დაფარვა.

ქოთანში წყალი ჩაასხით: წყალი წამოვა ლულებში და მოკლე ლულის ბოლოდან შადრევანიდან ამოხეთქს ზევით, აი მთელი შადრევანი.

ამ შადრევანის გაუმჯობესებაც შეიძლება. მოკლე ლულის ბოლოზე, რომლიდანაც წყალი ამოსჩქეფს, ჩამოაცვით ბოლო გახვრეტილი სპილენძის სათითური. რამდენადაც მაღლაა გრძელი ლულა და რამდენადაც მაღლა იდგმება ქოთანი, მით უფრო ძლიერ და მაღლა ამოხეთქს ჭევლი. გრძელი ლულის გასაკეთებლად უნდა დააწებოთ რამდენიმე მოკლე ლულები იმავე ფისში ამოვლებულ ტილოებით; ამასთან რადენადაც ქოთანი უფრო დიდი იქნება, იმდენად უფრო ხანგრძლივად იდგნს შადრევანი; რასაკვირველია ქოთნის მაგიერ შეიძლება სხვა ჭურჭელიც იხმაროთ. დასასრულ შადრევანმა რომ წესიერად იმუშაოს, საჭიროა, რომ ლულები შიგნით სუფთა იყვეს და კუთხეებშიაც წყალი დაუბრკოლებლივ გადიოდეს.

რასაკვირველია შადრევანის გაკეთება, როცა ხელთა გვაქვს შუშის, რეზინის ან ტყვიის ლულები, უფრო ადვილია, მაგრამ, სამაგიეროდ, ძვირიც არის.

თავისუფალი აღზრდა

უკვე კარგა ხანია რაც მოწინავე პედაგოგიის მორიგ საკითხად წამოყენებულია თავისუფალი აღზრდა. ეს ახლად შობილი იდეია ღირსეულ ყურადღებას იპყრობს ყველა განათლებული ერისას და ფიცხელი სამეცნიერო კვლევა-ძიების საგნად გადაიქცა... როგორც საზოგადოთ ყოველგვარ მოძღვრებას ამ იდეიასაც ჰყავს მრავალი მომხრე და მრავალი მოწინააღმდეგეც. ბევრს შეუძლებლად მიაჩნია მისი ფართო სახით განხორციელება სწავლა-აღზრდის სფეროში, ზოგიც ურწმუნო თომას თვალით სკეპტიურად შესცქერის ამ „გულუბრყვილო ოპტიმისტების ოცნებას“ და სოფისტიურ უტოპიად სთვლის მას... ყველა თავისებურად უყურებს და თავის სუბიექტიურ აზრთა დასკვნით სჭრის ამ საკითხს...

ვარნა არის აზრთა სხვადასხვაობა თვით ამ იდეიის მომხრე და მოძღვართა შორისაც. ზოგი აღიარებს სრულს, აბსოლიუტურ თავისუფლებას აღზრდაში, როგ. მაგალითად ლ. ტოლსტოი, ვენცელი და სხვა ამ,—აზროვნების კორიფეების—მოწაფეთა მთელი პლეიადა... ესენი თავიანთ ამგვარ დასკვნას შემდეგ მოსაზრებაზედ ამყარებენ: ვითომ—თანამედროვე სკოლა,—ამბობენ ისინი,—გულისხმომს, რომ ბავშვი წარმოადგენს ან აბსოლიუტურ არა-რაობას ინტელექტუალურად და თუ-კი რაიმე შინაარს წარმოადგენს, მხოლოდ უკეღმართობისა და ბოროტების განსახიერებას, ხოლო ფსიხიკა მისი, არის მხოლოდ იარაღი უფროსების მიერ მიწოდებულის შესათვისებლად. და ჩვენ—აღმზრდელნი, ვცდილობთ სწავლა-აღზრდის საშუალებით გარდავქმნათ ისინი და ეს უსუსური ქმნილებანი, მოვაქციოთ ჩვენს ჭკუაზედ, ჩავენერგოთ მათ ის იდეალები, რომელიც ჩვენ მოგვწონს და იმავე მიზნისაკენ მისწრაფებით ავაგზნოთ მათი გული, რომლებისაკენაც ჩვენ მივისწრაფვით; ვიწამოთ ის ღმერთი, რომელსაც ჩვენ ვეთაყვანებით; თვით იმათს ფსიხიურ სალაროშიაც-კი უდიერათ შევიჭრებით და მოვთხოვთ, მათ ჩვენს ესტეტიურ თვალთასაზრისს, ჩვენს სუბიექტიურ გემოვნებას და სისტემატიური გეშვით ვაჩვევთ იმის მოწონებას, რაც ჩვენ მოგვწონს და ამნეირად ჩვენს სურვილსა და გემოზედ მოვლენედავთ თვით ამ ახალთაობის ზნეხასიათსაც... და ეს მაშინ, როცა, იქმნებ, ჩვენ თვითონ ვცდებოდეთ ჩვენს იდეალ-მიზან-მისწრაფებაში და თვით ის თვისება, რომელიც ჩვენ ჩვენს თავში უაღრეს ღირსებათ მიგვაჩნია, უაღრესი ნაკლი იყოს.

ამ პატივცემულ მეცნიერთა აზრით ეს აგრე არ უნდა იყოს... არამედ ბავშვს უნდა სრული თავისუფლება ეძლეოდეს მის სულის სიღრმეში ჩასახული, უკვე დაბადებიდანვე თინდაყოლილ კეთილ მიდრეკილებათა გასანვითარებლად. ამისთვის ისინი (ბავშვები) გზასაც იპოვიან და საშუალებასაც, ჩვენ-კი მათ ჩვენი არაფერი მივაკაროთ...

ზოგნიც სასიქადულო იდეათ სთვლიან

თავისუფალ აღზრდას, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებლათ მიაჩნიათ. და ამ გვარ თავის შეხედულების დასამტკიცებლად მოტანილ საბუთთა დიდი უმრავლესობა მდოლოდ ტეხნიკური დაბრკოლებანი გამოუდისთ... ასეთი დაბრკოლება კი, როდესაც მომავალ-თავისუფალ აღზრდის თანამედროვე სკოლასთან დაკავშირება-შეერთებას განვიზრახავთ,—სრულიად ბუნებრივი მოვლენა იქმნება; ვინაიდგან აწინდელი სკოლათა პირობები შეხამებულია იმ იდეიას, იმ მიზანს, რომლითაც ამ სკოლის შემქმნელი თაობა ხელმძღვანელობდა და უმეტესად შესაბამებულია თანამედროვე საზოგადოებრივ ეკონომიურ, თუ პოლიტიკურ ცხოვრების პირობებსა და მისწრაფებებს, ვიდრე ნორჩ არსებათა სულსა და ფსიხოლოგიას. ამიტომ, არამც თუ გასაკვირი, არამედ სრულიად ბუნებრივი იქმნება, რომ ამ სკოლების პირობები მომავალ სკოლის პირობებს ვერ შეეთანხმ-შეესაბამოს და მეორის სულის ჩადგმამ მოითხოვოს პირველთა აუცილებელი გაქრობა...

ამგვარივე ტეხნიკური მხარე შერჩა უმთავრესად, თავისუფალ სკოლას დამაბრკოლებელ მიზეზად ბ-ნ ნიკ. სირბილაძეს, თავის წერილში, თავისუფალი აღზრდის შესახებ („ცოტა რამ თავისუფალ აღზრდაზე“ „განათლება“ № IV)... მაგრამ, ცხადია, ტეხნიკურად საქმის მოწყობა მოგვარების სიძნელე, ეს ჩვენი—საზოგადოების პირადი სისუსტე იქნება და არა რომლისამე იდეიის უვარგისობა. ხოლო ჩვენი ნაკლი და საზოგადოებრივ ცხოვრების მოუწყობლობა, შეიძლება აფერხებდეს რომლისამე მოძღვრების რეალიზაციას, მაგრამ იგი ამ მოძღვრების ნაკლად კი არ უნდა ჩაითვალოს... და აბა ჩვენ რომ ხეირიანად მოწყობილი ეკლესია მონასტრები და ჯეროვანად დაყენებული წირვა-ლოცვა არა გვქონდეს, ან ღირსეულნი მოძღვარნი არ მოგვეპოვებოდნენ, ეს ქრისტეს მოძღვრების ნაკლი და სიცუდე-უვარგისობა იქნება?...

მიუხედავად ყოველივე ამისა მეტად მასიამოვნა მე პირადათ ნიკ. სირბილაძის წერილმა, რომელშიაც ბევრი რამ საგულისხმო, თვალსაჩინო ჭეშმარიტება არის გამოთქმული. მასიამოვნა და მეც აღმიძრა სურვილი ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხზე ჩემი უძლური ენით და მცირე ჭკუით საკუთარი შეხედულებაც გამოვსთქვა, რასაც ვასრულებ კიდეც...

საქმე ის არის, რომ გარდა ტეხნიკურ დაბრკოლებათა და თუნდა მეთოდიურ-დიდაქტიური სიძნელისა არსებობს კიდევ უფრო დიდი დაბრკოლება, რომელიც თვით ამ იდეის—„აბსოლიუტურად თავისუფალ აღზრდის იდეალურ შინაარსის წინააღმდეგ აღმართულა შეურყეველ ზღუდეთ. ეს დაბრკოლება გამომდინერეობს თვით იმ ნორჩ არსებათა ფსიხოლოგიიდან, რომელთა საკეთილდღეოთ გვინდა იყოს მიმართული სწავლა აღზრდის საქმე, იგი სწორედ მაშინ იჩენს თავს, როდესაც ნორჩს, მოზარდ ინდივიდუმს დავუპირისპირებთ ამ მცნებას „თავისუფალ აღზრდას“. და იმ აბსოლიუტურ თავისუფალ აღზრდას, რომელსაც ზოგიერთნი ქადაგებენ, განუხორციელებელ უტოპიად ქმნის და სტოვებს მხოლოდ იმ შორეულ მომავლის საოცნებო იდეალად, როდესაც ყოველი მომაკვდავი გაზეკაცდება და თვის ზეციერ მამას მიუახლოვდება.

თანამედროვე ადამიანის ფსიხოლოგიასთან შესაბამებულად შეგვიძლია წარ-

მოვიდგინოთ თავისუფალი აღზრდა, რომელსაც დაედება თვისი საზღვარი და მისი ასპარეზი იქნება შემოფარგლული იმ ჰორიზონტით, სანამდე წვდება აწინდელი განათლების თვალი... ვიცი ზოგს გაეღიმება და იტყვის: „ეჰე! კარგი თავისუფლებაა, რაღაც საზღვრებითა და ბორკილებით შებოჭილი!“-ო. მაგრამ სხვაფერ შეუძლებელი არის. და თუ ჩვენ გონივრულად მოსაზრებული საზღვარი არ დაუდეთ თავისუფალ აღზრდას, იგი მაინც თვით შემოივლებს ამ საზღვართა ზღუდეს, და იქნებ გაცილებით უფრო შეივიწროვოს თვისი ასპარეზი, ვიდრე ჩვენ შევავიწროვებდით მას. ეს მოხდება იმ საანბანო ფსიხოლოგიურ თვისებით, რომელსაც ეწოდება მიბაძვა და, რომლითაც, ჩვენ ვიცით, ძლიერ უხვად არიან დაჯილდოვებული ბავშვები. განა ვინ არ იცის თუ რა ძლიერი შეთვისების ალღო და ინსტინქტი აქვთ პატარებს. ისინი ყოველსავე თავის გარშემო ნახულ, განცდილს ხარბათ ეწაფებიან, ყლაპავენ თავიანთი ნორჩი გონებით და მტკიცედ ითვისებენ ისე, რომ არც კი დაგიდევენ, შესძლებენ მათ გადახარშვა-მონელებას, თუ არა...

ამიტომ ჩვენ რომ,—როგორც ტოლსტოი გვისაყვედურებს,—ძალათი არ მოვახვიოთ მოზარდ თაობას ჩვენი რწმენა—შეხედულება და მიზან-მისწრაფებანი, სულ ერთია, თუ-კი ისინი ჩვენს ახლოს იქმნებიან და ჩვენზე დაკვირვების საშუალება მიეცემათ, ისინი მაინც მიბაძვით გადაიღებენ ჩვენგან და შეითვისებენ არამც თუ ჩვენს რწმენას და მისწრაფეფას, არამედ ჩვენს ზნე-ხასიათსა და ჩვეულებასაც-კი, ერთის სიტყვით ყოველსავე იმას, რითაც-კი ხასიათდება ის პიროვნება, რომელსაც წვდება ბავშვის გრძნობანი, ამით შეიზღუდება თავისუფალი აღზრდა და ბავშვის სულიერი მხარე დამოკიდებული გახდება... (ამაზე-უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

ხოლო თუ მოზარდ თაობას ჩვენ მოვაშორებთ, სრულიად მოვსწყვეტთ არსებულ საზოგადოებას და მისთვის უჩინარს ვყოფთ ყოველსავე არსებულს, მაშინ თვითოეულმა მოზარდმა თვისი განვითარება ყოველ დარგში უნდა დაიწყოს ბრმად, უთვალოთ და უწინამძღოლოდ უცხო ლაბირინტში... კაცობრიობის პირველ წინაპრის პირველ დღიდან და სათითაოდ თვითონ უნდა აღმოაჩინოს ყოველივე ის, რაც კაცობრიობას უხსოვარ დროიდან, თავის დაბადების დღიდან დღემდე წვა-დაგვით აღმოუჩენ-შეუძენია... მაშინ საეჭვოა, რომ ვინმე მომავალ ადამიანთაგანი მისწვდეს იმ დაუშრეტელ განძს, რომლითაც სავსეა, აწინდელი კულტურული სალარო და სტკბება თანამედროვე კაცობრიობა. ამ გვარად ჩვენ მთელ კაცობრიობის განვითარების ისტორიას შევატრიალებდით და ახლად დაბადების საფეხურამდე ჩამოვაქვეითებდით. ამის შემდეგ, ყოველი დღე დედამიწაზე იქნებოდა კაცობრიობის გაჩენის პირველი დღე და ვერასოდეს ქვეყანა ამ პირველ დღეს ვერ გასცილდებოდა და რაღა თქმა უნდა, რომ ეხლანდელ კულტურის სიმაღლემდე ვერ ასწვდებოდა...

ხოლო თუ ჩვენ საჭიროდ ვაღიარეთ მოზარდთათვის არსებული ცხოვრების გაცნობა, მაშინ აუცილებლად ჩავაგდებთ მას სხვადასხვა ისტორიულ პირთა გავლენის ქვეშ, ან ამა თუ იმ საზოგადოებრივ აზრს, ან რომელ-ისამე ნაწარმოების ავტორის მსოფლ მხედველობას გავეზიარებთ და ყველა ამასთან მისი ყურადღე-

ბისთვის მისაწვდომი იქნება ის ინდივიდი, თავისი ინდივიდუალური ნიშნებით, რომელმაც უნდა გააცნოს მოზარდს ეს არსებული ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინდივიდის ხასიათ-მიზან-მიდრეკილებანი სრულიად არ შეესაბამებოდეს ბავშვის პირადს, თანდაყოლილ ნიჭსა და თვისებებს, იგი მიბაძვით აჰყვება ნახულ მაგალითს. და რა-კი მას თვისი ინდივიდუალურ თვისებათა შესაფერი პირობები გარშემო არ აღმოუჩნდა და მისი ყურადღება მიიპყრო და გაიტაცა ისეთმა რაიმემ, რაც მის ინდივიდუალურ თვისებებს არ შეესაბამება,—ამით უკვე დაირღვა პრინციპი თავისუფალ აღზრდისა და სუსტი, უსუსური ბავშვის უძლური სული უნებლიე მონა ხდება იმისა, რაც იქნებ სრულიად არ შეესაბამება მის ბუნებით თანდაყოლილ თვისებებს... მაშ—არის, თუ არა ხელმძღვანელი საჭირო?.. ცხოვრება მეტად რთულია და ჭრელი; იგი მთელი ოკეანეა სხვადასხვა მოვლენათა, რომელშიაც თვით უმცირესი წვეთებიც კი ძირიან-ფესვიანად განსხვავდებიან ერთმანერთისაგან... კაცობრიობის ურიცხვმა თაობამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ღრმა დაკვირვებით, წვადაგვითა და მწარე გამოცდილებით გაჰყო, გაანაწილა ყველა ეს საქმენი, თუ მოვლენანი. ერთ რიგში,—გმობის წრეში მოაქცია ყველა ის, რაც ავნებს, აბრკოლებს კაცობრიობის წინსვლა-განვითარებას და აფერხებს მისს კეთილდღეობას. ამათ უწოდა „ცუდი,—ბოროტება“ და უარჰყო იგინი, თვითონ ერიდება მათ და ცდილობს აარიდოს მათ ის უსუსურნიც, ჯერ ცხოვრებას გაუცნობელნი, რომელთაც ჯერ ვერ შეუგნიათ ამ მოვლენათა მავნებლობა...

ხოლო მეორე მხრით მოაქცია ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს კაცობრიობის კულტურულ წინსვლა-განვითარებას და მისს ყოველმხრივ კეთილდღეობის წარმომშობ ფაქტორს შეადგენს... მათ უწოდა კარგი, ანუ კეთილი. თვით მიისწრაფვის მათკენ და ცდილობს გააცნონ იგინი და აღუძრან მათკენ მისწრაფების სურვილი, იმათაც, რომელნიც ჯერ ვერ იცნობენ მათს ფასსა და საჭიროებას... მართალია ბევრი რამ ამათ შორის ჯერ კიდევ სადავოა, მაგრამ ბევრიც ისეთი თვალსაჩინო, საანბანო ჭეშმარიტებას შეადგენს, რომ ხელმეორედ ამათი აღმოჩენაზე თავის ტეხვა მხოლოდ სიგიჟე და ღია კარების მტვრევი იქმნებოდა...

ცხადია, რომ ყოველმა ხორციელმა ადამიანმა დაბადებიდგან სიკვდილის დღემდე უნდა გაიაროს ეს ზღვა-ოკეანე ჭრელი ცხოვრების მოვლენათა, რომ ბოლოს საკეთილდღეო სამშვიდობოს იგრძნოს თავი... არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ გამოცდილება ბევრად უფრო ადვილებს ყოველგვარ საქმესა და მიზნის მიხწევას... ხოლო გამოცდილება, საერთოდ, იმას მეტი აქვს, ვისაც მეტი უცხოვრია, მეტი განუცდია და მეტი უვარჯიშებია თვისი გრძნობა-გონება არსებობისთვის ბრძოლაში, მეტი დაჰკვირდებია ამ ცხოვრებას და გაუცვნია მისი სიღრმე-განი... ხოლო ყოველსავე ამას მოკლებული არის ამ მხრით, სრულიად უთვალო ბრმას წარმოადგენს უსუსური ბალღი, რომელმაც ესეც არის ეხლა გაახილა თვალები და მხოლოდ ფერადების სხვადასხვაობა და მოძრაობა-უძრაობის შორის განსხვავება ლა თუ შენიშნა ბუნებაში. იგი, რა თქმა უნდა, ჯერ ვერ იცნობს ცხოვრებას, ვერ იცნობს მისს პირველ საფეხურსაც კი, (რომელსაც მხოლოდ გაურკვეველ ინსტინქტებით

განიცდის). იგი ჯერ კრიტიკულად ვერ შეხედავს და ვერ განსჯის მოვლენებს, ვერ შეაფასებს მათ. არ იცის მათი—როგორც შინაარსი, ისე მიზეზი და შედეგები. იგი ნამდვილი ბრმაა, უთვალო ღრუბურ ტყის სიღრმიდგან აღთქმის ველის მაძიებელი, რომელიც,—თუ თვალხილულ წინამძღოლს არ მიჰყავს,—ხან ერთ ხეს დაეჯახება, ხან მეორეს; ხან ერთ ეკლიან ჩირგვს წააწყდება, ხან მეორეს; ხან ერთ ბორცვზე აბოგინდება და ხან ულრან ხევში ჩატორტმანდება; ხან ჭაობში ჩასტოპავს და ხან მდინარეში და ვინ იცის როდის გამოახწევს ამ ჯოჯოხეთურ წრიდგან, ან სულაც მიაღწევს-კი აღთქმულ მიზანს? და რომ ვსთქვათ კიდეც მოესწროს როდისმე ამას, იგი მაინც ის აღარ იქმნება, რაც უნდა ყოფილიყო, ან ჭაობის ცხოველნი მოშხამავენ მისს არსებას და ან ამ გზაზედ განცდილი სხვა უბედური შემთხვევები დაასახიჩრებენ და უდროვოთ მოტყდება იგი...

აქედან ცხადია, უნდა ვაღიაროთ, რომ უსუსურ ნორჩთათვის ცხოვრების გზაზედ აუცილებელი საჭიროა წინამძღოლ ხელმძღვანელი, უფრო მოკლე და უადვილეს გზის მაჩვენებელი, რომელსაც კიდევ თავის ძველ-წინაპართაგან შეუსწავლია ამ გზის შინაარსი (რაიცა დასაბამიდგან წინაპართ—შთამომავლობისთვის გადაუციათ და)—თვითონაც გაუვლია ეს გზა... იგი ნორჩ თაობას, ჯერ კიდევ გონებითა და გამოცთილებით ბრმას, გაუძღვება ამ გზაზედ და თან გზა და გზა გააცნობს იმ დაბრკოლებებსაც, რომელიც შეიძლება სახიფათოთ და ზოგჯერ საბედისწეროთაც გადაეღობებოდა მათ უწინამძღოლოდ და დაანახვებს, რამდენათაც შესაძლებელია, ამ დაბრკოლებათა შედეგებსაც, მაგრამ ისე კი, რომ მათი მსხვერპლი არ გახადოს უსუსურთა ან ფიზიკური, და არც სულიერი ძალა, როგორც ეს მოხდებოდა უწინამძღოლოთ, მარტო,—ღვთის ანაბარა სიარულის დროს...

რომ მკითხველთათვის უფრო ნათელ ვყო ჩემი შეხედულება და ჩემი ნათქვამიდან ისეთი დასკვნა არავინ გამოიყვანოს, რასაც არ ვფიქრობ,—საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით განვმარტო: რა უნდა იყოს ხელმძღვანელის დანიშნულება?

უკვე ანბანურ ჭეშმარიტებად არის პედაგოგიკაში ცნობილი, რომ მხოლოდ ის ცოდნა იქნება საფუძვლიანი, მტკიცე, შეურყეველი და სამუდამო საკუთრება ადამიანის ინტელექტისა, რაც ადამიანის საკუთარ დაკვარვება - გამოცდილებაზეა დამყარებულ-აღმოცენებული, საკუთარის კვლევა-ძიებით და შრომით მოპოვებული, საკუთარის აზრის მსჯელობისგან გამოყვანილი დასკვნა...

მხოლოდ ამგვარად მოპოვებული ცოდნა შეადგენს ადამიანის სულის სალაროს მუდმივ განძს და მხოლოდ ეს განძი შეუძლიან მოიხმარის ადამიანმა სურვილისამებრ, თავისუფლად, სრულიად დამოუკიდებლად ყოველგვარს გაჭირვებისა და საჭიროების ჟამს... და რაც უფრო მდიდარია ადამიანის სული ასეთის განძით, მით უფრო დამოუკიდებელია ადამიანი, მით უფრო თავისუფალია იგი ცხოვრებაში ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში... ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ შეძენილი ცოდნა მით უფრო მტკიცეა და ფართო, რაც უფრო ღრმად არის მისი კვალი ადამიანის გონებაში ჩამჩნეულ-შთაბეჭდილი. შთაბეჭდილების სიღრმე-კი დამოკიდებულია იმ ხალისზე, რომლითაც არის აგზნებული ადამიანის გული და ჰბადებს მასში ცოდნის შეძე-

ნის შეუპოვარ სურვილ მისწრაფებას, ხოლო ამგვარი ხალისი სწავლისადმი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ექმნეს მოსწავლეს, როცა ზემოთ მოყვანილი პრინციპი იქმნება მტკიცედ დაცულ-განხორციელებული და ყოველგვარ ცოდნას თვით მოსწავლე აღმოაჩენს, თითქოს იგი ცოდნა არ არსებობს და მას მხოლოდ ეხლა ქმნის და აჩენს მისი მაძიებელი... რაც უფრო ფართოდ, რაც უფრო იდეალურად არის განხორციელებული ეს პრინციპი, მით უფრო თავისუფალია აღზრდა... ამიტომ ეს იდეია, თუ დებულება უნდა შეიქნეს დედაძარღვი, თვით საძერკველი იმ გრანდიოზულის შენობისა, რომელსაც ეწოდება—თავისუფალი აღზრდა, და, რომლის მიზანიც არის—თავისუფალი ადამიანის დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდა...

ამ სკოლის სულის ჩამდგმელ—ხელმძღვანელმა,—რომელმაც უკვე მრავალ მეცნიერულ გამოკვლევათა შესწავლითა და საკუთარის დაკვირვებით იცის ბავშვის ფსიხოლოგია,—უნდა გამოარკვიოს მოზარდის სულიერი ძალა, გონების სიცხოვლე, ფიზიკური და სულიერი ინდივიდუალური თავისებურებანი, მისი ნიჭი და სურვილ-მიდრეკილებანი და ყოველივე ამის მიხედვით უჩვენოს გზა თანდაყოლილ ნიჭის, ანუ თვისებათა უმწვერვალესობამდე განვითარებისათვის და გააცნოს მზა-მზარეულად მხოლოდ ის ელემენტარული იარაღები, თუ სხვა რამ, რომელნიც შეადგენენ ყოველ დღიურ ცხოვრების აუცილებელ საჭიროებას და, რომელნიც დიდი ხანია უკვე ჩვენს წინაპრებს აღმოუჩენია, თუ გაუკეთებია და ჩვენთვის უანდერძებია.

ამრიგად ხელმძღვანელთა დანიშნულება არის—რაც შეიძლება ნაკლები დროისა და ჯანღონის, ანუ ენერგიის დაკარგვით მოაპოვებიოს ნორჩ თაობას თანდათანობით, თვით-განვითარებით, ევრისტიული მეთოდით—უაღრესად განვითარება თვისი ნიჭისა,—ზნეობის, გონების და სულის საერთო ძალის,—მთელი მისი ბუნებისა... ხელმძღვანელი მხოლოდ გზას და საშუალებას, ანუ იარაღს უნდა უჩვენებდეს, მხოლოდ საჭირო ნედლ მასალას უნდა აგროვებდეს ბავშვის გარშემო და ბავშვი თვითონ უნდა აშენებდეს მათგან ცოდნის კოშკის სართულებს, თვითონ უნდა აღმოაჩენდეს ამა, თუ იმ კანონებს, თვით უნდა მიდიოდეს ამა, თუ იმ დასკვნამდე, თანახმად მისი თანდაყოლილ მიდრეკილებისა, ანუ ინდივიდუალური თავისებურებისა...

ეხლა,—შესაძლოა, თუ არა, მხოლოდ ამ თანდაყოლილ მიდრეკილებათა, ანუ ინდივიდუალურ თავისებურებათა თავისუფლად განვითარება?—ანუ აბსოლიუტურად თავისუფალი აღზრდა?..

ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ სწავლა-აღზრდის საქმეში აუცილებლად საჭიროა მასწავლებელი... არა, ნუ ვიტყვით „მასწავლებელს“, რადგან ამ შემეცნების შინაარსად ძველადგანვე მიღებულია ვიგულისხმოთ ისეთი ადამიანი, რომელიც წინასწარ შემუშავებულ დანიშნულებისათვის გასაწრთვნელ-დასაგეშავად მზამზარეულ აზრებს აწვდის თავის შეგირდს და აიძულებს უნდა თუ არა, მაინც შეითვისოს იგი აზრი, თუ საგანი, თუნდა იგი სრულიადაც არ შეეფერებოდეს ამ ნორჩი არსების ინდივიდუალურ ფსიხოლოგიურ თვისებებს და ამიტომ სიკეთის ნაცვლად ვნება მოუტანოს მას, დაამახინჯოს იგი... „მასწავლებლის“ მაგიერ ვსთქვათ ხელმძღვანელი... ამ ხელმძღვანელთა როლი, თუ დანიშნულებაც,

რამდენადაც შეიძლებოდა ამ მოკლე წერილში, ზემოთ გამოვარკვიეთ. მაგრამ ამ როლის ასრულების დროს, ისინი ხომ უეჭველად ახლო უნდა იქმნენ თავიანთ შვილებთან და რაკი ეს ეგრე იქნება, ყოველად შეუძლებელია, ნებით თუ უნებლიეთ, უფროსმა, როგორც უფრო მტკიცე ხასიათის მ'ონემ, გავლენა არ იქონიოს ბავშვის ნორჩ არსებაზე და მისი პლასტიური სული არ გადახაროს იქით-კი არა, საითაც მას მიუწევს თანდაყოლილი მიდრეკილება, არამედ იქით, საითაც არის მიმართული თვით აღმზრდელის გონება... (მხოლოდ იშვიათი გენიოსები თუ დაარღვევენ ამ ფსიხოლოგიურ კანონს, უკუაქცევენ უფროსების გავლენის ნაკადულს და თავიანთ ბონების იალქანს მიმართავენ იქით, საითაც მიეზიდება მათ ცით მომადლებული ღვთიური ძალა. მაგრამ იშვიათი გამონაკლისი ხომ საერთო ბუნების კანონს ვერ დაარღვევს და ვერც შესცვლის). ჯერ უბრალო ხალხური აღზრდაც-კი ამბობს: ,,ხარი ხართან დააბი, ას ზნეს იცვლის, ან ფერსაო''. როგორც სჩანს თურმე უკვე შემუშავებულ-განმტკიცებულ ,,ზნესაც''-კი შესცვლის სხვისი გავლენა, და რაღა საკვირველია, რომ ბალღი, ჯერ არავითარ ზნეს, ე. ი. აზრ-შეხედულებისა და ხასიათის არა მქონე, შეითვისებს იმას, რასაც მის მახლობელი ხელმძღვანელიდგან დაინახავს და ყველა ცარიელ კუნჭულებს ბავშვების სულიერ არსებაში დაიჭერს უმთავრესად მისი ხელმძღვანელისაგან აღებულ ნასესხები ზანძი და შეიზღუდება თავისუფალი განვითარება იმ ინდივიდუალურ თავისებურობისა, რომლის ჩანასახიც დაბადებიდგან თან დაჰყვა მას. ამით-კი, ცხადია, დაირღვევა დიდებული პრინციპი თავისუფალი აღზრდისა... აი სწორედ ამ დაბრკოლებას ვუწოდე მე ზემოთ „შეურყეველი ზღუდე“...

შეიძლება ხელმძღვანელი ეცადოს, რომ თვისი შეგირდებისაგან დაჰფაროს თავისი რწმენა, აზრ-შეხედულებანი, ან თავისი ცუდი, უარყოფითი მხარეები მაინც და მით ნება მისცეს ბავშვს, რომ მან დამოუკიდებლად და დაუბრკოლებლად, თავისუფლად განავითაროს და აყვავოს თავისი საკუთარი სულიერი მიდრეკილებანი. მაგრამ სამწუხაროდ ადამიანი იმდენად თვმოყვარეა, რომ იგი იშვიათად თუ დაინახავს თავის თავში ნაკლს და ძნელად თუ დაიჯერებს ზოგიერთ მის თვისებათა უარყოფით მხარეს. თანაც ადამიანის მოქმედება, სიტყვები და თუნდა მათი კილო, ყოველი მისი შიხრა-მოხრა, მისი სიცილი, თუ მოწყენილობა, მისს ნების ყოფაზე სრულიად დამოუკიდებელი, უბრალო თვალებისა და სახის გამომეტყველებაც-კი უტყუარი სარკეა ადამიანის სულიერ არსების მთელი საღაროისა. ყოველივე ეს ცალ-ცალკე და ყველა ერთად აშკარად გამომხატველია ადამიანის აზრ-შეხედულებისა, მისი მისწრაფება სულის კვეთებისა, მისი სიმპატია-ანტიპატიისა ამა თუ იმ გარემოებისა, არსოდეს არ დარჩება შეუმჩნეველი პატარა მოზარდის მახვილ ყურადღებას და ცხოველ ინსტინქტს...

გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს ერთი მტკიცე ფსიხოლოგიური კანონი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი ვერასოდეს გულგრილად გვერდს ვერ აუხვევს და ვერ დაჰგმობს, ვერ უარჰყოფს იმას, რაც მის არსებას შესისხლხორცებია და შეადგენს მისს რწმენას, აზრსა და შეხედულებას, რაც შეიცავს მისს ეგრედ-წოდ. მსოფლმხედ-

ნის შეუპოვარ სურვილ მისწრაფებას, ხოლო ამგვარი ხალისი სწავლისადმი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ექმნეს მოსწავლეს, როცა ზემოთ მოყვანილი პრინციპი იქმნება მტკიცედ დაცულ-განხორციელებული და ყოველგვარ ცოდნას თვით მოსწავლე აღმოაჩენს, თითქოს იგი ცოდნა არ არსებობს და მას მხოლოდ ეხლა ქმნის და აჩენს მისი მაძიებელი... რაც უფრო ფართოდ, რაც უფრო იდეალურად არის განხორციელებული ეს პრინციპი, მით უფრო თავისუფალია აღზრდა... ამიტომ ეს იდეია, თუ დებულება უნდა შეიქნეს დედაძარღვი, თვით საძერკველი იმ გრანდიოზულის შენობისა, რომელსაც ეწოდება—თავისუფალი აღზრდა, და, რომლის მიზანიც არის—თავისუფალი ადამიანის დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდა...

ამ სკოლის სულის ჩამდგმელ—ხელმძღვანელმა,—რომელმაც უკვე მრავალ მეცნიერულ გამოკვლევათა შესწავლითა და საკუთარის დაკვირვებით იცის ბავშვის ფსიხოლოგია,—უნდა გამოარკვიოს მოზარდის სულიერი ძალა, გონების სიცხოველე, ფიზიკური და სულიერი ინდივიდუალური თავისებურებანი, მისი ნიჭი და სურვილ-მიდრეკილებანი და ყოველივე ამის მიხედვით უჩვენოს გზა თანდაყოლილ ნიჭის, ანუ თვისებათა უმწვერვალესობამდე განვითარებისათვის და გააცნოს მზა-მზარეულად მხოლოდ ის ელემენტარული იარაღები, თუ სხვა რამ, რომელნიც შეადგენენ ყოველ დღიურ ცხოვრების აუცილებელ საჭიროებას და, რომელნიც დიდი ხანია უკვე ჩვენს წინაპრებს აღმოუჩენია, თუ გაუკეთებია და ჩვენთვის უანდერძებია.

ამრიგად ხელმძღვანელთა დანიშნულება არის—რაც შეიძლება ნაკლები დროისა და ჯანღონის, ანუ ენერგიის დაკარგვით მოაპოვებიოს ნორჩ თაობას თანდათანობით, თვით-განვითარებით, ევრისტიული მეთოდით—უაღრესად განვითარება თვისი ნიჭისა,—ზნეობის, გონების და სულის საერთო ძალის,—მთელი მისი ბუნებისა... ხელმძღვანელი მხოლოდ გზას და საშუალებას, ანუ იარაღს უნდა უჩვენებდეს, მხოლოდ საჭირო ნედლ მასალას უნდა აგროვებდეს ბავშვის გარშემო და ბავშვი თვითონ უნდა აშენებდეს მათგან ცოდნის კოშკის სართულებს, თვითონ უნდა აღმოაჩენდეს ამა, თუ იმ კანონებს, თვით უნდა მიდიოდეს ამა, თუ იმ დასკვნამდე, თანახმად მისი თანდაყოლილ მიდრეკილებისა, ანუ ინდივიდუალური თავისებურებისა...

ეხლა,—შესაძლოა, თუ არა, მხოლოდ ამ თანდაყოლილ მიდრეკილებათა, ანუ ინდივიდუალურ თავისებურებათა თავისუფლად განვითარება?—ანუ აბსოლიუტურად თავისუფალი აღზრდა?..

ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ სწავლა-აღზრდის საქმეში აუცილებლად საჭიროა მასწავლებელი... არა, ნუ ვიტყვით „მასწავლებელს“, რადგან ამ შემეცნების შინაარსად ძველადგანვე მიღებულია ვიგულისხმოთ ისეთი ადამიანი, რომელიც წინასწარ შემუშავებულ დანიშნულებისათვის გასაწრთვნელ-დასაგეშავად მზამზარეულ აზრებს აწვდის თავის შეგირდს და აიძულებს უნდა თუ არა, მაინც შეითვისოს იგი აზრი, თუ საგანი, თუნდა იგი სრულიადაც არ შეეფერებოდეს ამ ნორჩი არსების ინდივიდუალურ ფსიხოლოგიურ თვისებებს და ამიტომ სიკეთის ნაცვლად ვნება მოუტანოს მას, დაამახინჯოს იგი... „მასწავლებლის“ მაგიერ ვსთქვათ ხელმძღვანელი... ამ ხელმძღვანელთა როლი, თუ დანიშნულებაც,

რამდენადაც შეიძლებოდა ამ მოკლე წერილში, ზემოთ გამოვარკვიეთ. მაგრამ ამ როლის ასრულების დროს, ისინი ხომ უეჭველად ახლო უნდა იქმნენ თავიანთ შვილებთან და რაკი ეს ეგრე იქნება, ყოველად შეუძლებელია, ნებით, თუ უნებლიეთ, უფროსმა, როგორც უფრო მტკიცე ხასიათის მ'ონემ, გავლენა არ იქონიოს ბავშვის ნორჩ არსებაზე და მისი პლასტიური სული არ გადახაროს იქით-კი არა, საითაც მას მიუწევს თანდაყოლილი მიდრეკილება, არამედ იქით, საითაც არის მიმართული თვით აღმზრდელის გონება... (მხოლოდ იშვიათი გენიოსები თუ დაარღვევენ ამ ფსიხოლოგიურ კანონს, უკუაქცევენ უფროსების გავლენის ნაკადულს და თავიანთ ბონების იალქანს მიმართავენ იქით, საითაც მიეზიდება მათ ცით მომადლებული ღვთიური ძალა. მაგრამ იშვიათი გამონაკლისი ხომ საერთო ბუნების კანონს ვერ დაარღვევს და ვერც შესცვლის). ჯერ უბრალო ხალხური აღზრდაც-კი ამბობს: ,,ხარი ხართან დააბი, ას ზნეს იცვლის, ან ფერსაო''. როგორც სჩანს თურმე უკვე შემუშავებულ-განმტკიცებულ ,,ზნესაც''-კი შესცვლის სხვისი გავლენა, და რაღა საკვირველია, რომ ბალღი, ჯერ არავითარ ზნეს, ე. ი. აზრ-შეხედულებისა და ხასიათის არა მქონე, შეითვისებს იმას, რასაც მის მახლობელი ხელმძღვანელიდგან დაინახავს და ყველა ცარიელ კუნჭულებს ბავშვების სულიერ არსებაში დაიჭერს უმთავრესად მისი ხელმძღვანელისაგან აღებულ ნასესხები განძი და შეიზღუდება თავისუფალი განვითარება იმ ინდივიდუალურ თავისებურობისა, რომლის ჩანასახიც დაბადებიდგან თან დაჰყვა მას. ამით-კი, ცხადია, დაირღვევა დიდებული პრინციპი თავისუფალი აღზრდისა... აი სწორედ ამ დაბრკოლებას ვუწოდე მე ზემოთ „შეურყეველი ზღუდე“...

შეიძლება ხელმძღვანელი ეცადოს, რომ თვისი შვილებისაგან დაჰფაროს თავისი რწმენა, აზრ-შეხედულებანი, ან თავისი ცუდი, უარყოფითი მხარეები მაინც და მით ნება მისცეს ბავშვს, რომ მან დამოუკიდებლად და დაუბრკოლებლად, თავისუფლად განავითაროს და აყვავოს თავისი საკუთარი სულიერი მიდრეკილებანი. მაგრამ სამწუხაროდ ადამიანი იმდენად თვმოყვარეა, რომ იგი იშვიათად თუ დაინახავს თავის თავში ნაკლს და ძნელად თუ დაიჯერებს ზოგიერთ მის თვისებათა უარყოფით მხარეს. თანაც ადამიანის მოქმედება, სიტყვები და თუნდა მათი კილო, ყოველი მისი შიხრა-მოხრა, მისი სიცილი, თუ მოწყენილობა, მისს ნების ყოფაზე სრულიად დამოუკიდებელი, უბრალო თვალებისა და სახის გამომეტყველებაც-კი უტყუარი სარკეა ადამიანის სულიერ არსების მთელი საღარეოისა. ყოველივე ეს ცალ-ცალკე და ყველა ერთად აშკარად გამომხატველია ადამიანის აზრ-შეხედულებისა, მისი მისწრაფება სულის კვეთებისა, მისი სიმპატია-ანტიპატიისა ამა თუ იმ გარემოებისა, არსოდეს არ დარჩება შეუმჩნეველი პატარა მოზარდის მახვილ ყურადღებას და ცხოველ ინსტინქტს...

გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს ერთი მტკიცე ფსიხოლოგიური კანონი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი ვერასოდეს გულგრილად გვერდს ვერ აუხვევს და ვერ დაჰგმობს, ვერ უარჰყოფს იმას, რაც მის არსებას შესისხლხორცებია და შეადგენს მისს რწმენას, აზრსა და შეხედულებას, რაც შეიცავს მისს ეგრედ-წოდ. მსოფლმხედ-

ველობას, ქმნის მისს მთელ ინტელექტუალურ ქვეყანას და მაშასადამე, შეადგენს მის სიცოცხლის შინაარსს. მათში არის განსახიერებული ადამიანის პირადი „მე“. თვით ამ „მე“-ს მხოლოდ ისინი შეადგენენ და უმათოდ-კი ადამიანი, როგორც ინდივიდუალური ერთგული სრულ არარად იქცეოდა... და განა შეუძლიან ხორციელ ადამიანს სხვისი, უცნობ და უცხო „მე“-სთვის დაჰგმოს და უარჰყოს საკუთარი „მე“? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება: — „არასოდეს“...

პირიქით, იგი ყოველთვის ეცდება ამ საკუთარი „მე“-ს წარმოდგენანი სხვასაც მოახვიოს, შეათვისოს, შეასისხლხორცოს, და გახადოს მის სიცოცხლის შინაარსადაც, რომ ამით გაიმრავლოს რწმენის მოზიარე, სულიერი მოკავშირე-მონათესავენი... და რამდენად მეტს შექმნის იგი ასეთ სულით მსგავსს, თანამოაზრე ქმნილებას, თითქოს იმდენად უფრო მეტს ხედავს თვისი სიცოცხლის მიზნის ჭეშმარიტების დამცველ-დამადასტურებელთ და იდუმალ კმაყოფილებასა და სულიერ შვებას განიცდის. და რაღა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ დაინდობს იგი — ადამიანი — მოზარდ თაობას, რომელზედაც ყველაზე უფრო შეუძლიან იქონიოს გავლენა, რომ ჩაუნერგოს საკუთარი იდეები, მის ნორჩს და მიმღებ სულზე დაამყნას საკუთარი სულის კვირტი ე. ი. ჩაუდგას თავისი სული... ასეთია ადამიანის ფსიხოლოგია და ვერც აცდება იგი ამას მანამდე, სანამ მისი ადამიანური „მე“ მასში ინდივიდუალურ ერთგულს წარმოადგენს... ეს-კი ყოველთვის იყო, არის და იქნება თვით ყოფნის დასასრულამდე. ყოველივე ზემოთ თქმულიდგან აშკარაა აბსოლიუტური შეუძლებლობა იმ აბსოლიუტურ თავისუფალ აღზრდისა, რომელსაც ქადაგებდა ლ. ტოლსტოი და მისი მიმდევარ-თანამოზრენი, თუმცა იგი თავისთავად იდეალურია...

აქ თავისთავად იბადება კითხვა, თუ-კი ხელმძღვანელის მიკარება და ახლო ყოფნა ნორჩ ქმნილებასთან, აუცილებელ შედეგად გამოიწვევს მოზარდის უნებლიეთ სხვის გავლენის ქვეშ ჩავარდნას და მისი სულიერ არსების თავისუფალ აღზრდას შეზღუდავს, მაშ რაში უნდა გამოიხატოს თავისუფალი აღზრდა?... ამის პასუხად ცოტა რამ უკვე ზემოთაც მოგახსენეთ და ეხლა კი მხოლოდ განმეორებით ვიტყვი, რომ თავისუფალი აღზრდა ის იქმნება, თუ-კი ჩვენ ჩვენის იდეების მიხედვით წინდაწინ შემუშავებულ დანიშნულებისათვის მოსამზ დებელ პროგრამით არაფერს არ დავავალებთ და არ დავაკისრებთ მოზარდ თაობას.

მათი განვითარების მიზანი თუ იდეია, თვით მათივ თანდაყოლილ მიდრეკილებისგან უნდა გამომდინარეობდეს, ხოლო გზასა და მიმართულებას ამ განვითარებისაკენ მათი საკუთარი სულის სიღრმეში დამარხული ინსტინქტი — წინაგრძნობა უკარნახებს. ხელმძღვანელნი-კი მხოლოდ უნდა უკაფავდნენ ამ გზას, უადვილებდნენ მაზედ სვლას და აძლევდნენ შესაფერ საშუალებას ამ გზის უმწვერვალესობამდე გავლისა და საბოლოო მიზნის, — მისი თანდაყოლილ კეთილ მიდრეკილებათა უაღრესად განვითარების მისაღწევად... და ყოველგვარი შეზღუდვა აქ და თვით ხემძღვანელის გემოვნებაზე გავშვის სულიერ მისწრაფების, ანუ ბუნებრივ ნიჭის განზრახ მოგრეხა, მომაკვდინებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს...

აი ასეთი უნდა იყოს მომავალი თავისუფალი სკოლისა და მისი ხელმძღვანელისა და მოზარდ თაობის ურთი ერთ-

ბა... და თანამედროვე სკოლაც, რამდენად უფრო უახლოვდება ამ პრინციპს, იმდენად უფრო მიზან-შეწონილად და თვისი დანიშნულების სიმაღლეზე მდგომად უნდა ჩაითვალოს...

ია ნარიძე.

ბიბლიოგრაფია

Книгоиздательство К. Г. Зихмана. Рига, Колодезная улица 5 –7.
Стѣныя картины художника Табурина въ восьми краскахъ для нагляднаго обученія и упражненія въ разговорѣ: 1. Весна, 2. Лѣто, 3 Осень, 4. Зима.
Размѣръ 70×100 сант. цѣна по 55 коп.

Ჟურნალ „განათლების“ რედაქციამ მიიღო წიგნების გამომცემელი ფირმის ზიხმანისაგან თვალსაჩინო სწავლაში საჭირო ახალიხელსაწყო, რომლის სათაურიც ზემოთ ამოვწერეთ. საზოგადოთ სკოლები ჩვენში და რუსეთშიაც სწავლების დროს საჭირო თვალსაჩინო ნივთებს ძლიერ მოკლებულია. ეს გარემოება აიხსნება ან არსებული ხელსაწყო ნივთების სიძვირით, ან ბევრი მათგანის უვარგისობითაც. ბ-ნის ზიხმანის ფირმას მშვენიერი აზრი მოსვლია, რომ ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია და იაფათ გამოუცია ისეთი უსაჭიროესი სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყო საგანი, როგორიც არის სურათების საშუალებით წელიწადის დროთა შესწავლა. ხსენებული სურათები რვა ფერისაგან შესდგება, შეიცავს რუსთა ცხოვრებას, და მხატვრულის მხრითაც საკმარისად არის შესრულებული; ყოველი დამახასიათებელი მხარე რუსთა ცხოვრებისა მთელი წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ წარმოდგენილია ამ სურათზე. ამ სახით რუსთა ცხოვრების გასაცნობად, რასაც ხშირად არა რუსთა სკოლებში, მხოლოდ წიგნურ ზეპირობას მიჰმართავენ ხოლმე, ეს ახალი სწავლაში ხელსაწყო თვალსაჩინო ნივთი დიდს დახმარებას გაუწევს მოწაფეებს, რომ მათ თვალსაჩინოდ და ნათლად წარმოიდგინონ რუსების ყოფა-ცხოვრება, ამიტომ ამ სურათების შეძენა მეტი არ იქნება არა რუსთა სკოლებისათვინაც, და მოწაფეთა გონების წესიერად განვითარებისათვის უფრო სასარგებლო იქნება შეფარდება ადგილობრივის ცხოვრებისა, რაც მოწაფეებმა წინასწარ უკვე კარგად უნდა იცოდნენ, რუსთა ცხოვრებასთან. ამ სურათებს თან ახლავს ცნობილი პედაგოგის დავისის შედგენილი თვალსაჩინო საუბრები.

საზოგადოთ ზიხმანის ფირმა დიდი ხნეობას იჩენს სახელმძღვანელოებისა ლ თვალსაჩინო სურათების გამოცემის საქმეში. ეს პატივცემული ფირმა დიდს სარგებლობას მოუტანდა არა რუსთა სკოლებს, რომ გამოეცა ასეთი სურათები რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა და სხვა ერების ყოფა-ცხოვრებიდანაც.

ლ. ბ.

შინაარსი 1915 წლის

ჟურნალ „განათლებისა“.

I

სახალხო განათლების საზოგადო კითხვები

ია ნარიძე—ერის სულის ჯანათები № 3—231; მასწავლებელთა კურსები და გიმნაზიტეკა № 8—9—546;

გერასიმე—სპბავშვო თამაშობა № 7—467;

ბ-ტ კიკნაძე—ადმზრდელობითი მნიშვნელობა ბავშვების თამაშობისა № 8=468;

თეოფ. ხუსკივაძე=ზოგიერთნი თამაშობანი იმერეთში № 7—470ა

ალ. ჭიჭინაძე — რიყრავზე სათქმელი № 7—486; № 8—9—535;

თავისუფალი სვანი—ზოგიერთი საუმაწვილო თამაშობანი სვანეთში № 8—9—560;

ქართული თამაშობანი, ბაბურ ბებურაშვილის შეკრებილი—№ 8—648;

II

ჰედაგოგიკა, ფსიხოლოგია, მეთოდიკა, სახალხო სკოლის ცხოვრებიდან კავშირები

ლ. ბოცვაძე—ოტტო დიეზმანი. ფსიხოლოგია ჰედაგოგთათვის № 1—1 № 2=81; № 2—161; № 4—4—338; № 7—433; 8—9—513; № 10—625; № 10—

სავლე აბულიძე=სასჯელი და სკოლა № 1—34; № 2—96;

ს. დადიანი—ნ. გ. დებოლსკი ჰედაგოგიკაზე—ნერბარტის დიდაქტიკების შიმოხილვა № 8—440;

გ. ა—ნი—ადმზრდელის უმთავრეს თვისება № 8—9 566;

დ. ქადაგიძე— შემეცნების საზღვართა საკითხი № 2—105; № 3—191;

ნიკო სირბილაძე—ტოტა რამ თავისუფალ აღზრდაზე № 4—263; მსტვრეული შემოქმედება სკოლაში № 8—9—552.

გ. შარაშიძე—ტოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან № 10—632.

ა. ლობორჯგინიძე—ჭირვეული ბავშვობა ისტორიიდან № 4—286.

კოტე სეხნიაშვილი—ხატვა-ხაზვა (საკუთარის გამოცდილებით) № 5—6—348.

სტ. ნიკ—ლი— მასწავლებელთა კავშირის აუცილებლობა № 10—657.

ლ. ცაგარელი—სქესობრივი ეთიკა ანუ სქესობრივი ზნეობა (ფორელის წერილიდან) № 5—6—360.

ნიკო ქამუშაძე—რუსული ენა სახალხო სკოლებ № 8—9—603.

ლას— ნი—მოწაფეების მიერ საფიზიკო იარაღის კეთება სახალხო სკოლებში № 8—9—613; № 10—718.

ია ნარიძე - თავისუფალი აღზრდა № 10—721.

III

საზოგადო მეცნიერება, ფილოსოფია, გრამატიკა ისტორია, მედიცინა, ჭიგიენა ქიმია, კრიტიკული და სამეცნიერო მიმოხილვა

სამ. ცომაია—ქართველები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლის ფანგრუსთა ომში. № 1—5.

ზ. ჩიჩუა—ბიოქიმია № 1—17; ცოტა რამ უჯრედთა შესახებ № 2—145; ადამიანის წარმოშობა № 4—258.

ოქმები ქართულ-კულტურის მოყვარულთა საზოგადოების კრების დეკ. მელიტ. კელენჯერიძის ქართული მართლწერის შესახებ № 8—9—616; № 10—706.

ილია ალხაზიშვილი—სად თავდება გენიოსობა და სად იწყება უაზრობა № 1—41. ადამიანის მკბენარი, მწამელი ბარაზიტები და მათთან ბრძოლა № 2—78; № 3—172; ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია № 3—238; № 4—334; № 5—6—356; № 8—9—523.

ვ. ვაშაკიძე—სკოლის ექიმის მოვალეობა № 10—684.

ვახტანგ კოტეტიშვილი—„ტუფე კავკასიისა“ სალიტერატურო მიმოხილვა № 7—456; — —527.

მღ. კ. ანთაძე—ებრაელების სტრატეგია ომის დროს № 2—103; ომი ებრაელებში და იმათი დამოკიდებულება მეზობელ ხალხთან № 5—6—384.

ნიკო ჯანაშია—მინერალი ქიმია № 3—131; № 4—249; № 10—659.

ილია ფერაძე—თავადი გრიგოლ ორბელიანი და მისი ბოეზია № 3—225; № 8—9—555.

გ. ნიორიძე—ივან ჰუსი .—447.

ლ. ბოცვაძე—საერთმეტიკო ტერმინები № 7—473; № 10—693.

IV

ბელეტრისტიკა

პროკლე ტაბიძე—მასწავლებლის დღიური № 1—47; აკაკი მოწაფე დ, იმის დროის სკოლა № 5—6—408.

ვაჟა-ფშაველა—ლადო ბზვანელს № 4—5—407; გიორგი ლეონიძეს № 8—9—574.

იკარი—(სად ლექსი) არასოდეს!.. არასოდეს!.. № 1—57.

ა. ფანცულაია—მეგობარს № 1—58; უკვდავება № 2—126; № 3—214; გარდახვეწილი ვარსკვლავი № 8—9—598.

ილია ფერაძე—მეოშარის ცხენი (დიმ. ცენზორისა № 1—59; მე და ქართველი მაჭმადიანი № 5—293; დიოგენის კვალით (ნადსონიდან) № 5—6—405.

გ. ლეონიძე—ცას. გულს № 1—51; ზარი (აკაკის ხსოვნას) № 2—118; ზამთრის მეფოდია № 3—215; ბეჭედა № 4—301; უკვდავება № 5—6—394; შემოგომა № 8—9—572; უხიდავის სიმღერებიდან № 8—9—576! მზიურ გაყას № 8—9—578; ფოთოლი № 10—696; სტრიქონები № 9.

ილია გოგია—ომის გამო № 1—60; ბასუხი № 1—62; დაკარგულს ვარსკვლავს № 8—213; ზამთარი № 6—299; თეთრი დამე № 6—301; მუნჯის ადსარება № 5—313; ორი სიმღერა № 5—6—318; ვაჟა-ფშაველას № 8—9—570; ყმი ფოცვის № 10; აკეორდი, შემოდგომა, ვარდი № 10;

გელა—სიტყვა № 1—61; მიეკვარს მე დილა № 2—195; შორის ძახილი № 3—213, ტალღა № 5—300; ბოდი, კარგო!..

№ 5—6—407; ვაჟას ხსოვნას № 8—9—572.

№ ჩემი სული № 1—61.

ლადო გეგეჭკორი—წყევლა № 1—62; ეჭვი, № 5—301; სონეტი № 5—5—394; დამარხული მუზა; № 8—9—569; სურათი, საკუთარი ლეგენდა № 8—9—573; ჩემი სურათი და ჭეშმარიტი სული, ჩემი თამარი № 10

ხ. ვარდოშვილი — ოჰ, შემეძლოს!.. № 5—6—406; ვაჟას ხსოვნას; № 7—483; განთიადის ყამს № 10.

თედო რაზიკაშვილი—აკაკის № 2—123.

ს. აბაშვილი—აკაკის № 2—126.

გ. ტაბიძე - უკვითელი ფოთოლი № 9—484.

სავლე აბულაძე - გლოვა № 2—135; ნაკადული № 5—299; მშვენიერი ღამე № 5—6—317; ჩემი ლოცვა № 7—485; არწივი და ბოდიშავა № 8—9—575; ნეტავი იყოს ჩიტებო № 10.

კიკნა-ფშაველა სიტყვლის სილამაზე № 2—136; ლოდინი № 3—212; ოცნების მხარეს № 8—9 574.

ნ. ზენობნიელი — დრო № 10.

ა. გაფრინდაშვილი—მეგობარს № 2—136; გლოვა № 4—296; შემოდგომის მელოდია № 8—9—577; ამონაკვნესი № 10—696.

ლ. ძიძიგური—სულ გარდავქმნი—№ 2—137; ვარდი ჰყვავოდა № 3—217; აკაკის № 5—6—407; ჩანგები № 8—9—577.

დ. თურდოსპირელი—ის კი იცინოდა.. № 2—137; არ ვეურჩებით № 3—316; მე ვქვითინებდი № 3—218; შორეულ მეგობარს № 4—803; გაუჩარხავთ ლექსები № 5—6—393; ლილი... სიყვარულია № 7—484; ნეტავი მას № 8—7—580; რად გამიარეულა ჭრილობანი № 8—9—599.

ნატალია გიგაური-გაბაევ-გაბანოელისა— სურათი № 2—138; ჭეშმარიტ გზაზე შილდერ მიხაილოვიდან № 5—6—329; გულწრფელი მოდგაწისადმი № 10—

კატო ბ - ძე—ყვავლდი, ისსმანის ბუჩქი № 5—6—387; ჭრიჭინა და დუმფარა № 8—9—600.

კ. ხევისუბნელი — ცხოვრების წინა საფეხურზე (ფსიხოლოგიური ეტიუდი) № 2—139; № 3—221; № 4—296.

ტაიფლნი—ს-ქართველოს მზეს № 3—211; ოცნების წიაღში № 5—6—395; დაკარგული ბედნიერება № 8—9—579.

ფასკუნჯი - ზღვის სუნთქვა № 3—214; რა დავაშავეთ ნეტავი?! № 4—299.

ზ. ედილი—შარის ძიება (ამბავი) № 8—9—586

მიხ. ბოჭორიშვილი—მაგალინელი № 3—219; სევდის შვილი № 5—6—412; უიალქნო № 8—9—581; ბედნიერება, ბოროტი მომავალი № 10—

მაქსიმე ვეკუა—ხატის მიზეზი № 8—9—596.

მიწიშვილი—ის მხარე № 3—220; მინიატურები № 4—305; რისთვის № 10—702.

მ. ჭრელაშვილი—ეს - უკანასკნელია № 5—6—398.

სან. გურული—წმიდა ადგილი № 4—295.

ნიკ. ასათიანი—შენ მშვენიერი ხარ... № 4—300.

მესხი ვ. მიქელაძე—მთის ბუბელა (ტეტმაიერიდან) № 4—306.

ლადო ბზვანელი—სალამი ვაჟა ფშაველას № 4—307.

V

შინაური მიმოსილვა.

ტიტო კრიხელი—რანი ვართ (ბასუხად ბ. გ. ს—ნს) № 1—74.

ლადო ბზვანელი—ქართული ენა უმაღლეს ბირველ დაწუებით სასწავლებელში № 2—152; სამართლიანი, თუ უსამართლო სა-ვ�№ 8—9—567.

ი. გ-რი—ქართული ენა ჩვენებურ სკოლებში № 2—153; № 10—656.

მღვდ. კ. ანთაძე—სამდვდელოების როლი ომის დროს № 4—269.

ალ. ჭიჭინაძე—საკრებულოს კანვასხორციელდოთ 1914 წლის ბირველ იელისის კანონი № 4—314.

გ. ა-ნი—ია, რანი ვართ! № 4—331.

ლ. ბოცვაძე—ჩვენი დროის კმირი ბედაგოგები № 5—6—420.

ნოე ჟორდანია—ორ წყალ შუა № 7—477.

კახაბერი—სახალხო სკოლის მასწავლებელთა კურსები ახალსენაკში, ვ. ჯაფარიძე და მისი აწია-ბაწიობა კაზ. „საქართველო"-ში, ბ-ნი ნარქანი და მისი აზრი „განათლების" შესახებ № 7—494.

სიტყვა—დედა ენა სკოლებში № 8—9—609.

VI

რუსეთი და უცხოეთი.

რ. რ-ლი—ბოლიტიკური შენიშვნები იორდანსკისა—დეე, იქნეს გამარჯვება № 4—273.

ნიკო სირბილაძე—ბავშვების ადზრდა იაპონიაში № 4—328.

ლ. ქადაგიძე—ბერძები. რომენ როლანის წერილი № 5—6—377.

ლადო ბზვანელი—ბ. ბობედონოსცევის აზრი მასწავლებლებზე № 5—6—417.

ლ. ბოცვაძე—საფრანგეთის ბედაგოგების აზრი გერმანელთა სალმარ ხერხის შესახებ № 7—463.

VII

მოწერილი ამბები და წერილი რედაქციის მიმართ.

ბაგრატ ბეთანელი—წერილი მეჯვრისხევიდან № 5—6—430.

ვ. ჯაფარიძე—წერილი რედაქციის მიმართ № 10—712.

კახაბერი ჩემი ბასუხი № 10—714.

VIII

საამბობლო ქვეყნის მოღვაწენი, ბიოგრაფია.

ივანე გომართელი—ჩვენი ბოდვაწე ქალები—I ნინო ბეყანის ასული ყიფიანისა № 4—307.

მ. გ. ბარი—ალდ ბზვანელი, მისი 25 წლის სახელგოგიო ასპარეზზე მოღვაწეობისა და 20 წლის სამწერლო ასპარეზზე მუშაობის გამო № 10—671.

ყარამან ჩხეიძე—ჩემი მოკლე თავ-გადასავალი № 10—677.

ლ. ბოცვაძე—შიო მღვიმელი (შიო ქუჩუკაშვილი) № 10—674.

IX

ნეკროლოგები, მოგონებანი და სიტყვები.

ლადო ბზვანელი—+ სახალხო მასწავლებელი ნადეჟდა ტეუშელაშვილის ასული

№ 1—78; აკაკის დაკრძალვის დღე № 2—124; აკაკის ხსოვნას № 3—209.

ივანე გომართელი—მოგონება აკაკის შესახებ № 2—117.

ალექსი ჭიჭინაძე—სიტყვა აკაკის დასაფლავებაზე № 2—121.

ვ. ობჩელი—აკაკი № 2—127.

ნატალია გიგაური-გაბაევ-გაბაონელია—აკაკის გარდაცვალების გამო № 2—129.

აკაკი სიგუა—უკანასკნელი სალამი № 2—131.

გრ. საქარიქედელი—ნუ ვსტირით № 2—132.

ანტონ ბეკიჩაშვილი მოგონება № 2—133.

ეპისკოპოსი ლეონიდე—სიტყვა აკაკის ორმოცის თავზე № 3—204; სიტყვა ვარლამ გელოვანის ორმოცის თავზე № 4—326; სიტყვა ვაჟაფშაველას დასაფლავებაზე № 7—479.

გ. ხაჟომია—სიტყვა აკაკის გარდაცვამო № 3—206.

ილია ალხაზიშვილი—ბედნიერება და მიზანი ცხოვრებისა № 3—208; მოქალაქობრივი მოვალეობა სამშობლოსადმი (ვარლამ გელოვანის ხსოვნას) № 4—280.

ლ. ბოცვაძე—+ნიკო დუმოური № 4—322; ვაჟაფშაველა № 7—478.

მეთ. კაკაბაძე—ძვირფას ნიკო დუმოურის ხსოვნას № 5—6—415.

X

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ლ. ბოცვაძე—ბედაგოგიური სიბეცე, თუ ენის ქავილი, ბასუხად ბ. ჯაფარიძეს № 1—64; ბასუხად გაზეთ „შადრევანის“ რედაქციას № 2—154; „შადრევანის“ რედაქციას და ბ-ნი ბ. ჯაფარიძე № 3—234; „ახირებული თავისმართლება“ უკანასკნელი ბასუხი „შადრევანის“ რედაქციას № 4—318; „Новое Слово“ С. И Оцхели № 7—506; გმირი ქალი მათე—უჩაფდ წოდებული № 7—512; „ჩვენი ძველი მწერლობა“ ს. გორგაძისა, „იოვანე შავთელი“ მოსე ჯანაშვილისა, „ჯორ-ზაქარა“ ს. მგალობლიშვილისა № 8—623.

ილია ფერაძე—Яковъ Гогебашвили „Русское Слово“ для грузинскихъ школъ ч. I.

ლ. ბ.—Стѣнныя картины: 1. Весна. 2. Лѣто. 3. Осенс. 4. Зима. Изданіе Зихмана № 7.

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის გაზეთ

თანამედროვე ამბებზე

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით **8** მანეთი, ნახევარი წლით **4** მ. **50** კ., სამი თვით **2** მ. **50** კ., ერთი თვით **90** კ.

გაზეთის ფასი ხელისმომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, **ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Тифлисъ, почтовый ящикъ № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა **„განათლებაში“** ოდგას ქუჩა, № 6. მომავალი წლის ხელისმომწერლებს კანტორა უმორჩილესათ სთხოვს ფული დროზედ შემოიტანონ.

1916 წლის პირველ იანვრიდან დაიწყო ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„ცხოვრება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ **რომანოზ ფანცხავას** (ხომლელის) რედაკტორობით.

წლიურათ ჟურნალი ღირება **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., სამი თვით **1** მან. **50** კაპ., თვიურათ **50** კაპ., თითო ნომერი ხუთ შაურათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს **3** მან., პირველ აპრილს—**1** მან. და პირველ ივნისს **1** მან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის გაზეთ

„სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიან დამატებით ღირს წელიწადში **9** მ. **50** კ., ნახევარი წლით **5** მ., სამი თვით **2** მ. **50** კ., თვით **90** კაპ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1916 წლის 1 აპრილამდე სრულიად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ **პრემიას** ორკინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ერთგვნულ მდგომარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი იქნება დაახლოებით შემდეგი: 1. ომი და მისი მიზეზები; 2. ერი და სახელმწიფო; 3. მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ომის წინად და ომში; 4. ერი და დემოკრატია; 5. რეალური მოსახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; 6. კავკასიის ერები და მათი ურთიერთობა; 7. ომის მიმოხილვა.

თხზულება დაწერილი იქნება რამდენისამე ავტორის მიერ, რომელთაც სიას შემდეგ გამოვაცხადებთ. მისამართი: ტფილისი „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6.

დაიწყო ხელის მოწერა 1916 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„მეგობარზე“

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ პრემიათ გ. **მაიაშვილის წერილების კრებული.** ნახევარი წლის ხელის მომწერნი პრემიას მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ გადაიხდიან 1 მან. და 10 შაურს.

გაზეთს ეავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა ქალაქსა და რუსეთის სტახანოვ ქალაქებშიც. გაზეთის ფასი: ზირველი ინვრიდან წლის ბოლომდი გაზეთი ედირება 9 მ., ნახევარი წლით—5 მ., სამი თვით—2 მ. 3 აბაზი, თვეში 18 შაური, ცალკე ნუმერი ყველგან 1 შაური.

წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ სამ ნაწილად გაყოფ ფულის შემოტანა; ზირველ ინვარს—3 მ. 10 შაური. 1 აპრილს—3 მ. 1 აგვისტოს 2 მ. 10 შაური. ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ ნაწილად—1 ინვარს 3 მ. 1 აპრილს 2 მ.

რედაქციის მისამართი: Кутаисъ, Ивановская, Редакція газеты „Мегобари“.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის ყოველდღიურ საპოლიტ. და სალიტ. გაზეთ

„საქართველო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ერთგნულ დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები და ახალი სარედაქციო კოლეგია. წლიურად გაზეთი ედირება 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინარსის სურათ. ბიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

(წელიწადი გამოცემისა მეოთხე)

წლიურად 5 მან. ნახევარ წლით 3 მან.

1916 წელსაც გამოვა ჩვეულებრივი სრული პროგრამით, ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება.

ხელის მოწერა მიიღება „სოფლის“ სტამბაში (მადათოვის ეუნძ. № 1, ვორონცოვის პალატა ხიდის ეურში, მუხრან-ბატონის სახ.) ითესებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили. ტელეფონი № 15—41. ფულის შეტანის ნაწილ-ნაწილადაც შეიძლეა.

ცნობები

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წლიურ მორიგ კრებას თავმჯდომარის მოხსენება საზოგადოების 35 წლის მოქმედების შესახებ.

ეს წელიწადი არის რცდამეთექვსმეტე წელიწადი ჩვენის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების არსებობისა. იგი გაჩნდა იმ სახსოვარ დროს, როდესაც საქართველოში დაიბადა თუმცა გარეგნობით გაუბედავი, მაგრამ შინაარსით განსაზღვრული აზრები ხალხის თვითმოქმედებისა. ეს ის დრო იყო, როდესაც საბოლოოდ მომწიფდა აზრი, რომ თავის ტრადიციულის წესების მტკიცედ მცველს ოფიციალს მექანიზმს აღარ შეუძლიან დაკმაყოფილოს დროების ყველა მოთხოვნილებანი და რომ საჭიროა საზოგადოებრივი მუშაობა.

თუმცა ჩვენი საზოგადოება იწოდება წერა-კითხვის გამავრცელებალად, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ მის დამაარსებლებს სახეში ჰქონებოდეთ მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება. დამფუძნებელთა გულითადი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც კულტურის კერისა. კულტურა კი არის ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება, ე. ი. კრება იმ ძალთა, რომელნიც ჰქმნიან ხალხის დამოუკიდებელს შემძლებლობას.

ეი ეს კულტურა, სიტყვის ფართო მნიშვნელობით, იყო სანატრელი საგანი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.

სამუშაო, როგორც ხედავთ, დიდია, და თუ დამფუძნებლებს არ შეეშინდათ თავიანთ პროგრამაში ჩაერთოთ სხვადასხვა საქმეები, იმიტომ კი არა, რომ შესაძლებლად მიაჩნდათ ერთად დაეკმაყოფილებინათ ყველა არსებითი მოთხოვნილებანი, არამედ იმიტომ, რომ ყოვლის უწინარეს მოემზადებინათ ნიადაგი, რომელზედაც უნდა ამოცენებულიყო თვალწარმტაცი ყვავილი, წოდებული ეროვნულს კულტურად.

ჩვენი საზოგადოების მიუდგომელს ისტორიკოსს არ შეუძლიან არ აღიაროს, რომ ნიადაგი საკმაოდ კარგი გამოდგა. იგი მოვალე იქნება დაამოწმოს, რომ წარმატება მიხწეულია ხანგრძლივის დაუდგრომელის შრომით, რომელმაც დასძლია ეკლიანი გზა, ხშირად ისე ძნელად გასავლელი, რომ აღიძროდა ხოლმე კიდეც კითხვა წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების თვით არსებობის შესახებ.

ახლა, ჩვენის საზოგადოების 35 წლის არსებობის დღესასწაულის დროს, შეიძლება ითქვას, რომ დამფუძნებლების ოცნებამ მიაწია პირვანდელს მათ მიზანს. ქართველის ხალხის მთელი შეგნებული ნაწილი გამოეხმაურა თავის დროზედ მოწოდებას და შეუერთდა წ. კ. გ. საზოგადოების დროშის ქვეშ, რომელიც ამ 35 წლის წინად იყო ერთად ერთი ყოვლის შემცველი კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება ჩვენს პატარა საქართველოში. ახლა ჩვენს საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 3000 წევრი და აქვს 300,000-ს მანეთს გადაცილებული წლიური ბიუჯეტი, შეუძლიან ამაყად სთქვას, რომ მას უნაყოფოდ არ უშრომნია და არის პატივცემული პაპა და წინაპარი ყველა აწ საქართველოში არსებულის საგანგებო დაწყებულობისა.

ამ წარსულით შეუძლიან იამაყოს ჩვენმა საზოგადოებამ, მაგრამ დრო თავისას ჩადის, კულტურის და განათლების საჭიროებანი მრავლდებიან და ცხადია, არ შეუძლიანთ მოთავსდნენ ერთის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების პროგრამაში. შრომის განაწილების ისტორიული კანონი თავს იჩენს და ჩვენ თვალწინ საქართველოში დაბადებული სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი კისრულობენ საგანგებო სამუშაოებს, რომელნიც აქამდის შედიოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების პროგრამაში. ეს არის ახალი ხანა ჩვენი კულტურის ისტორიისა.

მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ წ. კ. გ. საზოგადოებამ გაათავა თავის საწევარი? რასაკვირველია, არა. საკულტურო მოთხოვნილებანი იზრდება და ცხოვრება აჩენს ახალს სამუშაოს. სამუშაო ყველასთვის საკმარისი იქნება, საჭიროა მხოლოდ გამოირკვეს ახლად გაჩენილის საზოგადოების მოქმედების პროგრამები და, დროს მოთხოვნილებათა მიხედვით წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ აიღოს თავის თავზე ის სამუშაო, რომელსაც სამართლიანად ეწოდოს მორიგი.

პირველს ამისთანა მორიგ საქმედ მე ვთვლი საქართველოს მრავალრიცხოვანის, მაგრამ ახლა დაქსაქსულის კულტურულ-განმანათლებელის საზოგადოებების მოქმედების შეთანხმებას. ჩვენის პატივცემულის პუბლიცისტის ნიკოლაძის სიტყვით რომ ვსთქვათ, მართალია, ჩვენში უკანასკნელს ათს წელიწადში გაჩნდა მთელი მწყობრი მორიგის მუშებისა, რომელთაც საქმობა სწყურიათ, მაგრამ მოიკლიათ საზოგადო ორგანო—შტაბი, ე. ი. ცენტრი მუშათა ცალკე ჯგუფების მოქმედების შემაერთებელი. ამისთანა დაწესებულებად უნდა ცნობილ იქნეს კავშირი კულტურულ-განმანათლებელთ საზოგადოებათა, რომელთაც შეეძლებათ მუშაობა შრომის კოოპერაციის პრინციპის თანახმად.

წ. კ. გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ფიქრობდა, რომ ამ მომწიფებულის საქმის შესრულების მოვალეობა და პატივი უპრიანი იყო ჩვენის უძველესის საკულტურო დაწესებულებისა, ე. ი. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა და ამიტომ საკითხი პირველად გარჩეულ და მოწონებულ იქმნა მის გამგეობაში ჯერ კიდევ ახლანდელის მსოფლიო ომების დაწყებამდე, მაგრამ ფორმალის მიზეზების გამო საქმის განხორციელება იკისრეს ჩვენის საზოგადოების კერძო წევრებმა და კავშირის წესდება, ბოლოს, ყველა დაბრკოლებათა აცილების შემდეგ, დამტკიცდა.

ეს წესდება მით უფრო არის ძვირფასი, რომ კავშირს ანიჭებს კულტურულ-განმანათლებელის ხასიათის ყველა კითხვების შესახებ მთავრობის წინაშე ოფიციალის წარმომადგენლობის ძვირფასს უფლებას, რომელიც ჩვენ არა გვაქვს, და გვიხსნის კანონიერს გზას აწ არსებულ საზოგადოებათა შორის სამუშაოთა განაწილების კითხვის საჭიროდ განჯისათვის.

თუ დამფუძნებლების ეს ოცნებანი განხორციელდებიან და წ. კ. გ. საზოგადოება შეუერთდება კავშირს, როგორც გამგეობა ფიქრობს, ჩვენ წინ გაიშლება ახალი პერსპექტივები და წ. კ. გ. საზოგადოება, რომელიც აქამდის ემსახურებოდა მცხოვრებთა მრავალნაირს საჭიროებას, შესძლებს მთელი თავის ძალონე, ახლა სხვა საჭიროებისათვის ხმარებული, მოახმაროს თავის წესდებით დასახულს პირდაპირ საგანს, ე. ი. სახალხო სკოლებს, და ამნაირად გაასწოროს ყველა ის ნაკლი, რომელსაც არა უსაფუძვლოთ აღნიშნავენ ხოლმე ორატორები ჩვენს საზოგადო კრებებზე.

მაგრამ რანაირადაც უნდა გამოიქნენ ჩვენი კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებები, ყოველთვის დარჩება საერთო კითხვები და იმ დრომდე, ვიდრე საქმე უჩვენებდეს თუ ვინ უნდა განაგებდეს მათ, წ. კ. გ. საზოგადოება აუცილებლად უნდა მიდიოდეს თავის გაკვალულის გზით და ყოველთ უწინარეს გადასწყვიტოს ის კითხვები, რომლებიც უკვე აღძრულია გამგეობის მიერ და ახლა თქვენს დასტურს ელიან.

ბატონებო, მძიმე და თან მნიშვნელოვანს დღეებს განიცდის რუსეთი და მასთან ერთად საქართველოც. გარშემო ტკივილების განცდაა, ჩვეულებრივი ცხოვრება შეჩერებულია. ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, თუ ხვალინდელი დღე რას გვიმზადებს. მაგრამ ეეჭველია ერთი რამ, ის, რომ ჩვენი თავობა ახალს პირობებში ჩადგება. მოსალოდნელია დიდი რეფორმები, რომლებიც უჩვენებენ ახალს გზებს წ. კ. გამავრცელებელის საზოგადოების მუშაობის წასამართავად.

ამ გზაზე უპირველესად გვეხატება საერობო თვითმართველობა, რომელიც ალბად მისცემს ახალს მიმართულებას საზოგადოების მზრუნველობის უმთავრესს საგანს დმ ფართო ასპარეზს სახალხო სკოლას. ამ სასურველის დროს მოლოდინში ვიმუშავოთ ჩვენის ჩვეულებრივის მოქმედების შეუჩერებლად და დაუვიწყებლად იმისა, რომ წარსული არის გაკვეთილი ხოლო მომავალი მიზანი.

წარმოგიდგენთ რა გასულის ოცდათხუთმეტის წლის საზოგადოების მოქმედების დაწვრილებითს ანგაშიშს და აგრეთვე მოხსენებებს მორიგის საკითხების

შესახებ, გამგეობა ფიქრობს, რომ მაღალმა აზრებმა, რომლებიც საძირკვლად დაედო ჩვენს საზოგადოებას, ყველა გარეშე დაბრკოლებათა მიუხედავად, გამოიღეს მშვენიერი ნაყოფი, შეუქმნეს უჭკნობელი სახსენებელი საზოგადოების დამფუძნებლებს და ჩვენ მოვალეთ გაგვხადეს გამოვუცხადოთ მათ მადლობა. სამწუხაროდ, ამ ურვისა და მწუხარების დროს შეუსაბამოა გამოჩვენებითი საუბილეო დღესასწაულები. გამგეობა ფიქრობს, რომ ახლა ამ დღის აღსანიშნავად ერთად ერთი შესაფერი საშუალება იქნება ის, რომ ვუსურვოთ წ. კ. გამავრცელებელს საზოგადოესას შემდეგის დროისთვის მეტის წარმატებით მოქმედება და შეეერთდეთ ერთს მხურვალე ლოცვაში ყველა დამფუძნებელთა მოსახსენებლად, მათ შორის უპირველესად საქმის სულის ჩამდგმელის, დაუვიწყარის დ. ი. ყიფიანისა და მის უმთავრესის და ღირსეულის თანამშრომლებისა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრთა მორიგ კრებას.

გამგეობის მოხსენება ქართველ მოღვაწეთა ბახთეოფნის დაარსების შესახებ დიდუბის ეკლესიის გადავანში.

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენმა სამშობლომ ძლიერ მწარე წუთები განიცადა. ჩვენ დავკარგეთ ილია, აკაკი, არჩილი, ვაჟა, ლომორი, გოგებაშვილი და სხ. სასიქადულო მამულიშვილები, რომელთაც ჩვენი სამშობლოს ისტორიაში თავისი წვლილი შეიტანეს. ამასთან ერთად ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა თავის წმინდა მოვალეობადა სთვლის აღნიშნოს გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ნ. ღოღობერიძის, დ. სარაჯიშვილის, ა. ხახანაშვილის, ნ. ერისთავის და სხვა უხვ ქველმოქმედ-შემომწირველთა ხსოვნაც.

ხალხი, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით, დღეს სასოებით იხსენიებს და დასტირის ათასობით ბრძოლის ველზე დახოცილს გმირებს, რომელნიც თავის სისხლით სჭედენ ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალს. მომავალ მსხვერპლთა რიცხვს ხომ ვინ განსაზღვრავს! უზომო ცრემლთა დენა, კვნესა-ვაება, პანაშვიდები, სამგლოვიარო პროცესიები—აი რას ვხედავთ დღეს ჩვენს გარშემო. ნერვები გეშლება, მაგრამ მხნე თვითმოქმედება ხალხისა, რომელიც აღჭურვილია იმედით საპატიო ადგილი დაიჭიროს საერთაშორისო ისტორიაში, უნდა სცოცხლობდეს, ფეთქდეს. და ამ მწუხარების და ვაების ჟამს წ. კ. გ. საზოგადოებამ არამც თუ არ უნდა გადაუხვიოს ამ 35 წლის არსებობის განმავლობაში ნაჩვევ-ტრადიციულს გზას, არამედ მთელის ძალ-ღონით და ყველა საჭირო შემთხვევებში გამოიყენოს თავისი მიზნის სისრულეში მოსაყვანად ჭირიც და ლხინიც ჩვენი სამშობლო ქვეყნისა.

ისტორიის ოქროს ხანას საქრისტიანო საქართველომ შეიმუშავა თავისებური გმირთა თაყვანის ცემის კულტი. ათინელთა მგზავსად იგი აღმერთებდა ამ გმირებს, მათი ხსოვნის აღსანიშვავად აგებდა ტაძრებს, ამკობდა მათ თავიანთ გმირ-

თა დასურათებულ ფრესკებით. ამ გზით ჩვენ დრომდე მოახწია დავით აღმაშენებელის, ბაგრატის, თამარის, შოთას, აშოთ კუროპალატის და სხვა მრავალ ისტორიულ პირთა ნახატებმა. მაგრამ ჩვენი ისტორიის ბედი ზღაპრულის სიჩქარით მიმდინარეობდა და ოქროს საუკუნის შემდგომი საუკუნოები, რომელთაც მოგვიტანეს ჩვენ არა შემოქმედება, არამედ განადგურება, ძირითადად შესცვალეს ფორმები და განსვენებულ გმირთა პატივისცემის კულტი საეკლესიო არქიტექტურის სფეროდან ჩამოყალიბდა განსაკუთრებით სიტყვიერ გადმოცემათა ფორმაში.

წარსული გაკვეთილია, ხოლო მომავალი მიზანი.

დღეს განახლების გზაზე დამდგარმა საქართველომ, რომელიც თან და თანობით ითვისებს ახალს კულტურას, აუცილებლად უნდა დაიცვას თავისი შესაწიშნავი ისტორიული გადმოცემანი, რომელთა რიგს უნდა მივაკუთნოთ სახალხო გმირთა თაყვანისცემის კულტი. მაგრამ ამ კულტის მასტიურ თვისებას ჩვენ უნდა მივცეთ ისეთი გარეგანი ფორმა, რომელიც სარწმუნოებრივ მიზნების დაცვასთან ერთად შეიქმნება თვალსაჩინო აღმზრდელ საშუალებად მოზარდ თაობისათვის.

წ. კ. გ. საზოგადოებას არ შეუძლია არ დაისახოს ეს მიზანი და საქმის სარგებლობისათვის შესაფერისი ფორმა არ გამოსძებნოს. ეს ფორმა ისტორიულად გამოხატულია არა მარტო მონუმენტების სახით, ხალხის ეპოქათა ისტორიის აღსანიშნავად, არამედ მხატრულად მორთულ-მოკაზმულ სავანეთა-პანთეონების სახითაც, სადაც განისვენებენ ნეშტნი კერძო პირთა, რომელთაც თავიანთი ნიჭით ანუ პირადი მსხვერპლით საზოგადო საქმისათვის დაიმსახურეს საუკუნო მადლობა და პატივისცემა შთამომავლობისგან.

ეს იგივე შკოლაა, რომელიც თავის მიზნად დაისახა ჩვენმა საზოგადოებამ და ამისათვის წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა ფიქრობს, რომ იგი ასრულებს თავის მოვალეობას, როდესაც აყენებს საკითხს ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსების შესახებ.

ღრმად პატივცემულ სრულიად საქართველოს ეგზარხოს პიტირიმის, ეპის. ანტონის და დეკანოზ მირიანაშვილის მეოხებით წ. კ. გ. ს. გამგეობამ მიიღო კანონიერის წესით თანხმობა დაეთმოს მას დიდუბის ეკლესიის ვალავანში სასაფლაო ადგილი ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟენი. ეს ადგილი, რომლის ღირებულება ჩვეულებრივის შეფასებით 50,000 მანეთი ღირს, სასულიერო მთავრობამ დაუთმო გამგეობას 5000 მანეთად შეღავათიან პირობებში—წელიწადში ათასი (1000 მ.) მანეთის გადახდით ხუთის წლის განმავლობაში.

დაწყებულს საქმეს შემთხვევითი ხასიათი რომ არ მისცემოდა, გამგეობამ საჭიროდ დაინახა დათმობილი ადგილის შემოღობვა, რაც დაუჯდა სულ 205 მან.

თუ ეს დაწყებული საქმე საზოგადო კრების მიერ მოწონებულ იქნება, საჭიროა ქართულ საეკლესიო არქიტექტურის სტილით შეძენილს ადგილზე მოეწყოს ქართველ მოღვაწეთა სავანე-პანთეონი, დასაკრძალავად ქართულ კულტურის დარგში გამოჩენილ მოღვაწეთა ნეშტებისა და ამავე ადგილზე აგებულ იქმნას მცირე ძეგლი იმ პირთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომელთაც თავიანთი

სისხლით დაამტკიცეს სრულუფლებიანი მონაწილეობა ჩვენი სამშობლო ქვეყნისა იმ რეფორმების დასამყარებლად, რომელსაც მოელის განახლებული რუსეთი.

გამგეობის განზრახვანი გარდა იდეური მიზნებისა შეიძლება ეკონომიური მოსაზრებებითაც გავაშუქოთ. საკმარისია გავითვალისწინოთ ყველა ის ხარჯები, რომელიც გასწია წ. კ. გ. საზოგადოებამ უკანასკნელ წლების განმავლობაში წარჩინებულ მოღვაწეთა ნეშტების დაკრძალვის საქმეზე. ამავე დროს საზოგადოებამ სავსებით ვერ შეასრულა ის მაღალი მიზნები, რომლისთვისაც არსდება პანთეონი. ამას თუ დაუმატებთ იმ მოვალეობას, რომელიც აწევს ჩვენს საზოგადოებას აღნიშნოს ნ. ბარათაშვილის და სხვა წარჩინებულ ქართველ მოღვაწეთა ხსოვნა, ეჭვი არ უნდა, პანთეონის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო იდეური თვალსაზრისით, არამედ ეკონომიური მოსაზრებითაც.

ყველა ზემოაღნიშნულ დებულებათა მიხედვით გამგეობა სთხოვს საზოგადო კრებას ნება დართოს მას:

1. პრინციპიალურად დროს შესაფერისად აღიარებულ იქმნას ქართველ მოღვაწეთა სავანე-პანთეონის მოწყობა დიდების ეკლესიის გალავანში.

2. გადაიდოს ათას-ათასი (1000 მ.) მანეთი ხუთის წლის განმავლობაში შეძენილ და უკვე შემოღობილ ადგილის შესასყიდლად და დამტკიცებულ იქმნას შემოღობვაზე გაწეული ხარჯი 205 მანეთი, რომელიც უნდა დაიფაროს 1915 წლის შემოსავლის ნაშთიდან.

3. მიენდოს გამგეობას შედგინოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს როგორც არქიტექტურული გეგმა, აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა პანთეონის მოწყობისა და ინსტრუქცია ქონების მართვა-გამგებლობისა. შედგენილი გეგმა და ინსტრუქცია უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად მომავალ საზოგადო კრებას.

4. განსაკუთრებულ წერილის საშუალებით მადლობა გამოეცხადოს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პიტირიმს, ეპისკოპოზ ანტონს და დეკ. მირიანაშვილს ამ საქმეში დახმარების აღმოჩენისათვის.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრთა წლიურს მორიგ კრებას.

გამგეობის მოხსენება წიგნთ-საცავ-მუზეუმის მდგომარეობის შესახებ.

1914 წლის საზოგადო წლიურს მორიგ კრებაზე, საანგარიშო 1913 წლის ანგარიშების განხილვის დროს მცირე კამათის შემდეგ მუზეუმის შესახებ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „საკითხი წიგნთ-საცავ-მუზეუმის მდგომარეობის გამოსაკვლევად და მომავალ საზოგადო კრებისათვის წარსადგენ მოხსენების შედგენა მიენდოს ახლად არჩეულს გამგეობას“.

ასეთი რეზოლიუციის გამოტანის დროს საზოგადო კრებას სახეში ჰქონდა: 1. მუზეუმისათვის საკუთარი შენობის ასაგებად რეალური ზომების მიღება, 2. მუზეუმის საქმეთა გამოკვლევა და მისი გაუმჯობესება, 3. რამდენად შესაძლებელია წ. კ. გ. საზოგადოების მუზეუმის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში გადაცემა შესანახად და მოსავლელად.

საზოგადო კრების დადგენილების სისრულეში მოსაყვანად გამგეობამ აირჩია თავის წევრთა შორის ორი წევრი—გ. ლასხიშვილი და გ. ცინცაქე და მიანდო ამ ორის პირისაგან შემდგარს კომისიას დაწვრილებით გაეცნო წიგნთ-საცავ-მუზეუმის საკითხი და თავისი აზრი წარმოედგინა გამგეობისათვის. ამ კომისიამ მუზეუმის რამდენჯერმე დათვალიერების და მის, მდგომარეობის გაცნობის შემდეგ უკანასკნელი თავისი რეზოლიუციის გამოსატანათ მოახდინა კრება მიმდინარე წლის ენკენისთვის 19-ს. კრებას დაესწრო მუზეუმის გამგეც დ. გ. კარიჭაშვილი. კრებამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია წ. კ. გ. საზოგადოების და საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოების მუზეუმთა შეერთების გამოკვლევას; თავის მხრივ სავსებით შეუერთდა 1912 წლ. საზოგადო კრების მიერ გამოტანილ რეზოლიუციას ხსენებული საკითხის შესახებ. 1912 წელს, როგორც საზოგადოების წევრთ მოეხსენებათ, ამ საგნის შესახებ გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილება: „მართვა-გამგეობის მხრივ ორგანიულად შეერთდეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მუზეუმები, რომ დალაგებულ იქმნენ ნივთები სისტემატიურად და შედგენილ იქნას კატალოგი, რომელშიაც აღნიშნული იქნება, რომელი ნივთი რომელი საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს: წერა-კითხვისა თუ საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოებისა. მართვა გამგეობა ამ შეერთებული მუზეუმისა უნდა ჩაბარდეს ახალს ორგანოს, შემდგარს ექვსის პირისაგან, რომელთაგან სამი იქნება წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისაგან არჩეული; სამიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსაგან. ეს ორგანო აირჩევს მუზეუმის გამგეს, მის თანაშემწეს და სხვა მსახურებს; ყურს უგდებს მათ მოქმედებას და იზრუნებს მუზეუმის განვითარებისათვის, გამოარკვევს მისთვის წესებს და ყოველსავე თავის მოსაზრებას მოახსენებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს და წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობას, რომელნიც საერთო კითხვების გადასაწყვეტად მართავენ შეერთებულ სხდომებს“. ამ რეზოლიუციას არ დაეთანხმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და თავის მხრივ წამოაყენა შეერთების სხვა პირობანი. აი ეს პირობებიც:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჩაიბარებს შესანახად, მოსავლელად და შესასწავლად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ყოველგვარს სამუზეუმო ნივთს, ყველა ნაბეჭდსა და ხელთნაწერ წიგნს, სიგელ-გუჯარს, სურათსა და ნუმიზმატიკურ კოლექციას.

2. ყველა ზემოჩამოთვლილი საგანი და სამუზეუმო ავეჯი, რომელთაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წ. კ. გ. საზოგადოებისაგან ჩაიბა-

რებს, აღნუსხულ იქნება საისტორიო საზოგადოების მიერ როგორც საერთო, ისე ცალკე დავთრებში და კატალოგებში.

3. თანხა, თუ რამ მოეპოება მუზეუმ-ბიბლიოთეკისათვის წ. კ. გ. საზოგადოებას, გადმოეცემა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

4. მთელს მიბარებულ ქონებას წ. კ. საზოგადოებისას განაგებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო, წ. კ. გ. საზოგადოების სამის წევრის თანადასწრებით (რომელთაც ეძლევათ სრული ხმა) ამ სამ ბირს ეძლევა უფლება, უკეთუ თანახმანი არ იქნებიან საბჭოს რომელისამე დადგენილებისა მიბარებულ ქონების შესახებ, აღძრან კითხვა წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობაში და საცდელობელ კითხვებს გადასწყვეტს ორთავე საზოგადოების გამგეობისა და საბჭოს შეერთებული კრება.

კომისიამ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ვინიცობაა შესაძლებელია საქართველ. საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოებამ შესცვალოს თავისი ძველი პირობები, საჭიროდ დაინახა ერთხელ კიდევ მოეწვია ხსენებული საზოგადოების საბჭოსი და წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის წევრთა შეერთებული სხდომა.

ამ კრების განსახილველი საგანი უნდა ყოფილიყო ორსავე საზოგადოებათა მუზეუმების შეერთების პირობების აწონ-დაწონა და შესაფერი დასკვნის გამოტანა. გამგეობამ, მიიღო რა მხედველობაში კომისიის ეს დადგენილება, მოიწვია ზემოაღნიშნულ საზოგადოებათა აღმასრულებელ ორგანოთა შეერთებული კრება მიმდინარე წლის ოქტომბრის 2-ს. შეერთებულმა კრებამ იქონია მსჯელობა მუზეუმების შეერთების პირობათა შესახებ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შეთანხმება არ მოხდა. საქართვ. საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოების საბჭო მტკიცედ ადგა ძველ თავის რეზოლიუციას და გამგეობაც თავის მხრივ იცავდა 1912 წლის საზოგადო კრებაზე კამოტანილ დადგენილებას. კრება ამით დაიშალა, რის შემდეგ საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭომ საზოგადო კრებისათვის წარსადგენად გამოგზავნა მოხსენება, რომელშიაც თითქმის სავსებით იმეორებს შეერთების ძველს პირობებს. აი ეს პირობებიც: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჩაიბარებს შესანახად, მოსავლელად და შესასწავლად ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ყოველგვარს სამუზეუმო ნივთს, ყველა ნაბეჭდსა და ხელნაწერ წიგნს, სიგელ-გუჯარს, სურათსა და ნუმიზმატიკურ კოლექციას. მთელი ეს ქონება დარჩება წერა-კითხვისავე საზოგადოების კუთვნილებად. ამ შეერთებულს მუზეუმს სახელად ერქმევა: „ქართული მუზეუმი“.

2. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი საგანი და სამუზეუმო ავეჯი, რომელსაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წ. კ. საზოგადოებისაგან ჩაიბარებს, დაწყობილ იქნება საისტორიო საზოგადოების ნივთებთან ერთად სისტემატიურად და აღნუსხული იქნება საისტორიო საზოგადოების მიერ როგორც საერთო, ისე ცალკე დავთრებში და კატალოგებში, სადაც აღნუსხული იქნება, თუ რომელი ნივთი ან წიგნი რომელ საზოგადოებას ეკუთვნის.

3. სამუზეუმო თანხებიდან წ. კ. გ. საზოგადოებამ უნდა გადმოსცეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მხოლოდ ის თანხა, რომელსაც გამგეობა იღებს თავად-აზნაურობისაგან მუზეუმ-ბიბლიოთეკის შესანახად. რაც შეეხება მუზეუმის შენობის ასაგებ თანხას, თანახმად განსვენებულის დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერძისა, თავის სახელზე ააშენებს მუზეუმს.

4. მთელ მობარებულ ქონებას წ. კ. საზოგადოებისას განაგებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო წერა-კითხვის საზოგადოების სამის წარმომადგენელის თანადასწრებით (სრული ხმის უფლებით); ამ სამ პირს უფლება ექნებათ, უკეთუ მობარებული ქონების შესახებ თანახმანი არ იქნებიან საბჭოს რომელისამე დადგენილებისა, აღძრ-ნ კითხვა წ. კ. საზოგადოების გამგეობაში და საცილობელ კითხვებს გადასწყვეტს ორთავე საზოგადოებათა გამგეობისა და საბჭოს შეერთებული კრება".

გამგეობამ იქონია რა მსჯელობა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების უკანასკნელ წინადადების გამო დაადგა ისევ ძველს გადაწყვეტილებას მუზეუმების შეერთების პირობათა შესახებ.

ამასთან გამგეობა საჭიროდ სთვლის წარმოუდგინოს წლიურს საზოგადო მორიგს კრებას განსახილველად შემდეგი მოხსენება:

„მას აქეთ, რაც ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გარდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამაც დაარსა მუზეუმი, დაიბადა აზრი ამ ორი მუზეუმების შეერთებისა. ეს აზრი დაფუძნებულია იმ ჭეშმარიტება ზე, რომ ერთის კარგის მუზეუმის მოწყობა თავის თავად დიდს სიძნელეს წარმოადგენს, ხოლო ორის კარგის მოწყობა უფრო ძნელია და ჩვენის ერისთვის თითქმის შეუძლებელიც არის- ამიტომ, თუ გვინდა, რომ ქართველებს ერთი ღირს შესანიშნავი მუზეუმი გვქონდეს, საჭიროა შეერთებულ იქმნეს ერთ მუზეუმში ყველა ის სამუზეუმო ნივთები, რომელნიც კი ქართველების ხელთ არიან. ახალი მუზეუმი მოწყობილად და ფესვ-მოკიდებულად მაშინ ჩაითვლება, როდესაც მას თავისი საკუთარი შენობა ექნება. შენობის აგება არის ყველაზე ძნელი. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება თითქმის ოცი წელიწადია აგერ მეცადინეობს, რომ მუზეუმის შენობა ააგოს, საბედნიეროდ, ეს სურვილი ხორციელდება და განსვენებულის დ. ზ. სარაჯიშვილის წყალობით ამ რამდენისამე წლის შემდეგ აშენდება მუზეუმი იმ ადგილზე, რომელიც უკვე ნაყიდია წ. კ. გ. საზოგადოების სახელზე თავადაზნაურთა დახმარებით საზოგადოების ხელთ მყოფის სამუზეუმო თანხით. რაკი ახლო მომავალში ეროი შენობა გვექნება მუზეუმისათვის, თავის თხვად ცხადია, რომ ორი ახლანდელი მუზეუმი—წ. კ. გ. საზოგადოებისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა—ეთუოდ უნდა შეერთდეს და მოთავსდეს ერთს შენობაში. გარემოება ისე დატრიალდა, რომ ორის მუზეუმის შეერთება ერთს შენობაში, ერთის მეორის გვერდით ეხლავე მოხდა, რადგან, ამჟამად, როგორც ჩვენი საზოგადოების მუზეუმი, ისე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა დაბინავებულია სათავად-აზნაურო შენობის მესამე სართულში. მუზეუმების ასეთ შეერთებას ერთს შენობაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ არ მოხდა მათი შეერთება მართვა-გამგებლობის მხრითაც.

თვითეულის მუზეუმის მართვა-გამგეობა გამოიწვევს თითქმის იმავე ხარჯს, რაც დასჭირდება შეერთებულს ორს მუზეუმს. ამიტომ ნივთიერი ანგარიში თხოულობს, რომ ორი მუზეუმი შეერთებულ იქმნეს ერთის მართვა-გამგეობით, ხოლო ამის გამო გადარჩენილი ფული მოხმარდეს მუზეუმის გამდიდრებას. საქმე ის არის, რომ მუზერში სასარგებლო მაშინ არის, როდესაც მისი ნივთები დალაგებულნი არიან სისტემატიურად და აწერილნი იქნებიან მეცნიურულად. ასეთი დალაგება თვითეულის მუზეუმისა ცალ-ცალკე გაცილებით უფრო ნაკლებ იქნება სასარგებლო, ვიდრე ორისავე მუზეუმის ნივთების ერთმანეთში შერევა და მათი სისტემატიურად დალაგება და აწერა.

ამ მოსაზრების ძალით წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა დაადგა იმ აზრს, რომ საქმისთვის უმჯობესი არის ორი მუზეუმი შეერთდეს მართვა-გამგებლობის მხრით ორგანიულად, რომ დალაგებულ იქმნან ნივთები სისტემატიურად და შედგენილ იქმნას კატალოგი, რომელშიაც აღნიშნული იქნება თუ რომელი ნივთი რომელი საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს: წერა-კითხვის საზოგადოებისა თუ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. მართვა-გამგებლობა ამ შეერთებულის მუზეუმისა უნდა ჩაბარდეს ახალს ორგანოს, შემდგარს ექვსის პირისაგან, რომელთაგან სამი იქნება წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისაგან არჩეული, სამიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან. ეს ორგანო აირჩევს მუზეუმის გამგეს, მის თანაშემწეს და სხვა მსახურებს, ყურს უგდებს მათ მოქმედებას და იზრუნებს მუზეუმის განვითარებისათვის, გამოარკვევს მისთვის წესებს და ყოველსავე თავის მოსაზრებას მოახსენებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას, რომელნიც საერთო კითხვების გადაწყვეტისათვის მართავენ საერთო კრებას.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წინადადებას კი მუზეუმთა შეერთების პირობათა შესახებ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა თავის მხრივ შეუძლებლად სცნობს. ამის შესახებ მოახსენებს საზოგადო კრებას საკითხის ასე თუ ისე გადასაწყვეტად.

ამასთან გამგეობას საჭიროდ მიაჩნია დასძინოს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, ნორმალური პირობების დამყარებისთანავე შეუდგეს საკუთარი შენობის აგებას მუზეუმისათვის, რისთვისაც საკმაო თანხა მოეპოება. სამუზეუმო თანხის რაოდენობა უდრის ამჟამად 69, 324 მან. 53 კაპ.

ამ ჯამს უნდა მიუმატოს თბილისის თავად-აზნაურობისაგან მისაღები 40,000 მანეთი, შესდგება 109,324 მან. 53 კაპ.

ამას რომ მიუმატოთ მოსალოდნელი შემოსავალი დ. სარაჯიშვილის ნაანდერძევი მამულების „ტევრისა“ (შორაპნის მაზრა) და „არამდარას“ (სილნ. მაზრა) გაყიდვით, რაც ვარაუდით იქნება არა ნაკლებ 16,000 მანეთისა, შესდგება სულ—125,324 მან. 53 კაპ.

ეს თანხა, გამგეობის აზრით, საკმარისია სრულიად სამუზეუმო შენობის ასაგებად.

წიგნთ-საცავის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ გამგეობა მოახსენებს საზოგადოებას შემდეგს:

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავი ერთი უმდიდრესი და უძვირფასესი ბიბლიოთეკათაგანია. იგი შეიცავს არა მარტო მრავალს ქართულს წიგნებს და ხელთნაწერს და კავკასიის შესახებ სხვა ენებზე დაბეჭდილს წიგნებს, არამედ ძვირფასს წიგნების კოლლექციებსაც სამეცნიერო ლიტერატურის სხვა და სხვა დარგისას (საექიმოს, საქიმიოს, სააგრონომიო და სხვ.) ეს გონების სალარო უქმად და უნაყოფოდ არა დევს შკაფებში. წიგნთ-საცავი იმნაირად ყარის მოწყობილი, რომ ყოველს მეცადინეობის და კვლევა-ძიების მსურველს შეუძლიან ისარგებლოს მით და კიდევაც სარგებლობენ. წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ დღე დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის ორს-სამს საათამდე. (ამ დროს ვანმავლობაში წიგნთ-საცავში სწარმოებს წყნარი მუშაობა საუკეთესო პირობებში). ქართულის სახელმძღვანელოების და წიგნების კატალოგი შედგენილია ცალკე დარგობით და დაბეჭდილი ორს ნაწილად. მესამე ნაწილი მზადდება ეხლა და დასაბეჭდად მზად იქნება ამ წლის გასულს. კავკასიის შესახებ რუსულსა და სხვა ევროპიულს ენებზე დაბეჭდილის წიგნების სრული კატალოგი შედგენილია ფირფიტების სისტემით სხვა შინაარსის რუსულს და სხვა ევროპიულს ენებზე დაბეჭდილის წიგნების კატალოგის ერთი ნაწილი აგრეთვე შედგენილია ფირფიტების სისტემით, ხოლო მეორე ნაწილის შედგენა მომავალი წლის საქმეა, შედგენილია აგრეთვე სიგელ-გუჯრების კატალოგი. ასე, რომ მსურველს შეუძლიან სწრაფლ მოსძებნოს მისთვის საჭირო წიგნი და დოკუმენტი და სწრაფადვე მიიღოს სამეცადინოთ.

ამნაირად წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა სცდილობს (შეუძლიან სთქვას, რომ სწორედ პირნათლად უძღვება) თავის წიგნთ-საცავს აასრულებინებს იმ დანიშნულებას, რომელიც მას აქვს. წიგნთ-საცავი რომ დღევანდლამდე არა ჰქონოდა ჩვენს საზოგადოებას, უნდა დღეს მოეწყო, თუ კი შესაძლებელი იქნებოდა საქმის ისე წარმართვა, როგორც ახლა იმართება. ყოველს კულტურულ დაწესებულებას აქვს თავისი ბიბლიოთეკა და ჩვენს საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეს თავისი ბიბლიოთეკა, მით უფრო, რომ მას უკვე აქვს მშვენივრად მოწყობილი და მოწესრიგებული წიგნთ-საცავი.

წიგნთ-საცავში ამას გარდა ხდება ახალ წიგნების საუკეთესო წესით დალაგება მოძებნისა და შენახვის გასაადვილებლად; რაიცა მუდამ საძნელო საქმეა იმ მიზეზით, რომ მეტის მეტი ვიწროობაა და შკაფების უქონლობაც ხელს უშლის.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიურს მორიგ კრებას.

გამგეობის მოხსენება განყოფილებათა ინსტრუქციის მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ.

განყოფილებათა ინსტრუქციის მეოთხე მუხლის თანახმად საზოგადოების ფილიალ განყოფილებანი ვალდებულნი არიან წლიური შემოსავლიდან გამოჰყონ 20 პროც. და შემოიტანონ წ. კ. გ. საზოგადოების კასაში. 20 პროც. გამოყოფა საერთო შემოსავლიდან ისეთი სამძიმო და დიდი შეიქმნა, რომ საზოგადოების

არც ერთ განყოფილებას არ მოუყვანია სისრულეში ინსტრუქციის ხსენებული მუხლის მოთხოვნილება, ამას ამტკიცებს ქვემოდ მოყვანილი უტყუარი ცნობები. განყოფილებათა დაარსების დღიდან ყველა განყოფილებებს, რომელთა რიცხვი ამ ჟამად 31 უდრის, მთელი შემოსავალი ჰქონდათ 188,183 მანეთი და 17 კაპ.

საზოგადოების კასაში ამ ჯამის მიხედვით უნდა შემოსულიყო 37,637 მან. ნამდვილად კი შემოვიდა 6,394 მ. 83 კაპ. აქედან 1910 წლის შემოსავალი იყო 721 მ. 78 კაპ., 1911 წლ.—369 მ. 23 კაპ.; 1912 წ.—1306 მ. 90 კაპ.; 1913 წ.—1123 მ. 20 კაპ.; 1914 წ.—372 მ. 89 კაპ.; 1915 წ.—2007 მანეთი, ასე, რომ ნამდვილად შემოსული ფულის რაოდენობა ექვსჯერ ნაკლებია მოსალოდნელ შემოსავალის ჯამზე. ზოგიერთ განყოფილებას დღიდან დაარსებისა არც ერთი კაპეიკი არ შემოუტანია კასაში. დაარსების დღიდანვე სხვა და სხვა განყოფილებანი ხშირად მომართავდნენ ხოლმე მთავარ გამგეობას თხოვნით გაენთავისუფლებიათ ისინი 20 პროც. გადასახადისგან; ზოგიერთს მათგანს საბუთად მოჰყავდა ის გარემოება, რომ ისინი ინახვენ სკოლებს, რასაც დიდი ხარჯები სჭირდება, ზოგი მიუთითებდა შემოსავლის მცირე რაოდენობაზე, ზოგი განყოფილება კი უფრო სამართლიანად სთვლიდა და სთვლის 20 პროც. გამოყოფას მხოლოდ საწევრო გადასახადით შემოსული ფულიდან, ზოგი განყოფილება, მაგალ., გორისა, 20 პროც. გამოყოფას ძლიერ საძძიმოდ აღიარებს და თხოულობს ნაცვლად 20 პროც. დაწესდეს 5 პროც. გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში 1. რომ 20 პროც. გამოყოფა განყოფილებათა შემოსავლიდან მართლა ძლიერ სამძიმოა საზოგადოდ ყველა განყოფილებათათვის, და ნამეტურ იმათთვის, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 500 მანეთს. 2. ის გარემოება, რომ განყოფილებათა დაარსების დღიდან ოდნავათაც არ გამართლებულა ინსტრუქციის მეოთხე მუხლი, რასაც ამტკიცებს ზემოხსენებული მოკლე სტატისტიკა, დაადგინა:

20 პროც. ნაცვლად დაწესდეს 10 პროც.—და ამნაირად განყოფილებათა ინსტრუქციის მე-4 მუხლი შეიცვალოს შემდეგის რედაქციით: „საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ჰკრეფს და ხარჯავს, როგორც საწევრო ფულს, ისე სხვაგვარს შემოსავალს საზოგადო წესით, ხოლო გამოჰყოფს თავის წლიური შემოსავალიდან 10 პროც., რომელსაც გაუგზავნის საზოგადოების გამგეობის კასას ყველა განყოფილების საერთოდ ხარჯების დასაფარავად“.

ამასთან უნდა დაევალოს განყოფილებებს ძველი წლების დარჩენილი გადასახადი 10 პროც. ვარაუდით წარმოადგინონ 3 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად.

რადგან ამ წყაროს საშუალებით შემოსული ფული ხმარდება საზოგადო დანიშნულებას, უნდა დაევალოს ყველა განყოფილებებს თავ-თავის დროზე შეეტანონ ხოლმე საპროცენტო გადასახადი, რათა ამითი საზოგადოების მთავარ გამგეობას საშუალება მიეცეს დაჰფაროს აუცილებელი ხარჯები სკოლებისა და ბიბლიოთეკების შესანახად, წიგნების გამოცემისა და სხვა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა საოზგადო კრების დადგენილებანი

„31“ გიორგობისთვეს 1916 წ.

თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი.

დაესწრნენ: ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ანტონი, საპატიო წევრი ანასტ. წერეთლისა, გამგეობის წევრნი: თავმჯდომარის ამხანაგი დ. გ—ძე კარიჭაშვილი, გ. ლასხიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ი. ვართაგავა, გ. რცხილაძე, ლ. ბოცვაძე, პ. კიკალიშვილი, გ. ცინცაძე, თ. კიკვაძე და 90 ნამდვილი წევრი.

№№	განხილვის საგანი.	დადგენილება.
1.	კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართულ კულტურულ-განმანათლებელთ საზოგადოებათა კავშირში წევრად ჩაწერის შესახებ.	შეუერთდეს ახლად დაარსებულს კავკასიის სამეფისნაცვლოს კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირს და ჩაეწეროს წევრად ამ კავშირში.
2.	გამგეობის მოხსენება ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსების შესახებ დიდუბის ეკლესიის გალავანში.	1. პრინციპიალურად დროს შესაფერისად აღიარებულ იქმნას ქართველ მოღვაწეთა სავანე-პანთეონის მოწყობა დიდუბის ეკლესიის გალავანში. 2. გადაიდოს ათას-ათასი მანეთი (1000 მ.) ხუთის წლის განმავლობაში შეძენილ და უკვე შემოღობილ ადგილის შესასყიდლად და დამტკიცებულ იქმნას შემოღობვაზე გაწეული ხარჯი 205 მანეთი, რომელიც უნდა დაიფაროს 1915 წლის შემოსავლის ნაშთიდან. 3. მიენდოს გამგეობას შეადგინოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც უნდა შეიმუშაოს როგორც არქიტექტურული გეგმა, აგრეთვე ხარჯთ-აღ-

რიცხვა პანთეონის მოწყობისა. შედგენილი გეგმა და ინსტრუქცია უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად მომავალ საზოგადო კრებასა.

4. განსაკუთრებული წერილის საშუალებით მადლობა გამოეცხადოს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პიტირიმს, ეპისკოპოზს ანტონს და დეკანოზს მირიანაშვილს ამ საქმეში დახმარების აღმოჩენისათვის".

გ. ნ. ყაზბეგი.
დ. კარიჭაშვილი.
გ. ლასხიშვილი.
ნ. ნაკაშიძე.
პ. კიკალიშვილი.
გ. ცინცაძე.
შ. დედაბრიშვილი.
ი. გიორგობიანი.
გ. რცხილაძე.
მდ. ვ. ბურჯანაძე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებანი.

„22" გიორგობისთვე 1915 წ.

თავმჯდომარე დ. გ. კარიჭაშვილი.

დაესწრნენ: ერთი საპატიო წევრი, გამგეობის წევრნი: გ. ლასხიშვილი, ლ. ბოცვაძე, ნ. ნაკაშიძე, შ. დედაბრიშვილი, გ. ცინცაძე, გრ. რცხილაძე, თ. კიკვაძე, მდივანი ვ. ბურჯანაძე და 92 ნამდვილი წევრი.

№№	განხილვის საგანი.	დადგენილება.
1.	გ. ნ. ყაზბეგის განცხადება მოხუცებულობის და ავადმყოფობის	განსაკუთრებული დეპუტაციის საშუალებით ეთხოვოს გ. ნ. ყაზბეგს

გამო საზოგადოების თავმჯდომარეობაზე უარის თქმის შესახებ.	
ცნობა:	
გამგეობამ 21 ნოემბრის საგანგებო კრებაზე ბ-ნი გ. ნ. ყაზბეგის განცხადების გამო დაადგინა: წინადადება მისცეს საზოგადო კრებას აირჩიოს განსაკუთრებული დეპუტაცია და მისი საშუალებით სთხოვოს ბ-ნ ყაზბეგს დარჩეს თავმჯდომარედ და განაგრძოს თავის მოვალეობის აღსრულება.	დარჩეს საზოგადოების თავმჯდომარედ. დეპუტაციაში არჩეულ იქმნენ: საპ. წევრი ანასტ. წერეთლისა, თავ. დ. ვ. ჩოლოყაშვილი, თავ. იოსებ ბარათაშვილი, დეკ. ნიკიტა თალაქვაძე, გიორგი გვაზავა, პეტრე კიზირია, პეტრე გელეიშვილი, არსენ მამულაიშვილი და თავმჯდომარის ამხანაგი დ. კარიჭაშვილი.
	დ. კარიჭაშვილი.
2. საზოგადო კრების 21 გიორგობისთვის ოქმი.	21 გიორგობისთვის საზოგადო კრების ოქმი უცვლელად დამტკიცებულ იქმნას.
	დ. კარიჭაშვილი.
განხილვის საგანი.	დადგენილება.
3. 1914 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში.	1914 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში უცვლელად დამტკიცდეს, ხოლო დაევალოს გამგეობას ამიერიდან, ნაცვლად საზოგადო კრებათა ვრცელი ოქმებისა, მოთავსდეს ხოლმე ანგარიშებში ამ კრებებზე გამოტანილი რეზოლიუციები.
	დ. კარიჭაშვილი.
სარევიზიო კომისიის მოხსენება.	
გამგეობის 1914 წლის მოქმედების შესახებ.	
გამგეობის პასუხი სარევიზიო კომისიის შენიშვნებისა გამო.	
4. გამგეობის მოხსენება საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე შემცირების შესახებ.	საწევრო გადასახადი ნამდვილ წევრთათვის განისაზღვროს ერთი მანეთით, ხოლო მუდმივ წევრთათვის ოცით; ამის მიხედვით წესდების მეათე § შეიცვალოს შემდეგის რედაქციით: „ნამდვილ წევრათ ითვლება, ვინც განაცხადებს სურვილს საზოგადოების სასარგებლოდ ყოველ წლივ შემოიტანოს ერთს მანეთზე არა ნაკლები და ვინც არჩეულ იქნება საზოგადო კრების მიერ ორის დამფუძნებელის ან ოთხის ნამდვილ წევრის წინადადების თანახმად.“
	დ. კარიჭაშვილი.

5. გამგეობის მოხსენება ქ. შ. წ. გ. საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმთა შეერთების შესახებ.

საკითხი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმთა შეერთების შესახებ გადაიდოს ნორმალურ პირობების დამყარებამდე.

დ. კარიჭაშვილი.
ი. ვართაგავა.
გ. ლასხიშვილი.
ნ. ნაკაშიძე.
ლ. ბოცვაძე.
გ. ცინცაძე.
შ. დედაბრიშვილი.
ვ. კიკალიშვილი.
ი. გიორგობიანი.
გ. რცხილაძე.
მდივანი ვ. ბურჯანაძე.

განცხადება

ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებული სასკოლო სექციამ, რომელიც ასწორებს განხვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, სთხოვს სახალხო სკოლის მასწავლებლებს და საქმის მცოდნე პირთ მიაწოდოს სასკოლო სექციას თავისი შენიშვნები ი. გოგებაშვილის ამა თუ იმ სახელმძღვანელოს შესახებ. დღემდის სექციის მიერ შესწორებულია და შევსებული რუსული სახელმძღვანელოები—ორიგვე ნაწილი «Русское Слово»-სი. ამ ჟამად ასწორებს „დედა-ენის" პირველ ნაწილს და შემდეგ შეუდგება „დედა-ენის" მეორე ნაწილისა და „ბუნების კარის" გადასინჯვას. ყოველს საამბრთლიანს შენიშვნას გამოცდილ მასწავლებლისას სასკოლო სექცია სიამოვნებით მიიღებს მხედველობაში შესწორების დროს. დაწერილი შენიშვნები უნდა გამოგზავნოს წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში სასკოლო სექციის სასელზე.

სასკოლო სექცია

რედაქციას ჰყავს აგენტები შემდეგს ადგილებში:

კავკავში—ქართული სკოლა გ. მიქაბერიძე და საურთიერთო ბანკში ის. დავითაშვილი. **ბაქოში**—ალ. ერაზ. გკარამაძისა, მეთ. კაკაბაძე და ილია გოგია. **ბანძაში**—ესტატე მონიავა. **თელავში**—ნინო გოგნიაშვილისა და წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში. **გორში**—ნინო ანტ. ლომოურის ასული. **ირილაში**—სიმონ ორჯონიკიძე. **ჭიათურაში** — ი. გომელაური. **ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძე, ლადო ბზვანელი და ლაზ. ხმალაძე. **სამტრეიაში**—წ. კ. საზ. კიოსკში. მინა კოპალეიშვილი და რკინის გზის სკოლაში რ. აბულაძე. **ხონში**—ვლადიმერ ნადარეიშვილი. **ახალ-სენაკში**—სპ. ენუქიძე და მიხ. თათარაშვილი. **აბაშაში**—ვას. ქობულია, **ძველ-სენაკში**—პოლ. ლორთქიფანიძე და გ. ბოკერია, **ბათომში**—წიგ. მაღ. „განთიადი“ გ. მახარაძე და ტრიფ. ინასარიძე, **ლანჩხუთში**—კალინიკე ელენტი. **ახალციხეში**—კოტე გვარამაძე. **სილნალში**—წ.-კ. საზ. განყ. წიგნის მაღ.—ი. კრაწაშვილი. **ოზურგეთში**—პარმენ თოთიბაძე. **სოხუმში**—ნიკო ჯანაშია. **ჩოხატაურში**—ს. თავათრქილაძე. **ბასილეთში**—დავით ფოცხოშვილი. **ონში**—რაისა ჯაფარიძე, **განჯაში**—ლუკა ხარაძე. **ზუგდიდში**—მარიამ ელორდანიას ასული. **როსტოვში**—სტ. სვ. ელიაძე. **ხაშურში**—გ. ნაკაშიძე. **ზაქათალაში**—გრ. ელენტი, **ნაოღალევში**—არჩილ სულავა და ურვან რევია, **სადმელში**—ვარ. ბახტაძე. **გაგრაში**—იოილ მაისურაძე. **საჩხერეში**—პოლიკარპე კინწურაშვილი.

საჭიროა აგენტები სხვა ადგილებშიც.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს აგენტებს დროზე მოაწოდონ 1916 წლის ხელის მომწერთა სია და წარსული წლის ანგარიშები.—

ცალკე №№ ჟურნალის იყიდება **ტფილისში** კანტორა „განათლებაში“—ოლოლის ქ. № 6, „განთიადის“ კანტორაში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

(წელიწადი მეცხრე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა [illegible] ლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს ეროვნულს ნიადაგზე.

„განათლება“ აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავ[illegible] აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან [illegible] სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივად ყოველ თვე გარდა ზაფხულ[illegible] ორის თვისა (ივლისი და აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივად იქნება ცალკე განეოფილება, სადაც [illegible] ბეჭდება ეოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ[illegible] საზოგადოებისა და მისი განეოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ დაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან, „**Новая рѣчь**“-ის წიგნის მაღაზიაში **კიკნაძესთან** და „განათლების“ კანტორა[illegible] ში, ოლოლის ქ. № 6.

წლიურად ჟურნალი გაგზავნით ეღირება **5** მანეთი

ტფილისში ხელისმომწერთათვის **4** მანეთი

სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს [illegible] საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი და[illegible] მობათ **3** მ. **50** კ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ცალკე ნომერი ჟურნალისა ეღირება **50** კ.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Бецвадзе**

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.